საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№31 (360)
17 აგვისტო - 6 სექტემბერი, 2016

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

«საქართველო და მსოფლიოს» შემდეგი ნომერი გამოვა 2016 წლის 7 სექტემბერს

## ასე იწრთობოდა პლასტელინი 2



## განრისხებული მოქალაქეები და შერისხული პრეზიდენტი 4

«როდემდე უნდა ვიყოთ ვიღაცის კოლონია და როდემდე უნდა გვიკარნახონ გარედან, როგორი სახელმწიფო ავაშენოთ» 7

8 «ერთ-ორ წელიწადში ხარაგაულში გამგებელიც ჩინელი გვეყოლება»

«ბერძნები ქართველებს ისე გვიყურებენ, როგორც მონებს» 9

მილოშევიჩი გაამართლეს, მისი ტრიბუნალის შემკვეთები განსასჯელთა სკამზე უნდა დასხდნენ! 21

თამაზ მეჭიაური: «ქართული ოცნება» ამერიკის მარიონეტად გადაიქცა 5

«რაც შეიძლება მეტმა მოქალაქემ უნდა მიიღოს არჩევნებში მონაწილეობა» 6

ლევან ვასაძის თვალსაზრისის არალიბერალური კრიტიკა 12

«ყველა ქრისტიანი უწმინდურია» — ლტოლვილი მუსლიმანები ქრისტიანებს ემუქრებიან 18

## ბლოკი თუ ბოლოკი?




11

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მთავარია, იმ ქვეყანაში, რომელმაც დანაშაულებრივი „ნაციონალური მოძრაობა“ ვერ (არ!) აკრძალა, ორკაციანი პარტია „ცენტრისტები“ უნდა აიკრძალოს. კიდევ ბევრი სხვა რამ უნდა აიკრძალოს დემოკრატიის სახელით, ოღონდ — შერჩევით. მაგალითად, რუსული სერიალები აიკრძალოს, თურქული კი — არა! რუსული არხები აიკრძალოს, ხოლო „რუსთავი 2“-ს არავინ უნდა შეეხოს, მიუხედავად იმისა, რომ ადრეც და ახლაც დანაშაულებრივი რეჟიმის „გამპრავებელია“!**

# ასე იწრთობოდა პლასტელინი

**სააკაშვილის ადგილზე მიგდებული პლასტელინი აკი გვარწმუნებდა, სადაც მიმაგდებენ, იმ ფორმას მივიღებო და ასეც მოხდა: ჯერ სააკაშვილის გიგანტური რეზიდენცია შეიშინო და ფეხები გაფარჩხა, – აქედან ფეხსაც არ მოვიცვლიო, მერე ვეტოების კორიანტელი დააყენა და განრისხებულ ბიძინას ენა გამოუყო, ბოლოს კი სააკაშვილსაც გადააჭარბა და 200 ათასი თანამოქალაქის ხელმოწერები სულაც ფეხებზე დაიკიდა.**

აკი ვწერდი ჯერ კიდევ პრეზიდენტობის კანდიდატად მისი წამოყენებისას, რომ ინჟინერ ივანიშვილის მარგველოიდი მის წამომყენებელსა და გზაზე დამყენებელს პოლიტიკურად გააკოტრებდა. იმასაც ვწერდი, რომ ქვეყანაში, სადაც უმრავლესობის ხმა არც ძველ და არც ახალ პოლიტიკურ ელიტას არ ესმის, უმცირესობების უფლებებზე უსაგნო ლაპარაკით იმის გარჩევა გაჭირდებოდა, „ნაციონალების“ პლატფორმა იყო ეს თუ „ქართული ოცნების“.

ჰოდა, მოვედით!

**ოჯახი რომ ქალისა და მამაკაცის ერთობას ნიშნავს, ამ საკითხზე რეფერენდუმის ჩასატარებლად 200 ათასზე მეტი ხელმოწერა შეგროვდა და, როგორც წესი, მოითხოვს, პრეზიდენტს რეფერენდუმის დანიშვნის მოთხოვნით მიმართეს. მარგველოიდმა კი, ესაო, ისაო, თქვენი დიდ პატივისცემა მაქვსო, მაგრამ არ დავნიშნავო, იმიტომ რომ... (აქ ჩაისუნთქეთ!) რეფერენდუმიო საქართველოს მთელ ტერიტორიაზე უნდა ჩატარდესო და რაკი ვერ ჩატარდება, არც დავნიშნავო!**

**ვითომ დაავიწყდა მარგველოიდს, რომ თვითონაც არ არის არჩეული ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე? თუ, საკუთარი თავის გარდა, აღარც პარლამენტს ცნობს, აღარც მთავრობას და აღარც იმ რეფერენდუმს, რომლითაც პარლამენტართა რაოდენობა 150-მდე შემცირდა?**

მარგველოიდს არა, მაგრამ მის „მწრთობელ“ **გიგა ბოკერიას** შესანიშნავად ახსოვს ეს ყველაფერი. მათაც ახსოვთ, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციიდან პრეზიდენტის ადმინისტრაციაში რომ ჩაიბუდეს. უმცირესობათა უფლებების დაცვაზე თავმიკლულებმა ბევრი იფიქრეს, როგორ აერიდებინათ რეფერენდუმის დანიშვნა და ასეთი იურიდიული მიზეზი დადეს. ახლა გავიდეთ ამ ფსევდოიურიდიული ჩარჩოდან და კითხვა დავსვათ — **რეფერენდუმი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებზეც რომ ჩატარდეს, რა პასუხს ელიან იქიდან? რომ ოჯახი არა ქალისა და მამაკაცის, არამედ ორი კაცის ან ორი ქალის ერთობაა? თვითონ სჯერათ, ნეტავ, ამის?**

ეგაო, რუსული ნარატივიაო! — იჭაჭებიან უმცირესობების (პირველ რიგში, საპარლამენტო უმცირესობის — „ნაციონალური მოძრაობის“) დამცველები ყველა ტელეარხზე და იმასაც ვერ ხვდებიან, რომ, თუ ოჯახს, როგორც ქალისა და მამაკაცის ერთობას, რუსულ ნარატივს დაარქმევ, ძნელი მისახვედრი არ არის, ვის მხარეზე გადაიხრება ქართველი ხალხის სიმპათია.

ახლა ტერმინ **„ნარატივსაც“** ჩავხედოთ:

„თხზულება, თხრობა — სამყაროს აღქმის ისტორიულ-კულტურული ინტერპრეტაცია გარკვეული პოზიციიდან, თხრობა მხატვრულ ნაწარმოებში“. შესავალი ლგბტ ჟურნალისტიკაში. ავტ. **შორენა გაბუნია**; რედ. **ირაკლი ვაჭარაძე**; არასამთავრობო ორგანიზაცია **„იდენტობა“**.

ტერმინზე ნუ ვიდავებთ, მაგრამ ერთი რამ ცხადია: **ვინც ვაჭარაძის განმარტებებით ცხოვრობს, ის ლგბტ ჟურნალისტიკის შესავალს მიჰყვება და, სადაც მიიყვანს ეს შესავალი, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს.**

კიდევ ერთი რუსული ნარატივი, რომელმაც ნაციონალურ საღათას ძილში მყოფი საზოგადოებრივი მაუწყებლის სახეები გამოაღვიძა, პარტია „ცენტრისტების“ საარჩევნო კლიპი აღმოჩნდა — „რუსული პენსიის“, ორმაგი მოქალაქეობისა და რუსული ბაზების დაკანონების დაპირებით. გასაოცარია, მაგრამ **ყველა არჩევნების წინ გამოჩნდებიან ხოლმე საქართველოდან გადაკარგული მარგინალები და ისეთ დისკრედიტაციას უწევენ რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგების თემას, რომ თავად მაკკეინსაც კი შეშურდებოდა!**

თავის დროზე, 2012 წელს, „ქართული ოცნების“ უსახური საარჩევნო გაზეთის რედაქტორობიდან გამოგდებული ვინმე **ირაკლი ტაბლიაშვილი**, რომელიც დღეს საზმაუშია მოწყობილი, მყისვე აყვირდა და თანამშრომლებს მოუწოდა: „შულავერის ახალი კომიტეტის, ანუ ლადო ხაჩიშვილ-ორჯონიკიძეების პარტიის სარეკლამო რგოლის ეთერიდან მოხსნა აუცილებელია ნებისმიერ ფასად. საქმე ისაა, რომ, კანონის თანახმად, საზ.მაუწყებელს არ აქვს კვალიფიციურ და არაკვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტთა საარჩევნო რგოლების შინაარსის კონტროლის და მით უფრო, დაბლოკვის უფლება. ამდენად, ფორმალურად, ვიმეორებ, ფორმალურად, ყველაფერი წესრიგშია – დემოკრატიაა, თან გასაოცარი!

მაგრამ კანონზე მაღლა დგას ზეკანონი, ანუ ჩვენ, უპირველესად, ვართ ამ ქვეყნის მოქალაქეები და მხოლოდ შემდგომ — ქაღალდზე დატანილი კანონის აღმასრულებელ-შემსრულებლები, ანუ კანონმორჩილები... შესაბამისად, ჩვენი ვალია, ამ ორჯონიკიძეების სარეკლამო რგოლის ჩახსნა... უხეში, უაპელაციო ჩახსნა.

ბედუკაძე, ხაჩიშვილი და სხვები იჩივლებენ. პროცესს წავაგებთ, გადავიხდით ჯარიმას... მაგრამ რგოლი ეთერში არ იქნება...

ჰოდა, დეპუტატებო, კანონებს რომ წერთ და იღებთ, ოდესმე მაინც შეცვალეთ საზ. მაუწყებელთან დაკავშირებული კანონები...

ცესკო! გვიპასუხე — რატომ გაატარე რეგისტრაციაში სულძაღლი სერგო ორჯონიკიძის მემკვიდრეთა პარტია?..

სასამართლო! შენ გვიპასუხე — რატომ არ მოხსენი ეს პარტია რეგისტრაციიდან?

ხოლო ჩვენ კი ჩვენი უნდა გავაკეთოთ!

ბედუკაძის რგოლი უხეშად უნდა ჩავჭრათ-ჩავხსნათ ეთერიდან.

ესაა და ეს!“

ტაბლიაშვილის მოწოდებას მყისიერად აჰყვნენ ნაციონალთა აპოლოგეტები.

**ბიბი თევზაძე:** „შეიძლება საზმაუს კანონი არ ირღვევა, მაგრამ ირღვევა კონსტიტუცია და სხვა კანონები, რომელთა მიხედვითაც ოკუპაციის ხელშეწყობა, პროპაგანდა და მოწოდება აკრძალულია“.

**ეკა მიშველაძე:** „ვაიმე, რა კანონი, ირაკლი! მორალია მთავარი!“

ნუ მიაქცევთ ყურადღებას, ვინ ლაპარაკობს კანონებსა და მორალზე. აქ მთავარი სულ სხვა რამ არის: **ნაცისტური კუდები ყველგან ჩანს: უნივერსიტეტებში, პრეზიდენტის ადმინისტრაციაში, ტელევიზიებში და ახლა უკვე „ქართული ოცნების“ მაჟორიტარ თუ სიის კანდიდატებშიც კი!**

დაახლოებით სამ საათში საზმაუმ პატრიოტული ჟინით „ცენტრისტების“ რეკლამა მოხსნა ეთერიდან. აქ კანონზე აღარ ულაპარაკიათ, „ზეკანონით“ ახსნეს ნაგვიანევი გმირობა. „საზოგადოებრივი მაუწყებელი არის რა საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებული ორგანიზაცია, ხელმძღვანელობის და თანამშრომელთა ერთობლივი გადაწყვეტილებით აჩერებს პოლიტიკური გაერთიანება „ცენტრისტების“ წინასაარჩევნო რეკლამას, რადგან მაუწყებელი ხედავს საფრთხეს, რომ აღნიშნული პოლიტიკური რეკლამის შინაარსი შეიცავს სახელმწიფოს სუვერენიტეტის საწინააღმდეგო გზავნილებს და შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კონსტიტუციას“.

აბდაუბდაა ეს ყველაფერი, როგორც თავად „ცენტრისტების“ საარჩევნო რგოლი, მაგრამ, აბა, ამას რა მნიშვნელობა აქვს?! მთავარია სუვერენიტეტი! **საზმაუში სუვერენიტეტზე არ უდარდიათ, როცა აშშ-ის ელჩი მინისტრებსა და პრემიერმინისტრებს ხსნიდა და ნიშნავდა ან სუვერენული სახელმწიფოს სუვერენულ სასამართლოს პირდაპირ მითითებებს აძლევდა. არც მაშინ გაღვიძებიათ, როცა სხვადასხვა მედასავლეთე პარტია გაიძახოდა: „მეტი ნატო საქართველოში და მეტი საქართველო ნატოშიო“! ეს არ არის „სახელმწიფოს სუვერენიტეტის საწინააღმდეგო გზავნილები“?**

არა, რადგან მარგველოიდსა და მის მსგავს პლასტელინებს, კარგა ხანია, აწრთობენ ოკეანის გაღმა (გიგა ბოკერია მხოლოდ სახეა მათი) და უკვე დააზეპირებინეს ამერიკული ნარატივები! ისინიც ბეჯითად იმეორებენ ნატოს ერთგულების ფორმულებს და იმასაც გეგმავენ, როგორ გაამარგინალონ განსხვავებული აზრი. **მათთვის „ცენტრისტების“ უნიჭო რეკლამა კარგი საჩუქარი ან, სულაც, კარგად დაგეგმილი პროვოკაციაა!**

ტაბლიაშვილის გმირულ პათოსს ერთი ამგვარი ნაწრთობი პლასტელინი ასე ეხმაურება: **„პროდასავლურმა ძალებმა ახლა უნდა იმარჯვონ და ბურჯანაძე, თარხან-მოურავი ინაშვილით ყოველთვის მოიხსენიონ ცენტრისტებთან ერთად, ერთ კონტექსტში. ეს იქნება სამართლიანი და ამომრჩევლებისთვის ადვილი გასაგები“.**

მიზანი ხომ სწორედ ეს არის! მერე რა, რომ არც ერთი ჩამოთვლილი ძალა არც რუსულ პენსიებს ჰპირდება ვინმეს და არც რუსული ბაზების დაკანონებას, ხოლო ბურჯანაძის უბლოკო სტატუსი საერთოდ იმას ითვალისწინებს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე არც ერთი სახელმწიფოს ან სამხედრო ბლოკის ძალები არ უნდა იდგნენ. ეს ხომ არ არის მთავარი!

**მთავარია, იმ ქვეყანაში, რომელმაც დანაშაულებრივი „ნაციონალური მოძრაობა“ ვერ (არ!) აკრძალა, ორკაციანი პარტია „ცენტრისტები“ უნდა აიკრძალოს. კიდევ ბევრი სხვა რამ უნდა აიკრძალოს დემოკრატიის სახელით, ოღონდ — შერჩევით. მაგალითად, რუსული სერიალები აიკრძალოს, თურქული კი — არა! რუსული არხები აიკრძალოს, ხოლო „რუსთავი 2“-ს არავინ უნდა შეეხოს, მიუხედავად იმისა, რომ ადრეც და ახლაც დანაშაულებრივი რეჟიმის „გამპრავებელია“!**

ჩვენმა დაუძინებელმა მეგობარმა — **ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მართლაც დაიჯერა, რომ პლასტელინის „წრთობა“ შესაძლებელია და სწორედ ამ ნაწრთობი პლასტელინის იმედად აპირებს საქართველოს ხარჯზე საკუთარი ინტერესების გატარებას. არა, ბატონებო, პლასტელინი არ იწრთობა! ხვალ რომ სიტუაცია შეიცვალოს, ეს პლასტელინები ყველაზე სწრაფად მიიღებენ რუსული ნარატივის ფორმას, ზუსტად ისე, როგორც გუშინდელი კომკავშირის მდივნები გახდნენ ნატოსა და დასავლეთის თავგადაკლული მომხრეები!**

დასასრულ, ყველგან გადანაწილებული ნაცების კიდევ ერთი ნარატივი ამჯერად პარლამენტის რესპუბლიკელმა თავმჯდომარემ გადმოაგდო. უბლოკო სტატუსის საპირისპიროდ, მან კონსტიტუციაში ახალი ჩანაწერის ფორმულირება წამოაყენა: „საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულაში, იქ, სადაც საუბარია იმაზე, თუ რა სურს ქართველ ხალხს, რისთვის სჭირდება მას სახელმწიფო, დაემატოს ფრაზა: **„დავიმკვიდროთ სრულფასოვანი ადგილი დემოკრატიული სახელმწიფოების უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ევროატლანტიკურ სისტემაში“.**

**ტაბლიაშვილი და სხვა პლასტელინები ამაში „სახელმწიფოს სუვერენიტეტის საწინააღმდეგო გზავნილებს“, რა თქმა უნდა, ვერ დაინახავენ. ვერც იმას შეამჩნევენ, როგორ გასცა საკუთარი თავი რესპუბლიკელების ლიდერმა: მან პრაქტიკულად აღიარა, რომ ქართველ ხალხს სახელმწიფო მხოლოდ იმიტომ სჭირდება, ნატოში რომ დაიმკვიდროს ადგილი!**

**ღირს კი ამისთვის სახელმწიფო გქონდეს?**

არ ღირს და ამიტომაც ექცევიან საკუთარ სახელმწიფოს ისე, როგორც ინსტრუმენტს სხვების ხელში, სიტყვით კი საარჩევნო რგოლებში სიტყვა „სამშობლოც“ გაიხსენეს, რომელიც მანამდე არ დასცდენიათ!

**არ იწრთობა პლასტელინი და ამას ოქტომბერში, არჩევნებზე დაინახავთ თქვენც და თქვენი „მწრთობელებიც“!**

**თამარ დავითულიანი**



რეფერენდუმი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებზეც რომ ჩატარდეს, რა პასუხს ელიან იქიდან? რომ ოჯახი არა ქალისა და მამაკაცის, არამედ ორი კაცის ან ორი ქალის ერთობაა? თვითონ სჯერათ, ნეტავ, ამის?

**ამერიკულმა გამოცემამ ამ წერილით მიანიშნა ამერიკელი პოლიტიკოსების დაბალ ერუდიციასა და ინტელექტზე, რადგან, არათუ რიგით პოლიტიკოსებს, არამედ ამერიკელ პრეზიდენტებსაც კი არაერთხელ „უსახელებიათ“ თავი ბრიყვული გამონათქვამებით. მაგალითად, კანადური ორგანიზაციის მიერ 2003 წლიდან დაარსებულ მსოფლიოს ყველაზე ბრიყვების კონკურს WORLS STUPIDITY AWARDS-ში არაერთხელ გაუმარჯვია აშშ-ის პრეზიდენტ ჯორჯ ბუშ-უმცროსს, რომლის გამონათქვამები ცნობილია, როგორც „ბუშიზმები“.**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «თხა და ბუში»

**სოციალურ ქსელში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია ამერიკული გამოცემა US Daily Mail-ის მიერ გამოქვეყნებულმა მასალამ სათაურით „ალაბამელი კანონმდებელი აღშფოთებულია, რომ ჯორჯიის შტატს ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის ნება დართეს“.**

„ამერიკელი სენატორი შტატ ალაბამიდან — **ფრედ ქ. კალჰუნი** ძალიან აღშფოთდა, როდესაც რიო-დე-ჟანეიროს ოლიმპიადის გახსნის ცერემონიაზე, როგორც თვითონ ივარაუდა, ჯორჯიის შტატის გუნდი დაინახა. ამის გამო მან ღია წერილით მიმართა საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს:

„მე ოჯახთან ერთად თვალყურს ვადევნებდი თამაშების გახსნას და გავოგნდი, როცა დავინახე, რომ ჯორჯიას, როგორც დამოუკიდებელ გუნდს, ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის ნება დართეს“, — წერს გაზეთი US Daily Mail-ი.

ქართული ინტერნეტგამოცემების მიერ ნათარგმნ US Daily Mail-ის ზემოაღნიშნულ მასალას მსწრაფლ გამოეხმაურა თავდაცვის ყოფილი მინისტრი, ამჟამად დეპუტატობის მაძიებელი რესპუბლიკელი **თინა ხიდაშელი**. ქალბატონმა თინამ, — ეს როგორ აკადრეს ჩემს პატრონებსო, — სოციალურ ქსელში ჟურნალისტები დამოძღვრა, თანაც არა ამერიკელი, რომლებმაც მსოფლიოში გაავრცელეს ეს ინფორმაცია, არამედ ქართველები:

„კი ვიცი რას ემსახურება ეს სტატიები, მაგრამ ვინმე შეცდომაში არ შევიდეს.

ამერიკის სენატში ალაბამას წარმოადგენენ Jeff Sessions da Richard Shelby. ასევე თავად ალაბამას შტატს აქვს სენატი, სადაც 35 სენატორია და მათ შორის სტატიაში მოხსენიებული ფრედ კალაუნი არ არის.

არსებობს ასეთი ვებგვერდი — ვიპიკედია. წამში იძებნება.

**გადამოწმება ჟურნალისტიკის ოქროს წესია!“** (სტილი დაცულია)

აქ ქალბატონ თინას უნდა ვუთხრათ, რომ არც „ვიკიპედიაა“ საჭირო და და არც „გადამოწმება“ იმის გასარკვევად, თვითონ რატომ შეშფოთდა ასე ამერიკელი პოლიტიკოსების უვიცობაზე დაწერილი სტატიის გამო; ისიც ყველამ კარგად იცის („შეცდომაში არავინ შევა“), როგორ დანიშნეს ის თავდაცვის მინისტრის პოსტზე და როგორ გაამარჯვებინა საგარეჯოს არჩევნებში თავის მოგვარეს — არც ამას სჭირდება „გადამოწმება“...

როგორც მოგვიანებით სხვა ამერიკულმა გამოცემებმა დაწერეს, US Daily Mail-ის მიერ გავრცელებული ინფორმაცია სინამდვილეს არ შეესაბამება, რადგან **ფრედ ქ. კალჰუნი** — ასეთი გვარის სენატორი, საერთოდ, არ არსებობს და აშშ-ის სენატში ალაბამას სხვა ადამიანები წარმოადგენენ.

მაგრამ აქ მთავარი არის ის, რომ **ამერიკულმა გამოცემამ ამ წერილით მიანიშნა ამერიკელი პოლიტიკოსების დაბალ ერუდიციასა და ინტელექტზე, რადგან, არათუ რიგით პოლიტიკოსებს, არამედ ამერიკელ პრეზიდენტებსაც კი არაერთხელ „უსახელებიათ“ თავი ბრიყვული გამონათქვამებით.**

მაგალითად, კანადური ორგანიზაციის მიერ 2003 წლიდან დაარსებულ მსოფლიოს ყველაზე ბრიყვების კონკურს Worls Stupidity Awards-ში არაერთხელ გაუმარჯვია აშშ-ის პრეზიდენტ ჯორჯ ბუშ-უმცროსს, რომლის გამონათქვამები ცნობილია, როგორც „ბუშიზმები“.

ბრაზილიის იმჟამინდელ პრეზიდენტ ლუის ინასიო ლულა დე სილვას, როდესაც მან თავისი ქვეყნის რუკა აჩვენა, ბუშმა ასე მიმართა: **„რა, ბრაზილია ასეთი დიდი ქვეყანაა?“** . სწორედ ამ ფრაზით გაიმარჯვა ბუშმა ნომინაციაში „ყველაზე იდიოტური შეუსაბამობა დაკავებულ თანამდებობასთან“.

ავსტრალიაში გამართულ აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის თანამშრომლობის სამიტზე კი ჯერ ერთმანეთში აერია APEC-ი (აზია-წყნარი ოკეანის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია) და OPEC-ი (ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაცია), შემდეგ კი — **ავსტრალია და ავსტრია.**

აი კიდევ რამდენიმე „ბუშიზმი“:

* **„თქვენც გყავთ ზანგები?** (შეკითხვა ბრაზილიის პრეზიდენტ ფერნანდო კარდოზოს);

* **„კონდოლიზა რაისი ისეთივე უბრალო ტეხასელი გოგონაა, როგორც მე“.**

* **„დარწმუნებული ვარ, ადამიანებსა და თევზებს შეუძლიათ მშვიდობიანი თანაარსებობა“;**

* **„მინდა შევეკითხო მას, ვინც კითხვა დამისვა: მე არ მქონდა შესაძლებლობა, შევკითხოდი მას, ვინც კითხვა დამისვა. რომელ კითხვაზეა საუბარი?**

* **„ჩემი აზრით, თუ აშშ ამბობს, რომ იქნება სერიოზული შედეგები, და, თუ ეს სერიოზული შედეგები არ ჩანს, ეს იწვევს ნეგატიურ შედეგებს“;**

* **„ჩემი სამუშაო ასეთია, — ვიფიქრო ჩემ ცხვირს იქით“;**

* **„ჩემი მტრები მოხერხებულები და გამჭრიახები არიან, ჩვენც ასეთი ვართ. ისინი არასოდეს შეწყვეტენ ფიქრს ახალ გზებზე, როგორ ავნონ ჩვენს ქვეყანასა და ხალხს, ჩვენც — ასევე“.**

* ჯორჯ ბუში 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ ეწვია სკოლას, სადაც ბავშვებთან ერთად კითხულობდა წიგნს, ოღონდ წიგნი იაკობ გოგებაშვილის მოთხრობა „თხა და გიგოს“ პერსონაჟის მსგავსად ხელში **უკუღმა** ეჭირა.

* სხვათა შორის, ანალოგიური რამ დაემართა ბუშისგან „დემოკრატიის შუქურად“ შერაცხილ **მიხეილ სააკაშვილს**, რომელმაც მას შემდეგ, რაც 2008 წელს თბილისში ტელეკამერის წინ ჰალსტუხი დაღეჭა, 2015 წელს უკრაინაში წაიკეკლუცა: ტელეკამერის წინ ხელში სინგაპურის „ეკონომიკური სასწაულის“ შემოქმედის — ლი კუან იუს მემუარები დაიჭირა, ოღონდ... უკუღმა.




**როგორც ჩანს, დღეს მოდურია არაკომპეტენტურობა, დაბალი ერუდიცია და ინტელექტი: ზოგიერთი გეოდეზისტი ნიველირსა და თეოდოლიტს ვერ ასხვავებს ერთმანეთისგან; ოკულისტმა არ იცის, როგორ გაზომოს მანძილი გუგებს შორის; ელჩმა, რომელსაც მთავრობა სხვა ქვეყანაში გზავნის, არ იცის, სად მდებარეობს ეს ქვეყანა; ეკონომიკის მინისტრად ხაბაზს ნიშნავენ, თინა ხიდაშელს — თავდაცვის მინისტრად, ხოლო «ქსლისმბეჭველ პლასტელინს — პრეზიდენტად»...**


US DAILY MAIL
HOME NATIONAL LOCAL SPORTS
National Sports
Alabama Legislator Angry That “State of Georgia” Allowed in Olympics
MONTGOMERY, Ala. — Friday afternoon, Alabama State Senator Fred Q. Calhoun, (R-Delbert, Ala.) published an open letter to the International Olympic Committee's President, Thomas Bach, complaining that it was unfair for the

* 2006 წელს კონკურს Worls Stupidity Awards-ზე ყველაზე დიდ ბრიყვად აღიარეს ამერიკელი მოსამართლე **დონალდ ტომპსონი**, რომელიც მკვლელობის საქმეზე სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას **მასტურბირებდა.**

* „ყველაზე ბრიყვის“ ნომინაციაში გამარჯვებულია აშშ-ის ყოფილი ვიცეპრემიერი **დიკ ჩეინი**, რომელმაც ნადირობისას იხვის ნაცვლად თავისი მეგობარი — ჰარი ვიტინგტონი **დაჭრა.**

* ამერიკელი პოლიტიკოსების აქილევსის ქუსლი გეოგრაფია რომ არის, ამას მოწმობს ალასკის ექსგუბერნატორ **სარა პეილინის** გამონათქვამები. მან სიტყვით გამოსვლისას სამხრეთი და ჩრდილოეთი კორეა ერთმანეთში აურია, სააკაშვილის მეგობარმა სენატორმა **ჯონ მაკკეინმა** — ბელარუსი ლიტვაში.

* პრეზიდენტ ბარაკ ობამას ოფიციალური წარმომადგენელი **ჯენიფერ ფსაკი** კი ბელარუსებს დაემუქრა, თუ უკრაინის საქმეებში ჩაერევით, თქვენი ქვეყნის ნაპირებთან(?) აშშ-ის მე-6 საზღვაო ფლოტს გამოვგზავნითო.

*გეოგრაფიაში მოიკოჭლებს აშშ-ის ამჟამინდელი სახელმწიფო მდივანი **ჯონ კერიც.** მან ვირჯინიის შტატის უნივერსიტეტის სტუდენტების წინაშე გამოსვლისას ილაპარაკა „სახელმწიფო დეპარტამენტის მამაც თანამშრომლებზე, რომლებიც მხარს უჭერენ დემოკრატიულ ინსტიტუტებს **კირზახსტანში** და საქართველოში. რომელი ქვეყნის დასახელება უნდოდა კერის — ყირგიზეთისა თუ ყაზახეთის, მხოლოდ მან და ღმერთმა უწყის, ანუ აშშ-ის საგარეო პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელმა, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობებით არის დაკავებული, არ იცის, რომ ქვეყანა კირზახსტანი არ არსებობს.

* მაგრამ, **რა უნდა თქვა კერიზე, როდესაც თვითონ პრეზიდენტმა ობამამ 2008 წლის წინასაარჩევნო კამპანიისას განაცხადა, აშშ 57 შტატისგან შედგება და არის ქვეყანა, რომელმაც ავტომობილი გამოიგონაო(?).**

რიგითმა ამერიკელმა შეიძლება არ იცოდეს, რომ აშშ ჯერჯერობით 50 შტატისგან შედგება და ავტომობილი გერმანიაში გამოიგონეს, მაგრამ აშშ-ის პრეზიდენტი ასეთ საკითხებში აუცილებლად უნდა ერკვეოდეს.

აი კინომსახიობის, კულტურისტისა და კალიფორნიის ყოფილი გუბერნატორის — **არნოლდ შვარცენეგერის** „ფილოსოფიური“ წიაღსვლა ერთი და იმავე სქესის მქონე ადამიანების ქორწინებაზე: **„ჩემი აზრით, ჰომოსექსუალური ქორწინება უნდა ხდებოდეს მამაკაცსა და ქალს შორის“.**

შვარცენეგერის ფონზე აშშ-ის თავდაცვის ექსმინისტრი **დონალდ რამსფელდი** ნამდვილი ფილოსოფოსია.

რად ღირს მისი ეს სენტენცია:

„ცნობა იმის შესახებ, რომ რაღაც არ მოხდა, ჩემთვის უინტერესოა, რადგან ჩვენ, ყველამ, ვიცით, რომ არსებობს ცნობილი მოვლენები, რომელთა შესახებაც ჩვენთვის ცნობილია. არის რაღაცები, რომელთა შესახებ არ ვიცით, ჩვენ, აგრეთვე, არ ვიცით, რომ არის რაღაცები, რომელთა შესახებაც ჩვენ არ ვიცით, სხვა სიტყვებით, არის გარკვეული საგნები, რომლებიც ჩვენთვის უცნობია. მაგრამ, აგრეთვე, არის ის, რაც ჩვენთვის უცნობია და რაც არ ვიცით, — რაღაც, რომლის შესახებაც არ ვიცით, ვიცით თუ არა, რაღაც ამის შესახებ“.

**რამეს მიხვდით?** — არა? მაშინ თქვენი ადგილი არ არის პენტაგონის ხელმძღვანელის სავარძელში.

**და ეს „ფრთიანი ფრაზები“ ეკუთვნის აშშ-ის ხელისუფლების პირველ პირებს, რომლებსაც პრესტიჟული ამერიკული უნივერსიტეტები აქვთ დამთავრებული და რომლებსაც მსოფლიოს მართვაზე აქვთ პრეტენზია.**

როგორც ჩანს, დღეს მოდურია არაკომპეტენტურობა, დაბალი ერუდიცია და ინტელექტი: ზოგიერთი გეოდეზისტი ნიველირსა და თეოდოლიტს ვერ ასხვავებს ერთმანეთისგან; ოკულისტმა არ იცის, როგორ გაზომოს მანძილი გუგებს შორის; ელჩმა, რომელსაც მთავრობა სხვა ქვეყანაში გზავნის, არ იცის, სად მდებარეობს ეს ქვეყანა; ეკონომიკის მინისტრად ხაბაზს ნიშნავენ, თინა ხიდაშელს — თავდაცვის მინისტრად, ხოლო „ქსლისმბეჭველ პლასტელინს — პრეზიდენტად“...

**გიორგი გაჩეჩილაძე**

**დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**იმაზე, რომ 2003 წლის რეფერენდუმი პარლამენტის წევრთა რაოდენობის შემცირებაზე, აგრეთვე, არ ჩატარებულა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, მარგველაშვილს არაფერი უთქვამს; არც არჩევნებზე, რომელიც ასეთ პირობებში, 20 წელიწადზე მეტია, ტარდება, 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების ჩათვლით, როდესაც თვითონ მარგველაშვილი აირჩიეს. რეფერენდუმის მომხრეებმა ეს არგუმენტი ლამის დაცინვად ჩათვალეს, მარგველაშვილის გადადგომის მოთხოვნით ხელმოწერების შეგროვება დაიწყეს და საპროტესტო აქციები დააანონსეს.**

# განრისხებული მოქალაქეები და შერისხული პრეზიდენტი

**გიორგი მარგველაშვილმა გადაწყვიტა, არ დანიშნოს რეფერენდუმი, რომლის მთავარი კითხვა უნდა ყოფილიყო: „თანახმა ხართ თუ არა, რომ სამოქალაქო ქორწინება განისაზღვროს, როგორც ოჯახის შექმნის მიზნით კავშირი მამაკაცსა და ქალს შორის?“. პრეზიდენტის ეს ნაბიჯი, სავარაუდოდ, სტარტს მისცემს ხანგრძლივ კრიზისს და ის შეიძლება ფრიად დრამატულად განვითარდეს.**



**ბრძოლა მარგველაშვილის გადადგომისთვის, როგორც ჩანს, ერთნაირსქესიანთა ქორწინების აკრძალვის დროშის ქვეშ წარიმართება. ეს დღის წესრიგის, მეტიც, «მარგველაშვილის პრობლემის» არსის გაუმართლებელი გამარტივებაა. თუ ეს აქტივისტები ასევე პასიურად მოიქცევიან ოქტომბერში, სავარაუდო პოსტსაარჩევნო ესკალაციის დროს, საქართველოში შეიძლება სააკაშვილის რეჟიმის რესტავრაცია მოხდეს**

მიუხედავად იმისა, რა საკითხზე ტარდება რეფერენდუმი, როდესაც ერთი კაცი გზას უღობავს 200 ათასი მოქალაქის ნებას, რომლებმაც ხელმოწერით დაუჭირეს მხარი რეფერენდუმის გამართვას, პრეზიდენტმა გადაწყვეტილება სერიოზულად უნდა დაასაბუთოს. მარგველაშვილმა ძირითად არგუმენტად გამოიყენა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ რეფერენდუმი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ვერ ჩატარდება, ხოლო მისი გამართვა მხოლოდ იქ, სადაც ცენტრალური ხელისუფლების კონტროლი ვრცელდება, მისცემს რუსეთს დამატებით სამართლებრივ არგუმენტს იმისთვის, რომ სეპარატისტული რესპუბლიკების სტატუსი გაამყაროს. **იმაზე, რომ 2003 წლის რეფერენდუმი პარლამენტის წევრთა რაოდენობის შემცირებაზე, აგრეთვე, არ ჩატარებულა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, მარგველაშვილს არაფერი უთქვამს; არც არჩევნებზე, რომელიც ასეთ პირობებში, 20 წელიწადზე მეტია, ტარდება, 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების ჩათვლით, როდესაც თვითონ მარგველაშვილი აირჩიეს. რეფერენდუმის მომხრეებმა ეს არგუმენტი ლამის დაცინვად ჩათვალეს, მარგველაშვილის გადადგომის მოთხოვნით ხელმოწერების შეგროვება დაიწყეს და საპროტესტო აქციები დააანონსეს.**

ვიდრე „საქმის არსებით განხილვაზე“ გადავალთ, პრობლემის ერთ-ერთ ტაქტიკურ ასპექტს უნდა შევეხოთ. კომენტატორების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ რეფერენდუმის გამართვა 8 ოქტომბერს საპარლამენტო არჩევნებთან ერთად, არა მხოლოდ საინიციატივო ჯგუფის არამედ „ქართული ოცნების“ ინტერესებშიც შედიოდა. **ეს გაზრდიდა კონსერვატიულად განწყობილი ერთნაირსქესიანთა ქორწინების მოწინააღმდეგე ელექტორატის აქტიურობას, რის გამოც გაუარესდებოდა „ნაცმოძრაობის“ (აგრეთვე, გამოკვეთილად ლიბერალური პარტიების) შედეგი არჩევნებში, რადგან ამ კატეგორიის ხალხის უმრავლესობა ხსენებულ პარტიებს ხმას არ აძლევს. მიჩნეულია, რომ ეს ხელს აძლევდა „ქართულ ოცნებას“ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამ ხმების მნიშვნელოვანი ნაწილი სხვა პარტიების ყულაბაში წავიდოდა.**

საგულისხმოა, რომ რეფერენდუმის გამართვაზე უარის თქმის შემდეგ **გიორგი მარგველაშვილი** აქტიურად ჩაერთო კამპანიაში, რომელიც მიზნად ამომრჩეველთა აქტიურობის გაზრდას ისახავს. მართალია, მისი დაბალი რეიტინგისა და ავტორიტეტის გამო ამ წამოწყებამ შეიძლება უკუშედეგი გამოიღოს, მაგრამ აქ მთავარია სხვა რამ — **მარგველაშვილი თითქოს ცდილობს, დაამტკიცოს, რომ, რეფერენდუმზე უარის თქმის მიუხედავად, არჩევნებზე მისული მოქალაქეების რაოდენობის შემცირება მისი მიზანი ნამდვილად არ იყო.** ამ თემაზე საუბრისას, ალბათ, თავი უნდა შევიკავოთ მაქსიმალისტური შეფასებებისგან, რადგან არსებობს ამომრჩეველთა მიზნობრივი ჯგუფების გააქტიურების ალტერნატიული საშუალებებიც. **არც ისე რთული იყო იმის პროგნოზირება, რომ პრეზიდენტი, უფრო ზუსტად კი ის ძალები, რომელთა გავლენის ქვეშ ის იმყოფება, რეფერენდუმს დაბლოკავდა. აქედან გამომდინარე, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ივანიშვილი რეფერენდუმის სამობილიზაციო ეფექტზე განსაკუთრებულ იმედს ამყარებდა.**

ერთი შეხედვით, მარგველაშვილისთვის ფრიად უსიამოვნოა, რომ მისი გადადგომის მოთხოვნით ხელმოწერების შეგროვება დაიწყო, მით უმეტეს, რომ ამ ინიციატივის ავტორები, სავარაუდოდ, შეძლებენ ათასობით ხელმოწერის შეგროვებას და ხმაურიანი აქციების გამართვას. მაგრამ აქ არის ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ნიუანსი — **უკმაყოფილება გიორგი მარგველაშვილის ქცევით დიდი ხნის განმავლობაში მწიფდებოდა.** გავრცელდა მოსაზრება, რომ მან, მარტივად რომ ვთქვათ, საკუთარ ამომრჩევლებს, „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებს უღალატა და მათთვის ყოვლად მიუღებელი ნაბიჯები გადადგა. მაგალითად, **შესახლდა ავლაბრის რეზიდენციაში** (მისი შენახვა საკმაოდ ძვირი ჯდება), **რაც სააკაშვილის რეჟიმის აქტიური მოწინააღმდეგეებისთვის სილის გაწვნის ტოლფასი იყო. დაიწყო აბსურდული დაპირისპირება წინა პრემიერმინისტრთან, რაც კინაღამ დიპლომატიური სკანდალით დასრულდა (ამერიკაში „პარალელური“ ვიზიტების დაგეგმვის პერიოდში) და კონსტრუქციული ურთიერთობა ვერც გიორგი კვირიკაშვილთან დაამყარა.** მარგველაშვილი ეთამაშებოდა ვეტოს უფლებას, როგორც ბავშვი ასანთს და პრეზიდენტის ადმინისტრაცია (უფრო ფართოდ კი — გარემოცვა) სააკაშვილის რეჟიმის ნარჩენებისთვის ერთგვარ თავშესაფრად გადააქცია. რამდენიმე ბოლო დანიშვნით მან, შესაძლოა, სცადა, ეს შთაბეჭდილება გაექარწყლებინა, მაგრამ რამდენად გამოუვიდა, ძნელი სათქმელია. ბოლო პერიოდში კი (საკონსტიტუციო სასამართლოსთან დაკავშირებული სკანდალი) პრეზიდენტის ოპონენტები მიუთითებენ იმაზე, რომ ის ნაციონალების დაკვეთას ასრულებს და ამის სხვადასხვა მიზეზს ასახელებენ — იდეური სიახლოვე, ალკოჰოლის თუ გარკვეული ფიგურების პათოლოგიური ზეგავლენა, კომპრომატი და ეს საუბრები უკიდურესად უხერხულ, პირდაპირ რომ ვთქვათ, ბინძურ ხასიათს იღებს. ყოველივე ეს გროვდებოდა და აშკარა იყო, რომ კრიზისი მალე ამა თუ იმ ფორმით ამოხეთქავდა და დღის წესრიგში პრეზიდენტის თანამდებობიდან გადადგომის საკითხი დადგებოდა. გასარკვევი მხოლოდ ის იყო, ვინ აღმოჩნდება საპროტესტო მოძრაობის მართვის სადავეებთან. **დღეს რეფერენდუმის ინიციატორები ეწევიან არა მხოლოდ საკუთარი თანამოაზრეების ემოციების მობილიზებას, არამედ იმ ადამიანებისაც, რომელნიც მარგველაშვილს 2012 წლის მშვიდობიანი რევოლუციის იდეალების ღალატში ადანაშაულებენ. რაოდენ პარადოქსულად უნდა მოგეჩვენოთ — ეს მარგველაშვილს ხელს აძლევს.**

მას შესაძლებლობა ეძლევა, საკუთარი თავი ლიბერალური ღირებულებების დამცველად წარმოაჩინოს, რომელსაც „ბნელი ტრადიციონალისტები“ ებრძვიან, დასავლეთის მხარდაჭერა მოიპოვოს და, ამასთანავე, იქცეს გამაერთიანებელ ფიგურად დაქსასული, ერთმანეთთან დაპირისპირებული ლიბერალური ჯგუფებისთვის. **ეს არ მოხდებოდა, თუ ცოტა ადრე ავლაბრის რეზიდენციასთან ასიათასობით ხელმოწერით და ტრანსპარანტებით შეიარაღებული მისი ყოფილი ამომრჩეველი მივიდოდა და მარგველაშვილს პასუხს იმ თემებიდან გამომდინარე მოსთხოვდა, რომლებიც ზემოთ ჩამოვთვალეთ.** ეს იქნებოდა მხოლოდ კანდიდატისა და მისი იმედგაცრუებული ამომრჩევლების საქმე და იმ შემთხვევაში მარგველაშვილს თავდაცვის გაცილებით ნაკლები შესაძლებლობა ექნებოდა. ახლა კი, როდესაც საუბარი შეეხო გლობალურ თემებს, ლიბერალიზმსა და კონსერვატიზმს, დასავლურ და ანტიდასავლურ ორიენტაციას და ა.შ., პრეზიდენტის პოზიციები გამყარდა.

ვერ ვიტყვით, რომ მან თვითონ აირჩია, ვინ იქნება მისი მოწინააღმდეგე დაპირისპირებაში, რომლის დაწყებაც გარდაუვალი იყო. ეს მისი ოპონენტების ბრალია, რომლებიც ისხდნენ და ელოდებოდნენ, რას იტყოდა ბიძინა ივანიშვილი. მან კი ჯერ ერთ, შემდეგ მეორე ინტერვიუში განაცხადა, რომ მარგველაშვილი, მარტივად რომ ვთქვათ, ძალიან ცუდად იქცევა, მაგრამ ისინი მაინც ელოდებოდნენ, როგორც ჩანს, მითითებას, რომლის გახმოვანება ივანიშვილს გასაგები მიზეზების გამო არ შეეძლო. სოციალურ ქსელებში ბოლო წლის განმავლობაში მარგველაშვილის თითოეული, რბილად რომ ვთქვათ, უცნაური ნაბიჯის კვალობაზე, სააკაშვილის რეჟიმის აქტიური მოწინააღმდეგეები (ლიად, ეს ჩანაწერები დღესაც არსებობს) ეკითხებოდნენ ერთმანეთს „რა ფორმით გავაპროტესტოთ?“, „აქციები ხომ არ დავიწყოთ?“, „ხომ არ დადგა დრო?“ და ა.შ. თუმცა ამის შემდეგ ისევ ჩერდებოდნენ, თითქოს ელოდებოდნენ რაღაც სიგნალს „შუშის სასახლიდან“ და საბოლოოდ მიიღეს, რაც მიიღეს — **ბრძოლა მარგველაშვილის გადადგომისთვის, როგორც ჩანს, ერთნაირსქესიანთა ქორწინების აკრძალვის დროშის ქვეშ წარიმართება. ეს დღის წესრიგის, მეტიც, „მარგველაშვილის პრობლემის“ არსის გაუმართლებელი გამარტივებაა. თუ ეს აქტივისტები ასევე პასიურად მოიქცევიან ოქტომბერში, სავარაუდო პოსტსაარჩევნო ესკალაციის დროს, საქართველოში შეიძლება სააკაშვილის რეჟიმის რესტავრაცია მოხდეს, მიუხედავად იმისა, რომ ობიექტური წინაპირობები ამისთვის, ერთი შეხედვით, არ არსებობს. ამას დიდი მსხვერპლი და ეროვნული კატასტროფა მოჰყვება.** ყველაზე პარადოქსული ამ ვითარებაში არის ის, რომ ადამიანები, რომლებიც 2012-ში (და უფრო ადრეც) დემოკრატიული იდეალებისა და ავტორიტარული აზროვნების წინააღმდეგ იბრძოდნენ, დღეს ერთ ნაბიჯსაც ვერ დგამენ ლიდერის მითითების გარეშე, მაშინ, როდესაც აშკარაა, რომ ბრძოლა უსამართლობისა და სიცრუის წინააღმდეგ მისი იდენტიფიცირებისთანავე უნდა დაიწყოს. **საინტერესოა, რას მოიმოქმედებენ ეს აქტივისტები ხვალ, როდესაც რეფერენდუმის ინიციატორები მარგველაშვილის გადადგომისთვის წარმოებულ ბრძოლაში „ლოკომოტივის“ როლს მოირგებენ — შეუერთდებიან მათ, დამოუკიდებლად იბძოლებენ თუ კონფლიქტში ჩარევისგან თავს შეიკავებენ?**

**ტექნოლოგიური თვალსაზრისით, მარგველაშვილის გადაყენება განსაკუთრებული პრობლემას არ არის, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ კრიზისის კულმინაცია დაემთხვევა არჩევნების შემდგომ არეულობას ან „მაიდნის“ აგორების მცდელობას „რუსთავი 2“-ის მფლობელის შეცვლასთან დაკავშირებით, ხელისუფლების მდგომარეობა შეიძლება გართულდეს.** ამასთანავე, სუსტი ქვეყნისთვის (და ამაზე ყველზე კარგად ლათინური ამერიკის უახლესი ისტორია მიუთითებს) ძალზე საშიშია ნებისმიერი კონფლიქტი, რომლის უკან გლობალური იდეების დაპირისპირება იგულისხმება: ლიბერალიზმი — კონსერვატიზმი, პროამერიკულობა — პრორუსულობა და ა.შ. **ერთია, როდესაც პრეზიდენტს უპირისპირდებიან თაღლითობის, ღალატის, კონკრეტული დანაშაულის თუ მათი სერიის გამო და სულ სხვა, როდესაც ის ღირებულებათა მთელი სისტემის დამცველის მანტიას ირგებს, თუნდაც ეს ღირებულებები ქვეყანაში ნაკლებად პოპულარული იყოს. ამას შეიძლება საზოგადოების გახლეჩა, სამოქალაქო დაპირისპირება და მასში უცხო ქვეყნების ჩარევა მოყვეს. კრიზისი, რომელიც ახლახან დაიწყო, ბევრმა მოქალაქემ შეიძლება ნაკლებად საშიშად ჩათვალოს, მაგრამ დაპირისპირების მოდელმა, რომელიც მის უკან დგას, განსაცდელში არაერთი ქვეყანა ჩააგდო.**

რაც შეეხება საკუთრივ რეფერენდუმსა და კანონმდებლობაში ქორწინების, როგორც ქალისა და მამაკაცის კავშირის, შემდგომ განსაზღვრას, ეს საკითხი დღის წესრიგიდან, ცხადია, არ მოიხსნება და გარკვეული დროის შემდეგ შეიძლება ახალი რეფერენდუმის გამართვის ან კანონის მიღების იდეად ტრანსფორმირდეს. ეს, რომ იტყვიან, „მარადიული თემაა“, რომლის გარშემო დისკუსია საქართველოში და სხვა ქვეყნებშიც ათწლეულების განმავლობაში გაიმართება. ამ კონტექსტში, ალბათ, მნიშვნელოვანი იქნება ზომიერებისა და სიმშვიდის დაცვა, რათა ადგილობრივმა ავანტიურისტებმა და მათმა უცხოელმა პარტნიორებმა საზოგადოების გახლეჩა და ქვეყნის სამოქალაქო დაპირისპირებისკენ წაყვანა ვერ მოახერხონ.

**„პრეზიდენტისთვის ამერიკას უფრო აქვს ფასი, ვიდრე იმ ორას თუ ხუთასი ათას მოქალაქეს, რომლებმაც ხელი მოაწერეს და მხარი დაუჭირეს რეფერენდუმის ჩატარებას ქორწინების საკითხის განსაზღვრის შესახებ. პრეზიდენტად წოდებულ მარგველაშვილს, თუ რამედ მიაჩნია მოსახლეობის აზრი, რეფერენდუმი უნდა დაენიშნა და ამდენი მოქალაქე არ უნდა გაეწბილებინა“.**

ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ქართული ოცნება» ამერიკის მარიონეტად გადაიქცა

**საქართველოს მოსახლეობას კარგად ახსოვს წინა და ამჟამინდელი ხელისუფლების დაპირებები და ისიც — რა ხდებოდა „ნაციონალური მოძრაობის“ პერიოდში და რა ხდება დღეს. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში საკმაოდ ბევრი პარტია იყრის კენჭს, მაგრამ საზოგადოებას ამდენი იმედგაცრუების შემდეგ აღარ სჯერა პოლიტიკოსების. ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე გვესაუბრება პარტია „თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის“ ლიდერი თამაზ მეჭიაური.**



**— ბატონო თამაზ, არჩევნებში მოსახლეობის მაღალ აქტივობას ელოდებით?**

— ველოდები იმ შემთხვევაში, თუ ნორმალურად წაიყვანს საარჩევნო კამპანიას რეალური ოპოზიცია. **„ქართული ოცნება“ და „ნაციონალური მოძრაობა“ ყველანაირად ეცდებიან, რაც შეიძლება ცოტა ხალხი მივიდეს არჩევნებზე, ეს ჩანს იქიდანაც, რომ არ სურთ, საარჩევნო უბნების გახსნა რუსეთში, რადგან იქ მილიონობით ჩვენი მოქალაქე ცხოვრობს და ისინი, რა თქმა უნდა, მხარს არ დაუჭერენ ნატოში შესვლას. აქედან გამომდინარე, „ქართული ოცნება“ და „ნაციონალური მოძრაობა“ რუსეთში მცხოვრები ჩვენი მოქალაქეების აზრის იგნორირებას აპირებენ.** უკვე ჩანს, რომ ხელისუფლება ემზადება არჩევნების გასაყალბებლად.

**— „ნაციონალური მოძრაობის“ ცხრაწლიანი განუკითხაობისა და „ქართული ოცნების“ შეუსრულებელი დაპირებების გამო ხალხი პოლიტიკოსებისგან იმედგაცრუებულია. ეს ხომ არ არის მიზეზი იმისა, რომ საზოგადოებამ პოლიტიკური პარტიების მიმართ ნდობა დაკარგა?**

— რა თქმა უნდა, ნდობის დაკარგვა შეინიშნება, თანაც ხელისუფლებაც და მის მიერ დანიშნული ე. წ. ოპოზიციაც, „ნაციონალური მოძრაობა“, მოსახლეობას უნერგავს აზრს, რომ პოლიტიკურ ასპარეზზე ძირითადად ორი მოთამაშეა — „ქართული ოცნება“ და „ნაციონალური მოძრაობა“. ასეთი განლაგება ერთსაც აძლევს ხელს და მეორესაც; ნაციონალებისთვის მეორე ადგილზე ყოფნა მისაღებია, მით უმეტეს, თუ ძირითად სატელიტებსაც შეიყვანენ პარლამენტში. ისიც გასათვალისწინებელია, რომ **„ქართული ოცნების“ ნახევარი უკვე „ნაციონალური მოძრაობის“ კადრებით არის დაკომპლექტებული. რესპუბლიკური პარტია ათკაციანი შემადგენლობით ახერხებდა პარლამენტის მართვას დასავლეთის მიმართულებით, მაგრამ ახლა რეალობა სხვაა, უკვე გამოჩნდნენ პოლიტიკური ძალები, რომლებიც არ თავსდებიან ამ სქემაში და მოსახლეობას უკვე აჩვენებენ, რომ ქართული პოლიტიკური ველი სულაც არ არის ორპოლუსიანი. „ნაციონალური მოძრაობა“ და „ქართული ოცნება“ ერთად არის ერთი პოლუსი, რომელიც ამერიკიდან იმართება,** ჩვენი პარტია კი იქნება დამოუკიდებელი ამერიკისგანაც და რუსეთისგანაც.

**— როგორ შეაფასებთ ხელისუფლების მოღვაწეობას ბოლო 4 წლის განმავლობაში, მის საშინაო და საგარეო პოლიტიკურ კურსს?**

— „ქართულმა ოცნებამ“ ვერც ატლანტიკური და ვერც ევროპული მიმართულებით ვერ დაამყარა ურთიერთობა, ვერ შეასრულა დაპირებები, ვერ გაწევრდა ევროკავშირში, ასოცირების ხელშეკრულება და ვიზალიბერალიზაცია შეუსრულებელია, არანაირი პერსპექტივა არ ჩანს ნატოში გაწევრების — საქართველო ნატოში რომ შევიდეს, ტერიტორიები უნდა გვქონდეს დაბრუნებული, საშინაო კურსიც უპერსპექტივოა; თუმცა აღსანიშნავია, რომ მოსახლეობა თავისუფალია, აღარ მიმდინარეობს ზეწოლა და უსამართლო დაპატიმრებები, მაგრამ სამართლიანობის აღდგენის მიმართულებით აქვთ სერიოზული პრობლემები, **„ქართული ოცნების“ ახალი სახეები თითქმის მთლიანად „ნაციონალური მოძრაობის“ კადრები არიან. ფაქტობრივად, მივიღეთ ორი „ნაციონალური მოძრაობა“: ერთი — „ნაციონალური მოძრაობით“ დაკომპლექტებული „ქართული ოცნება“ და მეორე — თვითონ „ნაციონალური მოძრაობა“.**

**«ქართული ოცნების» ახალი სახეები თითქმის მთლიანად «ნაციონალური მოძრაობის» კადრები არიან. ფაქტობრივად, მივიღეთ ორი «ნაციონალური მოძრაობა»: ერთი — «ნაციონალური მოძრაობით» დაკომპლექტებული «ქართული ოცნება» და მეორე — თვითონ «ნაციონალური მოძრაობა»**

**«ხელისუფლებაც და მის მიერ დანიშნული ე.წ. ოპოზიციაც, «ნაციონალური მოძრაობა», მოსახლეობას უნერგავს აზრს, რომ პოლიტიკურ ასპარეზზე ძირითადად ორი მოთამაშეა — «ქართული ოცნება» და «ნაციონალური მოძრაობა»**

**— რუსეთ-საქართველოს დღემდე დაძაბულ ურთიერთობაზე რას იტყვით?**

— საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე, რუსეთთან ურთიერთობა მოსაგვარებელია, თუმცა აქაც უნდა გავითვალისწინოთ ბევრი რამ, ეს მოლაპარაკებები კვლავ ჩიხში რომ არ შევიდეს. ჩვენ ხშირად გვიწოდებენ პრორუსულ პარტიას, მაგრამ ჩვენ ვართ კონტაქტური ძალა და უარს ვამბობთ დასავლეთის ჩარევაზე, ვგულისხმობ უხეშ ჩარევას. **ამერიკის შეერთებული შტატები კი, ხედავთ, როგორ დაუფარავად ერევა ჩვენი ქვეყნის მართვაში. „ქართული ოცნება“ ამერიკის მარიონეტად გადაიქცა.** არ მინდა, ერთი უკიდურესობიდან გადავიდეთ მეორეში და რუსეთის ან დასავლეთის მარიონეტები გავხდეთ. ჩვენი მთავარი პრობლემა დღეს არის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და ამ პრობლემის გადაჭრა შეუძლებელია რუსეთთან ურთიერთობის მოგვარების გარეშე. აქედან გამომდინარე, ამ მიმართულებით უნდა წარვმართოთ ურთიერთობა და ეს სულაც არ ნიშნავს პრორუსულობას, ეს ნიშნავს რეალობის აღქმას, იმ პრობლემის გათვითცნობიერებას, რომელიც ჩვენს ქვეყანას აქვს. **თუ რუსებს ნატოს დროშას ავუფრიალებთ და საქართველოში ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წვრთნებს ჩავატარებთ, მათთან მოლაპარაკების პერსპექტივა ნაკლები იქნება.**

**— ბატონო თამაზ, საინფორმაციო სააგენტო „ინფო 9“-სთან ინტერვიუში თქვით: „არ შეიძლება არჩევანი გააკეთოს მოსახლეობამ ვინმეს პატივისცემის ნიშნად, რადგან ეს პიროვნებები უკვე აღარ თვლიან თავს ვალდებულად ამომრჩევლის წინაშე, არამედ ვალდებულად თვლიან თავს იმ ხალხის წინაშე, რომელმაც ისინი ამ თანამდებობაზე მოიყვანა. პრეზიდენტი თვლის, რომ ამ თანამდებობაზე მოიყვანა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ნატოს წევრმა ქვეყნებმა, მათ აიძულეს ივანიშვილი, ის დაესახელებინა ამ პოსტზე“. რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს?**

— მგონია, რომ **ივანიშვილი ასეთ კანდიდატურას თავისი ნებით არ შეარჩევდა, თავიდანვე ეტყობოდა გიორგი მარგველაშვილს, რომ ყველაფერი რიგზე არ ჰქონდა.** მარგველაშვილისთვის მთავარია ისინი, ვინც დანიშნა, და მოსახლეობის აზრი ამ შემთხვევაში არაფერს ნიშნავს. კანდიდატები ამომრჩეველმა თავისი თვალსაზრისით უნდა აირჩიოს და არა ვინმეს პატივისცემით. რა მოგვიტანა ვილაცის პატივისცემით არჩეულმა პრეზიდენტმა, კი ხედავთ.

**— აგრეთვე, თქვით, ამომრჩეველმა უნდა იცოდეს, თუ ხმას მისცემს „ქართულ ოცნებას“ და ნაციონალებს, მათივე სატელიტებიანად, მალე, ბოდიში და, შეიძლება, საჯდომის დიამეტრის ზომაც კი დაგვიწესონ, რომელზე ნაკლები არ შეიძლება ჰქონდეს ადამიანსო. რა იგულისხმეთ?**

— რას ვგულისხმობ და ერთნაირსქესიანთა ქორწინებაზე ხომ ნახეთ, რაც მოხდა — ეს ყველაფერი ამერიკის ზეწოლით განხორციელდა, ამერიკის ელჩი ბედნიერებისგან გაბადრული და გაბრწყინებული სახით იძლეოდა ინტერვიუს და საიდან მოდის ეს შეკვეთა, ნათელია.

**პრეზიდენტისთვის ამერიკას უფრო აქვს ფასი, ვიდრე იმ ორას თუ ხუთასი ათას მოქალაქეს, რომლებმაც ხელი მოაწერეს და მხარი დაუჭირეს რეფერენდუმის ჩატარებას ქორწინების საკითხის განსაზღვრის შესახებ. პრეზიდენტად წოდებულ მარგველაშვილს, თუ რამედ მიაჩნია მოსახლეობის აზრი, რეფერენდუმი უნდა დაენიშნა და ამდენი მოქალაქე არ უნდა გაეწბილებინა.**

ესაუბრა **ნანა ფოფხაძე**

**«ქართული ოცნების» ნახევარი უკვე «ნაციონალური მოძრაობის» კადრებით არის დაკომპლექტებული»**



## «8 ოქტომბრის ღამეს «ქართულ ოცნებას» გამარჯვების გამოცხადების ფუფუნება არ ექნება»

**„გამომდინარე იქიდან, რომ ბევრგან იქნება მეორე ტური, 8 ოქტომბრის ღამეს „ქართულ ოცნებას“ არ ექნება გამარჯვების გამოცხადების ფუფუნება“, — განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ პოლიტოლოგმა გია ხუხაშვილმა და დასძინა, რომ შემადგენლობა, რომელიც „ქართულმა ოცნებამ“ წარადგინა, საპარლამენტო არჩევნებში მეორე ტურის რისკს ზრდის.**

„ეს არის ის შემადგენლობა, რომელმაც რისკი იმისა, რომ მეორე ტური ბევრგან იქნება, კიდევ ერთხელ გაზარდა. ბიძინა ივანიშვილისა და ადმინისტრაციული რესურსი უსაზღვრო არაა. ამ ტიპის მიდგომები ამომრჩეველში გარკვეულ გაღიზიანებას იწვევს და, შესაბამისად, მეორე ტურების ალბათობის რაოდენობა, არათუ შემცირდა, არამედ გაიზარდა. „ქართულ ოცნებას“ ერთი ძალიან სერიოზული პრობლემა აქვს, გამომდინარე იქიდან, რომ იქნება ბევრი მეორე ტური, 8 ოქტომბრის ღამეს „ქართულ ოცნებას“ არ ექნება გამარჯვების გამოცხადების ფუფუნება. ხელისუფლება, რომელიც არჩევნების მეორე დღეს ვერ აცხადებს გამარჯვებას, ფსიქოლოგიურად წაგებულია და მეორე ტურში ასეთ ხელისუფლებას შეიძლება სერიოზული სიურპრიზები შეხვდეს“, — განაცხადა ხუხაშვილმა.

## ამერიკული ბირთვული ბომბები ინჯირლიკის ბაზაზე რისკის ქვეშაა

**ამერიკული კვლევითი ორგანიზაცია სტიმსონის ცენტრის განცხადებით, 50-მდე ბირთვული ბომბი, რომლებიც თურქეთში, აშშ-ის სამხედრო ბაზა ინჯირლიყშია განთავსებული, რისკის ქვეშაა.** ცენტრის მიერ გავრცელებული მოხსენების მიხედვით, რისკი „ტერორისტული და სხვა მტრული ძალების“ მხრიდან მომდინარეობს.

**„აქამდე პასუხგაუცემელია კითხვა: შეინარჩუნებს თუ არა აშშ კონტროლს ბაზაზე სამოქალაქო ან სხვა დაპირისპირების შემთხვევაში?“** — ნათქვამია მოხსენებაში.

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ეს არის ყველაზე დიდი ქაჯობა და პროვინციალიზმი — წავლენ დასავლეთში, ისწავლიან ნახევარი წელი რომელიმე კოლეჯში და მერე კედელზე უკიდიათ სერტიფიკატები. არ მიდიოდნენ ადრე ჩვენები ამერიკასა და ევროპაში სასწავლებლად, მაგრამ გვქონდა ხელოვნება, სპორტი, კულტურა... ესენი რაში არიან მაგრები, გვანახონ ერთი; რაში აქვთ სერიოზული მიღწევა, რა ისწავლეს და რის მცოდნეები არიან“.**



ვასილ ჭიჭინაძე:

# რაც შეიძლება მეტმა მოქალაქემ უნდა მიიღოს არჩევნებში მონაწილეობა

**მოახლოებულ საპარლამენტო არჩევნებზე, წინასაარჩევნო გარემოსა და ბოლო ხანს განვითარებულ სხვა მნიშვნელოვან მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება დიპლომატი ვასილ ჭიჭინაძე.**

**— ბატონო ვასილ, მომავალი საპარლამენტო არჩევნები, რომლითაც თვით დემოკრატიული დასავლეთი უნდა გავაოგნოთ, თავის დროზე მამუკა კაციტაძის მიერ „დაზუსტებული“ საარჩევნო სიით უნდა ჩატარდეს. კაციტაძე დღეს „გირჩის“ მოკავშირეა და, როგორც ამბობენ, „ნაცმოძრაობასთანაც“ თანამშრომლობს. არსებობს დღეს შესაბამისი გარემო იმისთვის, რომ არჩევნები ობიექტურად ჩატარდეს? სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თუ დავუჯერებთ, ამჟამად საქართველოში ამომრჩეველთა რაოდენობა სამ-ნახევარ მილიონზე მეტია.**

— დავიწყოთ საარჩევნო სიით. ყველას გვახსოვს, რა ამბავი იყო ამ საკითხზე ატეხილი და რა განცხადებებიც კეთდებოდა. მამუკა კაციტაძეს დაპატიმრებითაც კი ემუქრებოდნენ. ახლა ეს კაცი გამოდის და გაიძახის, — სიის გაყალბებაში რომ მედავებოდით, ახლა იმავე სიით რატომ ატარებთ არჩევნებსო. ესენი გასუსულები არიან. ბუნებრივია, **ჩნდება შეკითხვა: როდის ამბობდნენ ტყუილს და როდის იქცეოდნენ არაკეთილსინდისიერად — როცა კაცს სიების გაყალბებაში ადანაშაულებდნენ თუ ახლა, როცა იციან, რომ სიები გაყალბებულია, მაგრამ ჩუმად არიან?** ნებისმიერ შემთხვევაში ამათი საქციელი სამარცხვინოა, ანუ ყველა ხელისუფლება, რომელიც მოდის, წინამორბედის სიმახინჯეს უსიტყვოდ ირგებს და ხელუხლებლად ტოვებს იმ ძველ სისტემას, თვითონ რომ იყოს კომფორტულად. ეს უკვე, დიდი ხანია, ჩვეულებრივი პოლიტიკური მოცემულობაა ამ ქვეყანაში, ამიტომ ცხადია, არაფერი უნდა გაგვიკვირდეს.

რაც შეეხება წინასაარჩევნო გარემოსა და არჩევნების ობიექტურობას, ღმერთმა ნუ ქნას, მაგრამ, თუ ეს არჩევნები სერიოზული დარღვევებით ჩატარდება, დიდი შანსია, რომ პრეზიდენტმა იგი არალეგიტიმურად გამოაცხადოს და ამით დამთავრდება ყველაფერი.

**— რას გულისხმობთ?**

— რას და, **თუ არჩევნებს არალეგიტიმურად ჩათვლიან, დაინიშნება ხელახალი არჩევნები. ეს კი პრაქტიკულად იქნება „ქართული ოცნების“ პოლიტიკური აღსასრული.**

**— რის საფუძველზე შეიძლება არჩევნები არალეგიტიმურად გამოაცხადონ?**

— სერიოზული დარღვევის — იქნება ეს სიების აშკარა გაყალბება თუ სხვა. გარდა ამისა, ძალიან მნიშვნელოვანია ამომრჩეველთა აქტივობაც. **არჩევნებში ბევრი მოქალაქის მონაწილეობას, ჩემი აზრით, ხელს შეუწყობდა არჩევნებთან ერთად რეფერენდუმის ჩატარება ქორწინების საკითხზე, მაგრამ პრეზიდენტმა ამაზე უარი თქვა. სხვა საკითხია, რის გამო და რატომ, მაგრამ ესეც ყველასთვის გასაგებია, ის არ არის დღეს გადაწყვეტილების მიმღები ფიგურა, ის არის მხოლოდ გამხმოვანებელი და, რასაც კარნახობენ, იმას იმეორებს...**

**— უმრავლესობის ზოგიერთმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ქორწინების საკითხზე საკონსტიტუციო ცვლილებას მომავალ პარლამენტში განახორციელებენ.**

— კი, მაგრამ, ამ პარლამენტში ვინ უშლიდათ? ოთხი წელია, იქ სხედან და განეხორციელებინათ. სინამდვილეში საქმე ისაა, რომ ქვეყანაში სამშობლოს ცნება იკარგება. **ამათთვის სამშობლო მკვდარი თემაა, ამათთვის არის ჯერ „დემოკრატია“ და მერე — სახელმწიფო.** არაერთხელ მითქვამს და კიდევ გავიმეორებ, რომ ქართული სახელმწიფო არის ეროვნულ საწყისებზე დაფუძნებული და, თუ შენ ეს არ გაქვს, სამშობლოს ვერ შექმნი, შექმნი რაღაც გაუგებარ ურჩხულს, მაგრამ ეს არ იქნება ის, რაც ქართველ ხალხს, საზოგადოებას სჭირდება; არ არსებობს **„ჯერ დემოკრატია და მერე სახელმწიფო“, არსებობს მხოლოდ ეროვნულ ფასეულობებზე დაფუძნებული სამშობლო.** ასე რომ, თუ ვიღაცას უნდა, ძალით მოგვახვიოს თავს კაცის კაცზე ქორწინება ან ქალის — ქალზე, ეს საქართველოში არ გამოვა, ასეთ „დემოკრატიას“ საქართველოში არ ექნება მომავალი იმიტომ, რომ საქართველო ამაზე არ დგას ისტორიულად, საქართველო დღემდე ამით არ მოსულა...

**— რეფერენდუმი რადგან ახსენეთ, ერთ-ერთი მიზეზი, რომლის გამოც პრეზიდენტმა უარი თქვა მის დანიშვნაზე, იყო ის, რომ ტერიტორიების მესამედს ვერ ვაკონტროლებთ. მისი თქმით, თუკი დღეს საყოველთაო-სახალხო გამოკითხვა ჩატარდება, ის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე უნდა გაიმართოს. რა აზრის ხართ ამ არგუმენტზე?**

— რა უნდა ვთქვა, სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს.





**«მარგველაშვილი ასეთ განცხადებას რომ აკეთებს, აქ გასარკვევია ერთი რამ: არის ის მზად, როგორც პრეზიდენტი და უმაღლესი მთავარსარდალი, დამოუკიდებლად ელაპარაკოს სხვა ქვეყნის პირველ პირს, თუ ჯერ თავის ამერიკელ ძმებთან უნდა გაიაროს კონსულტაცია?! რატომ უნდა დაელაპარაკოს პუტინი ამერიკელებს მარგველაშვილის მეშვეობით, როცა მათთან პირისპირ შეუძლია საუბარი?!»**

**ამ ლოგიკით, არასდროს არ უნდა ჩავატაროთ რეფერენდუმი, რა აუცილებლობაც უნდა იყოს ამის და, საერთოდ, არჩევნებიც არ უნდა ჩატარდეს.** ეს, რა თქმა უნდა, აბსურდია. არგუმენტი, რომელიც პრეზიდენტმა მოიყვანა, უბრალოდ, უსუსურია. ეს ყველაფერი მის კომიკურ მდგომარეობაზე მეტყველებს, ამით მან კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ რეალურად პრეზიდენტი არ არის.

მაინცდამაინც პროდასავლური თუ არ ხარ, ყველა გზა მოჭრილი გაქვს — ეს რეალობა გვაქვს, უკვე რამდენი წელია, და რა მივიღეთ? რომელი პრობლემა მოვაგვარეთ და რაში მივაღწიეთ წარმატებას? **ტერიტორიებს ვერ ვიბრუნებთ, ნატოსა და ევროკავშირში შესვლაზე ხომ ოცნებაც ზედმეტია. რუსეთთან ურთიერთობას ვერ ვაგვარებთ და პოლიტიკური თვალსაზრისითაც ქვეყანა მნიშვნელობას კარგავს. ახლა ეკონომიკური კუთხით შევხედოთ, რა მოგვიტანა ამ ჩვენმა პროდასავლურობამ: ექსპორტი გვაქვს დიდი, მოთხოვნა გაიზარდა ქართულ პროდუქციაზე და აყვავდა ჩვენი სოფლის მეურნეობა თუ როგორაა?** მოკლედ, არანაირი პროდასავლურობა ჩვენ არ გვჭირდება, საქართველოს უნდა ეროვნული ინტერესებით მოქმედი ხელისუფლება. ეს არის ისეთივე მარტივი რამ, როგორც ორჯერ ორი — ოთხი. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოს მომავალი არ ექნება, **ეს ქვეყანა ყოველთვის იქნება გარე ძალების საბურთაო მოედანი, რომელზეც ყველა ნახავს სარგებელს, ქართველების გარდა.**

**— რამდენიმე კვირის წინათ პრემიერმა კვირიკაშვილმა საგურამოში, ილიას სახლ-მუზეუმის ეზოში, „ქართული ოცნების“ 15 მაჟორიტარი წარადგინა. 15-ვეს იდენტური ბიოგრაფია აქვს: განათლება — საზღვარგარეთ, სამუშაო გამოცდილება — სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციაში და ა.შ., ანუ რეალობა ასეთია: თუ ამერიკაში ან ევროპაში არ გაქვს განათლება მიღებული და მათსავე „ენჯეოებში“ არ ხარ გამოწრთობილი, პერსექტივა ნულია.**

— ეს არის ყველაზე დიდი ქაჯობა და პროვინციალიზმი — წავლენ დასავლეთში, ისწავლიან ნახევარი წელი რომელიმე კოლეჯში და მერე კედელზე უკიდიათ სერტიფიკატები. **არ მიდიოდნენ ადრე ჩვენები ამერიკასა და ევროპაში სასწავლებლად, მაგრამ გვქონდა ხელოვნება, სპორტი, კულტურა... ესენი რაში არიან მაგრები, გვანახონ ერთი, რაში აქვთ სერიოზული მიღწევა, რა ისწავლეს და რის მცოდნეები არიან...**

**— არ მინდა, მკითხაობა გამოგვივიდეს, მაგრამ, როგორ ფიქრობთ, მომავალი არჩევნების შედეგად როგორ პოლიტიკურ კონფიგურაციას მივიღებთ? დიდია ალბათობა, რომ პირველი-მეორე ადგილები ნაციონალებმა და „ოცნებამ“ გაინაწილონ და ისევ გაგრძელდეს კოაბიტაციური სიამტკბილობა?**

— ეს თუ მოხდა, დავიღუპებით, ამიტომ რაც შეიძლება მეტმა მოქალაქემ უნდა მიიღოს არჩევნებში მონაწილეობა. შეიძლება არც ერთი პარტია არ მოგწონდეს, არც ერთს არ მისცე ხმა, მაგრამ მაინც უნდა მიხვიდე, თუნდაც იმიტომ, რომ ყველა გადახაზო. წინააღმდეგ შემთხვევაში, თითოეული არმისული ამომრჩევლის ბიულეტენი იქნება არჩევნების გაყალბების ხელშემწყობი და საბოლოოდ მივიღებთ ყველაზე უარეს შედეგს, რაც შეიძლება მივიღოთ. მხედველობაში მაქვს ის, რაც თქვენ თქვით, რომ მეორე ადგილს გაუნაღდებენ „ნაციონალურ მოძრაობას“ და მორჩება. მერე ვერაფერს იტყვი, კიდევ ოთხი წელი უნდა ისმინო განცხადებები, რომ ეს არის მთავარი ოპოზიციური ძალა და მას ხელი არ უნდა ვახლოთ...

**— ამას წინათ მარგველაშვილმა განაცხადა, რომ მზად არის რუსეთის პრეზიდენტთან შესახვედრად. რას შეცვლის რეალურად ეს შეხვედრა?**

— დღეს იქნება თუ ხვალ, რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობა პირველ პირებს შორის უნდა მოგვარდეს, მაგრამ ერთია, რა უნდა გაკეთდეს და მეორე — ვინ არის ამის გამკეთებელი. **მარგველაშვილი ასეთ განცხადებას რომ აკეთებს, აქ გასარკვევია ერთი რამ: არის ის მზად, როგორც პრეზიდენტი და უმაღლესი მთავარსარდალი, დამოუკიდებლად ელაპარაკოს სხვა ქვეყნის პირველ პირს, თუ ჯერ თავის ამერიკელ ძმებთან უნდა გაიაროს კონსულტაცია?!** თუ დამოუკიდებლად შეუძლია მოლაპარაკება, მაშინ, რა თქმა უნდა, მისასალმებელია შეხვედრა; თუ არა, ვერანაირ აზრს ამაში ვერ ვხედავ. **რატომ უნდა დაელაპარაკოს პუტინი ამერიკელებს მარგველაშვილის მეშვეობით, როცა მათთან პირისპირ შეუძლია საუბარი;** ან ჩვენთვის რა მნიშვნელობა აქვს, შედგება თუ არა ეს შეხვედრა, რა შეიცვლება?!

**— ვთქვათ, ის თავისუფალია გარე ძალების ზემოქმედებისგან და მხოლოდ ჩვენი ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე შეუძლია მოლაპარაკებების წარმოება. რა საკითხებზე შეიძლება დღეს მეზობელ სახელმწიფოსთან დიალოგი?**

— ერთი საკითხია, რა შეიძლება; მეორე — რა არის საჭირო. ჩემი აზრით, ჩვენი მთავარი პრობლემის გასაღები დღეს მოსკოვში დევს და, სანამ კრემლთან არ იქნება დიალოგი, პრობლემები პრობლემებად დარჩება. კიდევ ვიმეორებ: ეს არ არის ვინმეს სურვილი და არჩევანი, ეს არის რეალობა და, მოგვწონს თუ არა, დღეს ამ რეალობაში ვიმყოფებით. შეკითხვას რაც შეეხება, არა მგონია, პრეზიდენტ მარგველაშვილს ან პრემიერს, ან სხვა რომელიმე მაღალი თანამდებობის პირს დღეს დამოუკიდებლად შეეძლოს რამე გადაწყვეტილების მიღება. **ესენი დამოუკიდებლად რეფერენდუმს ვერ ნიშნავენ, უცხო სახელმწიფოსთან მოლაპარაკებასა და მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმაზე, ალბათ, ფიქრიც ზედმეტია...**

**«ესენი დამოუკიდებლად რეფერენდუმს ვერ ნიშნავენ, უცხო სახელმწიფოსთან მოლაპარაკებასა და მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმაზე, ალბათ, ფიქრიც ზედმეტია...»**

ესაუბრა **ჯაბა ჭვანია**

„სააკაშვილის პერიოდში არჩევნების პარალელურად რეფერენდუმი რომ ჩატარდა, გვინდა თუ არა ნატოო, და 65 პროცენტმა დადებითი პასუხი რომ გასცა, ის რეფერენდუმი ლეგიტიმური იყო?! ეს ყველაფერი რას ჰგავს, იცით? — პატარა ბავშვს ტყუილში რომ გამოიჭერენ და ის კი რაღაც სისულელეებს რომ იგონებს თავის დასაძვრენად. მარგველაშვილის არგუმენტებში ლოგიკა არ არის, მაშინ, საერთოდ, არჩევნები არ უნდა ჩავატაროთ — არც პრეზიდენტი უნდა ავირჩიოთ, არც — პარლამენტი“.

ხმა ბერისა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

მამა დავით (ქვლივიძე):

# როდემდე უნდა ვიყოთ ვიღაცის კოლონია და როდემდე უნდა გვიკარნახონ გარედან, როგორი სახელმწიფო ავაშენოთ

**რამდენიმე დღის წინათ საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა 300 ათასამდე მოქალაქის ნება არაფრად ჩააგდო და ქორწინების საკითხზე რეფერენდუმის ჩატარების მოთხოვნას ცივი უარი სტკიცა. ამის შესახებ მან ფართო საზოგადოებას საგანგებო ბრიფინგზე ამცნო და იქვე უარის მიზეზებიც განმარტა. მარგველაშვილის თქმით, რეფერენდუმის კანონში გარკვევით წერია, რომ ნებისმიერ საკითხზე საერთო-სახალხო გამოკითხვა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე უნდა ჩატარდეს, ხოლო იმ ვითარებაში, როცა სახელმწიფო ტერიტორიების ერთ-მესამედს ვერ აკონტროლებს, მსგავსი გამოკითხვა „დამატებით სამართლებრივ არგუმენტს აძლევს ოკუპანტს“. მეორე არგუმენტი, რომლითაც მან უარი „დაასაბუთა“, იყო ის, რომ თურმე დღეს ამ საკითხზე რეფერენდუმის ჩატარების აუცილებლობა არ არსებობს. მეტიც, მისი განმარტებით, საინიციატივო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი შეკითხვა არ ექვემდებარება რეფერენდუმს, რადგან ეს საკითხი უკვე გადაწყვეტილია ქართულ კანონმდებლობაში და დადგენილია, რომ ქორწინება ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირია. მარტივად რომ ვთქვათ, პრეზიდენტმა 300 ათასამდე მოქალაქის ნებას 120 „ლიბერასტის“ გულის მოგება ამჯობინა. ალბათ, ჩათვალა, რომ ამით ქართულ „დემოკრატიას“ საფრთხე ააცილა და „ბნელ წარსულში“ დაბრუნებისგან იხსნა...**

**რეალურია მთავარსარდლის ზემოაღნიშნული არგუმენტები? რა ძალების ზემოქმედებით იყო ნაკარნახევი მისი გადაწყვეტილება და როგორ აისახება ეს საზოგადოების განწყობაზე? — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება ვაშლიჯვრის ნათლისღების ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი დავითი (ქვლივიძე):**



**— მამაო დავით, მცირე ხნის წინათ პრეზიდენტმა მარგველაშვილმა უარი განაცხადა ქორწინების საკითხზე რეფერენდუმის ჩატარებაზე და თავისი არგუმენტებიც მოიყვანა. რა იყო ამ უარის რეალური მიზეზი?**

— **ადამიანისგან, რომელიც ამბობს, რომ მდიდარი სექსუალური გამოცდილება აქვს და ამაყობს ამით, არაფერი უნდა გაგვიკვირდეს, ჩვენ მხოლოდ ის უნდა გვიკვირდეს, როგორ გახდა ეს კაცი პრეზიდენტი.**

რაც შეეხება რეალურ მიზეზებს, აქ ყველაფერი ნათელია: ის არის მძევალი გარკვეული გარე ძალებისა, რომლებსაც უნდათ ქვეყნის გარყვნა...

არგუმენტები ახსენეთ და მისი არგუმენტი, რომ თურმე რეფერენდუმის ჩატარება იმიტომ არ შეიძლება, რომ ტერიტორიების ერთ მესამედს ვერ ვაკონტროლებთ, აბსურდია. მაშინ ვსვამ შეკითხვას: სააკაშვილის პერიოდში არჩევნების პარალელურად რეფერენდუმი რომ ჩატარდა, გვინდა თუ არა ნატოო, და 65 პროცენტმა დადებითი პასუხი რომ გასცა, ის რეფერენდუმი ლეგიტიმური იყო?! ეს ყველაფერი რას ჰგავს, იცით? — პატარა ბავშვს ტყუილში რომ გამოიჭერენ და ის კი რაღაც სისულელეებს რომ იგონებს თავის დასაძვრენად. **მარგველაშვილის არგუმენტებში ლოგიკა არ არის — მაშინ, საერთოდ, არჩევნები არ უნდა ჩავატაროთ, არც პრეზიდენტი უნდა ავირჩიოთ, არც — პარლამენტი** და... ეს ნორმალური იქნება?!

**— მარგველაშვილის პოზიციის მომხრე „ლიბერალთა“ ნაწილი ამბობს, რომ დღეს მსგავსი რეფერენდუმის ჩატარება რუსეთის ინტერესებშია...**

— რუსეთის ინტერესებში რატომ უნდა იყოს, რა ლოგიკაა ამაში? ოფიციალურ მოსკოვს ამ საკითხზე თავის პოლიტიკა გაცხადებული აქვს და პუტინმა გასაგებად თქვა, რომ ის ამ გარყვნილების პროპაგანდას არ დაუშვებს. მორჩა, ეს არის მათი პოზიცია და მართებულადაც მოიქცნენ.

რაც შეეხება „ლიბერალების“ სხვა არგუმენტებს, რომ თურმე რეფერენდუმის ჩატარება ხელს შეუშლიდა ჩვენს ევროინტეგრაციას, ვისაც არ ახსოვს, გავახსენებ, რომ მცირე ხნის წინათ **დაახლოებით მსგავსი რეფერენდუმი ჩატარდა ხორვატიაში და მოსახლეობის უდიდესი ნაწილი წინააღმდეგი წავიდა ე.წ. ერთნაირსქესიანთა ქორწინების.** მერე, სხვათა შორის, ამ საკითხზე რეფერენდუმი ირლანდიაშიც ჩატარდა და იქ სხვა შედეგი მიიღეს. ახლა ვინმე მეტყვის, რომ ჩვენ ირლანდიასა და ხორვატიაზე უფრო ევროპული ქვეყანა ვართ?.. **მარგველაშვილი ყველა სიტყვას, ყველა ფრაზას ტყუილს ამბობს და ქვეყნის პრეზიდენტი შეიძლება მატყუარა იყოს?! ან რომელ დემოკრატიაზეა ლაპარაკი, როცა ქვეყნის პირველი პირი 300 ათასი მოქალაქის მოთხოვნას არაფრად აგდებს 120 კაცის სურვილის გამო. ეს არის დიქტატურა, ეს არის უმცირესობის ბატონობა უმრავლესობაზე.**

> «ეს არის დიქტატურა, ეს არის უმცირესობის ბატონობა უმრავლესობაზე... თანამედროვე დასავლური ღირებულებები რა სიკეთის მომტანიც არის, ევროკავშირის მაგალითზე ვხედავთ — იშლება უკვე ეს გაერთიანება»

**— თქვით, პრეზიდენტი გარე ძალების მძევალიაო. რომელ ძალებს გულისხმობთ — ამერიკის პოლიტელიტას?**

— რასაკვირველია. ისინი დაუფარავად აცხადებენ, რომ ყველაფერს გააკეთებენ, რათა ე. წ. სექსუალური უმცირესობების უფლებები მსოფლიოში ჯეროვნად იყოს დაცული, ანუ ეს არის მათი გაცხადებული პოლიტიკა და ამაში მილიონებს ხარჯავენ, თუმცა აქ ჩნდება მეორე შეკითხვაც — გვინდა ეს? **როდემდე უნდა ვიყოთ ვიღაცის კოლონია და როდემდე უნდა გვიკარნახონ გარედან, როგორი სახელმწიფო უნდა ავაშენოთ?!**

**— რეფერენდუმზე უარის თქმა ხელისუფლების რეიტინგს მნიშვნელოვნად შეამცირებს?**

— არათუ შეამცირებს, ამ პოლიტიკით ესენი ძირს ითხრიან. ვფიქრობ, რომ დამთავრებულია ერთპოლუსიანი მმართველობა საქართველოში, ეს აღარ გაგრძელდება.

დავუბრუნდეთ ისევ იმ გარე ძალებს. ხომ გვკარნახობენ ჩვენი ამერიკელი „პარტნიორები“, დემოკრატიულ სახელმწიფოში ყველას უფლებები დაცული უნდა იყოსო, თვითონ ამერიკაში რამდენიმე შტატი კატეგორიულად არ იღებს ამ ე.წ. ერთნაირსქესიანთა ქორწინებას. როგორ ფიქრობთ, ეს შტატები უფრო დემოკრატიულია თუ საქართველო, სად უფრო თავისუფლები არიან ადამიანები?! მათ ხმას ვერ სცემენ, არათუ დირექტივებს აძლევენ, ჩვენ კი თითის ქნევით გველაპარაკებიან...

**— ჩვენც უსიტყვოდ ვასრულებთ ყველაფერს. წინააღმდეგ შემთხვევაში, წერტილი დაესმება ჩვენს ევროატლანტიკურ პერსპექტივას.**

— თანამედროვე დასავლური ღირებულებები რა სიკეთის მომტანიც არის, ევროკავშირის მაგალითზე ვხედავთ. იშლება უკვე ეს გაერთიანება. ზუსტად ასე დაემართა თავის დროზე რომის იმპერიას, ბიზანტიას, ქსერქსეს სპარსეთს და ა.შ. — ყველაზე დიდი იმპერიები კაცობრიობის ისტორიაში გარყვნილებამ დაანგრია. ახლა რუსეთი ავიღოთ. პუტინმა საჯაროდ გამოაცხადა, რომ არ დაუშვებს გარყვნილების პროპაგანდას, რადგან მისი ქვეყანა დგას მართლმადიდებლურ ფესვებზე. ამის შემდეგ მან სირიაც მოიგო, საქართველოც, უკრაინაც და, ნატოს წევრი თურქეთი რა დღეშია, კარგად ხედავთ.

რაც შეეხება დირექტივებსა და დემოკრატიას, საერთოდ, **ამერიკას ორი სახის დემოკრატია აქვს: ერთი, რომლითაც შიგნით, მისსავე საზოგადოებაში ხელმძღვანელობს; და მეორე, რომელსაც თავს ახვევს დანარჩენ მსოფლიოს. ჩვენ მიმართ მოცემულობა ასეთია: მარგველაშვილი რომ იტყვის, ძალიან მდიდარი სექსუალური ცხოვრება მქონდაო, ამას დემოკრატიას ეძახიან, ხოლო აშშ-ის პრეზიდენტს საყვარლის ყოლას რომ დაუმტკიცებენ, იმპიჩმენტის საკითხი დგება.**

**— ბილ კლინტონის სკანდალს გულისხმობთ?**

— დიახ. ან იმავე **დევიდ პეტრეუსის** შემთხვევა გაიხსენეთ, რამხელა სკანდალი ატყდა და რა ამბები დატრიალდა. ვისაც არ ახსოვს, შევახსენებ, რომ დევიდ პეტრეუსი იყო ამერიკელი სამხედრო მაღალჩინოსანი, შემდეგ — ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორი. ამ ადამიანს იმხელა ავტორიტეტი ჰქონდა, „დევიდ კინგი“, ანუ დევიდ მეფე შეარქვეს. მისი უშუალო მონაწილეობით მოხდა სადამ ჰუსეინის რეჟიმის ჩამოგდება და მთელი ის ამბები, რომლებიც მაშინ ერაყში განხორციელდა. მოკლედ, ძალიან დიდი გავლენის მქონე სამხედრო იყო და აი, რა გახდა ბოლოს მისი სამხედრო კარიერის დასრულების მიზეზი — გაირკვა, რომ მას სასიყვარულო ურთიერთობა ჰქონდა ერთ-ერთ ამერიკელ ჟურნალისტთან, რომელიც ერაყშიც ახლდა და დროს ატარებდა მასთან.

> «ადამიანისგან, რომელიც ამბობს, რომ მდიდარი სექსუალური გამოცდილება აქვს და ამაყობს ამით, არაფერი უნდა გაგვიკვირდეს, ჩვენ მხოლოდ ის უნდა გვიკვირდეს, როგორ გახდა ეს კაცი პრეზიდენტი»

**— როგორც მახსოვს, მაშინ თავისუფლების აღკვეთაზეც იყო საუბარი.**

— რასაკვირველია. ფედერალურმა ბიურომ მაშინვე გამოძიება დაიწყო გამოძიება, ჰქონდა თუ არა იმ ჟურნალისტს პეტრეუსის ელექტრონულ ფოსტაზე წვდომის საშუალება. ეს ყველაფერი გაკეთდა სახელმწიფოს უსაფრთხოებიდან გამომდინარე და ამ სკანდალს გადაჰყვა კიდეც პეტრეუსის კარიერა.

ახლა საქართველოს პრეზიდენტი ავიღოთ. კაცი ამბობს, ძალიან მდიდარი სექსუალური ცხოვრება მქონდაო. არადა, მის ხელშია ჯარი, მან უნდა გასცეს შეტევაზე გადასვლის ბრძანება და, საზოგადოდ, ის არის ყველაფერზე პასუხისმგებელი. ჩემი აზრით, სხვა რომ არაფერი გაეკეთებინა, მხოლოდ ამ ერთი განცხადების გამო უნდა დამდგარიყო მარგველაშვილის იმპიჩმენტის საკითხი. ამის შემდეგ მას არ ჰქონდა არც მორალური და არც პოლიტიკური უფლება, პრეზიდენტის პოსტზე ყოფილიყო. სამართლებრივ მხარეს რაც შეეხება, გამოძიება, რასაკვირველია, აქტიურად უნდა დაინტერესებულიყო, კონკრეტულად რა წარსული ჰქონდა ამ ადამიანს და რას გულისხმობდა მდიდარ სექსუალურ ცხოვრებაში...

**— ამაზე გამოძიება რომ დაიწყოს, ჩვენი ე.წ. ნეოლიბერალები ერთხმად აკაკანდებიან — ადამიანის პირად ცხოვრებას ხელყოფენო.**

— პირადი ცხოვრებაა, როცა საუბარია ცოლ-ქმრის ურთიერთობაზე, მაგრამ, როცა კაცი ოჯახის გარეთ იწყებს ცხოვრებას და სხვებთან ამყარებს ურთიერთობას, ეს პირადი ცხოვრება აღარ არის, ეს საზოგადო ცხოვრებაა. ყველაფერს უნდა დაერქვას თავისი სახელი და, როდესაც საუბარია იმაზე, რომ ვიღაცას საყვარელი ჰყავს, ვიღაც ცოლს ღალატობს, ვიღაც — ქმარს, ასეთი კადრები კი არ უნდა დამალო, უნდა გამოააშკარავო. მათ ქვეყნის მართვის უფლება არ უნდა ჰქონდეთ, ყოველ შემთხვევაში, მნიშვნელოვანი პოლიტიკური თანამდებობები არ უნდა ეკავოთ და გადაწყვეტილებებს არ უნდა იღებდნენ...

**— დავუბრუნდეთ ისევ რეფერენდუმის საკითხს. როგორ ფიქრობთ, ამ რეფერენდუმის არდანიშვნა საზოგადოებაში პოლიტიკურ ნიჰილიზმს გაამძაფრებს და ხალხი აღარ მივა არჩევნებზე თუ პირიქით — კიდევ უფრო მეტი ამომრჩეველი მიიღებს კენჭისყრაში მონაწილეობას?**

— ის 250 ათასი კაცი, რომლებმაც ხელი მოაწერეს რეფერენდუმის მოთხოვნას, განსაკუთრებული შემართებით უნდა წავიდეს არჩევნებზე და პირდაპირ თქვას, რომ ისეთი აზროვნების ხალხი, როგორიც ჩვენი მთავარსარდალია, ქვეყანას აღარ სჭირდება. ეს ძალიან მნიშვნელოვანია და ყველამ, საღად მოაზროვნე თითოეულმა მოქალაქემ, უნდა მისცეს ხმა ისეთ ადამიანებს, რომლებიც არიან ტრადიციული, ეროვნული და ზნეობრივი საფუძვლების დამცველები. აი, მხოლოდ ამ ერთიანობით და ერთმანეთის მხარში ამოდგომით შევძლებთ გამარჯვებას; პრეზიდენტმა და მისმა თანამოაზრეებმა კიდევ აფრიალონ ცისარტყელას დროშები და ვნახოთ, რამდენი კაცი აირჩევს მათ.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

ჩეგიონი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ახალგაზრდა კაცი, ედიშერ ებანოიძე ზუსტად იმ სახლის ეზოში იპოვეს მკვდარი, რომელშიც ეს ჩინელები ცხოვრობდნენ. იყო ნაცემი და ცხვირ-პირი ჰქონდა დაგლეჯილი. ადგილობრივმა სასულიერო პირმა წესიც არ აუგო მიცვალებულს, ცნობა მომიტანეთ, რომ თვითმკვლელობა არ არისო და ამ მიზნით, თბილისიდან არქიმანდრიტი დავით აბაშიძე ჩავიყვანეთ. ვფიქრობ, ზესტაფონის რაიონის სამართალდამცველებმა აუკრძალეს მღვდელს წესის აგება მიცვალებულისთვის, ვინაიდან სურდათ, თვითმკვლელობის ვერსია გაევრცელებინათ და საქმე დახურულიყო“.

**გია ყრუაშვილი:**

# ერთ-ორ წელიწადში ხარაგაულში გამგებელიც ჩინელი გვეყოლება

**რამდენიმე დღის წინათ ხარაგაულის რაიონის სოფელ ზვარეში სარკინიგზო მაგისტრალის გვირაბის მშენებლობაზე დასაქმებული ქართველი მუშები გაიფიცნენ და ჩინური კომპანიის ხელმძღვანელობა სამუშაო პირობების დარღვევასა და პიროვნულ შეურაცხყოფაში დაადანაშაულეს. დასაქმებულები არაადამიანურ და სიცოცხლისთვის საშიშ სამუშაო პირობებზე საუბრობენ.**
**როგორც მუშები ამბობენ, საშინელ სიბინძურესა და მტვერში მუშაობენ, დამსაქმებელი დასალევ წყალსაც კი არ აძლევს, მძიმე სამუშაო პირობების მიუხედავად, ისედაც მცირე ხელფასს კი ჩინური კომპანიის ხელმძღვანელობა თვითნებურად აკლებს.**
**დასაქმებულები იმასაც ყვებიან, როგორ დაედევნა ჩინელი დამსაქმებელი ქართველ მუშას არმატურით. და ეს პირველი შემთხვევა არ არის. ჩინური კომპანიების საქმიანობაზე, ბოლო რამდენიმე წელია, არაერთი კითხვის ნიშანი გაჩნდა. ადგილობრივები ჩინურ კომპანიაში დასაქმებული ახალგაზრდების საეჭვო და ბუნდოვან გარემოებებში გარდაცვალებაზეც საუბრობენ, თუმცა ამ საკითხით სერიოზულად დღემდე არავინ დაინტერესებულა.**
**„ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიურო“ ზესტაფონის რაიონის სოფელ ძირულაში გვირაბს აშენებდა. დამქირავებელთან ხელფასის საკითხის გასარკვევად მისული 37 წლის ედიშერ ებანოიძე რამდენიმე წუთის შემდეგ გარდაცვლილი იპოვეს. ოჯახი ახალგაზრდა მამაკაცის მკვლელობაში იმ ჩინური კომპანიის წარმომადგენლებს ადანაშაულებს, რომელშიც გარდაცვლილი ახალგაზრდა მუშაობდა. რა მოხდა სინამდვილეში, დღემდე გაურკვეველია.**
**„საქართველო და მსოფლიო“ საქმის ვითარებაში გარკვევას შეეცადა.**



**«ხარაგაულის რაიონის სოფლებში ბავშვებს სკოლაში ვერ უშვებენ, რადგან ეშინიათ. გახსოვთ, ალბათ, ადრე ხარაგაულის რაიონში ჩინელმა ქართველი არასრულწლოვანი გოგონა რომ გააუპატიურა, რის შესახებაც მე გავავრცელე ინფორმაცია, მაგრამ ბოლოს ისე წარიმართა საქმე, კინაღამ დამიჭირეს და ყველა გაჩუმდა»**

### „სხეულზე არსებული დაზიანებებითაც კარგად ჩანს, რომ ნაცემია. ლოყაზე, ყელზე თითების კვალიც კი ემჩნეოდა. ჩემი შვილი მოკლულია!“

**ზოია ებანოიძე, გარდაცვლილი ედიშერ ებანოიძის დედა:**

— ჩემი შვილი ჩინელებთან მუშაობდა, ხელფასს არ აძლევდნენ, თანხას აკლებდნენ და იმ საღამოსაც სწორედ ხელფასის ამბის გასარკვევად წავიდა. კომპანიის წარმომადგენლები ჩვენი ნათესავის, ავთო ებანოიძის, ოჯახში ცხოვრობდნენ, თვეში 700 დოლარად ჰქონდათ სახლი ნაქირავები. სწორედ ამ სახლში მიაკითხა ჩემმა შვილმა დამქირავებლებს. ედიშერი ჩინელებთან მისვლიდან 15 წუთში გარდაცვლილი იპოვეს. ამას ადასტურებს სადგურის მორიგე, სადაც ედიშერი უკანასკნელად ნახეს.

**— საქმე აღიძრა?**

— **საქმე თითქოს აღიძრა, მაგრამ უკვე წელიწადი გავიდა და ისიც არ ვიცი, ის ჩინელები დაიბარეს თუ არა დაკითხვაზე; არც თვითმხილველები დაუკითხავთ. მიცვალებული პირდაპირ ექსპერტიზაზე წაიყვანეს ქუთაისში. ეს საქმე რომ ჩაეფარცხათ, ხმები გაავრცელეს, თითქოს ჩემმა შვილმა თავი მოიკლა.** არადა, კისერში აქვს ჩარტყმული მძიმე საგანი. ფოტოებიც გვაქვს, რომელთა მიხედვით ექსპერტიზაც კი არ არის საჭირო — გარეგანი დათვალიერებით, სხეულზე არსებული დაზიანებებითაც კარგად ჩანს, რომ ნაცემია. ლოყაზე, ყელზე თითების კვალიც კი ემჩნეოდა. ჩემი შვილი მოკლულია!

ეჭვი მაქვს, რომ ამ ამბავში ქართველებიც არიან გარეული, სწორედ ის ოჯახი, სადაც ჩინელები ცხოვრობდნენ. **ავთო ებანოიძეს ვადებ ხელს. დაკითხონ ეს ადამიანი. ის იცავდა ჩინელებს, ნათესავების პირით საქმის ჩაფარცხვაც კი შემოგვთავაზა.**

**— გამომძიებელი რას გეუბნებათ?**

— ერთი გამომძიებელი შეიცვალა. ახლა კახა ღავთაძე იძიებს საქმეს, მაგრამ არც დაკითხვაზე გვიბარებს და არც ვინმე გვეუბნება რამეს.

### „ხარაგაულის რაიონში ნახავთ ჩინელ დურმიშხან გელაშვილს. ერთ-ორ წელიწადში კი ხარაგაულში, ალბათ, გამგებელიც ჩინელი გვეყოლება“

**ედიშერ ებანოიძის მეზობელი, ხარაგაულის მკვიდრი გია ყრუაშვილი ამბობს, რომ ედიშერ ებანოიძე პირველი არ არის, ვინც საეჭვო ვითარებაში გარდაიცვალა, ასეთი ოთხი ახალგაზრდაა და საგულისხმოა, რომ ოთხივე ამ ჩინურ კომპანიაში მუშაობდა:**

— რა თქმა უნდა, პირდაპირ ხელს ვერავის დავადებ, შეიძლება უბრალო დამთხვევაა, მაგრამ ფაქტია, რაღაც საეჭვო ხდება და კომპეტენტურმა ორგანოებმა საქმე უნდა გამოიძიონ!

დაახლოებით 5 წელიწადია, რაც აქ მომუშავე ჩინელების შესახებ ვსაუბრობ, მაგრამ ამ საკითხს ყურადღებას არავინ აქცევს. ხარაგაულის რაიონის სოფლებში ბავშვებს სკოლაში ვერ უშვებენ, რადგან ეშინიათ. გახსოვთ, ალბათ, ადრე ხარაგაულის რაიონში ჩინელმა ქართველი არასრულწლოვანი გოგონა გააუპატიურა, რის შესახებაც მე გავავრცელე ინფორმაცია, მაგრამ ბოლოს ისე წარიმართა საქმე, კინაღამ დამიჭირეს და ყველა გაჩუმდა. ამას გარდა, რამდენიმე წლის წინათ, როდესაც ხარაგაულში რეინჯერი **მერაბ არევაძე** მოკლეს, ისე წავიდა საქმე, რომ ბოლოს მე და ეს მიცვალებული დავრჩით მარტონი, ადამიანები დააშინეს და ყველა გაჩუმდა.

არადა, **გაარკვიონ კომპეტენტურმა ორგანოებმა, ვინ არიან ეს ადამიანები — მართლა პროფესიონალები არიან თუ კრიმინალები ჩამოდიან ქვეყანაში. ამას ხომ უნდა მიაქციოს ვინმემ ყურადღება? ჩინური მაფია ცნობილია მსოფლიოში. სხვათა შორის, საკმაოდ აგრესიულები არიან. ამბობენ, ყოფილი პატიმრები არიანო. კარგი იქნება, ჟურნალისტები მაინც დაინტერესდნენ ამ საქმით.**

**ახალგაზრდა კაცი, ედიშერ ებანოიძე ზუსტად იმ სახლის ეზოში იპოვეს მკვდარი, რომელშიც ეს ჩინელები ცხოვრობდნენ. იყო ნაცემი და ცხვირ-პირი ჰქონდა დაგლეჯილი. ადგილობრივმა სასულიერო პირმა წესიც არ აუგო მიცვალებულს, ცნობა მომიტანეთ, რომ თვითმკვლელობა არ არისო და ამ მიზნით, თბილისიდან არქიმანდრიტი დავით აბაშიძე ჩავიყვანეთ. ვფიქრობ, ზესტაფონის რაიონის სამართალდამცველებმა აუკრძალეს მღვდელს წესის აგება მიცვალებულისთვის, ვინაიდან სურდათ, თვითმკვლელობის ვერსია გაევრცელებინათ და საქმე დახურულიყო.**

როგორც აღვნიშნე, ეს ჩინურ კომპანიაში მომუშავე ახალგაზრდის გარდაცვალების უკვე მეოთხე შემთხვევაა. ძალიან კარგი და წესიერი ბიჭი, გვარად **ჭიპაშვილი** გარდაცვლილი იპოვეს. ისიც ჩინურ კომპანიაში მუშაობდა მანქანაზე. კიდევ ერთი ფაქტი: ჩინურ კომპანიაში 18 წლის ობოლი ბიჭი მუშაობდა, გვარად **ბაკურაძე,** ხელი ჩაჰყვა დანადგარში და დაინვალიდდა, მაგრამ არავინ პატრონობს, პენსიაც არავინ დაუნიშნა.

**ჩამოდიან ჩინელები და იცვლიან გვარებს, მაგალითად, ხარაგაულის რაიონში ნახავთ ჩინელ დურმიშხან გელაშვილს. საქმე ისე მიდის, ერთ-ორ წელიწადში ხარაგაულში, ალბათ, გამგებელიც ჩინელი გვეყოლება.**

ხელისუფლების წევრებს, მაღალჩინოსნებს, წერილებიც გავუგზავნე და პირადადაც ყველაფერი ნათქვამი მაქვს, რაც ხდება. მათ ყველაფერი კარგად იციან, მაგრამ ამ განუკითხაობაზე რეაგირება არ ჩანს. სწორედ ამ განუკითხაობის შედეგია, რომ გარდაცვლილი იპოვეს ახალგაზრდა კაცი და დღემდე გაურკვეველია, რა მოხდა სინამდვილეში.

**მოამზადა შორენა ციკქარაშვილმა**

**P.S.** დავუკავშირდით ედიშერ ებანოიძის საქმის გამომძიებელ **კახა ღავთაძეს,** რომელმაც განაცხადა, რომ ამჟამად შვებულებაშია და, ვინაიდან ამ საქმეს აღარ იძიებს, საქმის კურსში არ არის.

**«საქმე თითქოს აღიძრა, მაგრამ უკვე წელიწადი გავიდა და ისიც არ ვიცი, ის ჩინელები დაიბარეს თუ არა დაკითხვაზე; არც თვითმხილველები დაუკითხავთ. მიცვალებული პირდაპირ ექსპერტიზაზე წაიყვანეს ქუთაისში. ეს საქმე რომ ჩაეფარცხათ, ხმები გაავრცელეს, თითქოს ჩემმა შვილმა თავი მოიკლა. არადა, კისერში აქვს ჩარტყმული მძიმე საგანი. ფოტოებიც გვაქვს, რომელთა მიხედვით ექსპერტიზაც კი არ არის საჭირო — გარეგანი დათვალიერებით, სხეულზე არსებული დაზიანებებითაც კარგად ჩანს, რომ ნაცემია»**

## გედევან ფოფხაძე: რეფერენდუმის ჩატარებაზე უარის თქმა იმ არგუმენტით, რომელიც პრეზიდენტმა დაასახელა, არასწორია

**დეპუტატი გედევან ფოფხაძე მიიჩნევს, რომ მოსახლეობის უმრავლესობას ქორწინების საკითხზე რეფერენდუმის ჩატარება სურს და, პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, ხალხის ინტერესსა და პრეზიდენტის პოზიციას შორის წინააღმდეგობა შეიქმნა.** „ჩვენთვის რეფერენდუმის ჩატარება თვითმიზანი არ იყო. უბრალოდ, როდესაც ქორწინების განმარტების შესახებ ჩვენ მიერ მომზადებული საკონსტიტუციო ინიციატივის პროექტს განვიხილავდით, მოსახლეობა გამოთქვამდა აზრს, რომ, თუკი ამ საკითხზე განსხვავებული მოსაზრებები არსებობდა, აზრი ხალხისთვის გვეკითხა. დემოკრატიის გავრცელებული ფორმაა, როცა მნიშვნელოვან საკითხზე კითხვას ხალხს უსვამ. შესაბამისად, მგონია, რომ რეფერენდუმის ჩატარებაზე უარის თქმა იმ არგუმენტით, რომელიც პრეზიდენტმა დაასახელა, არასწორია. ამ ლოგიკით ნებისმიერი არჩევნები და მოსახლეობის მხრიდან გამოთქმული აზრი შეიძლება არალეგიტიმურად ჩავთვალოთ, რადგან ხელისუფლებაში „მრგვალი მაგიდის“ ყოფნის შემდეგ, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა დარღვეულია. საკითხის ასე დასმა, რომ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე რეფერენდუმის ჩატარება მიზანშეწონილი არ არის, იმას ნიშნავს, რომ არაფერი უნდა ჩაატარო, ვიდრე ტერიტორიულ მთლიანობას არ აღადგენ. ეს კი ქვეყანაში დემოკრატიულ პროცესებს ხელს არ შეუწყობს“, — განაცხადა გედევან ფოფხაძემ.

**„გვიჭირს აქ ყოფნა, მუშაობა ისეთ ოჯახებში გვიწევს, ზოგი გიჟია, ზოგი — ავადმყოფი. სახიფათოა მათთან მუშაობა, მაგრამ სხვა გზა რომ არ გვაქვს?! უმუშევრები რომ არ დავრჩეთ, ვუძლებთ ყველანაირ დამცირებას, ყველაფერი უნდა ავიტანოთ და თვის ბოლოს შვილებს ფული გავუგზავნოთ“.**

შორია გურჯისტანამდე

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ბერძნები ქართველებს ისე გვიყურებენ, როგორც მონებს»

**50 წლის ნანი ყიფშიძე საბერძნეთის დედაქალაქ ათენში ცხოვრობს. მუშაობს მოხუცის მომვლელად. ისიც, როგორც ბევრი სხვა ქართველი ემიგრანტი, საზღვარზე უკანონოდ არის გადასული და ხელისუფლებას სთხოვს, როგორმე დააბრუნოს საქართველოში.**



— საქართველოდან იმიტომ წამოვედი, რომ არანაირი სამუშაო არ მქონდა, არადა, ოჯახს უნდა დავხმარებოდი. საქართველოდან 2009 წლის 31 სექტემბერს წამოვედი და 2 ოქტომბერს დაიწყო საბერძნეთში ჩემი ემიგრანტული ცხოვრება... ამას თუ ცხოვრება ჰქვია. წამოსვლის დღეს რა დამავიწყებს: ჩემი ოჯახი ჩემთან იყო — შვილები, შვილიშვილები და მეგობრები. ძალიან განვიცდიდი. არ ვიცოდი, რამდენი წლის შემდეგ დავბრუნდებოდი საქართველოში, ტიროდნენ ჩემი შვილები, ცრემლი მდიოდა მეც, მაგრამ რა გაეწყობოდა, მაინც დავემშვიდობე. იმედი მქონდა, 2—3 წლის შემდეგ მაინც დავბრუნდები-მეთქი, მაგრამ უკვე 7 წელიწადი ხდება და ისევ ემიგრანტი ვარ.

— **როგორი სიტუაციაა საბერძნეთში, როგორი ხელისუფლება ჰყავთ, როგორი ხალხი არიან ბერძნები და რას ამბობენ ქართველებზე?**

— საქართველოდან აქ ოჯახების დასახმარებლად ჩამოდიან, შვილებს ლუკმაპური რომ არ მოაკლდეთ. საბერძნეთში ძალიან ცუდი მდგომარეობაა, მით უმეტეს — ჩვენთვის, ვისაც არანაირი საბუთი არ გვაქვს. **ბერძნები ქართველებს ისე გვიყურებენ, როგორც მონებს. აქაურ მთავრობას არ აინტერესებს ჩვენი ყოფნა-არყოფნა, ისევე, როგორც საქართველოს ხელისუფლებას.** ქართველებზე საბერძნეთში ცუდს უფრო ამბობენ, ვიდრე კარგს. რადგან ჩამოსულები ვართ და ვმუშაობთ, ჰგონიათ, ოჯახის საქმისა არაფერი ვიცით და, როცა გვეკითხებიან, რა კერძებია თქვენთანო და ჩამოვუთვლით, ბოდიში და, ფუ-ფუს გაიძახიან. **მოხუც ქალთან ვმუშაობ, ორი დიდი ძაღლი ჰყავს, რომლებიც ლოგინში უწევს. ის ძაღლები უყვარს, მე კი ადამიანად არ მთვლის. გაიძახის, — უცხოელი ხარ, უცხოელიო. ვუთხარი, მეც თქვენნაირი ადამიანი ვარ, ასე ნუ მექცევით-მეთქი, მაგრამ იგივე გრძელდება.** ემიგრანტებს აქ მუშაობა როგორ გვიჭირს, საქართველოში ვერავინ წარმოიდგენს, ვიდრე თვითონ არ გამოცდის, თუმცა არავის ვურჩევ.

— **საბერძნეთში მცხოვრები ქართველები საქართველოში მიმდინარე პროცესებს თუ ადევნებთ თვალყურს? როგორია თქვენი თვალსაზრისი ამჟამინდელ ხელისუფლებაზე?**

— საქართველოს მთავრობას არ აინტერესებს თავისი ერი და ჩვენ რატომ უნდა გვაინტერესებდეს მთავრობის საქმიანობა? **სირცხვილი საქართველოს მთავრობას! ჩვენ, ქართველი დედები, დები და მეუღლეები, უცხო ქვეყანაში სხვის მოხუცებს ვუვლით და ჩვენი მოხუცი დედები მიტოვებული გვყავს.** ძალიან ვნანობ, რომ წამოვედი საქართველოდან, მაგრამ ხსნა აღარ იყო. აქ ყოფნით რასაც ვკარგავთ, სამწუხაროდ, ვერასოდეს დავიბრუნებთ. ბევრი ოჯახი ინგრევა, დედაშვილური სიყვარული ცივდება. **თუ ასე განაგრძო ჩვენმა ხელისუფლებამ, მალე საქართველოში აღარავინ დარჩება. მთავრობა ხომ არაფერს აკეთებს სულგამწარებული ქართველი დედების შვილებთან დასაბრუნებლად.**

— **როგორი დამოკიდებულება აქვთ ბერძნებს ერთნაირსქესიანთა ქორწინების მიმართ და თქვენ რას ფიქრობთ ამ საკითხზე?**

— ბერძნების ძირითადი ნაწილისთვის მიუღებელია ერთნაირსქესიანთა ქორწინება. რა თქმა უნდა, მეც არ ვემხრობი, ან როგორ უნდა მომეწონოს ადამიანისთვის შეუფერებელი მანკიერი ზნე, რომელმაც შეიძლება დაღუპოს ახალგაზრდობა. არც ერთი საღად მოაზროვნე ადამიანი არ იქნება ასეთი უზნეობის მომხრე.

— **7 წელია, ემიგრაციაში ხართ, რა არის თქვენთვის ყველაზე სასიამოვნოდ გასახსენებელი ფაქტი, რომელიც თავს გადაგხდენიათ?**

— დიახ, მალე 7 წელი შემისრულდება, რაც ემიგრანტი ვარ. ქალმა, რომელიც მოწყვეტილია თავის ოჯახს, შვილებს, ქმარს, შვილიშვილებს, დედასა და საყვარელ ხალხს, აქ კარგი რა უნდა გავიხსენო? აქ კარგი გასახსენებელი არაფერი მაქვს, იმიტომ, რომ ჩემი ოჯახი ჩემთან არ არის და შვილები მენატრება. კარგს მაშინ გავიხსენებ, როცა სამშობლოში დავბრუნდები და ემიგრანტი აღარ მერქმევა. ქალს, რომელიც მოწყდა ოჯახს და სამუშაოდ სხვა ქვეყანაში წავიდა ოჯახის დასახმარებლად, რა უნდა ჰქონდეს კარგი გასახსენებელი? **გვიჭირს აქ ყოფნა, მუშაობა ისეთ ოჯახებში გვიწევს, ზოგი გიჟია, ზოგი — ავადმყოფი, სახიფათოა მათთან მუშაობა, მაგრამ სხვა გზა რომ არ გვაქვს? უმუშევრები რომ არ დავრჩეთ, ვუძლებთ ყველანაირ დამცირებას, ყველაფერი უნდა ავიტანოთ და თვის ბოლოს შვილებს ფული გავუგზავნოთ. ხელისუფლებას ქართველების სახელით ვთხოვ: დაგვაბრუნეთ სამშობლოში, ჩვენ გაუსაძლის პირობებში ვართ.**

— **თქვით, რომ საზღვარი უკანონოდ გადაკვეთეთ...**

— დიახ, საქართველოს პასპორტი მაქვს, მაგრამ საზღვარზე არავინ გამოგატარებს, თუ ვიზა ან საზღვარგარეთის პასპორტი არ გაქვს. საზღვარზე გადმოვიპარე, როგორც ძალიან ბევრი ქართველი. როცა ასე გიწევს საზღვარზე გადმოსვლა, სიკვდილს ჩახედავ თვალებში — ან მოკვდები, ან დაგიჭერენ. საქართველოდან წამოსვლისას ჩემთვის არავის უთქვამს, რომ საზღვარს მალულად გადახვალო. ფული წინასწარ გამომართვეს და, აქ რომ ჩამოვიდოდი, სხვა უნდა დამხვედროდა. მუშაობას რომ დავიწყებდი, მისთვისაც ფული უნდა გადამეხადა. საზღვრის გადაკვეთისას ავტობუსში გვითხრეს, პასპორტები მოგვეცით და ჩადით კიბესთანო. რაღაც პატარა უჯრის მსგავსი იყო, გამოიღეს და გვითხრეს, აქ უნდა შეძვრეთო. რომ დავინახე, სად უნდა შევსულიყავი, ავედი ავტობუსში და განვაცხადე, არ შემიძლია, იქ ვერ შევალ-მეთქი. მაშინ უკან დაგაბრუნებთო. ბევრი ვიფიქრე, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა, მეც იქ დავიმალე 6 ქალთან ერთად, მაგრამ კინაღამ მოვკვდი — არც ჰაერი იყო, არც სინათლე, მხოლოდ ბენზინის ხმა გვესმოდა, ბაკს რომ ეხეთქებოდა. **რამე რომ დაგვმართნოდა, ვერავინ შეიტყობდა, ჩვენი პასპორტები მათ ჰქონდათ, ვისაც გადავყავდით და შეიძლებოდა ჩვენი ოჯახებისთვის ეთქვათ, უკან დაბრუნება აღარ მოისურვეს და იქ დავტოვეთო. ჩვენ კი სადღაც გადაგვყრიდნენ. სამწუხაროდ, ასეც ხდება ხოლმე.**

— **იცოდით, რა შეიძლებოდა მომხდარიყო, მაგრამ მაინც წახვედით?**

— არა, არ ვიცოდი. აქ შევიტყვე, რომ 17 წლის გოგოს სურდა მალულად საზღვრის გადმოლახვა, თურქეთიდან ფეხით გადმოჰყავდათ თურმე, დიდი წყალი იყო გამოსავლელი და გასაბერ პატარა ნავში ჩაუსვამთ. ნავი ქანაობდა და ბავშვი წყალში ჩავარდნილა, არავინ მიშველებია და დამხრჩვალა. მისმა დედ-მამამ მკვდარიც ვერ დაიტირეს. იმ გოგოს პასპორტი კი, ვისაც გადმოჰყავდა, მას ჰქონდა და მშობლებს უთხრა, თქვენს შვილს არ უნდა თქვენი ნახვა, წავიდა, პასპორტი კი მე გამომატანაო. **ფულის გამო ადამიანებს წირავენ. ეს საქართველოს ხელისუფლების ბრალია იმიტომ, რომ ჩვენს ქვეყანაში სამუშაო არ არის და სხვა ქვეყანაში მუშაობა სიცოცხლის ფასად გვიჯდება.**

> **«ხელისუფლებას ქართველების სახელით ვთხოვ: დაგვაბრუნეთ სამშობლოში, ჩვენ გაუსაძლის პირობებში ვართ»**

ესაუბრა
**ქრისტინე ტოგონიძე**

# «ჩვენ გვინდა, რომ შემოგივარდეთ მოედანზე და გასწავლოთ კარგად თამაში»




**16 აგვისტოს „მემარცხენე ალიანსის ცენტრალურ ოფისში პარტიის თავმჯდომარემ კახა ძაგანიამ ვაზისუბნისა და მერვე ლეგიონის მაჟორიტარულ ოლქში დეპუტატობის კანდიდატად ცნობილი ჟურნალისტი, პოეტი და ბლოგერი ბაკურ სვანიძე წარადგინა.**

„მემარცხენე ალიანსმა“ ვაზისუბნის მოსახლეობას და, საზოგადოდ, საქართველოს სასიამოვნო სიურპრიზი მოუმზადა, ვაზისუბნისა და მერვე ლეგიონის საარჩევნო ოლქის მაჟორიტარობის კანდიდატად წარვადგინეთ ცნობილი ჟურნალისტი, პოეტი და ბლოგერი, ბაკურ სვანიძე. **ჩვენი არჩევანი გაკეთებულია იმ მოტივებით, რომ ეს პიროვნება მოსახლეობის ინტერესებს დაიცავს იმ შემართებით, რა შემართებითაც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ამ წლების განმავლობაში.** ბაკურ სვანიძე სწავლობდა თბილისის 25-ე ფიზიკა-მათემატიკურ სკოლაში, დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფილოსოფიისა და ჟურნალისტიკის ფაკულტეტები. მიღებული აქვს პროფესიონალი ჟურნალისტის საერთაშორისო სერტიფიკატი, ცნობილი 2007 წლის მოვლენებისა და „იმედის“ გარშემო განვითარებული მოვლენების შემდეგ ბაკურ სვანიძეს, როგორც პროფესიონალ ჟურნალისტს, მას მერე, რაც მან გამოხატა თავისი სამართლიანი სამოქალაქო პოზიცია, პრობლემები შეექმნა პროფესიულ ცხოვრებაში — გაათავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან, იდევნებოდა წინა ხელისუფლების პერიოდში, მაგრამ 2012 წელს ამ ადამიანმა თავის თავში იპოვა სულიერი და მორალური ძალა, რომელმაც შეაძლებინა, მონაწილეობა მიეღო „ინფო 9“-ის დაფუძნებასა და მშენებლობაში. ეს პიროვნება იბრძოლებს როგორც თავისი, ასევე თქვენი უფლებების დასაცავად. ასე რომ, თქვენი იმედი გვაქვს, ამომრჩევლის, ასეთი კანდიდატი ვიხილოთ საქართველოს უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოში“, — განაცხადა პარტიის თავმჯდომარემ **კახა ძაგანიამ.**

**„ჩემს სამომავლო გეგმებს რაც შეეხება, ყურადღებას გავამახვილებ უფრო ზოგად მიმართულებებზე, ვიდრე ლოკალურზე. წყლის, ასფალტის, სკვერის და ა.შ. პრობლემები, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, ყურადღებაა მისაქცევი, მაგრამ ვთვლი, რომ დღეს უფრო სერიოზულ თემებზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება. ქვევიდან ზევით კი არ უნდა მოვაგვაროთ პრობლემები, არამედ, როდესაც ზევიდან ქვევით მოწესრიგდება ყველაფერი, ყველა ლოკალური პრობლემაც ადვილად მოგვარდება.**

**დღეს ლაპარაკობენ, რა უნდა მსახიობს, სპორტმენს ან ჟურნალისტს პარლამენტშიო. ის, რომ ჩვენ გვიჩნდება პარლამენტში შესვლის სურვილი, ისევე, როგორც ცუდი საფეხბურთო მატჩის დროს გაგვჩენია სურვილი, შევვარდეთ მოედანზე და უკეთ ვითამაშოთ, ჩვენი ბრალი არ არის, თქვენი ბრალია, თქვენ თამაშობთ ძალიან ცუდად. მე არ ვლაპარაკობ იმ ადამიანებზე, რომლებიც ვერ მოხვდნენ პარლამენტში და ვერ ახორციელებენ თავიანთ მიზნებს ქართულ პოლიტიკაში. მე ვსაუბრობ პარლამენტში, მთავრობაში წარმოდგენილ პოლიტიკოსებზე. თქვენ თამაშობთ ძალიან ცუდად და გვიჩენთ სურვილს, რომ შემოგივარდეთ მოედანზე. თქვენ თუ კარგად ითამაშებთ, ეს სურვილი აღარ გაგვიჩნდება. ჩვენ გვინდა, რომ შემოგივარდეთ მოედანზე და გასწავლოთ კარგად თამაში“**, — განაცხადა მაჟორიტარობის კანდიდატმა **ბაკურ სვანიძემ.**

## ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**მათთვის მთავარია, თავიანთი პატრონების თვალში შეიქმნან „რუსეთთან დაუდეგარი მებრძოლების“ იმიჯი და ბევრი ამერიკული დოლარები თქვლიფონ, ხოლო რა შედეგს მოუტანს მათი ასეთი გაუაზრებელი მოქმედებები ჩვენს ქვეყანას, ეს, დიდი ხანია, ფეხებზე ჰკიდიათ!**

# 26.3 ფარენჰეიტით, ცელსიუსით თუ რითაც გნებავთ, ანუ მოვითხოვ, აიკრძალოს რესპუბლიკური პარტია!

**შემომაქვს წინადადება, საქართველოს კონსტიტუციაში ჩაიწეროს ფრაზა — ყველგან, სადაც ვამბობთ ტერმინს „უცხო ქვეყანა“, იგულისხმებოდეს მხოლოდ და მხოლოდ რუსეთი და არც ერთი სხვა ქვეყანა!**

ჩვენს სახელმწიფოში უკვე თითქმის ნორმად დამკვიდრდა, რომ „პატრიოტობად“ ჩაითვალოს მხოლოდ რუსეთის მიმართ გამოხატული ღია აგრესია, ხოლო ნებისმიერი სხვა ქვეყნის მიმართ ლაქუცი, უკანალში შეტენვა და ა. შ. ითვლება სავსებით ნორმალურ ქცევად და არაფერი „მოღალატეობრივი“ და „სამშობლოს გამყიდველური“ ამაში არ არის.

რატომღაც არავინ უფიქრდება თვით ტერმინ „სამშობლოს გამყიდველის“ მნიშვნელობას. აკი „გამყიდველი“ იმას ნიშნავს, რომ ადამიანმა სამშობლოს საწინააღმდეგო რაიმე ქმედებაში აიღო ფული, სიმდიდრე და გაიუმჯობესა მატერიალური მდგომარეობა. ამ მეთოდით მარტივია, ამოვხსნათ და დავადგინოთ, სინამდვილეში ვინ არის სამშობლოს გამყიდველი.

**ელემენტარულად, შეხედეთ და შეადარეთ ერთმანეთს მილეული, ნაშიმშილარი, საზოგადოებრივი ტრანსპორტით მოსარგებლე, ჩვეულებრივ „ხრუშჩოვკებში“ მცხოვრები ე. წ. პრორუსები და კაი გამაძღარი, ლოყებაღაჟღაჟებული, ძვირძვირი ჯიპებით მოგრიალე და სამსართულიან ფეშენებელურ ვილებში მცხოვრები პროამერიკელი ქართველები. ვინ გაყიდა, ვინ ივაჭრა და ვინ ნახა სარფი და მოგება სამშობლოთი სპეკულირებაში, სავსებით თვალნათელია.**

ისიც საკითხავია, ვის უწოდებენ საზოგადოების გარკვეული წრეები რუსეთმეებს.

თუკი ადამიანის მიზანი საკუთარი სამშობლოსთვის შესაძლებლიდან მაქსიმალური დადებითი შედეგის მოტანაა, რატომ არის ის მოღალატე ან რუსეთუმე? მოღალატე ჰქვია ადამიანს, რომელიც რაიმე ქმედებას ჩადის ანგარების მიზნით, მხოლოდ სხვა ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით, და არ აინტერსებს, რა შედეგს მიიღებს ამით მისი სამშობლო.

**თუკი ადამიანი უცხო ქვეყანასთან, თუნდაც დამპყრობელთან, ურთიერთბას იმ მიზნით აგვარებს, რომ თავის სამშობლოს ზიანი აარიდოს, გარკვეული დადებით შედეგი მოუტანოს, ტერიტორიები დააბრუნებინოს და ა.შ., ანუ, თუ ასეთი ადამიანი ფიქრობს, რომ მისი მოქმედებით სამშობლო დადებით შედეგს მიიღებს, ეს რა ლოგიკით არის მოღალატეობა?!**

ისეთი „მესამეკლასელური“ მიდგომები, როგორიცაა — **„მტერთან ლაპარაკი უკვე ღალატს ნიშნავს“, „კოლაბორაციონიზმი დაუშვებელია“, „ქართველი ბიჭების სისხლი“** და სხვა ამგვარი დემაგოგია, მგონი, საზოგადოებამ უკვე გაიარა და აღარავინ ტყუვდება.

განსაკუთრებით აღმაშფოთებელია, როდესაც მავანი „ქართველი ბიჭების სისხლით“ სპეკულირებენ. ნებისმიერ მტერს, რომელთანაც ჩვენს უდიდეს მეფეებს და სტრატეგებს მოლაპარაკებები უწარმოებიათ, სამშვიდობო ზავი დაუდვიათ, დიახაც — იქით ხლებიან იმპერიათა მბრძანებლებს და მათ წინაშე ქედიც მოუხრიათ; ნებისმიერ ასეთ მტერს დაღვრილი ჰქონდა უმრავი ქართველის სისხლი(!).

**ჩვენს დიად წინაპრებს მსგავსი იდიოტური სპეკულირება რომ დაეწყოთ — მაგათ ქართველი ბიჭების სისხლი აქვთ დაღვრილი და არ ვეახლებით მოსალაპარაკებლადო, უადგილოდ „ევაჟკაცათ“, დღეს ჩვენი ქვეყნის ხსენება აღარ იქნებოდა დედამიწაზე.**

**ყველამ თავის პირად საქმეში ივაჟკაცოს, მაგრამ, თუ ეს სამშობლოს სჭირდება, ჩექმაც უნდა ავლოკოთ და ყურებზეც უნდა დავდგეთ!**

როგორ ფიქრობთ, **გიორგი ბრწყინვალე, რომელიც ათეული წლები „ემეგობრებოდა“ მონღოლ დამპყრობლებს და მხოლოდ სწორი საერთაშორისო ვითარების ჩამოყალიბების შემდეგ გაათავისუფლა საქართველო მათგან, კოლაბირაციონისტი და გამყიდველი იყო?**

როგორ ფიქრობთ, ამ უდიდეს მეფეს რომ ეძახა მთელი ის წლები — „ყაენი მკვლელია!“, „მონღოლი აგრესორია!“, „ურდო ჩვენი მტერია!“ და ასეთები, დღეს საქართველოსგან რა იქნებოდა დარჩენილი?

ან ეს „ჩმორი“ **დემეტრე თავდადებული**, ნეტავ, რატომ ეახლა ყაენს? ვაჟკაცი არ იყო და მშიშარა იყო, არა?

უმარტივესი ავიღოთ, ანუ ის, რამაც მთელი საქართველო აალაპარაკა და ბევრი სრულიად გაუმართლებელი აღფრთოვანებითაც შეხვდა — საუბარია ქართველი მოჭიდავის მიერ ოლიმპიადაზე დამარცხებული რუსი მოჭიდავის მიმართ გაკეთებულ ჟესტზე. არა, არ ვაპირებ ვაკრიტიკო და ლაფში ამოვთხვარო **ლაშა შავდათუაშვილი** ამ სრულიად უადგილო და ძალიან არასპორტული ჟესტის გამო, რადგან **ზუსტად ვიცი, ქართველი სპორტსმენები საშინელ ფსიქიკურ წნეხს განიცდიან და მე ისინი მეცოდებიან...**

უბრალოდ, **დავფიქრდეთ, მსგავსი „ჟესტები“ რომ ეკეთებინათ ჩვენს წინაპრებს დამპყრობლებისთვის და გარკვეულ დრომდე ჭკვიანური და გააზრებული სქციელით ერს თავი არ გადაერჩინა ფიზიკურად, ქვეყნის გაწუყოფლობა რომ არ შეენარჩუნებინა, თუნდაც მტერთან მოჩვენებითი „ლაქუცის“ გზით, იარსებებდა დღეს საერთოდ საქართველო?**

როგორ, **ბიძინა ჩოლოყაშვილი** „ჩექმის მლოკველი“ იყო? მას რომ გარკვეულ დრომდე მოჩვენებითი ერთგულება არ გამოეჩინა მტრის მიმართ, იქნებოდა შემდეგ ბახტრიონი?

ან არადა, რომელ ქვეყანასაც, საუკუნეებს არ ვამბობ, სულ ახლო წარსულში დახოცილი ჰყავს ქართველი ბიჭები და წართმეული აქვს ქართული მიწა-წყალი, ყველას ეგეთი ჟესტები ვუკეთოთ? დამეთანხმებით, 100 წელი არც ისე ბევრია ისტორიისთვის! **100 წლის წინათ დახოცეს თურქმა ასკერებმა აჭარის დამცველი ათასობით ქართველი! მაშ, რატომ არ ვუკეთებთ ასეთ ჟესტებს თურქ სპორტსმენებს?**

მსოფლიოში უამრავი ქვეყანაა ერთმანეთთან სამხედრო გზით დაპირისპირებული და ყველამ ერთმანეთს მსგავსი ჟესტები რომ უკეთოს, ცოტა ხანში მსოფლიოში სპორტი საერთოდ აღარ იარსებებს.

თუმცა, რა გინდა თქვა იმ ქვეყანაში, სადაც ზოგიერთ ცანცარა ინდივიდს ინტელექტი პრივატიზებული აქვთ და კანონებიც, თურმე მხოლოდ და მხოლოდ ისე უნდა წავიკითხოთ, როგორც მათ ეს კონკრეტულ მომენტში აძლევთ ხელს.

მაგალითად გამოდგება **ლადო ბედუკაძისა** და **თემურ ხაჩიშვილის** პარტია „ცენტრისტების“ გარშემო ატეხილი აჟიოტაჟი. ვინმემ რამე სისულელე რომ არ წამოროშოს, ამთავითვე ვიტყვი: ჯერ კიდევ შარშან მქონდა მათგან შემოთავზება ამ პარტიის არათუ წევრობაზე, არამედ ერთ-ერთ ლიდერობაზე, მაგრამ კატეგორიულად ვიუარე, რადგან მათი ასეთი ხისტი პოზიცია რუსეთის მიმართ ჩემთვის ყოვლად მიუღებელია! თავი რომ დავანებოთ იმას, რომ მძიმე უკუეფექტის მომტანი მგონია საარჩევნო კლიპში პუტინის სახის, რუსული დროშებისა და ტანკების კადრების გამოყენება, ასევე მიმაჩნია, რომ საქართველოში უნდა რიგდებოდეს მხოლოდ ქართული პენსია, რუსული კი — არა, მიუხედავად იმისა, რომელი რომელს ჯობია. ასევე, მგონია, რომ რუსული სამხედრო ბაზების დაკანონება ძალიან ფაქიზი საკითხია და მისი ასე პირდაპირ ჩადება საარჩევნო დაპირებაში, მსუბუქად რომ ვთქვათ, ფატალური შეცდომაა!

მიუხედავად ამისა, არ მესმის, რატომ აწიეს პოლიტიკური ტემპერატურა ცანცარა თინა ხიდაშელმა და მისმა ამფსონებმა ამ წინასაარჩევნოდ.

**„ფარენჰეიტი 9/11“**-ისა (დოკუმენტური ფილმი, რომელიც რეჟისორმა და პოლიტიკურმა აქტივისტმა მაიკლ მურმა გადაიღო და, რომელშიც აშშ-ის პრეზიდენტ ჯორჯ ბუში-უმცროსის მიმართ უამრავი ბრალდებაა გამოთქმული) არ იყოს, ჩვენს ქვეყანაში ახლა **„26.3“**-ია, გნებავთ, ფარენჰეიტით, გნებავთ — ცელსიუსით... რითაც გნებავთ. დიახ, **ეს საქართველოს კონსტიტუციის ის მუხლია, რომლის გამოყენებითაც ბედუკაძე-ხაჩიშვილის პარტიის აკრძალვას ითხოვენ ცანცარა თინა და მისი და-ძმანი. მეტიც, ეს თავხედი ქალი ბედავს და ჭკუას გვარიგებს — თუ ვინმემ ვერ გაიგეთ, აქ რა წერია, დამიკავშირდით და აგიხსნითო. ცანცარა თინას ასახსნელი, არა მგონია, რამე სჭირდეს ქართველს ხალხს.**




**ცანცარა თინას ვინმემ აუხსენით, რა წერია საქართველოს კონსტიტუციაში და დროა, რომ ქართველმა საზოგადოებამ ეს ტუტუცი ძალად «ინწილიკტუალები» სამუდამოდ დასვას თავის ადგილზე! ასეთი «არგუმენტებით», მე თუ მკითხავთ, რესპუბლიკური პარტია უფრო ასაკრძალავი — ისინი, «პრო» კი არა, პირდაპირ ამერიკელები არიან და უცხო ქვეყნის ინტერსებს ემსახურებიან საქართველოში! ხან საქართველოში შემოსულ ამერიკულ და თურქულ სამხედრო გემებს უდგებიან «ჩესტზე» და ხანაც სხვა ქვეყნების ტანკებსა და სამხედრო ძალას მიესალმებიან სახეგაბადრული**

იმ მუხლში კი, აი, ეს წერია: **„მუხლი 26.3: „დაუშვებელია ისეთი პოლიტიკური გაერთიანების შექმნა და საქმიანობა, რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა ან რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას“.**

ახლა რა შინაარსია ბედუკაძის კლიპში —

**1. „რუსული სტანდარტით პენსიის დარიგება“.**

ქალბატონმა ცანცარა თინამ ჩვენ, შეუგნებლებს, იქნებ აგვიხსნას, რომელს მიეკუთვნება ეს წინამდებარე მუხლში ჩამოთვლილთაგან? „კონსტიტუციური წყობილების დამხობას“? „ძალადობით შეცვლას“? „დამოუკიდებლობის ხელყოფას?“ „ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას?“ თუ „ომისა და ძალადობის პროპაგანდას“? თუ აქედან რომელიმეა, მაშ, ამდენი ხანს მავანი ხან „ამერიკული“ და ხანაც „შვეიცარიული“ სტანდარტის პენსიებს რომ გვპირდება, ეგ რაღატომ არ არის დანაშაული?! რაო, ამერიკა და შვეიცარია ზემო იმერეთში მდებარეობს ან ჩუმლაყში და არ ითვლება უცხო ქვეყნებად თუ რაშია საქმე?

**2. „დავაკანონებთ რუსულ ბაზებს საქართველოში და აღვადგენთ ტერიტორიულ მთლიანოიბას“,** — იუწყება ბედუკაძის პარტიის კლიპი.

გაიგონე, ცანცარა თინა? აღვადგენთო! განა „ხელვყოფთო“. ხოლო ის, რომ თინასა და თინასნაირებს სურთ, ხალხის პატრიოტულ გრძნობებზე ითამაშონ და „უცხო ქვეყნის სამხედრო ბაზის დაკანონება“ გაასალონ, როგორც „ქვეყნის დაპყრობა“, ეს საერთაშორისო სამართალში ასე ნამდვილად არ არის! **მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში სრულიად კანონიერად არის გახსნილი სხვა, უცხო ქვეყნის სამხედრო ბაზები და ეს ქვეყნები სულაც არ ითვლება „არასუვერენულად“! პირიქით, სრული დამოუკიდებლობით სარგებლობენ და მსოფლიოში წამყვანი ადგილიც უკავიათ ეკონომიკისა და დემოკრატიის კუთხით.**

სხვათა შორის, არაერთ ქვეყანაში ოფიციალურად არის აღიარებული რომელიღაც სხვა ქვეყნის ვალუტაც, მაგრამ არც ეს უშლის ხელს ამა თუ იმ ქვეყანას, იყოს განვითარებული და დამოუკიდებელი.

ასე რომ, **ცანცარა თინას ვინმემ აუხსენით, რა წერია საქართველოს კონსტიტუციაში და დროა, რომ ქართველმა საზოგადოებამ ეს ტუტუცი ძალად „ინწილიკტუალები“ სამუდამოდ დასვას თავის ადგილზე!**

**ასეთი „არგუმენტებით“, მე თუ მკითხავთ, რესპუბლიკური პარტია უფროა ასაკრძალავი — ისინი, „პრო“ კი არა, პირდაპირ ამერიკელები არიან და უცხო ქვეყნის ინტერსებს ემსახურებიან საქართველოში! ხან საქართველოში შემოსულ ამერიკულ და თურქულ სამხედრო გემებს უდგებიან „ჩესტზე“ და ხანაც სხვა ქვეყნების ტანკებსა და სამხედრო ძალას მიესალმებიან სახეგაბადრულნი.**

და თუ მართლაც ავკრძალავთ „ცენტრისტებს“, მაშინ რეალურად რა გამოდის? რომ მართლაც გვეშინია, საზოგადოებამ მხარი არ დაუჭიროს და ხმა არ მისცეს ასეთ გამოახტულ ხისტ პრორუსულ ძალას? ამიტომ ვკრძალავთ მას? მგონია, რომ არჩევნებში 1 ან 2 პროცენტის აღება თვალნათელს გახდის ქართველი საზოგადოების დამოკიდებულებას ასეთი ღია და ხისტი რუსული პოზიციების მქონე პოლიტიკური ძალისადმი და ეს გაცილებით სწორი მიდგომაა, ვიდრე ის, რომ მომავალში ვინმემ თქვას — საქართველოს შეეშინდა ასეთი ძალის და აკრძალაო.

საზოგადოდ, **არჩევანი ხალხმა უნდა გააკეთოს და არა თინამ და მისმა ცანცარებმა. თუ ხალხმა გადაწყვიტა, რომ, რუსეთმა კი არა, თუნდაც ვიკინგებმა უნდა დაგვიპყრონ, ესე იგი უნდა დაგვიპყრონ! მთავრობის ერთადერთ მისია ის არის, რომ ხალხისთვის შექმნას საკუთარი ნების ღიად, დაუფარავად და უშიშრად გამოხატვის გარემო.**

თუმცა ამას „ამერიკანელებს“ ვერაფრით გააგებინებ! **მათთვის მთავარია, თავიანთი პატრონების თვალში შეიქმნან „რუსეთთან დაუდეგარი მებრძოლების“ იმიჯი და ბევრი ამერიკული დოლარები თქვლიფონ, ხოლო რა შედეგს მოუტანს მათი ასეთი გაუაზრებელი მოქმედებები ჩვენს ქვეყანას, ეს, დიდი ხანია, ფეხებზე ჰკიდიათ!**

სატირა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დავით უსუფაშვილი, როგორც ამერიკელების ჭეშმარიტი „შნირი“ და თურქების მონა, ცდილობს, ბოლომდე ასიამოვნოს პარტნიორებს და მათ პირში გაკვეხებული წითელი ბოლოკით სთავაზობს საქართველოს.**

# ბლოკი თუ ბოლოკი?

**ბოლო პერიოდია, ქართულ პოლიტიკურ სპექტრში ერთი ამბავია ატეხილი საქართველოს „უბლოკო“ სტატუსზე. ნინო ბურჯანაძის მიერ წინასაარჩევნოდ შემოგდებულმა ამ თემამ ისეთი აჟიოტაჟი გამოიწვია, რომ პარლამენტის ჯერ კიდევ მოქმედი თავმჯდომარე პირადად გამოეხმაურა და განაცხადა — თქვენს უბლოკოს მე ბლოკიანს დავუპირისპირებ და ნახეთ, რომელმა აჯობოსო.**




დავით უსუფაშვილს, ამ განცხადებას რომ აკეთებდა, აღელვებისგან ხმა ოდნავ უკანკალებდა და სიტყვები „ბლოკიანი“ და „უბლოკო“, როგორც ჩვენს ძალიან დაკვირვებულ კორესპონდენტს მოეჩვენა, ცოტა სხვანაირად წარმოთქვა.

აქედან დაიწყო კიდეც ყველაფერი. ჩვენი ჩაკვირვებული კორესპონდენტი ჩაუკვირდა ყოველივეს და გონებაც გაეხსნა.

აბა, წარმოიდგინეთ, **საქართველოს ისედაც არავინ არსად ეპატიჟება — არც ერთ, გინდაც სამხედრო და გინდაც არასამხედრო, ბლოკში, ყველას სულ ფეხებზე ვკიდივართ და, ნეტავ, რა ლოგიკით უნდა ამტყდარიყო ამხელა გაწი-გამოწევა „ბლოკიანობასა“ და „უბლოკობაზე“?**

აი, სწორედ ამას დაუფიქრდა ჩვენი გაფითრებული კორესპონდენტი და **ნინო ბურჯანაძისა** და **დავით უსუფაშვილის** გამოსვლების რამდენჯერმე გადახვევის, შენელებულ რეჟიმში მოსმენისა და დაკვირვების შემდეგ ამოხსნა კიდეც საიდუმლო.

თურმე საქმე ის არის, რომ უსუფაშვილიც და ბურჯანაძეც აღელვებისას თავისებურად გამოთქვამენ სიტყვას — „ბოლოკი“.

დიახ, დიახ — ბოსტნეულ კულტურა ბოლოკზეა საუბარი.

ანუ ამ გამოსვლებშიც ნინო ბუჯანაძე ლაპარაკობს საქართველოს **უბოლოკობაზე**, ანუ იმაზე, რომ საქართველო, **უბლოკოდ** კი არა, **უბოლოკოდ** იყოს!

ხოლო უსუფაშვილი უპასუხებს, რომ საქართველო აუცილებლად **ბოლოკით** უნდა იყოს, ანუ ბოლოკიანი საქართველოს უპირატესობას ამტკიცებს.

ყველაფერი გასაგებია, რომ ბლოკზე არ არის საუბარი და ბოლოკზეა, მაგრამ მკითხველს ისიც დააინტერსებდა, რა თქმა უნდა, სად და რა ვითარებაში უნდა იყოს საქართველო წარმოდგენილი ბოლოკით?!

ჩვენმა ყველაფრის დამდგენმა კორესპონდენტმა ესეც დაადგინა. საუბარია ჩვეულებრივ სუფრაზე, ანუ ბოლო პერიოდში მსოფლიოში ჩამოყალიბებული ვითარების გათვალისწინებით, საქართველოს აუცილებლად ემუქრება შესანსვლა თურქეთის მხრიდან. ამ აგრესორმა ქვეყანამ რუსეთთან უკვე მოაგვარა სიტუაცია და ამერიკა ისე შეაშინა, რომ მზად არის, მის დასაშოშმინებლად მთლიანად გადააყლაპოს საქართველო, რათა თურქეთი დიდი ხნით გაჩუმდეს და ამერიკის ინტერსებს რეგიონში წინააღმდეგობა აღარ გაუწიოს.

**საქმე იქამდეც კი მისულა, რომ ამერიკას თურქეთისთვის არჩევანიც კი შეუთავაზებია — პირში გაკვეხებული ბოლოკით გადასანსლავ საქართველოს თუ ბოლოკის გარეშეო?**

აი, ამაზეა თურმე ატეხილი ერთი ამბავი და **ნინო ბურჯანაძე ცდილობს, თურქებს მთლად ბოლომდე მაინც არ მიანიჭოს სიამოვნება და ბოლოკის გარეშე მიართვას საქართველო; ხოლო დავით უსუფაშვილი, როგორც ამერიკელების ჭეშმარიტი „შნირი“ და თურქების მონა, ცდილობს, ბოლომდე ასიამოვნოს პარტნიორებს და მათ პირში გაკვეხებული წითელი ბოლოკით სთავაზობს საქართველოს(!).**

აი, სულ ეს არის — არანაირ ბლოკზე, მით უფრო სამხედროზე, არანაირი საუბარი არ მიმდინარეობსო, — გვატყობინებს ჩვენი გაოგნებული კორესპონდენტი.

**დიდუ აგირაია**

# ვინ ესტუმრა შავი «ვოლგით» გიორგი პაპუაშვილს?

**ბოლო რამდენიმე კვირაა, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ამტკიცებს, რომ მასზე და კოლეგიაზე ხელისუფლება ზემოქმედებს. ხელისუფლებამ ბრალდება უარყო. ამბავი, რომელსაც დღეს მოგიყვებით მოგვაწოდა ჩვენმა წყარომ, რომელიც, როგორც ყოველთვის, უშუალოდ შეესწრო ამ ფაქტს. უცვლელად გთავაზობთ წყაროს მიერ გამოგზავნილ წერილს:**



„ბათუმში ვისვენებდი, საზაფხულო შვებულება ავიღე და ზღვისპირეთში დასასვენებლად წავედი. ალბათ, განგება იყო, რომ ბინა საკონსტიტუციო სასამართლოს შენობის წინ ვიქირავე.

ყველაფერი წამოსვლის წინა დღეს მოხდა, საღამოს საათებში. შუაღამე იყო, ოთახში ვიყავი, არ მეძინებოდა და გადავწყვიტე, წიგნი წამეკითხა. ისე გავერთე კითხვაში, რომ ჩამძინებია. ტკბილი ძილი უჩვეულოდ დიდმა ხმაურმა დამირღვია — გავიგონე საშინელი დამუხრუჭების ხმა, სასამართლოს წინ ორი შავი ვოლგა გაჩერდა, ნომრები არ ჰქონდა. იქიდან ორი, ტყავის სამოსში ჩაცმული ქალბატონი გადმოვიდა, ხელში შავი ჩანთები ეკავათ. სასამართლოს კარზე ზარი დარეკეს, მანდატურმა კარი გააღო, ერთ-ერთმა ქალმა მანდატურს სახეში რაღაც შეასხურა, დიდი ალბათობით, გაზი უნდა ყოფილიყო. წაიქცა მამაკაცი, ქალებმა კი შენობაში გზა განაგრძეს. მივხვდი, რომ პროფესიული ვალდებულება უნდა შემესრულებინა, მიუხედავად იმისა, რომ შვებულებაში ვარ. სასწრაფოდ ჩავიცვი, მოვიმარჯვე კამერა და გავეშურე შენობისკენ. კიდევ კარგი, დაავიწყდათ იმ ქალებს და სასამართლოს შენობის კარი არ ჩაკეტეს. **ფეხაკრეფით შევედი შენობაში, ვცდილობ იმ ორ ქალს მივაგნო. ამ მომენტში მესმის კაცის ყმუილი, მესმის, რომ ვიღაც წებოვან ლენტას ხევს, სავარაუდოდ, ვიღაცას აბამენ ამ ლენტით. ოთახის, საიდანაც ხმა გამოდიოდა, კარი ოდნავ ღია იყო და იქვე საყვავილეში ჩავიმალე, გადავიფარე ყვავილი და კამერის ობიექტივი ოთახის სივრცეს დავუმიზნე. მოვლენებს კამერის ეკრანზე ვუყურებდი, რადგან ვერ შევიდოდი.**

**პაპუაშვილმა ეშმაკურ ხერხს მიმართა, იქვე, სკამის ქვეშ სპეციალური ღილაკი ჰქონია დამონტაჟებული, რომელიც «რუსთავი 2»-ის საინფორმაციო სამსახურს და პირადად ნიკა გვარამიას უკავშირდება. მოულოდნელად განგაშის სიგნალი ჩაირთო და რამდენიმე წამში შენობაში «რუსთავი 2»-ის 10-მდე გადამღები ჯგუფი მოვიდა, შეშინებულმა ბესელიამ და კობახიძემ შენობა ფანჯრიდან გადახტომით დატოვეს და უმალ მოკურცხლეს შავი «ვოლგებით»**

„დააბი ეს დამპალი, ამან უნდა აგვირ-დაგვირიოს მონასტერი?“ — ამბობდა ერთ-ერთი ქალი.

„ახლა კარგად მომისმინე, ბიჭი. შენ, ეტყობა, ბოლომდე ვერ გაიგე, რომ ახლა ჩვენი დროა და ან უნდა დააყენო ერთი ადგილი, ან, არადა, ჩვენ ვიცით“, — თქვა მეორე ქალმა.

ჰო, ორივე ქალბატონს ნიღაბი ეკეთა, როგორც ჩანს, ერთ-ერთს დასცხა და ნიღაბი მოიხსნა.

„უფ, ნამეტანი დაცხა, მიხედე და მეც შემოგიერთდები“, — თქვა მან.

თვალებს არ ვუჯერებდი, როდესაც ქალბატონში **მანანა კობახიძე** ამოვიცანი, რომელმაც კარადა გამოაღო და ჭიქაში ვისკი ჩამოისხა.

„მოკლედ, ასეა. თუ გინდა, რომ კაციშვილმა ხმა არ გაგცეს, უნდა დაგვნებდე. ის შენი ოდესელი, დღეს თუ არა ხვალ, მიგაგდებს და მერე უყარე კაკალი. შენი კოლეგიის წევრებსაც ასე გადაეცი, სხვათა შორის, წუხელ დაგინახე, ოთახში ტრუსიკიანი რომ დადიოდი. ასე რომ, პირადი ცხოვრების კადრები ჩვენც გვაქვს“, — უთხრა კობახიძემ პაპუაშვილს, რომელიც, როგორც აღვნიშნე, წებოვანი ლენტით ჰყავდათ მიბმული მისსავე სამუშაო მაგიდაზე.

ამასობაში მეორე ქალბატონმაც მოიხსნა ნიღაბი, ის **ეკა ბესელია** აღმოჩნდა.

„გეყოთ პარპაში და გრიალი 9 წლის განმავლობაში, ახლა ჩვენი დროა, ღორობასაც აქვს საზღვარი, გაიგე, ბიჭოოოოო?“ — დაჰკივლა ბესელიამ დაბმულ პაპუაშვილს.

**ამასობაში პაპუაშვილმა ეშმაკურ ხერხს მიმართა, იქვე, სკამის ქვეშ სპეციალური ღილაკი ჰქონია დამონტაჟებული, რომელიც „რუსთავი 2“-ის საინფორმაციო სამსახურს და პირადად ნიკა გვარამიას უკავშირდება. მოულოდნელად განგაშის სიგნალი ჩაირთო და რამდენიმე წამში შენობაში „რუსთავი 2“-ის 10-მდე გადამღები ჯგუფი მოვიდა, შეშინებულმა ბესელიამ და კობახიძემ შენობა ფანჯრიდან გადახტომით დატოვეს და უმალ მოკურცხლეს შავი „ვოლგებით“.**

გაფითრებული პაპუაშვილი კი ჟურნალისტებს თავს გადამხდარი ამბის შესახებ ინტერვიუს აძლევდა.

**გვარამ ნიკაძე**

პოზიცია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რუსი პატრიოტები — სხვადასხვა დარგის ექსპერტები, ჩემი კოლეგები, ასევე პოლიტიკოსები და სამხედროები, არასგზით ანტიქართულად არ არიან განწყობილნი; პირიქით, სწორედ რუსი პატრიოტები წარმოადგენენ იმ ძალას, რომელიც მომავალში აუცილებლად იქნება საქართველოს მთავარი პარტნიორი.**

# ლევან ვასაძის თვალსაზრისის არალიბერალური კრიტიკა

**წინამდებარე სტატიაში გავიხილავთ ლევან ვასაძის მიერ „სტუდია ფალავანდიშვილის“ ხელმძღვანელის — გურამ ფალავანდიშვილისადმი მიცემულ ვრცელ ინტერვიუს:**

უამრავი დადებითი აზრი გამოითქვა ამ ინტერვიუს ფარგლებში, რომლის სულისკვეთებასაც მთლიანობაში ვიზიარებ. **მთავარი ვასაძის ხედვაში მაინც არის საქართველოს ისტორიული ფუნქციის გააზრება გეოპოლიტიკის ჭრილში. ვასაძის შეფასებით, საქართველო, გამომდინარე თავისი გეოგრაფიული მდებარეობიდან, ისტორიიდან, კულტურიდან, არის კავკასიის ბუნებრივი ცენტრი. საქართველო არ უნდა იყოს მუდმივად მთხოვნელის როლში.**

ჩემი მხრიდან დავძენ, რომ **თანამედროვე მსოფლიოში, როდესაც, განსხვავებით წარსულისგან, მცირე სახელმწიფოებს საერთაშორისო სამართალი, გაეროს წესდება და სხვა საერთაშორისო დოკუმენტები იცავს პირდაპირი გარე აგრესიისგან, საქართველოს არათუ არსებობა, არამედ ღირსეული მდგომარეობაც სავსებით რეალური წარმოსადგენია. ეს ასე იქნებოდა, რომ არა მეოთხედი საუკუნის განმავლობაში ახალ „პატრონებზე“ გამუდმებული აპელირება დასავლეთის მიერ გამოზრდილი სამთავრობო, არასამთავრობო თუ ჟურნალისტური ბიუროკრატიის მხრიდან.**

ლევან ვასაძე მართებულად დასცინის ჩვენი საზოგადოების ამ „კასტას“, აღნიშნავს მათ უსახურობასა და უგვანობას. მისასალმებელია მისი ოპტიმიზმი, რომ საქართველო „უკვდავია“, მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელი ვითარება მაინცდამაინც დადებით განწყობას არ გვიქმნის. ეს არ არის როყიო ნაციონალისტური ნაბოდვარი და თვითმიზნად ქცეული ოპტიმიზმი (როგორსაც ნერგავდა სააკაშვილი და ამ ოპტიმისტურ განცდებს მხოლოდ საკუთარ პერსონას უკავშირებდა), არამედ მორწმუნე ქრისტიანის მიერ გააზრებული შეფასება.

განსაკუთრებით **მოსაწონია ვასაძისეული შეფასება რუსი პატრიოტებისა, რომლებთანაც შესაძლებელია და აუცილებელიცაა დიალოგი.** ჩემი გამოცდილებიდანაც დავამოწმებ, რომ **რუსი პატრიოტები — სხვადასხვა დარგის ექსპერტები, ჩემი კოლეგები, ასევე პოლიტიკოსები და სამხედროები, არასგზით ანტიქართულად არ არიან განწყობილნი; პირიქით, სწორედ რუსი პატრიოტები წარმოადგენენ იმ ძალას, რომელიც მომავალში აუცილებლად იქნება საქართველოს მთავარი პარტნიორი.**

მაგრამ ამ ვრცელ ინტერვიუში არაფერი თქმულა საქართველოს ეკონომიკის განვითარების გზებსა და მექანიზმებზე. ამასთანავე, არის რამდენიმე შეფასება თუ მოსაზრება, რომელთა მიმართ კრიტიკულად განვეწყვე. სწორედ ამ თემებზე მინდა გამოვთქვა აზრი.

## ლიბერალური წარმოდგენა ფაშიზმსა და კომუნიზმზე

სამწუხაროდ, **ბატონი ვასაძე, ლიბერალიზმის მძაფრი და სამართლიანი კრიტიკის მიუხედავად, თვითონ ხდება ლიბერალური პარადიგმის ტყვე, როდესაც ტოლობის ნიშანს სვამს ფაშიზმსა და კომუნიზმს შორის** (მნიშვნელობა არ აქვს ამ შემთხვევაში იმას, რომ, ამასთანავე, ლიბერალიზმსაც აიგივებს ფაშიზმსა და კომუნიზმთან). ერთი მხრივ, იგი სწორად აღნიშნავს, რომ სამივე ეს იდეოლოგია წარმოიშვა ერთსა და იმავე გეოგრაფიულ არეალში, ანუ დასავლეთში თითქმის ერთმანეთის პარალელურად, მაგრამ ეს გარემოება სულაც არ იძლევა იმის მტკიცების საფუძველს, რომ ყველა ეს იდეოლოგია თავისი არსით ერთი და იგივეა. არათუ ფაშიზმი და კომუნიზმი, არამედ საკუთრივ ფაშიზმი იყოფა ფაშიზმად, ერთი მხრივ, და ნაციონალსოციალიზმად — მეორე მხრივ. მათ შორისაც არის მნიშვნელოვანი სხვაობა. **ბატონი ვასაძე, როგორც მორწმუნე მართლმადიდებელი, მონარქისტი, იმაშია მართალი, რომ ფაშიზმმა, კომუნიზმმა და ლიბერალიზმმა, როგორც ახალი ეპოქის პროდუქტებმა, უარი თქვა მთავარზე (განსხვავებით შუა საუკუნეების მონარქიული იმპერიებისგან) — ღმერთზე. სამივე იდეოლოგია სეკულარულია, თუმცა მყარ ათეისტურ პოზიციაზე მხოლოდ კომუნიზმი დგას.** აქ აუცილებლად უნდა გავაკეთოთ განმარტება კომუნიზმის დამოკიდებულებაზე რელიგიისადმი. მიუღებელია ბ-ნი ვასაძის მოსაზრება, რომ თითქოს **„სად გვაქვს იმის დრო, ვარჩიოთ, რომელი იდეოლოგიაა ბოროტება და რომელი — სიბრიყვე“.** პირიქით — სერიოზული ანალიზია საჭირო, მით უმეტეს, როცა ასეთი მსჯელობებით ქართული საზოგადოება განებივრებული არ არის. კომუნიზმი დაგმობილ იქნა პრიმიტიულად, ქუჩის დონეზე და იგი ყოველივე „ეროვნულისა“ და ეკლესიურის ანტიპოდად განიხილება, მაგრამ ამ დამკვიდრებულ სტერეოტიპს სერიოზული რევიზია სჭირდება სწორედ მორწმუნე, მართლ-



**ლევან ვასაძის გარეგნულად მონარქისტული მიდგომა, რომელიც სინამდვილეში ლიბერალურ სიყალბეს ემთხვევა, აცდენილია რეალობას. ამის გათვალისწინება აუცილებელია, თუკი სწორი დასკვნების გაკეთება სურს ბატონ ვასაძეს**

მადიდებელი საზოგადოების მხრიდან. **კომუნიზმი, მიუხედავად ოფიციალურად დეკლარირებული ათეიზმისა, თავისი არსით გაცილებით ახლოს დგას ქრისტიანობასთან, ქრისტიანულ მორალსა და ეთიკასთან, ვიდრე ფაშიზმი ან ლიბერალიზმი.** საბჭოთა კავშირის მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ **კომუნისტური იდეოლოგია ბიბლიურ მორალს ქადაგებდა და ქრისტიანულ ეთიკას ნერგავდა საზოგადოებაში, უპირისპირდებოდა რა მომხვეჭელობას, თვითგანდიდებას, ანგარებას, სექსუალურ აღვირახსნილობას; საბჭოთა სახელმწიფო ხელს უწყობდა სწორედ იმ ფასეულობების დანერგვას, რომლებიც ბატონ ვასაძეს ასე აწუხებს (და სამართლიანად აწუხებს) — ოჯახის სიმტკიცეს, მრავალშვილიანობას, ბავშვების ჯანსაღ აღზრდას მორალურად და ფიზიკურად... „კლასობრივი ბრძოლა“ კი საბჭოთა კავშირში 30-იანი წლების ბოლოს რეპრესიებთან ერთად ჩაბარდა წარსულს, ისევე, როგორც „კომუნისტური ინტერნაციონალი“.**

აშკარაა, რომ საქმე გვაქვს პარადოქსთან — **კომუნისტური, ათეისტური იდეოლოგიის მქონე სახელმწიფოს ეთიკა უფრო ახლოს იდგა ქრისტიანობასთან, ვიდრე ოკულტისტური ფაშიზმი და „რელიგიის თავისუფლების“ მომხრე ლიბერალიზმი.** კომუნისტები დიდწილად იზიარებდნენ ღვთის მიერ ადამიანისთვის დადგენილ კანონებს, ოღონდ ღვთის გარეშე. სწორედ ამიტომ გაუფასურდა კომუნისტური იდეოლოგია, რაღაც ეტაპზე იგი უკვე მომაბეზრებელი და სასაცილოც გახდა, მისი კრახი გარდაუვალი აღმოჩნდა, მაგრამ კომუნისტების დანატოვარი არ არის ხელწამოსაკრავი, ყოველ შემთხვევაში, ნუ გავამარტივებთ ისტორიას. როგორც **ალექსანდრე დუგინი** წერს თავის ნაშრომში **„Русская вещь“,** ადამიანს გიჩნდება სურვილი, „ბოლშევიკებს თან გადაეხვიო და თან დახვრიტო“.

კომუნისტურმა იდეოლოგიამ განიცადა ევოლუცია, ფაშიზმი, ნაციზმი კი (ლიბერალიზმი ცალკე სადისკუსიო თემაა) ისეთი იდეოლოგიაა თავისი ბუნებით, რომ ევოლუციას არ ექვემდებარება. **ნაციზმის იდეური ქვაკუთხედი სოციალ-დარვინიზმია: თუ არ ხარ იმ რასის წარმომადგენელი, რომელიც უნდა მართავდეს დედამიწას, მაშინ ან ამ „მაღალი რასის“ მსახური უნდა გახდე, ან სრულ განადგურებას ექვემდებარები... განა ეს არ არის ფაშისტური იდეოლოგიების ძირეული განსხვავება კომუნიზმისგან?**

ფაქტია და ამაში ყველა ავტორიტეტული მკვლევარი თანხმდება, რომ **სტალინმა იმთავითვე უარი თქვა მსოფლიოსთვის კომუნიზმის თავს მოხვევის გიჟურ იდეაზე და რუსეთს გეოპოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე მართავდა, როგორც მისი წინამორბედი იმპერატორები.** განსხვავებით ბოლო იმპერატორისგან, სტალინის გეოპოლიტიკა წარმატებული აღმოჩნდა და საბჭოთა რუსეთი, სხვა რესპუბლიკებთან ერთად, არნახულ დონეზე აიყვანა. სტალინი ჰიტლერისგან იმითაც განსხვავდებოდა, რომ იგი იყო რაციონალურად მოაზროვნე მმართველი, სტრატეგი და არა ოკულტისტი და ეზოთერიკოსი. ამიტომ ლევან ვასაძის გარეგნულად მონარქისტული მიდგომა, რომელიც სინამდვილეში ლიბერალურ სიყალბეს ემთხვევა, აცდენილია რეალობას. ამის გათვალისწინება აუცილებელია, თუკი სწორი დასკვნების გაკეთება სურს ბატონ ვასაძეს.

## ნაციზმის დამარცხება საბჭოთა კავშირის მიერ – კათარზისი და არა ფარულად დაწერილი სცენარის განხორციელება

ბატონ ვასაძეს მიაჩნია, რომ ფაშიზმიც, კომუნიზმიც და ლიბერალიზმიც ერთი სცენარის მიხედვით დაიგეგმა; ყოველ შემთხვევაში, იგი აღნიშნავს, რომ ჯერ ლიბერალიზმი შეიქმნა, შემდეგ ბოლშევიზმი დამკვიდრდა რუსეთში და ბოლოს ფაშიზმი განხორციელდა პრაქტიკაში. მავანთა სურვილით, ჯერ ფაშიზმი დამარცხდა, შემდეგ — კომუნიზმი. ახლა ჯერი ლიბერალიზმზეა — ამჯერად ჩანაფიქრის ავტორთა სურვილის საწინააღმდეგოდ. მაგრამ ფაშიზმისა და კომუნიზმის დამარცხება ამ „მავანთა“ სურვილი ყოფილა, რათა გადაერჩინათ ლიბერალიზმი — ამას თვითონ ლევან ვასაძე ამბობს აღნიშნულ ინტერვიუში (დაინტერესებულმა მკითხველმა მოისმინოს ინტერვიუ 46-ე წუთიდან, შემდეგ კი, განსაკუთრებით, — 56-ე წუთიდან).

გამოდის, ბატონ ლევანს სჯერა „შეთქმულების თეორიისა“. ამაში ცუდი თავისთავად არაფერია. ეს ტერმინიც — **„შეთქმულების თეორია“** — ლიბერალიზმის პროდუქტია, მაგრამ სიმართლის დასადგენად მთავარია, ეს ხედვა მეცნიერული იყოს. **კონსპიროლოგია ავტომატურად არ გამორიცხავს მეცნიერულ მიდგომას, თუკი „კონსპიროლოგი“ მკვლევარი მეთოდურად სწორად ოპერირებს ემპირიული ფაქტებით, მაგრამ რომელ ფაქტებზე შეიძლება ვისაუბროთ ამ შემთხვევაში?** რა თქმა უნდა, **ისტორიული მეცნიერებები ვერ აღიქვამს სქემას, რომელსაც გვთავაზობს ბატონი ვასაძე: მის მიერ აღნიშნული მოვლენები, ქრონოლოგიურად დალაგებული ფაქტები ერთმანეთთან არანაირ მიზეზ-შედეგობრიობას არ ავლენს.** ყოველ შემთხვევაში, ძნელია, სერიოზულად იკამათო, არსებობს თუ არა რაიმე ცენტრი, რომელსაც მრავალი ათწლეულის განმავლობაში ხელეწიფებოდა, ჯერ შეექმნა იდეოლოგიები, შემდეგ თავს მოეხვია ამა თუ იმ ერისა და სახელმწიფოსთვის, ბოლოს კი თვითგანადგურებისკენ ებიძგა მათთვის. ეს იგივეა ისტორიკოსისთვის, რაც გეოლოგისთვის იმის წარმოდგენა, რომ ინდონეზიაში ვულკან გალუნგუნგის ამოფრქვევა დაკავშირებულია დასავლეთ ციმბირში ახალი ნავთობსაბადოების აღმოჩენასთან და ეს ყოველივე გრენლანდიიდან რეგულირდება. **არ არსებობს და ვერ იარსებებს ასეთი მასშტაბის ცენტრი, რომელიც განსაზღვრავს, რომელი იდეოლოგია როდის გაბატონდება რომელიმე კონკრეტულ ქვეყანაში, შემდეგ როგორ განვითარდება იგი და როდის და რა გზით დამარცხდება.**

თეზისი, რომ ბოლშევიკებსა და „ჟიდომასონებს“ რუსეთის დაღუპვა სწადდათ და ბოლშევიკური რევოლუცია რუსეთის დასჯა იყო, ცნობილია. ამ თეზისს ამყარებს თუნდაც **კარლ მარქსისა** და **ფრიდრის ენგელსის** ანტისლავური, ანტირუსული, პირდაპირ რასისტული გამონათქვამები (მათი საგაზეთო პუბლიკაციები და პირადი მიმოწერა 1848-49 და 1853-57 წლებში, იხ.: Н. Ульянов: Замолчанный Маркс. Франкфурт-на-Майне, 1969). ბოლშევიკების მიერ რუსეთში ეკლესიების ნგრევა, სასულიერო პირების დახოცვა და ბევრი სხვა საშინელი ფაქტი ამ მოსაზრებებს თითქოს ამყარებს კიდეც, მაგრამ ვიმეორებ: მიზეზ-შედეგობრიობა ფაქტებისა სხვა კატეგორიაა, მას მეცნიერული ანალიზის გზით, სხვა ფაქტებზე დაყრდნობით, დამტკიცება სჭირდება. მაგრამ **ლევან ვასაძე რუსული რევოლუციის ფარგლებს შორს სცდება, იგი მიიჩნევს, რომ გარკვეული ძალები უწყვეტად მართავდნენ პროცესებს, მათ შექმნეს სამი იდეოლოგია, გაავრცელეს და შემდეგ ორი მათგანი მესამის სასარგებლოდ დაამარცხეს. ეს თვალსაზრისი, როგორც აღვნიშნეთ, ზემძლავრი ცენტრის** ▶

# ბატონი ვასაძე, ლიბერალიზმის მძაფრი და სამართლიანი კრიტიკის მიუხედავად, თვითონ ხდება ლიბერალური პარადიგმის ტყვე, როდესაც ტოლობის ნიშანს სვამს ფაშიზმსა და კომუნიზმს შორის.

პოზიცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ლევან ვასაძე ერთგვარად ბღალავს დიდი სამამულო ომის ადგილსა და მნიშვნელობას ჩვენს ისტორიაში, რომელიც წმიდათაწმიდაა ყველა ნორმალური რუსის, ქართველის, ოსის, ბელარუსის თუ ბაშკირისთვის... როდესაც ბატონი ლევანი ამტკიცებს, რომ რაღაც ძალებმა ფაშიზმს წააგებინეს, ეს ამ კათარზისის უარყოფას, წმინდა ომის შებღალვას ნიშნავს. არა, ბატონებო, არავინ არ «წააგებინა» ფაშიზმს. ნაცისტური გერმანია და მისი სატელიტი ფაშისტური რეჟიმები უდიდესი სისხლის ფასად დაამარცხეს საბჭოთა კავშირში შემავალმა ერებმა**

**◀ არსებობას გულისხმობს, რაც ყველა არგუმენტს მოკლებულია.** ამგვარი არამეცნიერული კონსპიროლოგია ნამდვილად ვერ გამოგვადგება საქართველოს ადგილისა და როლის გასააზრებლად თანამედროვე მსოფლიოში.

მეტიც, მისდა უნებურად, **ლევან ვასაძე ერთგვარად ბღალავს დიდი სამამულო ომის ადგილსა და მნიშვნელობას ჩვენს ისტორიაში, რომელიც წმიდათაწმიდაა ყველა ნორმალური რუსის, ქართველის, ოსის, ბელარუსის თუ ბაშკირისთვის... როდესაც ბატონი ლევანი ამტკიცებს, რომ რაღაც ძალებმა ფაშიზმს წააგებინეს, ეს ამ კათარზისის უარყოფას, წმიდა ომის შებღალვას ნიშნავს. არა, ბატონებო, არავინ არ „წააგებინა" ფაშიზმს. ნაცისტური გერმანია და მისი სატელიტი ფაშისტური რეჟიმები უდიდესი სისხლის ფასად დაამარცხეს საბჭოთა კავშირში შემავალმა ერებმა.** ეს ისეთი მძიმე და საშინელი ომი იყო, რომ წინასწარ ვერც ერთი „განდობილი მასონი" ვერ განჭვრეტდა მის შედეგს. **დიახ, ცნობილია, რომ სწორედ დასავლეთის „დემოკრატიები" აქეზებდნენ ნაცისტებს, „დაერტყათ" საბჭოთა კავშირისთვის, მაგრამ ეს იყო მათი გეოპოლიტიკური ინტერესებით განპირობებული და არა იმით, რომ კომუნიზმს ფაშიზმი დაემარცხებინა, 45 წლის შემდეგ კი თვითონ კომუნიზმი დამარცხებულიყო ევროპაში „ხავერდოვანი რევოლუციების" გზით, და ეს ყველაფერი იმისათვის, რომ ლიბერალიზმი გადარჩენილიყო...** აბსურდამდე მივდივართ.

## მთავარი თემა: აფხაზები, ოსები და რუსები

**კატეგორიულად მიუღებელია ის ზერელე დამოკიდებულება, რომელიც ბატონ ვასაძეს, ჩვენი საზოგადოების არცთუ ცოტა თვალსაჩინო წარმომადგენლის მსგავსად, აქვს აფხაზებისა და ოსების მიმართ. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ეს ხალხები არიან ბავშვივით მიამიტნი, რომლებსაც ყალბი ღიმილითა და „კანფეტით" მოხიბლავ.**

დავუშვათ და, აფხაზები და ოსები დავაინტერესეთ და მოგვისმინეს (რომლისგანაც ჯერ ძალზე შორს ვართ) — რას ვთავაზობთ მათ? მხოლოდ იმას, რასაც ბატონი ვასაძე ბრძანებს? ანუ იმას, რომ „ეს ეთნიკური, ნატურალური, ნამდვილი უმცირესობები" არ გაქრებიან ჩვენს ხელში, „არ დავჩაგრავთ" მათ და „გულში ჩავიხუტებთ"? თანაც, ამას ისე ამბობს, რომ რუსეთს ავალდებულებს, „დაგვიბრუნოს" ტერიტორიები. სამაჩაბლო თურმე პოდმოსკოვიეს ხიმკის ოდენა ყოფილა და „რა გახდა, ბიძია", დაგვიბრუნე ეს ჩვენი პატარა ტერიტორიაო, — აღნიშნავს პიროვნება, რომელსაც ქართველ საზოგადოებაში დაბალი რეიტინგი არ აქვს და ბევრისთვის იმედის მომცემი მოღვაწეა.



ინტერვიუში ამაოდ ველოდი ყოფილი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის თემაზე სიღრმისეულ მსჯელობას, ჩვენი უბედურების სათავეების ანალიზს, ბოლოს და ბოლოს, იმის აღნიშვნას მაინც, რომ სააკაშვილის რეჟიმმა ჩაიდინა მიუტევებელი დანაშაული, როდესაც წამოიწყო 2008 წლის ომი... არა და არა! **ბატონი ვასაძე ჯიუტად აბრალებს რუსეთს უინიციატივობას, სიჯიუტეს, რომ თურმე რუსეთი „არ გვიბრუნებს" ტერიტორიებს, ანუ გამოდის, რომ ბატონ ლევანს არც აინტერესებს აფხაზებისა და ოსების აზრი, არ აინტერესებს მათთან დიალოგი, ნდობის ჩამოყალიბება, რასაც, რა თქმა უნდა, ჯერ რუსეთთან ურთიერთობების მოგვარება სჭირდება.** საქართველომ რუსეთთან მაქსიმალურად გამჭვირვალე პოლიტიკა უნდა აწარმოოს აფხაზეთისა და ცხინვალის კონტექსტში, ვინაიდან კულუარული მოლაპარაკებები მათ ეჭვებსა და უკუერეაქციას გამოიწვევს. ესეც არ იყოს, **რუსეთიც არ დათანხმდება მოლაპარაკების ისეთ მოდელზე, რომელიც გამორიცხავს აფხაზებისა და ოსების მონაწილეობას. ჯერ რუსეთთან უნდა დალაგდეს ურთიერთობები, რუსეთში უნდა ჩამოყალიბდეს ნდობა საქართველოს პოლიტიკის მიმართ და მხოლოდ შემდეგ იქნება შესაძლებელი რუსეთისგან სამშვიდობო ინიციატივები, მხოლოდ შემდეგ შეიძლება დასხდნენ მოლაპარაკების მაგიდასთან აფხაზები და ოსები. მანამდე ეს გამორიცხულია.** ამჟამად რუსეთს ძველებურად, როგორც ელცინის პერიოდში, ხელს აძლევს მხოლოდ გაყინვა კონფლიქტებისა. რუსეთი, გამომდინარე იქიდან, რომ საქართველო აწარმოებს რადიკალურ პოლიტიკას ნატოში შესვლის მიზნით, არ არის მზად, წამოაყენოს კონკრეტული ინიციატივები ტერიტორიული საკითხების დასარეგულირებლად.

**ნუთუ ეს ასე რთული გასაგებია? რა შუაშია ხიმკი? რატომ ვასხამთ ცეცხლზე ნავთს? განა ასეთი შედარებები ოსებს მოეწონებათ? ან, საერთოდ, ვის უნდა ელაპარაკოს რუსეთი? — დღევანდელ მთავრობას, რომელსაც არ სურს და არ ძალუძს დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა ისევ და ისევ საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე?** დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა, როდესაც ეს შესაბამის ოფიციალურ დოკუმენტებშია აღწერილი, არ ნიშნავს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებას, პირიქით — გარკვეული ზემოქმედების ბერკეტების მოპოვებას ნიშნავს საქართველოსთვის. **სეპარატისტულ ძალებს ეშინიათ მხოლოდ საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთგაგებისა და ვითარების დალაგებისა, მათ არ ეშინიათ ნატოსკენ კურსაღებული საქართველოსი, რადგან იციან, რომ მათ რუსეთი გარანტირებულად დაიცავს ამ შემთხვევაში.** მაგრამ ქართულ-რუსულ დიალოგს შეუძლია გაალღოს უნდობლობა და აფხაზები და ოსები დაიყოლიოს მოლაპარაკებებზე, ეს კი სეპარატისტულ ძალებს ხელს არ აძლევთ.

აი, ეს უნდა თქმულიყო მოცემულ თემაზე და არა კიდევ ერთი აბსურდი: თითქოს რუსეთმა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებით კოსოვოს გამო „იძია შური". აბსურდია ეს იმიტომ, რომ **კოსოვოს დამოუკიდებლობა დასავლეთის ძირითადმა ქვეყნებმა 2002 წლის დასაწყისში აღიარეს. 2002-დან 2008 წლის აგვისტოს ომის დამთავრებამდე რუსეთს არ უღიარებია სოხუმისა და ცხინვალის დამოუკიდებლობა — განა ეს არ იცის ბატონმა ვასაძემ? მაშ, რატომ ლაპარაკობს აბსურდს?** დღეს წვრილფეხა „ნაციონალმაც" კი იცის (უბრალოდ, არ ამბობს), რომ რუსეთს სულაც არ აძლევდა ხელს ამ ტერიტორიების „დამოუკიდებლად" აღიარება და ამისკენ მას უბიძგა ამერიკელების დავალებით სააკაშვილის მიერ გაჩაღებულმა ომმა. სხვაგვარად რუსეთს არ რჩებოდა იურიდიული საფუძველი, დაეტოვებინა ჯარები აფხაზეთსა და სამაჩაბლოში, რომ არ ეღიარებინა ეს ტერიტორიები და ამ გზით გაეროს წესდების დარღვევა აეცილებინა თავიდან. ეს არ არის რუსეთის გამართლება, ეს არის ფაქტი. პოლიტიკა **დიმიტრი მედვედევისა,** რომელიც 2008 წლის აგვისტოში რუსეთის პრეზიდენტი იყო, არც მე მხიბლავს, მაგრამ ხომ უნდა დავინახოთ სიმართლე, რომელიც ასეთია: **2008 წლის 26 აგვისტოს, როდესაც მედვედევმა გამოაცხადა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის „დამოუკიდებლობა", მან განცხადების ტექსტი წაიკითხა, რომელშიც აღნიშნულია, რომ რუსეთისთვის ეს იყო „მძიმე გადაწყვეტილება".** დიახ, რუსეთისთვის არ ყოფილა სანუკვარი ოცნება ამ ტერიტორიების აღიარება, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა გახდა მძევალი მანიაკი **სააკაშვილისა,** რომელმაც გაწირა ქვეყნის ერთიანობა და მერე გაიძახოდა, რა მოხდა, „რამდენიმე სოფელი" დავკარგეთ, სამაგიეროდ, მსოფლიოს ვაჩვენეთ რუსეთის სახეო(!).

ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ბატონი ვასაძის კრიტიკა და ანალიზი სანახევროა, არასრული, ამიტომ პრაქტიკაში ნაკლებად გამოსადეგი. თუკი ბატონი ლევანი ოდესმე გახდება მოლაპარაკების პროცესების მონაწილე, მას ამ საუბარს აფხაზი და ოსი ოპონენტები შეახსენებენ. ბატონმა ლევანმა ბრძანა: „სიტყვას ძალა აქვს".

მართლაც აქვს!

მაგრამ, მეორე მხრივ, საქმეს კიდევ უფრო მეტი ძალა აქვს — ილიასეული „სიტყვა, საქმით მეტყველი". **1999 წლიდან მოყოლებული, როდესაც დასავლურმა კოალიციამ ნატოს საშუალებით იუგოსლავია გაანადგურა, სიტყვითა და საქმით ვეწინააღმდეგები საქართველოს მცდარ, დასავლეთზე ერთმნიშვნელოვნად ორიენტირებულ კურსს და მხარს ვუჭერ ბალანსის პოლიტიკას, რომელიც საქართველოს ტრადიციული გეოპოლიტიკური არჩევნიდან გამომდინარეობს და ეს არჩევანი სათავეს XVI—XVII საუკუნეებში იღებს.** მრავალი პუბლიკაცია და გამოსვლა, საერთაშორისო კონფერენცია თუ მრგვალი მაგიდა მივუძღვენი ამ თემას, ქუჩის აქციებიც კი მოვაწყვე კოლეგებთან ერთად. ამ 17 წლის განმავლობაში ეს არ იყო იოლი საქმე, მაგრამ **დღეს დასავლური კურსისადმი სკეპტიციზმი ისე დიდია საზოგადოებაში და ისე ძლიერია რუსეთთან მეგობრული ურთიერთობების აღდგენის სურვილი, რომ ეს ლოზუნგები რიგმა პოლიტიკურმა პარტიებმა და არა ერთმა მოღვაწემ დაიწერეს თავიანთ დროშაზე საპარლამენტო არჩევნების წინ.** ეს ნიშნავს, რომ ამდენი წლის განმავლობაში სწორ პოზიციას ვიცავდი და ამის მოხარული ვარ, მაგრამ საბოლოო გამარჯვება ჯერ არც ისე ახლოსაა. უფრო **სავარაუდოა ჩვენი ქვეყნის სრული კრახი იმ ფონზე, როდესაც ხსენებული პოლიტიკოსები საერთო ენას ვერ პოულობენ,** ერთმანეთს „ძირავენ" და ხმებს ართმევენ, ნაცვლად ერთიანი ფრონტით მოქმედებისა. ამიტომ აუცილებელია, ისევ საზოგადოებრივმა სექტორმა შეუწყოს ხელი საზოგადოების სიფხიზლეს და „საჭირო ტემპერატურის" შენარჩუნებას. **ამ საქმეში ლევან ვასაძეს შეუძლია თავის გამოჩენა, მაგრამ იგი რატომღაც ფრთხილობს და მხოლოდ წაუგებელ თამაშს თამაშობს — „ოჯახური ფასეულობები", „არა ლგბტ"-ს და მსგავსი თემები, რომლებიც აპრიორი მისაღებია მოსახლეობის 99 პროცენტისთვის,** მაგრამ რას ვაკეთებთ ქართულ-რუსული ურთიერთობებისთვის? მოსკოვში ვიზიტისას კერძო საუბრებს ვმართავთ ნაცნობმეგობარ რუს პატრიოტებთან? — ეს არ არის საკმარისი. მოკრძალებული მატერიალური შესაძლებლობის მქონე ჩვენმა ორგანიზაციამ არაერთი შეხვედრა გამართა შიდა ქართლის მოსახლეობასთან, მოისმინა და გაავრცელა კონფლიქტის ზონაში მცხოვრები ადამიანების აზრი ქართულ-რუსულ ურთიერთობებზე, ზოგან ჰუმანიტარული ტვირთიც ჩაიტანა; იგივე გააკეთა სხვა რეგიონებშიც — აჭარაში შეაკეთა საძმო სასაფლაო და პატივი მიაგო ოსმალეთთან ომში დახოცილ რუს ჯარისკაცებს, რომლებიც აჭარის გათავისუფლებას შეეწირნენ 1878 წელს. უნდა გენახათ ადგილობრივი მოსახლეობის აქტიურობა ამ საქმეში...

ეს, რაც ჩამოვთვალე, მხოლოდ ძალზე მცირე ნაწილია იმ საქმიანობისა, რომელიც ჩემ მიერ დაარსებულმა „ევრაზიის ინსტიტუტმა" შეძლო. **გაცილებით მეტი შეუძლიათ ბატონ ვასაძესა და იმ პოლიტიკურ თუ საზოგადო მოღვაწეებს, რომლებიც ბოლო დროს გააქტიურდნენ ქართულ-რუსული ურთიერთობების მიმართულებით, სააკაშვილის რეჟიმის პერიოდში კი, ჩემგან განსხვავებით, მათი ხმა არ ისმოდა** (იმხანად ზოგი ნატოში შესვლას გვპირდებოდა). კარგი იქნება, ბატონებო, ჩემ მიერ ნახსენებ საძმო სასაფლაოზე, ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბანში, ყვავილების თაიგულს თუ მიიტანთ და იქ მისცემთ სიტყვას ქართველ ხალხს, რომ აღებული გზიდან არ გადაუხვევთ. **ახლოსაა 25 აგვისტო, რომელსაც აჭარის ინტელიგენცია აღნიშნავს აჭარის გათავისუფლების დღედ, მაგრამ მათ ამაში ხელს უშლის ადგილობრივი ხელისუფლება — არიქა, თურქებს არ ეწყინოთო! ჩაბრძანდით 25 აგვისტოს ბათუმში და მიდით აჭარის ინტელიგენციის წარმომადგენლებთან, დაუდექით გვერდით და ერთხმად ბრძანეთ, რომ აჭარა იყო და იქნება საქართველო!**

ოჯახური ფასეულობები ყველაფრის ამოსავალი წერტილია, მაგრამ, რადგან პოლიტიკაზე ვსაუბრობთ, პროფესიონალური მიდგომა აუცილებელია.

**გულბაათ რცხილაძე**

პარა ბელუმ!
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თავის მიღწევებს სამხედრო და კომერციულ კოსმოსურ სფეროში ამერიკა თანამგზავრულ ტექნიკასა და ტექნოლოგიებს უნდა უმადლოდეს. დღეს კი ვხედავთ, რომ მისი მოწინააღმდეგეები მუშაობენ ისეთი სამხედრო ტექნიკის შექმნაზე, რომელმაც შეიძლება აშშ-ს ყველა ისტორიული უპირატესობა დააკარგვინოს.**

# ომი კოსმოსში ფანტასტიკა აღარ არის

**ის, რაც ადრე სამეცნიერო ფანტასტიკის სფეროს განეკუთვნებოდა, დღეს რეალობაა და ამერიკა ამ რეალობაში უკვე აგებს. ბოლო რამდენიმე ათეული წელია, კოსმოსში ომის იდეა დრამატულად ვითარდება. თუკი ადრე კოსმოსური ომები TIE-გამანადგურებლებითა და X-ფრთებით ფანტასტიკის სფეროს განეკუთვნებოდა, ახლა რეალობად იქცა. მაღალი ტექნოლოგიების ეპოქაში თანამგზავრები და ორბიტული სამხედრო ობიექტები უმნიშვნელოვანესი როლის შესრულებას იწყებენ გეოპოლიტიკაში.**

სფეროს, სადაც ადრე აშშ ბატონობდა, დღეს საფრთხე დაემუქრა. ამა თუ იმ უცხო სახელმწიფოს მიერ კოსმოსში გაშვებული თითოეული თანამგზავრის შემდეგ აშშ-ის თავდაცვაში ახალი ნახვრეტი ჩნდება. დღეს კოსმოსი ღიაა რიგი ძლიერი სახელმწიფოებისთვის, რომლებსაც სურთ, ის სამხედრო უპირატესობისთვის შესაქმნელად გამოიყენონ. ღამით ცაზე უხილავი ომის ველი ყალიბდება.

## კოსმოსური ჯარები

სამხედრო უპირატესობის შესანარჩუნებლად ამერიკის შეერთებული შტატები კოსმოსური კონფლიქტებისთვის მზადების მეთოდებს ცვლის. **ამოქმედდა საფრთხეების აღმოცენების საწინააღმდეგო ახალი პროგრამა, სახელწოდებით SPACE MISSION FORCE. ამ პროგრამის მიზანია მომზადება თანამგზავრების ოპერატორებისა, რომლებსაც უნდა შეეძლოთ მოქმედება კოსმოსური კონფლიქტის პირობებში. კოსმოსური კონფლიქტის კონცეფცია კი იცვლება. მომზადების 6-თვიან ინტენსიურ კურსებში გათვალისწინებულია ისეთი საგნები, როგორიცაა ტაქტიკა და მუქარებზე რეაგირება, ამის შემდეგ კი იწყება ახალი 6-თვიანი კურსი მიღებული ცოდნის პრაქტიკულად გამოსაყენებლად.** პროგრამა გასულ წელს შეიმუშავეს, მისი არსი კი ახლახან გამოქვეყნდა 8-გვერდიან ოფიციალურ დოკუმენტში სახელწოდებით „Space mission Force: ხვალინდელი დღის კოსმოსური ჯარების მომზადება“.

ამ პროგრამის ავტორი, აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების სარდალი, გენერალი **ჯონ ჰაიტენი** მიუთითებს, რომ აშშ-მა კოსმოსური ჯარები უნდა შექმნას არა ხვალინდელი, არამედ დღევანდელი დღისთვის. ამერიკის მტრები შეუპოვრად ცდილობენ მის დაწევას და გადასწრებას სამხედრო-კოსმოსურ რბოლაში. კერძოდ, რუსეთი და ჩინეთი მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენენ ნებისმიერ სავარაუდო კონფლიქტში.

თავის მოხსენებაში ჰაიტენი აშშ-ის მთავრობას აფრთხილებს: **„თუ ჩვენ სწრაფად არ განვახორციელებთ რეფორმებს, დავკარგავთ უპირატესობას კოსმოსში და აღარ გვექნება შესაძლებლობა, წარმატებით დავუპირისპირდეთ მოწინააღმდეგეს ყველა სფეროში“.**

## ჩინური საფრთხე

24 ივლისს ჩინეთმა გაავრცელა თანამგზავრის გამოჭერისა და ხელში ჩაგდების ვიდეოკადრები. ამ ქვეყანამ 2010 წელს გამოსცადა ბალისტიკური რაკეტა, რომელმაც ორბიტული თანამგზავრი გაანადგურა. მეორე გამოცდა 2013 წელს ჩატარდა.

**ჩინეთი თანამგზავრების საწინააღმდეგო იარაღს „კოზირის ტუზს“ უწოდებს ვაშინგტონის წინააღმდეგ. მიზეზი გასაგებია. განადგურების საფრთხე ემუქრება ამერიკის არა მხოლოდ ჯაშუშურ ტექნიკას. ის გაცილებით სერიოზულია — კოსმოსში ჩინეთის შესაძლებლობები კოსმოსური ბაზირების მთელ ინფრასტრუქტურას უქმნის საფრთხეს და ცვლის მსოფლიოს.**



კაცობრიობა დამოკიდებულია თანამგზავრულ ტექნიკაზე: ეს არის რადიო, ტელეფონი, ტელევიზია, სანავიგაციო ხელსაწყოები, რომლებიც თვითმფრინავებს, საზღვაო ხომალდებს, მანქანებს მიუთითებს, სად იმყოფება; დაზვერვისა და ჯაშუშობის საშუალებები, აგრეთვე, კვლევები და ასტრონომია, რომლებიც საშუალებას გვაძლევს, ვიმზიროთ არა მხოლოდ შიგნით, არამედ გარეთაც. კიდევ არის მეტეოროლოგიური დაკვირვების საშუალებები, რომლებიც, მაგალითად, თვითმფრინავის პილოტს მიუთითებს, როგორ, რა მიმართულებით იფრინოს და ა.შ. ეს ყველაფერი უდიდეს როლს თამაშობს მსოფლიოს ყველა ქვეყნის ყოველდღიურ ცხოვრებაში. და, თუ ამ ყველაფერს წაართმევენ ადამიანს, ყველაზე მეტად ამერიკა დაზარალდება.

**თავის მიღწევებს სამხედრო და კომერციულ კოსმოსურ სფეროში ამერიკა თანამგზავრულ ტექნიკასა და ტექნოლოგიებს უნდა უმადლოდეს. დღეს კი ვხედავთ, რომ მისი მოწინააღმდეგეები მუშაობენ ისეთი სამხედრო ტექნიკის შექმნაზე, რომელმაც შეიძლება აშშ-ს ყველა ისტორიული უპირატესობა დააკარგვინოს.**

როგორ შეიძლება უპასუხოს აშშ-მა თავდასხმას?

თუკი რომელიმე ქვეყანა გაანადგურებს აშშ-ის ყველა თანამგზავრს, აშშ ველარ შეძლებს საპასუხო დარტყმას. GPS-ით დამიზნება და მართული ბომბები ეხმარება აშშ-ს, თავიდან აიცილოს თანმდევი ზიანი და აძლევს მას უპირატესობას. მაგრამ აქ ჩნდება თავისი ხასიათით უნიკალური დამოკიდებულება. წაართვით ნებისმიერ სხვა ქვეყანას კოსმოსი და ეს მისთვის მხოლოდ უმნიშვნელო დისკომფორტი იქნება, მაგრამ, თუ კოსმოსურ სივრცეს ვერ გამოიყენებს ამერიკა, მისი ბრძოლის მეთოდები უშედეგო აღმოჩნდება.

**ამერიკას უნდა აშფოთებდეს ჩინეთის მიღწევები იმიტომ, რომ ბევრ რამეს დაკარგავს, თუ კოსმოსური რბოლა მხოლოდ ორ სახელმწიფოს შორის გაიმართება. ჩინეთის ცდები თანამგზავრების განადგურების სფეროში აშკარა საფრთხეა აშშ-ისთვის.**

კიდევ უფრო მეტ შეშფოთებას უნდა იწვევდეს ის, რომ ჩინეთი მარტო არ არის.

## რუსეთის წარმატებები

ამას დამტკიცება სჭირდება, მაგრამ რუსეთს შეიძლება ვუწოდოთ კოსმოსური სახელმწიფო ნომერი ორი.

**თუ ჩინურმა დრაკონმა ახლახან შექმნა რაკეტა, რომელსაც შეუძლია ამერიკულით თანამგზავრის განადგურება შორეულ ორბიტაზე, ეს რუსული დათვისთვის კარგა ხნის წინათ იყო შესაძლებელი.**

**ამჟამად დედამიწის ახლო და შორ ორბიტებზე რუსეთის სამხედრო და ორმაგი დანიშნულების 75 თანამგზავრია. მასვე აქვს ამერიკული ჯაშუშითანამგზავრის აღმოჩენის საშუალებები. რუსეთი ფლობს თვალთვალსა და დევნის თანამედროვე საშუალებებს, რომლებიც საფრთხეს წარმოადგენენ ამერიკელი ე.წ. უხილავი ჯაშუში-თანამგზავრებისთვის. ალტაის ოპტიკურ-ლაზერული ცენტრის განცხადებით, მას შეუძლია 40%-ით მეტი ობიექტის მიღება და თვალთვალი, ვიდრე ამერიკულ მონაცემთა ბაზაშია მოხსენიებული.**



**დღეს ორბიტაზე იმყოფება დაახლოებით 1380 თანამგზავრი. არსებული მონაცემებით, მათგან 149 ამერიკული თანამგზავრია — სამხედრო და ორმაგი დანიშნულების. რუსეთს 75 თანამგზავრი ჰყავს, ჩინეთს — 35, ისრაელს — 9, საფრანგეთს — 8, ბრიტანეთსა და გერმანიას თითოეულს — 7. თუ კომერციულ თანამგზავრებსა და დაახლოებით 500 ათას კოსმოსური ნაგვის ნამსხვრევს გავითვალისწინებთ, აშკარაა, რომ ორბიტაზე სიმჭიდროვეა.**

რუსული გაზეთი „იზვესტია“ იუწყებოდა, რომ მოსკოვი გეგმავს ინფორმაციის გამოქვეყნებას ამერიკულ სადაზვერვო თანამგზავრებზე. ასეთ შემთხვევაში უმნიშვნელოვანესი ინფორმაცია ხელში ჩაუვარდება ჩინელებს, ეს კი კიდევ უფრო შეასუსტებს აშშ-ის უსაფრთხოებას კოსმოსში და დედამიწაზე. ვაშინგტონმა უკვე გამოაქვეყნა ინფორმაცია რუსულ თანამგზავრებზე, და ახლა კრემლი დარტყმას დარტყმით პასუხობს, რომელსაც შეიძლება კატასტროფული შედეგი მოჰყვეს.

ალტაის ცენტრმა უკვე გამოაქვეყნა ამერიკის რადიოსალოკაციო დაზვერვის — „ლაკროსის“ — თანამგზავრების გამოსახულებები. მალე, ალბათ, ახალ ფოტოებსაც ვიხილავთ.

ტექნიკისა და ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად სულ უფრო იოლია თანამგზავრების აღმოჩენა. მაგალითად, აშშ-ის უახლესი ჯაშუში — თანამგზავრი გაშვებიდან სამი დღის შემდეგ აღმოაჩინა ავსტრალიელმა დამკვირვებელმა. ამ აღმოჩენის შესახებ მან დაწერა თავის ბლოგში, რომლის წაკითხვაც ყველას შეუძლია.



## კოსმოსურ სახლში სიმჭიდროვეა

დღეს ორბიტაზე იმყოფება დაახლოებით 1380 თანამგზავრი. არსებული მონაცემებით, მათგან 149 ამერიკული თანამგზავრია — სამხედრო და ორმაგი დანიშნულების. რუსეთს 75 თანამგზავრი ჰყავს, ჩინეთს — 35, ისრაელს — 9, საფრანგეთს — 8, ბრიტანეთსა და გერმანიას თითოეულს — 7. თუ კომერციულ თანამგზავრებსა და დაახლოებით 500 ათას კოსმოსური ნაგვის ნამსხვრევს გავითვალისწინებთ, აშკარაა, რომ ორბიტაზე სიმჭიდროვეა. უზარმაზარი რაოდენობა ნაგვისა, რომელიც დიდი სიჩქარით მოძრაობს, და სამხედრო ინფრასტრუქტურის ობიექტები კესლერის სინდრომის პროვოცირების საფრთხეს ქმნის. მეცნიერი **დონალდ კესლერი** კოსმოსური სივრცის კვლევის ნაციონალურ სამმართველოში (NASA) მუშაობდა და შეიმუშავა ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ ორბიტული ნაგვის რაოდენობა მოიმატებს მანამ, სანამ არ წარმოიქმნება ჯაჭვური რეაქცია. ნაგავი დაეჯახება თანამგზავრს, წარმოიქმნება ახალი ნამსხვრევები, რომლებიც დაეჯახება ახალ თანამგზავრებს, და წარმოიქმნება კიდევ მეტი ნაგავი. ეს ყველაფერი კი დაემსგავსება ბირთვულ რეაქციას, რომელშიც ერთი ელემენტი იშლება და იწვევს დაშლას დიდი რაოდენობის ელემენტებისა, რომლებიც იმავეს აკეთებენ.

**თუ კოსმოსში დაიწყება ომი, ის ძალიან მალე გამოიწვევს ასეთ ჯაჭვურ რეაქციას. ასეთ შემთხვევაში ომი ჩვენთვის ცნობილი სახით არ იქნება. კოსმოსში განვითარებული მოვლენები მნიშვნელოვნად შეცვლის დედამიწელთა ცხოვრებას.**

„დაბრმავებული, დაყრუებული და დამუნჯებული“ მეთაურები იძულებულნი იქნებიან, ომის წარმოების ჩვეულებრივ საშუალებებს მიმართონ, რადგან ვერ გამოიყენებენ თანამგზავრებიდან მართულ უპილოტო საფრენ აპარატებსა და რაკეტებს. ამერიკელი სამხედროები ამტკიცებენ, რომ შეძლებენ ასეთი ომის თავიდან აცილებას, მაგრამ ჩინეთმა თავისი ცდებით შეიძლება გამოიწვიოს კესლერის სინდრომი.

რა მოხდება, თუ ომი დაიწყება? **თუ აშშ-ისთვის გამოუსადეგარი შეიქნება მის ხელთ არსებული კოსმოსური იარაღი, რაც ძირეულად შეცვლის ომის ხასიათს, ომის ესკალაცია უფრო სასარგებლო შეიძლება იყოს, ვიდრე მისი შეკავების მცდელობა.**

მოვა დრო, დედამიწაზე გამეფდება მშვიდობა, მაგრამ ჯერ რთული დროება დადგება. ომები თითქმის დამთავრდა როგორც კოსმოსში, ისე დედამიწაზე. და მიუხედავად იმისა, რომ მათი ქუხილი მაინც ისმის ჩვენ გარშემო, საშინელებებმა შეიძლება გვერდი აგვიაროს.

**კალუმ ვუდი**
The Trumpet

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

**აშშ-ში, იენის უნივერსიტეტში ერთ-ერთმა კომპანიამ ჩაატარა (და, შესაძლოა დღესაც ატარებს) ცდებს „ჰუმანზეს“ გამოსაყვანად — ეს არის ადამიანისა და შიმპანზეს შეჯვარების შედეგად მიღებული ქიმერა. ადამიანისა და ცხოველების შეჯვარების შედეგად, ვარაუდობენ, ისეთი გამძლე, ამტანი და, ამასთანავე, „საკმაოდ მორჩილი“ ადამიანი-მაიმუნების შექმნას, რომლებსაც მძიმე სამუშაოების შესასრულებლად გამოიყენებენ, მაგალითად, შახტებში და რკინიგზის მშენებლობისას.**

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

გლობალიზაცია, რომელიც ახლავს სხვადასხვა კულტურის შერწყმის მცდელობას, ფასეულობების სისტემაში — კონფლიქტებს, ადამიანებს შორის გაუცხოებას იწვევს. ევროპამ, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ქადაგებდა სიტყვისა და ადამიანის თავისუფლებას, თანასწორობასა და ტოლერანტობას და რომელმაც, კარგა ხანია, უგულებელყო ქრისტიანობა, დაკარგა ის ფასეულობები, რომლებმაც აქამდე მოიყვანა; სამაგიეროდ, ჩაიძირა სულიერ და ზნეობრივ ქაოსში, სადაც წინა პლანზე წამოწეულია ე.წ. ნეოლიბერალური ფსევდოღირებულებები.

საზოგადოდ კი, დღეს ე.წ. დემოკრატიული ფასეულობები მხოლოდ ძალაუფლებისა და ეკონომიკური უპირატესობის გაძლიერების გამართლებაა, რომელსაც დასავლეთი იყენებს ქვეყნებისა და ხალხების დასამორჩილებლად. დასავლეთის თანამედროვე ფასეულობების სისტემა — ეს არის სისტემა, რომელიც აშშ-მა შექმნა სხვადასხვა ქვეყანაში მათთვის მიუღებელი რეჟიმების დასამხობად დემოკრატიის სახელით. ეს „ფასეულობები“ კი ეწინააღმდეგება საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ ქრისტიანულ (მართლმადიდებლურ) ტრადიციებს ოჯახის, ერის, განათლების, ზნეობის შესახებ და ეწევა ჰომოსექსუალობის, გარყვნილების, ანტირელიგიური იდეების პროპაგანდას, ამის ნათელი დასტურია აშშ-ის სახელმწიფო მდივნის — ჯონ კერის მუქარა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებაზე, ამის ნათელი დასტურია ფრანგული გამოცემა „შარლი ებდოს“ ანტიმუსლიმანური კარიკატურები, რომელთა გამოც ტრაგედია დატრიალდა; შვედი ლესბოსელი-მღვდელმსახურის(?!) განცხადება ეკლესიებიდან ქრისტიანობის სიმბოლოს — ჯვრის ჩამოხსნის შესახებ, დანიის ქალაქ ოდენსეს ზოოპარკში შოკისმომგვრელი სანახაობის — ლომის ლეშის გაკვეთის — ჩვენება ბავშვებისთვის, მასობრივი მკვლელობები ამერიკის სასწავლო დაწესებულებებში — სკოლებსა და უნივერსიტეტებში და ა.შ.

რუბრიკაში გთავაზობთ სწორედ ისეთ ფაქტებს, რომლებიც მიუღებელია არა მხოლოდ ქართველი საზოგადოებისთვის, არამედ ყველა ნორმალური ადამიანისთვის. დარწმუნდებით, რომ ყველაფერი, რაც ბრწყინავს, ოქრო არ არის...

# უზნეობა დემოტრაკიის სახელით

## მკრეხელური ექსპერიმენტები — ბრიტანეთსა და აშშ-ში ადამიანებს ცხოველებთან აჯვარებენ



**უჯრედების დონეზე ადამიანებისა და ცხოველების შეჯვარების ექსპერიმენტებს უკვე, დიდი ხანია, ატარებენ ამერიკის შეერთებულ შტატებში, მაგრამ ასეთი სამუშაო მიმდინარეობს მხოლოდ კერძო კლინიკებში კერძო პირების დაფინანსებით და, ბუნებრივია, ეს მოქმედებს „ცდების ხარისხსა და მასშტაბზე“; მძლავრი სახელმწიფო დაფინანსების შემთხვევაში კი „ხელშესახებ შედეგებს“ გაცილებით სწრაფად მიაღწევენ.**

ექსპერტთა აზრით, ასეთი ცდების ჩატარება ხელს შეუწყობს მნიშვნელოვან აღმოჩენებს ნეიროდეგენერაციულ სფეროში და შესაძლოა, შესაძლებელი შეიქნას ისეთი დაავადებისგან განკურნება, როგორიცაა ალცჰეიმერი, პარკინსონი, აგრეთვე, უნაყოფობა. ამისთვის კი საჭიროა, „ცხოველ-ინკუბატორში“ ჩვენი ორგანიზმის „სათადარიგო ნაწილები“ გამოიყვანონ.

ამ ექსპერიმენტებს გამოუჩნდნენ კრიტიკოსებიც: „წარმოვიდგინოთ, რომ გაჩნდნენ ღორები ადამიანის ტვინით და ისინი დაინტერესდნენ, რატომ ვატარებთ მათზე ცდებს; ან შევქმნათ ადამიანის სხეული ცხოველის ტვინით და ვთქვათ, რომ ისინი ადამიანები არ არიან და შეიძლება მათი ორგანიზმის გამოყენება სხვებისთვის გადასანერგავად. ვლაპარაკობ უკიდურესობებზე, მაგრამ ჯერ კიდევ 15—20 წლის წინათ ქიმერული ემბრიონების შექმნაც უკიდურესობად გვეჩვენებოდა“, — განაცხადა ნიუ იორკის სამედიცინო კოლეჯის თანამშრომელმა **სტიუარტ ნიუმანმა.**

ბრიტანეთში ადამიანისა და ცხოველის შეჯვარების ექსპერიმენტები წლების განმავლობაში ტარდებოდა და გასაიდუმლოებული იყო. ამ ექსპერიმენტის შესახებ მხოლოდ მას შემდეგ შეიქნა ცნობილი, როდესაც ბრიტანეთის წამყვანი მეცნიერების ჯგუფმა ოფიციალურად გააფრთხილა მსოფლიოს საზოგადოებრიობა სამეცნიერო ფანტასტიკური რომანის „მაიმუნების პლანეტის“ სიუჟეტის განმეორების შესაძლებლობის თაობაზე. ამ ნაწარმოებში პრიმატებისა და ადამიანების გენების შეჯვარებას გამოუსწორებელი შედეგები მოაქვს. ბრიტანელი მეცნიერების აზრით, უნდა შეიქმნას კანონები, რომლებიც ასეთ შესაძლებლობას გამორიცხავს. ასეთი დოკუმენტი მოამზადა დიდი ბრიტანეთის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიამ. შინაგან საქმეთა სამინისტრომ კი გამოაქვეყნა სახელმძღვანელო მკვლევარებისთვის, რომლებიც დაკავებულნი არიან ცოცხალი ორგანიზმების გამოყვანით და ჰიბრიდულ არსებებს ადამიანების დაავადებების სამკურნალოდ იყენებენ.

**ექსპერიმენტის ჩასატარებლად საჭიროა დასაბუთდეს, რა სარგებლობის მოტანა შეუძლია მას ადამიანის ჯანმრთელობისთვის. და, თუ ასე მოხდა, მეცნიერებს შეუძლიათ, კანონიერად ჩაატარონ ცდები ცხოველებზე, რომლებსაც აქვთ „ადამიანის მსგავსი ტვინი“.**

„დიდი ბრიტანეთის მთავრობა იმედოვნებს, რომ ადამიანისა და ცხოველის ჰიბრიდების შექმნის წესების გამარტივება ქვეყანას გადააქცევს ცენტრად იმ კვლევებისა, რომლებსაც შეუძლია მიგვიყვანოს დიდ აღმოჩენებამდე და რომლებიც მიმართული იქნება ადამიანის დონორული ორგანოების დეფიციტის ლიკვიდაციისკენ. ახალი ტექნოლოგიით მომავალში შესაძლებელი იქნება ორგანოების გამოყვანა პრიმატებში ან ღორებში ინდივიდუალური შეკვეთებით“, — აღნიშნავს The Times-ი.

ამრიგად, **პრიმატებისთვის ადამიანის ტვინის გადანერგვის ექსპერიმენტებს, აგრეთვე, ადამიანის მსგავსი ცხოველების შექმნის ცდებს, კანონიერ საფუძველზე ჩაატარებენ. არადა, ასეთი ექსპერიმენტების შედეგების განსაზღვრა, ფაქტობრივად, შეუძლებელია.**

ბიოტექნოლოგიების სფეროში ჯერ კიდევ 1980-იან წლებში აღინიშნა მნიშვნელოვანი წინსვლა.

1984 წელს ექსპერიმენტის შედეგად მიიღეს ცხვარი-თხა — ცხოველების ხელოვნური ჰიბრიდიზაციის პირველი წარმატებული შედეგი. **ასეთი მეთოდის გამოყენებით, შეიძლება, მაგალითად, მაიმუნისგან ადამიანი მიიღონ. გარეგნულად ის თითქმის მაიმუნი იქნება, მაგრამ ექნება მეტყველებისა და აზროვნების უნარი.** ზოგიერთი სპეციალისტი ვარაუდობს, რომ **აშშ-ში, იენის უნივერსიტეტში ერთ-ერთმა კომპანიამ ჩაატარა (და, შესაძლოა, დღესაც ატარებს) ცდებს „ჰუმანზეს“ გამოსაყვანად — ეს არის ადამიანისა და შიმპანზეს შეჯვარების შედეგად მიღებული ქიმერა. ადამიანისა და ცხოველების შეჯვარების შედეგად ვარაუდობენ ისეთი გამძლე, ამტანი და, ამასთანავე, „საკმაოდ მორჩილი“ ადამიანი-მაიმუნების შექმნას, რომლებსაც მძიმე სამუშაოების შესასრულებლად გამოიყენებენ, მაგალითად, შახტებში და რკინიგზის მშენებლობისას.**

ადამიანისა და ცხოველის გენური შეჯვარების მოწინააღმდეგენი ამ იდეას ამორალურს უწოდებენ. „ეს ფრანკენშტეინის ცდებია, ადამიანისა და ცხოველის ჰიბრიდების გაჩენა დედამიწაზე უამრავ პრობლემას გამოიწვევს. ამ მუტანტების სტატუსი გაუგებარია — ექნება მათ ადამიანის უფლებები თუ ცხოველებს გაუთანაბრებენ?“ — ამბობენ ადამიანისა და ცხოველის შეჯვარების მოწინააღმდეგენი. და ეს ერთადერთი საკითხი არ არის, რომელიც აწუხებს მათ, ვინც კატეგორიულად ეწინააღმდეგება ამ გიჟურ ექსპერიმენტებს. მოწინააღმდეგეთა შორის არის რელიგიური ორგანიზაციებიც.

უეჭველია, რომ ღმერთის ქმნილებაზე მკრეხელური ცდების ჩატარებამ, მით უფრო, ადამიანისგან სხვადასხვა ურჩხულის შექმნამ, შეიძლება არა მხოლოდ შემთხვევითი და უკონტროლო შედეგი გამოიღოს, არამედ ეს არის ღმერთის მიერ შექმნილ სამყაროსა და ადამიანზე თავდასხმა.





## ალიგატორის გაუპატიურების მცდელობისას ახალგაზრდა სხვა ალიგატორმა შეჭამა

**ნეაპოლში (იტალია) ახალგაჩენილი ალიგატორის გაუპატიურების მცდელობისას 24 წლის ჯიმი ოლსენი დაიღუპა. ეს ინფორმაცია ქალაქის პოლიციის დეპარტამენტის პრესმდივანმა გაავრცელა.**

„ვიდეოკამერით გადაღებულ კადრებზე ჩანს, რომ ჯიმიმ თავი გამოუვალ მდგომარეობაში ჩაიგდო, — განაცხადა კაპიტანმა უაიტმა, — მას შარვალი ჩახდილი ჰქონდა და ერთ-ერთ ნიანგზე იწვა — ზურგით უფრო დიდი ნიანგისკენ. ბიჭს გადარჩენის შანსი არ ჰქონდა. კადრებზე ჩანს, როგორ მიათრევს მას ალიგატორი წყალში. ჯიმი, სავარაუდოდ, თავდასხმიდან 30 წამში დაიღუპა“.

უნდა ითქვას, რომ ოლსენს რეპტილიის ფიზიკური აგებულების გამო ძალიან გაუჭირდებოდა მისი გაუპატიურება. ამიტომ ინციდენტს შეიძლება ეწოდოს გარყვნილი ქმედება. მაგრამ ამით ოლსენის სიცოცხლეს არაფერი ეშველება. ოლსენი, თქმა არ უნდა, პრეტენდენტია დარვინის პრემიისა ყველაზე სულელური სიკვდილის ნომინაციაში.

სხვათა შორის, ზოოპარკში სექსუალური სკანდალი ადრეც ატეხილა. 2002 წელს დააკავეს ოჰაიოს შტატის ქალაქ კოლუმბუსის ზოოპარკის სამი თანამშრომელი, რომლებიც სამუშაოდან თავისუფალ დროს დაკავებულნი იყვნენ იმით, რომ მსურველებს უფლებას აძლევდნენ, სექსუალური აქტი დაემყარებინათ ამა თუ იმ ცხოველთან.



**გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ჩვენი ოპოზიციური პარტიები ხმის ჩახლეჩამდე გაჰყვირიან არსებული ხელისუფლების მანკიერ მხარეებზე, მაშინ, როდესაც გუშინ თვითონ იყვნენ ხელისუფლებაში და მსგავსი ოპოზიციური აზრები მათთვის „ბაბუაწვერასთვის“ შებერვა იყო.**

# სტალინი და ჟურნალისტიკა

**სანამ მთავარ თემაზე გადავალ, ჩემი თვალსაზრისი უნდა გამოვთქვა დღევანდელ ჟურნალისტიკაზე, როგორც ელექტრონულ, ისე ბეჭდვით მედიაზე. ხანგრძლივი დროის განმავლობაში, გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან დღემდე, ვეცნობი მედიასაშუალებების გავრცელებულ ინფორმაციას და ზოგჯერ გამომაქვს დასკვნა,ზოგჯერ კი ამის გაკეთება პრაქტიკულად შეუძლებელია.**



**ხელისუფლებამ საიდუმლო თათბირი ჩაატარა ერთ-ერთ წამყვან ტელეარხზე და დაიწერა სატანური რიტუალის სცენარი, რომლის რეჟისურაც ტელეარხთან ერთად ერთმა ნაძირალა სატანისტმა განახორციელა. ქვეყანა ირყეოდა შემზარავ სატანურ სცენებზე მონათხრობით — უნიჭო თეატრალურობითა და ზარ-ზეიმით ამცნობდა მილიონობით ტელემაყურებელს თავის ბინძურ მონაჩმახს გარეწრული პროექტის გარეწარი წამყვანი**

იყო პერიოდი (ძველი), როდესაც ჟურნალისტი გადმოსცემდა ფაქტს, შემოწმებულსა და მართალს, ყოველგვარი კომენტარის გარეშე, დასკვნის გამოტანას კი მკითხველს ანდობდა.

დადგა პერიოდი (ახალი), როდესაც პრესითა თუ ტელევიზიით ან ინტერნეტით მოდის შეუმოწმებელი, ყალბი და რაღაცისთვის თუ ვიღაცისთვის გათვლილი ინფორმაცია და ამ ინფორმაციას მოჰყვება ზღვა მასალა შეთხზული, ვითომ „წყაროს“ მოწოდებული, რომელიც მაყურებლის თუ მკითხველის ზომბირებას უწყობს ხელს და მას არ აძლევს საშუალებას, ერთი წუთით მაინც დაფიქრდეს მიღებულ ინფორმაციაზე.

გასული საუკუნის 80-იან წლებში დიდი ლილოს მეურნეობის დირექტორად ვმუშაობდი. მეცხოველეობის ფერმის მშენებლობის საპროექტო დავალებაში შევიდა ფერმის მიმდებარე ტერიტორიის ათვისება, სადაც, როგორც შემდეგ გაირკვა, შემთხვევიდან შემთხვევამდე სოფლის ბავშვები თურმე ფეხბურთს თამაშობდნენ, თუმცა ფეხბურთის თამაშის კვალი იმ ტერიტორიაზე არ შეინიშნებოდა. სოფლის „ინტრიგანებს“ (ასე ვეძახდით მეურნეობის დირექტორები მათ, ვინც საჩივარს დაგვიწერდა) გაზეთ „ლელოსთვის“ წერილი მიუწერიათ ამ ვითომ „საფეხბურთო მოედნის“ შესახებ.

გაზეთის რედაქციამაც არ დააყოვნა და ამ ამბის ვრცელი რეპორტაჟი გამოაქვეყნა. **გაზეთის გამოსვლიდან მესამე დღეს რაიკომის ბიუროს სხდომაზე გამიყვანეს, სასტიკად გამლანძღეს და კატეგორიულად დამავალეს არსებული „მოედნის“ აღდგენა ან ახალი ადგილის შერჩევა და სოფლისთვის გადაცემა.** ცოტა ხანში ცეკას სოფლის მეურნეობის განყოფილებამაც განიხილა ეს საკითხი.

გაზეთის რედაქციამ მიაღწია იმას, რომ არარსებული „საფეხბურთო მოედანი“ არსებულად გადააქცია და... სოფელს მეტ-ნაკლებად მოხერხებული მოედანი მოვუწყვე. როგორი ცრუ ინფორმაციისა და „ინტრიგანის“ სიგნალის საფუძველზეც უნდა ამტყდარიყო ეს ალიაქოთი, რედაქციამ მიზანს მიაღწია და სოფლის ახალგაზრდობას სპორტული ინტერესი ცოტაოდენ მაინც დაუკმაყოფილა.

გაზეთი „ლელო“ სახელმწიფოს ბეჭდვითი ორგანო იყო, მეც მნიშვნელოვანი სახელმწიფო ორგანოს ხელმძღვანელი ვიყავი, რადგან ახალი რძით, ბოსტნეულითა და ხილით ვამარაგებდი თბილისს, მაგრამ პრესის ძალა ისეთი დიდი იყო, რომ მან თავისი საქმე გააკეთა.

იმხანად ხშირად მახსენდებოდა ნაპოლეონი, რომელსაც შავი ჭირივით სძულდა გაზეთი — ხალხის აზრს გამოხატავსო.

ამ შემთხვევაში გაზეთ „ლელოს“ რეპორტაჟი გრიგოლ ონიანის კრიტიკად კი არ აღიქმებოდა, არამედ სახელმწიფოს თვითონ ჰქონდა შემუშავებული თვითკრიტიკის აუცილებლობა და ეს ფაქტიც თვითკრიტიკის ერთ-ერთი გამოვლინება იყო.

მე ხშირად ვყოფილვარ პრესის კრიტიკის ობიექტი, მაგრამ შექებაც ბევრი მიმიღია.

**მინდა გავიხსენო (ახალი დროის) ერთი სატელევიზიო გადაცემა, რომელსაც საფუძვლად არც ძველი „ინტრიგანის“ „დანოსი“ ედო და არც ახალი „წყაროს“ მიერ გამოგონილი და მიწოდებული ინფორმაცია. ეს გადაცემა იყო შეთქმულება პიროვნების წინააღმდეგ, სახელმწიფო წყობის წინააღმდეგ.**

იმხანად სახელმწიფოს პატრონი რომ ჰყოლოდა (ან ახლა ჰყავს?), ეს ფაქტი ხალხის სამსჯავროზე უნდა გამოეტანათ, რის შემდეგაც დამნაშავე საზოგადოებასვე უნდა დაესაჯა. საქმე ეხებოდა საქართველოს კულტურის იმჟამინდელ მინისტრს.

**ხელისუფლებამ საიდუმლო თათბირი ჩაატარა ერთ-ერთ წამყვან ტელეარხზე და დაიწერა სატანური რიტუალის სცენარი, რომლის რეჟისურაც ტელეარხთან ერთად ერთმა ნაძირალა სატანისტმა განახორციელა. ქვეყანა ირყეოდა შემზარავ სატანურ სცენებზე მონათხრობით — უნიჭო თეატრალურობითა და ზარ-ზეიმით ამცნობდა მილიონობით ტელემაყურებელს თავის ბინძურ მონაჩმახს გარეწრული პროექტის გარეწარი წამყვანი.**

ო, როგორი მართალი ყოფილა მწერალი **რობერტ სილვესტრი**, როდესაც წერდა, რომ: „ჟურნალისტიკა ისეთივე ძველი პროფესიაა, როგორც...... (მეძაობა), მოკლედ, ის მეორე უძველესი პროფესიაა“.

არაფერს ვამბობ, ვიღაც სკამის ფეხით რომ გააუპატიურეს, არც იმაზე ვლაპარაკობ, ყავარჯნიანი კაცი რომ დაჰყავდათ უძველესი პროფესიის წარმომადგენლად; არც იმაზე, მილიარდები რომ წაართვეს მოსახლეობას; არც იმაზე, ბეტონის ფილებს რომ აბამდნენ ფეხზე ცოცხალ ადამიანებს და ნავიდან შუა ზღვაში აგდებდნენ, — „ფსკერზეც ფეხზე იდგესო“. მე იმ სატანურ სცენარზე მისკდება გული — **როგორ უნდა შერჩეს ან იმ ტელეარხს, ან იმ სცენარის ავტორს, ან იმ ჟურნალისტს, რომელიც ამ სისაძაგლეს მილიონობით ტელემაყურებელს უყვებოდა.**

სვანეთში სისხლის აღება ჩვეულებრივ მოვლენად ითვლებოდა, სულ რაღაც 100 წლის წინათ, თუმცა გამონაკლისი შემთხვევა დღესაც ხდება. კომუნისტურმა ხელისუფლებამ სვან ხალხს სიტყვა მისცა, — თქვენ თავი დაანებეთ მკვლელის თვითნებურ დასჯას, მას ჩვენ დავსჯით, კაცის მკვლელს დავხვრეტთ, თქვენ კი პასუხისმგებლობა აგცდებათ და სისხლიც აღებული გექნებათო.

სახელმწიფომ დაიკისრა იმ მძიმე დანაშაულისგან სვანი კაცის გათავისუფლება, რომელიც ან მეზობლის ტყვიით კვდებოდა, ან ხელისუფლების მიერ მიღებული კანონით.

**სახელმწიფო, ხელისუფლება თავისი არსით დამსჯელი ორგანოა, რომელმაც უნდა დაიცვას ხალხის ინტერესები — ეს არის მისი ძირითადი მიზანი და მოვალეობა. დღევანდელი ხელისუფლება კი იცავს თავის თავს და თავის ინტერესებს და იცავს ვისგან? — ხალხისგან, რათა არ წაართვას ის, რაც წაჰგლიჯა.**

თუ სვან კაცზე ანეკდოტად დადის, მან ფულის საჭრელი მანქანა გაყიდა, როცა გაუჭირდაო, — სახელმწიფომ ფულით სავსე ბანკები გაყიდა, როცა გაუჭირდა. ესეც ანეკდოტია? ხომ წერენ ამის შესახებ მედიასაშუალებები. მაშ, რატომ არ უნდა ექცეოდეს ყურადღება ხალხს და ხალხის გოდებას? სახელმწიფომ რატომ არ უნდა დაიკისროს რიგ შემთხვევაში ხალხის გასაკეთებელი საქმე, როდესაც მას ხალხი ვერ აკეთებს? — ვერ აკეთებს ხელისუფლების შიშით, პოლიციისა და ჯარის შიშით. გამოდის, რომ **პოლიციაც და ჯარიც, ხალხს კი არა, იცავს ერთ მუჭა ხელისუფალთ, რომლებიც ხელისუფლებაში მოსყიდვის გზით მოვიდნენ.**

რატომ აღარ არის თვითკრიტიკა?მედია თავისუფალი სიტყვის გამომხატველად იმიტომ აქციეს, რომ, რაც უნდათ, ის წეროს და იკითხოს, ხალხის ხმამ კი ხელისუფლებამდე არ უნდა მიაღწიოს. **ჩვენი ოპოზიციური პარტიები ხმის ჩახლეჩამდე გაჰყვირიან არსებული ხელისუფლების მანკიერ მხარეებზე, მაშინ, როდესაც გუშინ თვითონ იყვნენ ხელისუფლებაში და მსგავსი ოპოზიციური აზრები მათთვის „ბაბუაწვერასთვის“ შებერვა იყო.**

წინა ხელისუფლებას თვითკრიტიკის უქონლობამ თვალები დაუბნელა და უფსკრულში გადასაჩეხად უბიძგა, მაგრამ ამერიკელი ძიების მიერ უფსკრულის თავზე გაბმულმა ბადემ არ გადაჩეხა ისინი უფსკრულში. და ამერიკელმა პატრონებმა კვლავ ძუძუზე ჩამოიკიდეს უკვე საყმაწვილოსენგამოვლილი ჩაფსმული ბიჭები.

დღეს ბეჭდურ მედიაში არის ფლაგმანი გაზეთები, რომლებიც დაუფარავად ამხელენ ოკეანის გაღმელ მგლებსაც და თერგდაულეველ, ისტორიის პურუჭმელ ავანტიურისტებს, რომლებმაც დოლარებზე გაყიდეს სამშობლოს დამოუკიდებლობა, სუვერენიტეტი და შვილებს ელგბტ-თემისთვის ამზადებენ და არა ქვეყნის ჯარისკაცებად.

**წამყვანმა გაზეთებმა ნიღაბი უნდა ჩამოჰგლიჯონ ვაიპატრიოტებს, მათ გულზე დაბნეული ყალბი ყვავილები ხალხს უნდა დაანახვონ. სიმართლე და მხოლოდ სიმართლე უნდა ვუთხრათ ხელისუფლებას, სიმართლე უნდა ვუთხრათ ხალხს, სიმართლით უნდა ვებრძოლოთ ოპონენტებს.** და აი მივედით იქამდე, რომ თხრობა დავიწყო სტალინის ბასრ იარაღზე — კრიტიკასა და თვითკრიტიკაზე, რომლითაც დაფარული არაფერი რჩებოდა, რაც კი ხელს უშლიდა ქვეყნისა და ეკონომიკის განვითარებას. სტალინს შეიძლება სააშკარაოზე არ გამოეტანა და არც გამოუტანია საზღვარგარეთის აგენტურული ქსელის საქმიანობა, მაგრამ ყოველთვის დაუფარავად ლაპარაკობდა პარტიულ თუ სამეურნეო საქმიანობაში დაშვებულ წვრილმან და მსხვილმან შეცდომებზე.

1928 წლის 26 ივნისის გაზეთ „პრავდის“ 146-ე ნომერში სტალინმა ქვეყნის მოსახლეობას მოუწოდა, ფართოდ ჩაბმულიყო კრიტიკისა და თვითკრიტიკის, ქვეყნისათვის მეტად საჭირო საქმიანობაში. ამ საგაზეთო მასალიდან ზოგიერთ ამონარიდის გაგაცნობთ:

*„ზოგჯერ ამბობენ, თვითკრიტიკა კარგი რამ არის იმ პარტიისთვის, რომელსაც ჯერ კიდევ არ დაუპყრია ძალაუფლება და „დასაკარგავი არაფერი აქვს“, მაგრამ თვითკრიტიკა სახიფათო და საზიანოა იმ პარტიისთვის, რომელმაც ძალაუფლება უკვე დაიპყრო, რომელსაც გარემოცვაში მტრული ძალები ჰყავს და რომლის წინააღმდეგაც მტრებმა შეიძლება გამოიყენონ მისი სუსტი მხარეების მხილებაო. ეს მართალი არ არის. ეს სრულიად არ არის მართალი! პირიქით, სწორედ იმიტომ, რომ ბოლშევიზმმა ძალაუფლება დაიპყრო, სწორედ იმიტომ, რომ ბოლშევიკები შეიძლება გამედიდურდნენ ჩვენი მშენებლობის წარმატებათა გამო, სწორედ იმიტომ, რომ ბოლშევიკებმა შეიძლება ვერ შეამჩნიონ თავიანთი სუსტი მხარეები და ამით საქმე გაუადვილონ თავიანთ მტრებს, სწორედ ამიტომ არის საჭირო თვითკრიტიკა განსაკუთრებით ახლა, განსაკუთრებით ძალაუფლების აღების შემდეგ“.

**შენიშვნა:**

**არსებული ხელისუფლება არა თვითკრიტიკის, არამედ თავდაცვის რეჟიმშია გადასული. როგორი უხეში და თვალში საცემი შეცდომაც უნდა დაუშვას „ქართულმა ოცნებამ“, მისი გამოსწორების გზების ძიებაზე კი არ არის მობილიზებული პარტიული აქტივი, არამედ მისი მიჩქმალვისა და ყალბი სამოსელით შეფუთვით არის დაკავებული, რითაც საქმეს უადვილებს „ნაცმოძრაობას“ უფრო აქტიური თავდასხმისთვის.**

*„მაგრამ თვითკრიტიკა რომ გავშალოთ, ამისათვის საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, დავძლიოთ პარტიის წინაშე არსებული მთელი რიგი დაბრკოლებებისა. ამას მიეკუთვნება მასების კულტურული ჩამორჩენილობა, პროლეტარული ავანგარდის კულტურული ძალების ნაკლებობა, ჩვენი უძრაობა, ჩვენი „კომუნისტური ყოყოჩობა“ და სხვა... მაგრამ, ერთ-ერთ უაღლერესად სერიოზულ დაბრკოლებას, თუ ყველაზე სერიოზულ დაბრკოლებას არა, წარმოადგენს ჩვენი აპარატების **ბიუროკრატიზმი.** საქმე ეხება ბიუროკრატული ელემენტების არსებობას ჩვენი პარტიული, სახელმწიფოებრივი,

▶

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## სახელმწიფო, ხელისუფლება თავისი არსით დამსჯელი ორგანოა, რომელმაც უნდა დაიცვას ხალხის ინტერესები — ეს არის მისი ძირითადი მიზანი და მოვალეობა. დღევანდელი ხელისუფლება კი იცავს თავის თავს და თავის ინტერესებს და იცავს ვისგან? — ხალხისგან, რათა არ წაართვას ის, რაც წაჰგლიჯა.

◀ პროფესიული, კოოპერაციული და სხვა ორგანიზაციების შემადგენლობაში. საქმე ეხება ბიუროკრატულ ელემენტებს, რომლებიც ცოცხლობენ ჩვენი სუსტი მხარეებითა და შეცდომებით; რომლებსაც, როგორც ცეცხლისა, ისე ეშინიათ მასების კრიტიკის, მასების კონტროლისა და, რომლებიც ხელს გვიშლიან თვითკრიტიკის გაშლაში, ხელს გვიშლიან ჩვენი სუსტი მხარეებისგან, ჩვენი შეცდომებისგან განთავისუფლებაში. ბიუროკრატიზმი ჩვენს ორგანიზაციებში არ შეიძლება მივიჩნიოთ მხოლოდ საქმის გაჭიანურებად და კანცელარიულ უსულგულობად.Bბიუროკრატიზმი არის ჩვენს ორგანიზაციებზე ბურჟუაზიული გავლენის გამოვლინება".



**ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲐ:**

**საქართველოს სახელმწიფოებრივი არსებობის პირობებში არასოდეს ყოფილა ისე აყვავებული ბიუროკრატიზმი, როგორც წინა ხელისუფლების 9 წლის განმავლობაში, და ეს კიდევ უფრო ძლიერდება „ქართული ოცნების" პირობებში. არაფერს ვამბობ მუშასა და გლეხზე, ისინი ხომ ჩვენს ქვეყანაში საერთოდ არ არსებობენ. დღეს ერთი საშუალო რანგის სახელმწიფო მოღვაწეს არ შეუძლია მეორე ამავე რანგის მოხელესთან შეღწევა, თუ სათანადო ნებართვა არ აქვს. ასეული კილომეტრის მანძილიდან ჩამოსულ მეწარმეს, თუ რა ჰქვია ლუკმაპურის მაძიებელ კაცს თანამედროვე ენით, არ შეუძლია თუნდაც კვირის განმავლობაში იდგეს ამა თუ იმ სამთავრობო დაწესებულების ეზოში (მას მოსაცდელშიც არავინ შეუშვებს ნებართვის გარეშე), რათა მან, არათუ ხელმძღვანელთან, რიგით სპეციალისტთან მაინც შეაღწიოს. მას მექანიკურად უპასუხებენ, რომ უფროსი დაკავებულია ან ქვეყანაში არ იმყოფება. მთელი ქვეყანა დასაცავად და დამცველად არის გადაქცეული. ეს მაშინ, როდესაც დაცვა კომუნისტების პერიოდში მხოლოდ ერთ კაცს ეკუთვნოდა — ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს და იმასაც ერთი კაცი იცავდა (სტალინის პერიოდში).**

*„თვითკრიტიკა საჭიროა არ ხელმძღვანელობის შესასუსტებლად, არამედ მის გასაძლიერებლად; საჭიროა იმისათვის, რომ იგი ქაღალდის საშუალებით ნაკლებავტორიტეტული ხელმძღვანელობიდან გადავაქციოთ ცოცხალ და ნამდვილ ავტორიტეტულ ხელმძღვანელობად".

**ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲐ:**

**ამის ნათელ მაგალითია მეურნეობის დირექტორობისას ჩემ თავს გადახდილი ორომტრიალი, რომელიც არარსებული „საფეხბურთო მოედნის" შესახებ ცრუ განგაშმა გამოიწვია, როგორც ხელისუფლებაში, ისე საბჭოთა მეურნეობაში.**

*„მაგრამ არის სხვაგვარი „თვითკრიტიკაც", რომელიც იწვევს პარტიულობის რღვევას, საბჭოთა ხელისუფლებისთვის სახელის გატეხვას, სამეურნეო კადრების გახრწნას, მუშათა კლასის განიარაღებას, გადაგვარების შესახებ ლაყბობას. სწორედ ასეთი „თვითკრიტიკისკენ" მოგვიწოდებდა გუშინ ტროცკისტული ოპოზიცია. ლაპარაკიც ზედმეტია, რომ პარტიას საერთო არაფერი აქვს ასეთ „თვითკრიტიკას-თან". ლაპარაკიც ზედმეტია, რომ პარტია მთელი ძალ-ღონით, ყველა საშუალებით იბრძოლებს ასეთი „თვითკრიტიკის" წინააღმდეგ.

**ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲐ:**

**სწორედ ასეთი კრიტიკის ნათელი მაგალითია „ნაცმოძრაობის" დღევანდელი წუხილი, ნიანგის ცრემლის ღვრა და ყოველწამიერად რაფალიანცის ტრაგედიის შეხსენება საზოგადოებისთვის, როდესაც მათ ათასობით ადამიანი ჰყავთ წყალში თუ ციხეში დამხვრჩვალი, რომელთა საქმეებიც გამოუძიებელი და საზოგადოებისთვის უცნობია. სწორედ ასეთ კრიტიკასა და თვითკრიტიკაზე მიუთითებს სტალინი, როგორც ტროცკისტულზე.**

*„არ შეიძლება, აგრეთვე, იმის უარყოფა, რომ თვითკრიტიკის შედეგად ჩვენი პრესა უფრო ცოცხალი და სიცოცხლისუნარიანი გახდა, ხოლო ჩვენი გაზეთების მუშაკთა ისეთი რაზმები, როგორიც არის მუშსოფლკორთა ორგანიზაციები, უკვე იწყებენ გადაქცევას უაღრესად სერიოზულ პოლიტიკურ ძალად. მართალია, ჩვენი პრესა ხანდახან კვლავ ზედაპირზე სრიალებს, ჯერ კიდევ ვერ ისწავლა გადასვლა ცალკეული კრიტიკული შენიშვნებიდან უფრო ღრმა კრიტიკაზე, ხოლო ღრმა კრიტიკიდან — კრიტიკის შედეგების განზოგადებაზე, იმის გამოვლინებაზე, კრიტიკის შედეგად რა მიღწევებია მოპოვებული ჩვენი მშენებლობის დარგში, მაგრამ არა მგონია, შეიძლებოდეს, დავეჭვდეთ იმაში, რომ ეს საქმე წინ წავა შემდგომი კამპანიის მსვლელობაში.

ოღონდ საჭიროა, ამ პლუსებთან ერთად აღინიშნოს ჩვენი კამპანიის მინუსებიც. საქმე ეხება თვითკრიტიკის ლოზუნგის იმ დამახინჯებებს, რომლებსაც ადგილი აქვს უკვე ახლა, კამპანიის დასაწყისში, და რომლებიც ქმნის თვითკრიტიკის გაუხამსების საშიშროებას, თუ ისინი ახლავე არ აღვკვეთეთ.

1) საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, აღვნიშნოთ, რომ პრესის მთელ რიგ ორგანოებში დაისახა ტენდენცია კამპანიის გადაყვანისა ჩვენი სოციალისტური მშენებლობის ნაკლოვანებათა საქმიანი კრიტიკის ნიადაგიდან **პირადი ცხოვრების** უკიდურესობათა წინააღმდეგ სარეკლამო შეძახილების ნიადაგზე. ეს შეიძლება დაუჯერებლად გვეჩვენოს, მაგრამ ეს, სამწუხაროდ, ფაქტია".

**ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲐ:**

**სწორედ ეს არის, როგორც „ნაცმოძრაობის", ისე „ქართული ოცნების" მხრიდან საქმიდან გაქცევის მცდელობა და ადამიანების ლოგინში ქექვა და ჭუჭყიანი თეთრეულის გამომზეურება.**

*„აიღეთ, მაგალითად, გაზეთი „ვლასტ ტრუდა", ირკუტსკის საოლქო კომიტეტისა და აღმასრულებელი კომიტეტის ორგანო (№128). იქ ნახავთ მთელ გვერდს, აჭრელებულს სარეკლამო „ლოზუნგებით": „თავშეუკავებულობა სქესობრივ ცხოვრებაში ბურჟუაზიულია", „ერთ ჭიქას მეორე მოსდევს", „საკუთარ სახლს საკუთარი ძროხა უყვარს", „ორფა საწოლის ბანდიტები", „გასროლა, რომელიც არ მომხდარა" და ა.შ. საკითხავია, რა შეიძლება იყოს საერთო „ბირჟოვკის" შესაფერ ამ „კრიტიკულ" შეძახილებსა და ბოლშევიკურ თვითკრიტიკას შორის, რომელსაც მიზნად აქვს დასახული ჩვენი სოციალისტური მშენებლობის გაუმჯობესება? შესაძლოა, რომ ამ სარეკლამო შენიშვნების ავტორი კომუნისტია. შესაძლოა, იგი გამსჭვალულია მტრობით საბჭოთა ხელისუფლების „კლასობრივი მტრებისადმი", მაგრამ აქ იგი სწორი გზიდან რომ უხვევს, აუხამსებს თვითკრიტიკის ლოზუნგს და ლაპარაკობს არა ჩვენი კლასის წარმომადგენლის ხმით — ეს უეჭველია.

2) შემდეგ — საჭიროა აღვნიშნოთ, რომ პრესის ის ორგანოები, რომლებიც მოკლებულნი არ არიან სწორი კრიტიკის უნარს, ისინიც კი ზოგჯერ გადადიან კრიტიკაზე კრიტიკისათვის, კრიტიკას აქცევენ სპორტად, რომლის მიზანია სენსაცია. ავიღოთ, მაგალითად, „კომსომოლსკაია პრავდა". ყველასათვის ცნობილია „კომსომოლსკაია პრავდის" დამსახურება თვითკრიტიკის გაშლის საქმეში, მაგრამ აიღეთ ამ გაზეთის ბოლო ნომრები და გადასინჯეთ პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს ხელმძღვანელების „გაკრიტიკება", მთელი რიგი შეუწყნარებელი კარიკატურები ამ თემაზე. საკითხავია, ვის სჭირდება ასეთი „კრიტიკა" და რის მოცემა შეუძლია მას, გარდა თვითკრიტიკის ლოზუნგის კომპრომეტაციისა? რა თქმა უნდა, **ᲗᲕᲘᲗᲙᲠᲘᲢᲘᲙᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲘᲡ ᲘᲐᲠᲐᲚᲘ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ, „ᲛᲡᲣᲑᲣᲥᲘ ᲙᲐᲕᲐᲚᲔᲠᲘᲐᲪ", ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲒᲐᲜᲐ ᲐᲥᲔᲓᲐᲜ ᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲡᲣᲑᲣᲥᲘ ᲙᲐᲕᲐᲚᲔᲠᲘᲐ ᲭᲙᲣᲐᲛᲡᲣᲑᲣᲥᲘ ᲙᲐᲕᲐᲚᲔᲠᲘᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲮᲓᲔᲡ?**

3) ბოლოს — საჭიროა, აღვნიშნოთ მთელი რიგი ჩვენი ორგანიზაციების მიდრეკილება, გადააქციონ თვითკრიტიკა სამეურნეო მუშაკების დევნად, მუშათა კლასის თვალში მათთვის სახელის გატეხად. ფაქტია, რომ ზოგიერთმა ადგილობრივმა ორგანიზაციამ უკრაინასა და ცენტრალურ რუსეთში დაიწყო პირდაპირი დევნა ჩვენი საუკეთესო სამეურნეო მუშაკებისა, რომელთა დანაშაული არის ის, რომ ისინი 100%-ით არ არიან გარანტირებული შეცდომებისგან. სხვანაირად როგორ უნდა გავიგოთ ადგილობრივი ორგანიზაციების დადგენილებები ამ სამეურნეო მუშაკების პოსტებიდან მოხსნის შესახებ, დადგენილებები, რომლებსაც არავითარი სავალდებულო ძალა არა აქვს, მაგრამ აშკარად ნავარაუდევია იმისათვის, რომ სახელი გაუტეხოს ამ მუშაკებს? სხვანაირად როგორ უნდა გავიგოთ, რომ სამეურნერო მუშაკებს აკრიტიკებენ, მაგრამ კრიტიკაზე პასუხის გაცემის საშუალებას არ აძლევენ?"

**ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲐ:**

**და ეს არის სტალინის მიერ კრიტიკის ჩახშობა? განა ეს არ არის იმ საქმიანობის აშკარა კრიტიკა, რომელიც გამეფებულია დღევანდელ ცხოვრებაში და, კერძოდ, მედიაში? განა ეს არ არის ბრძოლა ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობისადმი?**

*„რა თქმა უნდა, ჩვენ ვერ მოვითხოვთ, კრიტიკა სწორი იყოს მთელი 100 %-ით. თუ კრიტიკა ქვემოდან მომდინარეობს, ჩვენ არ უნდა უგულებელვყოთ ისეთი კრიტიკაც, რომელიც სწორია მხოლოდ 5—10%-ით. ყველაფერი ეს მართალია. მაგრამ განა აქედან ის მომდინარეობს, რომ სამეურნეო მუშაკებს უნდა მოვთხოვოთ გარანტია შეცდომებისგან მთელი 100%-ით? განა ქვეყნად არიან შეცდომებისგან მთელი 100%-ით დაზღვეული ადამიანები? განა ძნელი გასაგებია, რომ სამეურნეო კადრების გამოსაზრდელად საჭიროა მრავალი წელი, რომ სამეურნეო მუშაკებისადმი დამოკიდებულება ჩვენში უაღრესად სათუთი და მზრუნველი უნდა იყოს? განა ძნელი გასაგებია, რომ თვითკრიტიკა გვესაჭიროება არა სამეურნეო კადრების დევნის, არამედ მათი გაუმჯობესებისა და განმტკიცებისთვის?

გააკრიტიკეთ ჩვენი მშენებლობის ნაკლოვანებანი, მაგრამ ნუ გააუხამსებთ თვითკრიტიკის ლოზუნგს და ნუ გადააქცევთ მას სარეკლამო ვარჯიშის იარაღად თემაზე: „ორფა საწოლის ბანდიტები", „გასროლა, რომელიც არ მომხდარა" და სხვ.

რაც მთავარია: ქვემოდან მასობრივ კრიტიკას ნუ შეცვლით ზემოდან „კრიტიკული" რახარუხით; საშუალება მიეცით მუშათა კლასის მასებს, გამოიჩინონ შემოქმედებითი ინიციატივა ჩვენი ნაკლოვანებების გამოსწორების საქმეში, ჩვენი მშენებლობის გაუმჯობესების საქმეში.

**ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲐ:**

**ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲐᲚᲜᲝ, ᲘᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡᲒᲐᲜ! ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲖᲛᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲤᲐᲨᲘᲖᲛᲘ. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲖᲛᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲙᲐᲪᲝᲑᲠᲘᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲗᲔᲚᲘ ᲒᲖᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲘᲒᲕᲘᲧᲕᲐᲜᲡ ᲐᲦᲗᲥᲛᲣᲚ ᲥᲕᲔᲧᲜᲐᲛᲓᲔ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲗᲐᲜᲐᲡᲬᲝᲠᲝᲑᲐ, ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ, ᲘᲛᲔᲓᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡᲐ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲕᲐᲠᲓᲡᲐ ᲓᲐ ᲜᲔᲮᲕᲡ ᲛᲖᲔ ᲔᲠᲗᲜᲐᲘᲠᲐᲓ ᲛᲝᲔᲤᲘᲜᲔᲑᲐ!**

**ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲐᲠᲐ ᲗᲕᲘᲗᲙᲠᲘᲢᲘᲙᲘᲡ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲠᲔᲟᲘᲛᲨᲘᲐ ᲒᲐᲓᲐᲡᲣᲚᲘ. ᲠᲝᲒᲝᲠᲘ ᲣᲮᲔᲨᲘ ᲓᲐ ᲗᲕᲐᲚᲨᲘ ᲡᲐᲪᲔᲛᲘ ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲐᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲣᲨᲕᲐᲡ «ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲛᲐ ᲝᲪᲜᲔᲑᲐᲛ», ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲛᲝᲡᲬᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲖᲔᲑᲘᲡ ᲫᲘᲔᲑᲐᲨᲘ ᲙᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲑᲘᲚᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲐᲥᲢᲘᲕᲘ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲩᲥᲛᲐᲚᲕᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲧᲐᲚᲑᲘ ᲡᲐᲛᲝᲡᲔᲚᲘᲗ ᲨᲔᲤᲣᲗᲕᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲙᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ, ᲠᲘᲗᲐᲪ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ ᲣᲐᲓᲕᲘᲚᲔᲑᲡ «ᲜᲐᲪᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐᲡ» ᲣᲤᲠᲝ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲗᲐᲕᲓᲐᲡᲮᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ**




**ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ!**

„ბიბლუსისა" და „ლიბრას" მაღაზიათა ქსელში, აგრეთვე, მეტროპოლიტენის სადგურებთან: „მარჯანიშვილი", „რუსთაველი", „თავისუფლების მოედანი" შეგიძლიათ შეიძინოთ საერთაშორისო ორგანიზაცია „სტალინის" თავმჯდომარის, ბატონი გრიგოლ ონიანის წიგნი „სტალინი", რომელშიც თავმოყრილია ფაქტობრივი მასალები კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი პოლიტიკოსის, დიპლომატისა და მხედართმთავრის — სტალინის შესახებ.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ქრისტიან-დემოკრატული კავშირის წევრი მოითხოვს, გერმანიიდან გააძევონ მუსლიმანები, რომლებიც რელიგიური მიზეზებით შეურაცხყოფენ ან თავს ესხმიან ქრისტიან ლტოლვილებს. „ჩვენ მოწმენი ვართ საშინელი შეტევებისა ჩვენს ძირითად ფასეულობებსა და კონსტიტუციაზე. ასეთი დანაშაული უარესია, ვიდრე ქურდობა მაღაზიაში. ერთმნიშვნელოვანი სტოპ-სიგნალების გარეშე ჩვენ ყველაფერს დავკარგავთ ქვეყანაში“.**

# «ყველა ქრისტიანი უწმინდურია» — ლტოლვილი მუსლიმანები ქრისტიანებს ემუქრებიან


მაჰინ მუსაპური და ერიკა შტაინბახი

**ლტოლვილების ბანაკში ქრისტიანებს თავს ესხმიან და შეურაცხყოფენ. პასტორი, რომელმაც ისლამი უარყო და ქრისტიანად მოინათლა, წესების გამკაცრებას ითხოვს, მას მხარს უჭერს გერმანიის პარლამენტის დეპუტატი ერიკა შტაინბახი.**

ლტოლვილი-მუსლიმანები, რომლებიც გერმანიაში ქრისტიანებს ემუქრებიან, უფრო მკაცრად უნდა დაისაჯონ, — ამბობს **მაჰინ მუსაპური**, სპარსული თემის პასტორი ფრანკფურტში. მას მხარს უჭერს ბუნდესტაგის დეპუტატი **ერიკა შტაინბახი.**

**ქრისტიან-დემოკრატული კავშირის წევრი მოითხოვს, გერმანიიდან გააძევონ მუსლიმანები, რომლებიც რელიგიური მიზეზებით შეურაცხყოფენ ან თავს ესხმიან ქრისტიან ლტოლვილებს. „ჩვენ მოწმენი ვართ საშინელი შეტევებისა ჩვენს ძირითად ფასეულობებსა და კონსტიტუციაზე. ასეთი დანაშაული უარესია, ვიდრე ქურდობა მაღაზიაში. ერთმნიშვნელოვანი სტოპ-სიგნალების გარეშე ჩვენ ყველაფერს დავკარგავთ ქვეყანაში“,** — განაცხადა შტაინბახმა.

მიუხედავად ამისა, დღევანდელი წესებით დეპორტაცია შეუძლებელია.

კონსერვატორი-პოლიტიკოსი, აგრეთვე, გამოდის ევროპული მიგრაციული პოლიტიკის კორექტირების მოთხოვნით. ის ირიბად აკრიტიკებს თავისი პარტიის თავმჯდომარის, გერმანიის კანცლერ **ანგელა მერკელის** პოლიტიკას.

**„ევროკავშირმა ლტოლვილების ბანაკები თავისი საზღვრების გარეთ უნდა შექმნას. ასეთ შემთხვევაში იქ ხალხი ომის დამთავრების მომენტამდე დარჩება, შემდეგ კი სამშობლოში დაბრუნდება“.** ამ საკითხში ის ეთანხმება ავსტრიის შინაგან საქმეთა მინისტრ **სებასტიან კურცს**, რომელმაც ცოტა ხნის წინათ განაცხადა, რომ აუცილებელია ევროკავშირში გაწევრების მსურველ ქვეყნებთან მოლაპარაკებების შეჩერება და თურქეთთან მიგრაციული შეთანხმების გაუქმება.

პასტორმა მუსაპურმა დეპუტატ შტაინბახთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებს მოუთხრო ლტოლვილთა ბანაკში შექმნილ უამრავ პრობლემაზე, თუმცა გვარებისა და დეტალების დასახელებისგან თავი შეიკავა, რადგან „მათ ეშინიათ შურისძიების, ეშინიათ, რომ დაკარგავენ ლტოლვილის სტატუსს, თუკი იჩივლებენ“.


ლტოლვილთა ბანაკი გერმანიაში

აღსანიშნავია, რომ არა მხოლოდ მუსაპური ლაპარაკობს ქრისტიანების მძიმე მდგომარეობაზე ლტოლვილების ბანაკებში. მაგალითად, **ჩრდილოეთ რეინ-ვესტფილიაში ქალაქ ბილეფელდთან მოწყობილ კარვების ქალაქში 14 ირანელ ქრისტიანს სიკვდილით დაემუქრნენ, თუ ისინი უარს არ იტყოდნენ თავის რელიგიურ მრწამსზე. არადა, სწორედ რელიგიური მრწამსის გამო დევნიდნენ მათ სამშობლოში, ზოგჯერ აპატიმრებდნენ კიდეც ამიტომ გამოიქცნენ ისინი გერმანიაში, სადაც კვლავ გრძელდება მათი დევნა.**

## „ლტოლვილი მუსლიმანები ამბობენ, რომ ყველა ქრისტიანი უწმინდურია“

ენვანგელისტური თემის პასტორის თქმით, **ქრისტიანებს მუსლიმები ეუბნებიან, რომ ისინი უფრო ბინძურები არიან, ვიდრე ძაღლები და იმსახურებენ სიკვდილს იმის გამო, რომ უარი თქვეს ისლამზე. ამტვრევენ ქრისტიანთა ველოსიპედებს, საბავშვო სათამაშოებს, ზოგიერთ ბანაკში საკვების მიღების შემდეგ ქრისტიანებს აიძულებენ, არა მხოლოდ ჭურჭელი გარეცხონ, არამედ სამზარეულოც გამოგავონ**



**და დაასუფთავონ.** „ბევრი ლტოლვილი მუსლიმანი ამბობს, რომ ყველა ქრისტიანი უწმინდურია“, — აღნიშნავს მესაპური.

ბევრი უარყოფს რწმენის შეცვლის ფაქტს. **„როდესაც კვირაობით ჩვენთან ქადაგების მოსასმენად მოდიან, ისე იქცევიან, თითქოს მეგობრებთან შესახვედრად მოვიდნენ. მალავენ ბიბლიას, რელიგიურ სიმბოლოებს, ჯვარს“**, — ამბობს პასტორი.

პრობლემები მათაც აქვთ, ვინც რწმენა შეიცვალა, მაგრამ ლტოლვილთა ბანაკში არ ცხოვრობს. თვითონ ქუჩაში მიმავალ მესაპურსაც დაემუქრნენ დანით.

57 წლის მესაპურმა ქრისტიანობა 25 წლის წინათ მიიღო. 1996 წლიდან კონვერტიტთა (სხვა რწმენაზე გადასულები) ევანგელისტური თემის პასტორია, მასთან დაახლოებით 100-მდე ადამიანი მოდის, ძირითადად, ირანიდან, უფრო ნაკლები — ავღანეთიდან.

**„მე მიყვარს მუსლიმანები. ჩემი და დღემდე მუსლიმანია, — ხაზს უსვამს მუსაპური, — მაგრამ არასწორად გაგებული ტოლერანტობის გამო გერმანია მეტისმეტ პატივისცემას იჩენს ისლამის მიმართ. რამადანის პერიოდში კი ვითარება კატასტროფული იყო“.**

კვების დრო მუსლიმანური მარხვის შესაბამისად იყო დაწესებული, ქრისტიანებს კი ნამცეცები რჩებოდათ. „მომავალ წელს ყველაფერი სხვანაირად უნდა იყოს, ვისაც მარხვის დაცვა სურს, აიღოს კერძი და მოგვიანების ჭამოს“, — ამბობს დეპუტატი.

ქრისტიანებისა და მუსლიმანების განცალკევება უკვე აღარ არის აკრძალული თემა. „მიუხედავად იმისა, რომ წინააღმდეგი ვარ რელიგიური ნიშნით დაყოფისა, როგორც ჩანს, სხვა გზა არ არის“, — ამბობს გერმანელი დეპუტატი. მუსაპურის თვალსაზრისი ამ საკითხზე სხვანაირია: **„ჩვენ აქ, გერმანიაში, ქრისტიანულ ქვეყანაში ვიმყოფებით. და ჩვენ არ უნდა დავემორჩილოთ თამაშის უცხო წესებს“.**

შტაინბახი ამბობს, რომ ყველა გერმანელმა პოლიტიკოსმა იცის ამ პრობლემის შესახებ, მაგრამ ვერავინ ბედავს ამ თემის წამოწევას.

დიდი ხანია, პოლიტიკა უკვე არ უსმენს მათ, ვისაც უნდა უსმენდეს. **მაგალითად, ჰესენის მიწის ხელისუფლება ისლამის საკითხებზე თანამშრომლობს ორგანიზაციასთან, რომელიც დაახლოებულია თურქეთის პრეზიდენტთან.**

**ჰანელორე კროლი**
Die Welt (გერმანია)



# «ფრონტ ან-ნუსრას» ტერორისტებმა ალეპოში 40 ადამიანი სიკვდილით დასაჯეს

**ალეპოში ტერორისტული დაჯგუფება „ფრონტ ან-ნუსრას“ მებრძოლებმა სიკვდილით დასაჯეს 40 ადამიანი, რომლებიც ქალაქის ტერიტორიის დატოვებას ჰუმანიტარული დერეფნის მეშვეობით ცდილობდნენ.**

რუსეთმა ალეპოში მშვიდობიანი მოქალაქეების ქალაქიდან გამოსვლისთვის რამდენიმე დერეფანი გახსნა. დერეფნით გამოსვლა, აგრეთვე, შეეძლებათ იმ ისლამისტებს, რომლებიც იარაღს დაყრიან და ქალაქს დატოვებენ.



# ავღანეთსა და პაკისტანში «ისლამური სახელმწიფოს» ლიდერი მოკლეს

საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფოს“ ლიდერი ავღანეთსა და პაკისტანში — ჰაფიზ საიდ ხანი 26 ივლისს მოკლეს ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების უპილოტო თვითმფრინავიდან დარტყმის შედეგად. ეს ინფორმაცია პენტაგონის წარმომადგენელმა 12 აგვისტოს გაავრცელა.

პაკისტანში ავღანეთის ელჩმა ომარ ზაჰილვალმა, თავის მხრივ, დააზუსტა, რომ ოპერაცია ჩატარდა ავღანეთის პროვინცია ნანგარჰარის კოტის ოლქში და ავიადარტყმების შედეგად ჰაფიზ საიდ ხანი მის საველე მეთაურებთან ერთად გაანადგურეს.

12 აგვისტოს, აგრეთვე, ცნობილი შეიქნა, რომ ერაყში მოკლეს „ისლამური სახელმწიფოს“ ერთ-ერთი ლიდერი, რომელიც დაკავებული იყო სანავთობე ოპერაციებით. სამი ჯასიმა ალ-ჯაბური, რომელიც ცნობილია, აგრეთვე, როგორც ჰაჯი ჰამადი, თანაშემწეებთან ერთად მოკლეს ერაყელი ქურთებისა და აშშ-ის სპეცრაზმის ერთობლივი სპეცოპერაციისას.

**გაზეთი FINANCIAL TIMES-ი, ისლამისტების ინფორმაციაზე დაყრდნობით წერს, რომ ჯიჰადისტები იღებენ მნიშვნელოვანი რაოდენობის ახალ იარაღს, ფულსა და სხვა მატერიალურ დახმარებას, რომლებიც მათ საბრძოლო სულისკვეთებაზე დადებითად მოქმედებს. სწორედ ამით იყო განპირობებული მათი გადასვლა შეტევაზე.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# აშშ, საუდის არაბეთი და ყატარი ჯიჰადისტებს ინტენსიურად აწვდიან იარაღს

**ბოლო დღეებია, აშშ-მა და მისმა მოკავშირეებმა იარაღის მიწოდება გაუორმაგეს ალეპოში გამაგრებულ ჯიჰადისტებს, ბრძოლები გამწვავდა. ისლამისტები ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში გასასვლელ-შემოსასვლელი დერეფნის შექმნას ცდილობენ.**

ალეპოში გამაგრებულმა ჯიჰადისტებმა დასავლური იარაღის დიდი პარტია მიიღეს, რათა შეეწინააღმდეგონ სირიის სამთავრობო ჯარების შეტევას. იარაღის ახალი პარტიის მიწოდებამ „ბოევიკებს" საშუალება მისცა, გამაგრებულიყვნენ რამდენიმე მიმართულებით, სადაც შეუპოვარი ბრძოლები მიმდინარეობდა. სამთავრობო ჯარებმა კი, როგორც ჩანს, ტაქტიკური თვალსაზრისიდან გამომდინარე, უკან დაიხიეს.

სირიის სახელისუფლო წყაროები მიუთითებენ, რომ **სირიის არმიამ გადაკეტა დერეფანი სამხრეთის მიმართულებით, რომელიც ჯიჰადისტებმა შექმნეს რამდენიმე დღის წინათ; შედეგად გარე სამყაროსა და ალეპოს აღმოსავლეთ ნაწილთან დამაკავშირებელი ეს რგოლი საიმედო აღარ არის და მას ჯიჰადისტები ველარ გამოიყენებენ სირიის სამთავრობო ჯარების წინააღმდეგ.**

გაზეთი Financial Times-ი, ისლამისტების ინფორმაციაზე დაყრდნობით წერს, რომ ჯიჰადისტები იღებენ მნიშვნელოვანი რაოდენობის ახალ იარაღს, ფულსა და სხვა მატერიალურ დახმარებას, რომელიც მათი საბრძოლო სულისკვეთებაზე დადებითად მოქმედებს. სწორედ ამით იყო განპირობებული მათი გადასვლა შეტევაზე.

მოვლენების თვითმხილველი, რომლის სიტყვებიც მოჰყავს ბრიტანულ გაზეთს, ლაპარაკობს **„ათეულობით სატვირთო ავტომობილზე, რომლებიც იარაღით იყო დატვირთული, მათ შორის საარტილერიო დანადგარებით. ისინი წამოვიდნენ თურქეთიდან ალეპოსკენ გზით, რომელიც მიდის 2012 წლიდან ჯიჰადისტებისა და ე.წ. ზომიერი ოპოზიციის კონტროლს დაქვემდებარებულ ქალაქის ნაწილში.**

გაზეთი მიუთითებს, რომ იარაღი და ფული მოდის საუდის არაბეთიდან, ყატარიდან და სხვა ადგილებიდან, რაც, უეჭველად, აშშ-ის პირდაპირი მითითებაა.

**ბოლო წლებში პენტაგონმა და ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ სირიაში უამრავი იარაღი გაგზავნეს „ზომიერი ოპოზიციისთვის", მაგრამ ეს იარაღი სინამდვილეში ჯიჰადისტების ხელში ხვდებოდა, უწინარესად — „ფრონტ ან-ნუსრას" „ბოევიკების", რომლებიც დაკავშირებულნი არიან „ალ ქაიდასთან".**

ეს ყველაფერი კეთდებოდა ვაშინგტონის პირდაპირი მხარდაჭერით.

ისევე, როგორც კონფლიქტის დასაწყისში, ჯიჰადისტებისთვის განკუთვნილი დასავლური იარაღი შედის თურქეთიდან.

9 აგვისტოს თურქეთის პრეზიდენტი **ერდოღანი** თავის რუს კოლეგა **ვლადიმერ პუტინს** შეხვდა და ერთ-ერთი თემა, რომელზეც ილაპარაკეს, იყო სირია. ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ **ერდოღანს განზრახული აქვს, კვლავაც ითამაშოს შუამავლის როლი ჯიჰადისტებსა და მათ ამერიკელ და არაბ მოკავშირეებს შორის.**

„Financial Times-ს მოჰყავს ფრაზა ერთ-ერთი სამხედრო ანალიტიკოსისა, რომელიც ამტკიცებს, რომ „ალ ჯულიანის" ახალი ჯგუფი, სახელდობრ, „სირიისა და ლიბანის დაპყრობის ფრონტი", არა მხოლოდ იარაღს იღებს „ზომიერი" არაბული ქვეყნებიდან, არამედ აქვს შესაძლებლობა, თავისი მებრძოლები გაწვრთნას ამ ქვეყნებში.

ჯიჰადისტებისთვის მიწოდებულ საბრძოლო ტექნიკაში არის საკმაოდ რთული მოწყობილობებიც, რომელთა მართვაც მხოლოდ სპეციალურად გაწვრთნილ ადამიანებს შეუძლიათ. **ჯიჰადისტების განკარგულებაშია, კერძოდ, თანამედროვე საარტილერიო ტექნიკა, სირიის არმიისთვის წართმეული ტანკები. ამას გარდა, ისინი ხშირად იყენებენ გამოცდილ და ეფექტიან იარაღს — მძღოლ-თვითმკვლელებს.** რამდენიმე დაჯგუფება გაერთიანდა კოალიცია Yasish al Fatach-ში, რომლის ყველა მონაწილე აშშ-დან, საუდის არაბეთიდან, ყატარიდან და თურქეთიდან იღებს მხარდაჭერას. ზოგიერთი მონაცემით, „განმათავისუფლებელი არმია" 40 ათას „ბოევიკს" ითვლის, რომლებიც დისლოცირებულნი არიან სხვადასხვა რაიონში, მათი მეოთხედი კი ალეპოში იბრძვის.

სირიის სამთავრობო არმიამ და მისმა მოკავშირეებმა, ძირითადად, „ჰეზბოლასა" და ირანელთა რაზმებმა, ალეპოსთან თავი მოუყარეს 30 ათას ჯარისკაცს, მაგრამ ჩანს, რომ ისინი ისეთი მოტივირებულნი არ არიან, როგორც ჯიჰადისტები, რომლებიც მზად არიან, დაუფიქრებლად გაწირონ თავი ღმერთისა და ისლამისთვის.

ამბოხებულებისთვის იარაღის ახალი პარტიის მიწოდება დროში დაემთხვა სირიის არმიისა და რუსეთის ავიაციის ძალისხმევით რამდენიმე დერეფნის გახსნას მოსახლეობისთვის, რათა ადამიანებმა დატოვონ ჯიჰადისტების მიერ დაკავებული ალეპოს აღმოსავლეთი სექტორი. მოსახლეობამ ამ დერეფნებით სრულად ვერ ისარგებლა.

გასულ კვირაში სირიისა და რუსეთის ავიაციებმა გააძლიერეს ჯიჰადისტების პოზიციების დაბომბვა მათი შეტევის შეჩერების მიზნით. ამ დაბომბვების ეფექტიანობა უახლოეს დღეებში იქნება ცნობილი, მაგრამ **ამბოხებულთათვის იარაღის მიწოდება აჩენს კითხვას — სადამდე შეიძლება შეტოპონ ამერიკელებმა და მათმა მოკავშირეებმა ტერორისტების მხარდაჭერაში? ტერორისტებს ჯერჯერობით არ აქვთ ჰაერსაწინააღმდეგო რაკეტები და ამიტომ რუსულ გამანადგურებლებს შეუძლიათ, მშვიდად იმოქმედონ, მაგრამ ვითარება მკვეთრად შეიცვლება, თუ ვაშინგტონი ჯიჰადისტებს ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემებს მიაწვდის.**



**ბოლო წლებში პენტაგონმა და ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ სირიაში უამრავი იარაღი გაგზავნეს «ზომიერი ოპოზიციისთვის», მაგრამ ეს იარაღი სინამდვილეში ჯიჰადისტების ხელში ხვდებოდა, უწინარესად — «ფრონტ ან-ნუსრას» «ბოევიკების», რომლებიც დაკავშირებულნი არიან «ალ ქაიდასთან»**



**ეუხენიო გარსია გასკონი**
Publico.es (ესპანეთი)

# რესპუბლიკელთა მხარდამჭერებს კლინტონის სამედიცინო ანკეტის ხილვა სურთ, დემოკრატებს — ტრამპის საგადასახადო დეკლარაციის

**Rasmussen Reports-ის ახალი გამოკითხვა აშშ-ში საპრეზიდენტო არჩევნების საფინანსო და ჯანმრთელობის საკითხებს ეხება. რესპუბლიკელები კვლავ სვამენ კითხვებს ჰილარი კლინტონის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ; დემოკრატები კი გაიძახიან, რომ დონალდ ტრამპმა თავისი საგადასახადო დეკლარაცია უნდა გამოამზეუროს.** 9—10 აგვისტოს ჩატარებულ სოციალურ კვლევაში 1000 რესპონდენტი მონაწილეობდა. გამოკითხულთა 67%-ის აზრით, პრეზიდენტობის ყველა კანდიდატმა თავისი საგადასახადო დეკლარაცია უნდა წარუდგინოს საზოგადოებას. აღსანიშნავია, რომ ამ თვალსაზრისის მხარდამჭერთა 77% დემოკრატიული პარტიის ამომრჩეველია. ამერიკელი ამომრჩევლების 59% კი პრეზიდენტობის კანდიდატებისგან ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ სამედიცინო დასკვნის გამოქვეყნებას ითხოვს.



# ერდოღანი: აშშ-მა, ადრე თუ გვიან, თურქეთსა და გიულენის ორგანიზაციას შორის არჩევანი უნდა გააკეთოს

**„ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ადრე თუ გვიან, არჩევანი უნდა გააკეთოს — ან თურქეთი ან Feto. მან უნდა გადაწყვიტოს ტერორისტულ დაჯგუფება Feto-ს აირჩევს თუ დემოკრატიულ თურქეთს", — განაცხადა თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა.**

ოფიციალური ანკარა მიიჩნევს, რომ ამერიკაში მცხოვრები მწერალი, საზოგადო მოღვაწე **ფეთჰულაჰ გიულენი** თურქეთში სამხედრო გადატრიალების მთავარი ორგანიზატორი იყო. გიულენი ბრალდებას უარყოფს. 19 ივლისს თურქეთმა აშშ-ის ხელისუფლებას მისი ექსტრადიციის შესახებ მოთხოვნა გაუგზავნა. 20 ივლისს ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებამ თურქეთის ხელისუფლების მიერ გიულენის ექსტრადიციის მოთხოვნა უარყო.



მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ოქტომბერში უნგრეთშიც ჩატარდება რეფერენდუმ. მოქალაქეებმა უნდა უპასუხონ კითხვას — აქვს თუ არა უფლება ევროკავშირს, აიძულოს უნგრეთი, ქვეყნის პარლამენტის თანხმობის გარეშე მიიღოს კვოტა მიგრანტების რაოდენობის შესახებ. უნგრეთის პრემიერი ვიქტორ ორბანი თვლის, რომ „ევროკავშირის კვოტები მიგრანტების განაწილების შესახებ ხელს უწყობს ტერორისტების დასახლებას ევროპაში“. რეფერენდუმის შედეგები წინასწარვე ცნობილია: უნგრელთა დიდი უმრავლესობა ქვეყანაში მიგრანტების შესვლის წინააღმდეგია. მთავარია, არჩევნებზე ამომრჩეველთა 50 პროცენტზე ნაკლები არ გამოცხადდეს.**

# ევროპა: სამომავლო ცვლილებების კონტურები

**სააგენტო Bloomberg-მა დაასახელა ევროპის რამდენიმე ქვეყანა, რომლებიც, ამ სააგენტოს ექსპერტთა აზრით, მალე გადაიქცევა არასტაბილურობის კერებად. ასეთი სახელმწიფოების ჩამონათვალში სააგენტომ შეიყვანა გერმანია, ესპანეთი, ავსტრია და ნიდერლანდები. არასტაბილურობის განვითარებაში თავისი წვლილი შეიძლება შეიტანოს დიდმა ბრიტანეთმა, აგრეთვე, ლიტვამ, ჩეხეთმა, რუმინეთმა, ხორვატიამ და უნგრეთმა. შესაძლო პერტურბაციებს (ორბიტიდან გადახრა — რედ.) სააგენტო უკავშირებს ამ ქვეყნებში დანიშნულ საპარლამენტო, საპრეზიდენტო ადგილობრივ არჩევნებსა და რეფერენდუმებს.**



**იტალიაში ბრიუსელთან ურთიერთობის გადახედვას ითხოვს არა მხოლოდ «მოძრაობა 5 ვარსკვლავი», არამედ «ჩრდილოეთის ლიგაც», რომელიც ვერ ხედავს თავისი ქვეყნის პერსპექტივას ევროკავშირში. როგორც «ჩრდილოეთის ლიგის» ლიდერმა მატეო სალვინიმ განაცხადა, იტალია არ იქნება ბოლო ქვეყანა, რომელიც ჩასაძირად განწირული ევროკავშირის ხომალდიდან ჩავა. მისი აზრით, ევროკავშირი «დამაწყნარებელი პერანგია» ევროპისთვის. «უნდა ვიცხოვროთ ევროპაში, — ამბობს სალვინი, — ეს კი შეიძლება მხოლოდ ევროკავშირის გარეშე»**




**ესპანეთში პოლიტიკური ცვლილებების ინიციატორია კატალონია. ივლისის ბოლოს კატალონიის პარლამენტმა მხარი დაუჭირა დასკვნას კომისიისა, რომელიც შექმნილია ესპანეთისგან ავტონომიის გამოყოფის საკითხების შესასწავლად. კომისიის დასკვნაში ლაპარაკია ცალმხრივად გამოყოფის მექანიზმსა და რეფერენდუმის ჩატარებაზე დამოუკიდებელი კატალონიის კონსტიტუციის მისაღებად. მადრიდმა საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრა კატალონიელთა გადაწყვეტილება, მაგრამ, როგორც ჩანს, უკვე გვიანია, რამე შეიცვალოს. სექტემბრის არჩევნები ბასკონიაში კი აჩვენებს, შეუძლიათ თუ არა ბასკებს ნაბიჯის გადადგმა კატალონიელთა მსგავსად**

*ექსპერტთა აზრით, შედეგები 4 და 18 სექტემბერს მეკლენბურგ-წინა პომერანიასა და ბერლინში დანიშნული ადგილობრივი არჩევნებისა, რომელშიც, შეიძლება გაიმარჯვოს პარტიამ „ალტერნატივა გერმანიისთვის“, განსაზღვრავს, როგორი პოლიტიკური კონფიგურაციით მივლენ გერმანელები 2017 წლის ბუნდესტაგის არჩევნებზე. თუკი **ანგელა მერკელი** კვლავ იბრძოლებს კანცლერის პოსტისთვის, არჩევნები გადაიქცევა რეფერენდუმად მისთვის ნდობის გამოცხადების საკითხზე.

მერკელის მიგრაციულმა პოლიტიკამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. კანცლერის პოზიციები შეირყა. დღეს „ალტერნატივა გერმანიისთვის“ მზად არის ქრისტიან-დემოკრატებთან საბრძოლველად. აღსანიშნავია, რომ ამა წლის მარტში საქსონია-ანჰალტიში ჩატარებულ არჩევნებში პარტიამ „ალტერნატივა გერმანიისთვის“ ხმების 24% მოაგროვა.

*2016 წლის სექტემბერში არჩევნები გაიმართება, აგრეთვე, ესპანეთის ერთ-ერთ ოლქში — **ბასკთა ქვეყანაში.** ექსპერტთა ვარაუდით, ბასკი ნაციონალისტები შეინარჩუნებენ ძალაუფლებას. ამასთანავე, შეიძლება პოზიციები გაიუმჯობესოს პარტია „პედემოსმა“, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ მომხრეა სამეფოს ერთიანობისა, ეწინააღმდეგება კრედიტორების მიერ ესპანეთისთვის თავსმოხვეულ მკაცრ ეკონომიკას და გასავლების შემცირების პოლიტიკას. **არჩევნების შემდეგ ბასკების ქვეყანა მადრიდისგან არა მხოლოდ დამატებით დაფინანსებას მოითხოვს, არამედ ავტონომიის უფლებების გაფართოებასაც, რაც ახალ ენერგიას შემატებს კატალონიელ სეპარატისტებს.**

*ოქტომბრის დასაწყისში განმეორებითი საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართება **ავსტრიაში**. თავისუფლების პარტიის კანდიდატად ნორბერტ ჰოფერს პრეზიდენტის პოსტის დაკავების კარგი შანსი აქვს, თუმცა ბრძოლა უშეღავათო იქნება. განმეორებითი არჩევნების ჩატარება გამოიწვია სასამართლოს გადაწყვეტილებამ, რომელმაც 22 მაისს წინა არჩევნების შედეგები ბათილად ცნო. წინა არჩევნებში კი მწვანეთა კანდიდატმა ალექსანდრე ვან დერ ბლენმა ოდნავ დაასწრო ჰოფერს.

*იმავე ოქტომბერში გაიმართება რეფერენდუმი სახელმწიფო მმართველობის რეფორმის საკითხზე **იტალიაში**. პრემიერ **მატეო რენცის** დემოკრატიული პარტიის წინადადებით, რეფორმით გათვალისწინებულია პარლამენტის ზედა პალატისთვის მთავრობის გადაყენების უფლების ჩამორთმევა და სენატორების რაოდენობის შემცირება.

„ბლუმბერგის“ მიერ **ივლისში ჩატარებული გამოკითხვის შედეგების მიხედვით, იტალიელთა 35% რეფორმის წინააღმდეგია, 29% მხარს უჭერს და 18%-ს ჯერ კიდევ არ აქვს გადაწყვეტილი, რას დაუჭიროს მხარი. მატეო რენციმ განაცხადა, რომ რეფერენდუმში წარუმატებლობის შემთხვევაში პოსტს დატოვებს. პოლიტიკური კრიზისი, თუკი წარმოიქმნება, ხელს აძლევს ევროსკეპტიკოსთა მოძრაობა „5 ვარსკვლავს“, რომელიც ევროკავშირიდან იტალიის გამოსვლის შესახებ რეფერენდუმის ჩატარებას მოითხოვს. აღსანიშნავია, რომ ამჟამად „5 ვარსკვლავის“ რეიტინგი უფრო მაღალია, ვიდრე მმართველი დემოკრატიული პარტიისა.**

*ოქტომბერში **უნგრეთშიც** ჩატარდება რეფერენდუმი. მოქალაქეებმა უნდა უპასუხონ კითხვას — აქვს თუ არა უფლება ევროკავშირს, აიძულოს უნგრეთი, ქვეყნის პარლამენტის თანხმობის გარეშე მიიღოს კვოტა მიგრანტების რაოდენობის შესახებ. უნგრეთის პრემიერი **ვიქტორ ორბანი** თვლის, რომ „ევროკავშირის კვოტები მიგრანტების განაწილების შესახებ ხელს უწყობს ტერორისტების დასახლებას ევროპაში“. რეფერენდუმის შედეგები წინასწარვე ცნობილია: უნგრელთა უმრავლესობა ქვეყანაში მიგრანტების შესვლის წინააღმდეგია. მთავარია, არჩევნებზე ამომრჩეველთა 50 პროცენტზე ნაკლები არ გამოცხადდეს.

4 აგვისტოს გერმანიის საზოგადოებრივი მედიაკამპანია ARD-ის ორგანიზაცია Deutschland Trend-მა გამოაქვეყნა სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგები, რომელთა მიხედვით **მერკელის მოღვაწეობით კმაყოფილია რესპონდენტთა 47%, რაც 12%-ით ნაკლებია ივლისში ჩატარებული გამოკითხვის მონაცემზე.** აღსანიშნავია, რომ ყველაზე დიდ უკმაყოფილებას მერკელის მიგრაციული პოლიტიკა იწვევს.

Der Spiegel-ის მიერ მაისში გამოქვეყნებული მასალის შემდეგ **გერმანელებმა იციან, რომ 2020 წლამდე ლტოლვილებისთვის 93,6 მლრდ ევრო უნდა გაიღონ. და ეს ეკონომიკური პრობლემების აისბერგის მხოლოდ ზედა ნაწილია.** იანვარ-მარტში გერმანიის ეკონომიკა 0,7%-ით გაიზარდა, მაგრამ უკვე მაისში მრეწველობის მონაცემები შემცირდა. ბუნდესბანკმა ეკონომიკური ზრდის პროგნოზი მიმდინარე წელს — 1,7%-მდე, ხოლო 2017 წელს 1,4%-მდე შეამცირა. მთავარი მიზეზი განვითარებული ქვეყნების ბაზრებზე ცუდი მდგომარეობა და ამით გამოწვეული ექსპორტის შემცირებაა.

ქვეყნის ეკონომიკაში შექმნილი პრობლემები ბანკებს საეჭვო ოპერაციების გაფართოებისკენ უბიძგებს. **ევროპის ცენტრალური ბანკისა და ევროპის ბანკების ორგანიზაციის მიერ ევროკავშირის დიდ ბანკებში ჩატარებული ტესტირების შედეგად გაირკვა, რომ „დოიჩე ბანკი“ ყველაზე ცუდი ბანკების ათეულშია. ამ ბანკის გარიგებებმა ფასიან ქაღალდებზე 55 ტრილიონ ევროს მიაღწია, რაც 4-ჯერ (!) მეტია ევროკავშირის ერთობლივ მთლიან შიდა პროდუქტზე. ეს, უბრალოდ, ნელი მოქმედების ფინანსური ნაღმია.**

რაც შეეხება **ესპანეთს,** იქ პოლიტიკური ცვლილებების ინიციატორი **კატალონიაა.** ივლისის ბოლოს კატალონიის პარლამენტმა მხარი დაუჭირა დასკვნას კომისიისა, რომელიც შექმნილია ესპანეთისგან ავტონომიის გამოყოფის საკითხების შესასწავლად. კომისიის დასკვნაში ლაპარაკია ცალმხრივად გამოყოფის მექანიზმსა და რეფერენდუმის ჩატარებაზე დამოუკიდებელი კატალონიის კონსტიტუციის მისაღებად. მადრიდმა საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრა კატალონიელთა გადაწყვეტილება, მაგრამ, როგორც ჩანს, უკვე გვიანია, რამე შეიცვალოს.

სექტემბრის არჩევნები **ბასკონიაში** კი აჩვენებს, შეუძლიათ თუ არა ბასკებს ნაბიჯის გადადგმა კატალონიელთა მსგავსად.

**ავსტრიაზე** ლაპარაკისას კი უნდა აღინიშნოს მიზეზი, რომლის გამოც საპრეზიდენტო არჩევნების შედეგები გაუქმდა. მიზეზი ბანალურია: ალპების რესპუბლიკაში არჩევნების შედეგები გაყალბდა იმიტომ, რომ სახელმწიფოს მეთაურის სავარძელში ევროსკეპტიკოსი არ ჩამჯდარიყო.

**იტალიაში** ბრიუსელთან ურთიერთობის გადახედვას ითხოვს არა მხოლოდ „მოძრაობა 5 ვარსკვლავი“, არამედ „ჩრდილოეთის ლიგაც“, რომელიც ვერ ხედავს თავისი ქვეყნის პერსპექტივას ევროკავშირში. როგორც „ჩრდილოეთის ლიგის“ ლიდერმა **მატეო სალვინიმ** განაცხადა, იტალია არ იქნება ბოლო ქვეყანა, რომელიც ჩასაძირად განწირული ევროკავშირის ხომალდიდან ჩავა. მისი აზრით, ევროკავშირი „დამაწყნარებელი პერანგია“ ევროპისთვის. „უნდა ვიცხოვროთ ევროპაში, — ამბობს სალვინი, — ეს კი შეიძლება მხოლოდ ევროკავშირის გარეშე“.

„დასავლეთი საკუთარ ჭაობში იძირება. დასავლეთმა დაანგრია იუგოსლავია, მოკლა მილოშევიჩი. ის დაადანაშაულა იმაში, რაც არ ჩაუდენია და რაზეც არ იყო პასუხისმგებელი. ენდეთ იუსტიციის დასავლურ სისტემას, ენდეთ ჰააგას, რომელმაც, ევროპის სხვა დედაქალაქების მსგავსად, მხარი დაუჭირა სახელმწიფო გადატრიალებას კიევში“.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საერთაშორისო ტრიბუნალმა ყოფილი იუგოსლავიის საკითხებზე ბრალდება მოუხსნა ციხეში გარდაცვლილ იუგოსლავიის ყოფილ პრეზიდენტს — სლობოდან მილოშევიჩს, რომელსაც ბრალი 1992—1995 წლებში, ბოსნიის ომის პერიოდში, სამხედრო დანაშაულების ჩადენის გამო წაუყენეს და ჰააგის ციხეში გამოამწყვდიეს.**

# მილოშევიჩი გაამართლეს, მისი ტრიბუნალის შემკვეთები განსასჯელთა სკამზე უნდა დასხდნენ!



„მილოშევიჩს გამამართლებელი განაჩენი ამა წლის 24 მარტს გამოუტანეს, ახლა უკვე აგვისტოა, მაგრამ დასავლურ პრესას პირში წყალი აქვს ჩაგუბებული“, — განაცხადა იტალიურ ტელეარხ PandoraTV-ს ეთერში ცნობილმა იტალიელმა პოლიტიკოსმა, ევროპარლამენტარმა, ჟურნალისტმა და პუბლიცისტმა **ჯულიეტო კიეზამ.**

„ვინ იცის ამის შესახებ? — არავინ. ამაზე არც ერთ ჩვენს გაზეთს არ დაუწერია. განაჩენი 24 მარტს გამოიტანეს, მაგრამ არანაირი განცხადება არ ყოფილა მილოშევიჩზე, მიუხედავად იმისა, რომ ამის შესახებ ლაპარაკია მეორე პატიმრის — **რადოვან კარაჯიჩის** (სერბეთის პირველი პრეზიდენტი 1992—1996 წლებში) მიმართ გამოტანილ დასკვნაში. კარაჯიჩს ამავე ტრიბუნალმა 40 წლით ალუკვეთა თავისუფლება.

**„მათთვის, ვინც ხვდება, რაზეა საუბარი, ეს ცნობა „ბომბია“, რომელმაც, სულ ცოტა, ყველა დასავლელი ლიდერი უნდა აიძულოს, მიტევება ითხოვოს ან იმავე ტრიბუნალის განსასჯელთა სკამზე დასვას“,** — ამბობს იტალიელი პოლიტიკოსი და პუბლიცისტი.

ჯულიეტო კიეზა მილოშევიჩის საქმიდან იხსენებს რამდენიმე ფაქტს, მათ შორის პოლიტიკოსის იდუმალებით მოცულ სიკვდილს.

**„საერთაშორისო ტრიბუნალმა მილოშევიჩი დამნაშავედ გამოაცხადა. ახლა კი ამბობს, რომ „არ აქვს საკმარისი მტკიცებულებები, რომ მილოშევიჩი მომხრე იყო ბოსნიელი მუსლიმანებისა და ბოსნიელი ხორვატების გაძევებისა ბოსნიის ტერიტორიიდან“,** რომელზეც პრეტენზია ჰქონდათ სერბებს.

დასკვნის ბევრი პუნქტი, რომლებიც ყურადღებით წავიკითხეთ და რომლებიც დოკუმენტების საფუძველზეა ჩამოყალიბებული, მიუთითებს მილოშევიჩისა და კარაჯიჩის პოზიციებს შორის მნიშვნელოვან სხვაობაზე.

და იმაზეც, რომ მილოშევიჩი სერბეთის რესპუბლიკის შექმნის წინააღმდეგი იყო. ეს დამტკიცებულია და არაერთხელ არის გამეორებული ტრიბუნალის გადაწყვეტილებაში.

მიუხედავად ამისა, ყველა დასავლური მედიასაშუალების მიერ გუნდურად შეურაცხყოფილმა, მათ შორის, იტალიური მედიის მიერაც, და „ბალკანეთის ყასბად“ შერაცხილმა მილოშევიჩმა 5 წელი გაატარა ციხეში. ზოგმა ის ჰიტლერსაც კი შეადარა.

მილოშევიჩი ციხეში მოკვდა (2006 წლის 11 მარტს — რედ.). მისი სიკვდილის გარემოებები იდუმალებითაა მოცული. მიზეზად გულის შეტევა დაასახელეს. მაგრამ გულის შეტევამას დაეწყო ორის კვირის შემდეგ, როცა სასამართლომ უარი განუცხადა რუსეთში მკურნალობაზე. მილოშევიჩი მოკვდა თავის კამერაში სამი დღის შემდეგ, როცა მისმა ადვოკატმა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს გაუგზავნა მილოშევიჩის წერილი, რომელშიც ის წერდა, ვშიშობ, მომწამლავენო.

ამ საქმის გარშემო ბევრი ეჭვი არსებობს, რადგან, რაც მოხდა, ყველაფერი ორგანიზებული და გასაიდუმლოებული იყო“, — აღნიშნავს ევროპარლამენტარი.

**«მათთვის, ვინც ხვდება, რაზეა საუბარი, ეს ცნობა «ბომბია», რომელმაც, სულ ცოტა, ყველა დასავლელი ლიდერი უნდა აიძულოს, მიტევება ითხოვოს ან იმავე ტრიბუნალის განსასჯელთა სკამზე დასვას»**

კიეზა ყურადღებას ამახვილებს აშკარა ფაქტზე: ჰააგის სასამართლო ემსახურება დასავლურ ჭაობს და შორსაა ჭეშმარიტების გარკვევისა და სამართლიანობის აღდგენისგან.

„ახლა ცხადია, რომ ე.წ. ტრიბუნალი უწმინდურთა ხროვაა... შეიძლება ითქვას, უარესიც, რომელიც მუშაობდა და მუშაობს იმპერიისთვის და არა სიმართლის გასარკვევად და სამართლიანობის დასაცავად.

მათ ყველაფერი იცოდნენ. მოსამართლე, რომელიც კარაჯიჩის სასამართლო პროცესზე თავმჯდომარე იყო, იმ მოსამართლეთა შორის გახლდათ, რომლებიც მილოშევიჩის სასამართლო დევნით იყვნენ დაკავებულნი. ამ მოსამართლემ იცოდა ორივე პროცესის ყველა დოკუმენტი და დეტალი.

მისი სახელია **ო განი** (ო გან კვანი — რედ.) და ის სამხრეთ კორეიდანაა. სირცხვილია, რაც მოხდა!

დასავლეთი საკუთარ ჭაობში იძირება. დასავლეთმა დაანგრია იუგოსლავია, მოკლა მილოშევიჩი. ის დაადანაშაულა იმაში, რაც არ ჩაუდენია, და რაზეც არ იყო პასუხისმგებელი.

ენდეთ იუსტიციის დასავლურ სისტემას, ენდეთ ჰააგას, რომელმაც, ევროპის სხვა დედაქალაქების მსგავსად, მხარი დაუჭირა სახელმწიფო გადატრიალებას კიევში“, — სარკაზმით ამბობს ჯულიეტო კიეზა.

# მილანში ბოროტმოქმედებმა გვირაბი გათხარეს და ბანკი გაძარცვეს




**უცნობმა პირებმა მილანის (იტალია) ცენტრში გვირაბი გათხარეს, ბანკში შევიდნენ და გაძარცვეს. ეს მოხდა მოქალაქეების მხრიდან პოლიციის არაერთხელ გაფრთხილების მიუხედავად.**

4-მა მძარცველმა გაიყვანა გვირაბი, რომლის მეშვეობითაც მილანის ცენტრში მდებარე ბანკ Banca Po Polare Di Novara-ში შეაღწიეს. პოლიციამ იცოდა მოსალოდნელი ძარცვის შესახებ — სამართალდამცველები გააფრთხილეს ადგილობრივმა მცხოვრებლებმა, რომლებიც შეშფოთებულნი იყვნენ უცნაური ხმებით.



ეს, როგორც გაირკვა, გვირაბის თხრის შედეგად გამოცემული ბგერები იყო. მიწისქვეშა სამუშაოების გამო რაღაც მომენტში ბანკის ახლოს, ტროტუარზე ნაპრალებიც გაჩნდა, მაგრამ პოლიციამ ამასაც არ მიაქცია ყურადღება.

შედეგად ბოროტმოქმედები ბანკში შევიდნენ და გაძარცვეს, შემდეგ კი მიიმალნენ. გატაცებული თანხის შესახებ ინფორმაცია არ გასაჯაროებულა.

ანალოგიური შემთხვევა მოხდა 45 წლის წინათაც, 1971 წელს, ლონდონში. ბეიკერ სტრიტისა და მარლებოუნროუდის გადაკვეთაზე გაძარცვეს Lloyds Bank-ი. ბოროტმოქმედებმა ამ შემთხვევაშიც გვირაბი გათხარეს, ბანკში შეაღწიეს და 1,5 მილიონი გირვანქა სტერლინგი გაიტაცეს. მოგვიანებით მომხდარზე კინოფილმიც გადაიღეს.

# პრინცესა დაიანას ყოფილი პირადი მცველის სენსაციური აღიარება



კენ უორფი და დაიანა

**„პრინცესა დაიანას გადარჩენა შეიძლებოდა“, — ეს სენსაციური აღიარება მის ყოფილ პირად მცველს — კენ უორფს ეკუთვნის.**

პოლიციის გადამდგარი ოფიცრის თქმით, პირად მცველებს შეეძლოთ არ მიეცათ პრინცესასთვის იმ ავტომობილში ჩაჯდომის ნებართვა, რომლითაც სასიკვდილოდ დაიმტვრა, მაგრამ რაღაც მიზეზების გამო ეს არ გააკეთეს.

XX საუკუნის ყველაზე ხმაურიანი ტრაგედიის დეტალებს გამოცემა The Expres-ი აქვეყნებს.

გავრცელებული ინფორმაციით, **უორფმა, რომელიც პრინცესა დაიანას 1993 წლიდან იცავდა, განაცხადა, რომ მძღოლი ავტომობილისა, რომლითაც პრინცესა გადაადგილდებოდა, ძალიან მთვრალი იყო. პირადმა მცველებმა შეამჩნიეს ეს და წინ უნდა აღდგომოდნენ მგზავრობას, რომელიც საბოლოოდ ტრაგედიით დასრულდა.**

დიდი ბრიტანეთის პრინცესა დაიანა 1997 წელს ავტოსაგზაო შემთხვევისას დაიღუპა პარიზში.

უახლესი ისტორია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამღერდებიან იმ დღის მიწურულს გალიდან ლტოლვილი ოჯახის წევრები. სიმღერა იქნება სევდიანი და თბილი, როგორც თბილი და რბილია მეგრული ნაუბარი, მომფერებელი, როგორც ზურგზე დედის ხელის მოთათუნება. მზე შუბის ტარზე იდგა, მკვდრის მზეს რომ ეძახიან, ისე, მაგრამ ისიც ხომ უეჭველია, რომ: „ხვალ მზე ამოვა უფრო დიდი ჩახჩახა!“**



დავით სალარიძე

# ტყვედ ყოფნა თუ — «დღეს სტუმარია ეგ ჩემი»?

## «სტუმარო, მოხვედ მშვიდობით»

დასასრული. დასაწყისი იხ. №30 (356)

**ბატონ დავით სალარიძესთან ინტერვიუ, რომელიც „საქართველო და მსოფლიოს“ წინა ნომერში გამოქვეყნდა (იხ. №30, „24 წლის შემდეგ მოყოლილი ამბავი“) მთავრდებოდა ასე: გაგოშიძეების ლტოლვილი ოჯახის დედ-მამა ჩავიდა გალში და ნახეს, რომ მათი სახლ-კარისთვის ხელი არავის უხლია, მეზობელს შეუნახავს, აფხაზებს არ გადაუწვიათ“.**

* * *

**ჰოდა, ბატონ დავითის მიწვევით ჩავედით ნორიოში, სალარიძის ნაჩუქარ სახლში, სადაც დროებით (იმედი ღმერთმა ნუ მოგვიშალოს!) გაგოშიძეების ოჯახი ცხოვრობს.**

**საინტერესო გვარია გაგოშიძეთა: ბატონი მურმანი (ოჯახის თავკაცი) ბაბუებს იხსენებს პირველად — პეტრესა და ბაგრატს:**

— პეტრე იყო **ნოე ჟორდანიას** „პოვარი“, სულ გარე-გარე დადიოდა. ბაგრატი იყო მუშა კაცი, უყვარდა შრომა.

**შრომის სიყვარული წინაპრებიდან გამოჰყვა ბატონ მურმანს, რომელიც ახლა 84 წლისაა, იმ ასაკისა, როცა „ბებერი ხარის რქებიცა ხნავენ“.**

— ხის ოდა-სახლებს ვაწყობდი, ისეთს, რომ გაგიხარია. ჩემი გაკეთებული კარ-ფანჯარა რომ ნახო, ჭკუაზე გადავა კაცი.

**გალში ჩასვლა ახალგაზრდა მურმანს ბიძაშვილმა ურჩია: აქ საქმე ბევრია და არ მოცდებიო. ჩავიდა და დარჩა. ამაზე პირველ პუბლიკაციაში უკვე ვთქვით** *(იხ. „საქართველო და მსოფლიო“ №30).*

**— რატომ მოიყვანეს მაინცდამაინც თქვენს სახლში მძევლები — სალარიძე და ხაზალია?**

— ჩემმა სიძემ მოიყვანა *(ეს კაციც ვახსენეთ წინა პუბლიკაციაში: ტრაგიკულად რომ დაამთავრა სიცოცხლე — ააფეთქეს).* კარგი ოჯახი გვინდაო, სმა და ჭამა. რომ მოგვიყვანეს, კაცო, იმას სმა და ჭამა არ უნდა?

**— არ გაგიჭირდათ?**

— არ გამიჭირდა: მე ვმუშაობდი. ყანა მქონდა გალში, იმისთანა სიმინდი მოდიოდა, რომ... ქალს უთხარით *(ჰკითხეთო)* და ის გეტყვით.

**— რატომ წამოხვედით გალიდან?**

— ომმა გვაიძულა. გზები დაკეტილი იყო, ღამე წყლით *(ენგურით)* წამოვიდა ხალხი. გამოვყევით. კინაღამ დავიხრჩე. ბიჭები მომეხმარნენ. ასე გადავრჩი.

**(ზუგდიდში ჩავიდნენ. იქიდან — თბილისში).**

— კამო ჯავახიძე კაი კაცი იყო. ჩემი ბიძაშვილები და მამიდაშვილები — ყველანი თბილისში იყვნენ... მერე დათო მოვიდა. მოგვნახა თვითონ — იცოდა ჩემი ბიძაშვილების სახლ-კარი. სახლი მაქვსო სოფელში და გაჩუქებთო.

**— გაჩუქათ კიდეც.**

— აბა, კაცო! აბა, კაცო!..

ბლიცინტერვიუ ბატონ მურმანთან აქ მთავრდება.

შევდივართ სახლში, მომცრო მაგიდაზე სუფრაა გაშლილი, გულით მორთმეული, რაც კი გააჩნდათ, ყველაფერი, და საუბრის სადავეებს ხელში იღებს ქალბატონი მერი — ოჯახის დედა და მთავარი დიასახლისი.

— კეთილი ფეხით შემოსულიყავით ამ ოჯახში, — ილოცება ქალბატონი მერი, — საჭმელი და სასმელი ჯერ კიდევ გვაქვს, მადლობა ღმერთს!

ცეცხლზე დგას ელარჯი.

— ამას უნდა ჩქარა ჭამა! — ამბობს და თეფშებზე გადმოაქვს ღმერთების კერძი, — მიირთვით.

**— ქალბატონო მერი, თქვენთვის მოულოდნელი იყო, ორი ადამიანი ოჯახში რომ შემოგიყვანეს, როგორც ტყვეები?**

— რა თქმა უნდა, მოულოდნელი იყო! სად ჩვენ, სად ტყვეები. მაგრამ ოჯახში ფეხი რომ შემოდგეს, ისინი ჩვენთვის უძვირფასესი სტუმრები გახდნენ. მიუხედავად იმისა, რომ განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებები გვქონდა. მაგრამ **„დღეს სტუმარია ეგ ჩემი“ ბუნებრივად გვქონდა გათავისებული. ამიტომ იყო, რომ, როცა ჩვენგან მიჰყავდათ, მე და ჩემი მოხუცებული დედა წინ აღვუდექით მოძალადეებს: ვეუბნებოდით, თუ აქ სადმე ვინმესთან მიგყავთ, ბარემ ჩვენთან დატოვეთ-მეთქი. და ისე იცოცხლოს ჩემმა ოთხმა შვილმა, როგორც შვილს გასტირებენ, ისე ვტიროდით ყველა. მაშინ თქვა ბატონმა დავითმა, თუ ცოცხალი ჩავედი თბილისში, ჩვენი ურთიერთობა იქნება ლეგენდარულიო. თქვა და შეასრულა კიდეც. აბა, ლეგენდებსა და მითებში სხვა არაფერია მოთხრობილი...**

**— იმ გაჭირვებულ დროში როგორ ახერხებდით ღირსეულ მასპინძლობას?**

— ვახერხებდით. მეზობელთან არც ერთხელ არ გავსულვარ და არაფერი მითხოვია. როცა გული გულობს, ყველაფრის გაკეთება ყოფილა შესაძლებელი. გვქონდა, არ გვქონდა, ესენიც ჯერდებოდნენ და მშივრებიც არ ვყოფილვართ.

ბატონ დავითს შეუმჩნეველი არ დარჩენია, რომ სირცხვილისგან სიმწრის ოფლი მდიოდა — სტუმარს ასე არ ხვდებიან, კიდევ უკეთესად მინდოდა, მაგრამ ვერ ვახერხებდი... ბაზარშიც არავის არაფერი არ გამოჰქონდა მაშინ...

**(— ახლა კი ამ ელარჯს ნუ გააცივებთ, ბატონო, მიირთვით, თორემ გემო დაეკარგება, — დროდადრო ჩაურთავდა ქალბატონი მერი. კი, რესპონდენტის როლშია, მაგრამ მასპინძელია, უწინარეს ყოვლისა, და, მაშასადამე, სხვა, უფრო დიდი მოვალეობა აკისრია, ვიდრე მხოლოდ პასუხების გაცემა შეკითხვებზე).**

— ის იყო ბედნიერი დღე, დათომ რომ შემოაბიჯა ჩვენს ოჯახში.

**— მიუხედავად იმ არანორმალური მდგომარეობის, რომლის ორომტრიალში თქვენც იყავით ჩათრეული?**

— დიახ, სწორედ იმ დროს მე და მურმანს დათოს სახით მეხუთე შვილი შეგვეძინა — პატრონი და დამხმარე.

**აქ საუბარში ერთვება დავით სალარიძე: — ძალიან გთხოვთ, ჩემგან ხელისშეწყობაზე, მხარში ამოდგომაზე ნუ ილაპარაკებთ. არ მოუხდება ეს ჩვენს ახლობლობას, ამ 26 წლის განმავლობაში ნათესაობად ჩამოყალიბებულ ურთიერთობას. იქნებ ჯობდეს, იმაზე ილაპარაკონ (ამას მე მეუბნება), დღეს როგორ ცხოვრობენ, რა უჭირთ, რა ულხინთ, როგორ არ ეპუებიან ცხოვრების სიძნელეებს. მეტ ყურადღებას იმსახურებენ, ჩემი აზრით, ხელისუფლებისგან.**

**— კი, ბატონო, — და ვცვლით საუბრის მიმართულებას.**

**— რამ გაიძულათ, აყრილიყავით გალიდან? ამბობენ, რომ აფხაზები ამოწყვეტით გემუქრებოდნენ.**

— ასეთი ლაპარაკი ცხელ გულზე ყოველთვის იყო და იქნება, — **ეს ქალბატონი მერია,** — აფხაზებზე მეტი გალში სხვა რჯულის ხალხი იყო შემოსული, — ჩეჩნები, სომხები... აფხაზებთან არც მაშინ გვქონდა ცუდი ურთიერთობა, არც ახლა გვაქვს. ცოტა ხნის წინათ გალში რომ დავბრუნდით, დავრწმუნდით, რომ ასეა.

— მაგრამ სხვა მომენტებია ისეთი, საეჭვოს რომ ხდის ჩვენს დაბრუნებას, ამ ეტაპზე მაინც. ოფიციალურ პოლიტიკაში სეპარატისტულ-ნაციონალისტური განწყობილებები მძლავრობს, — **ამატებს ქალბატონი მანანა გაგოშიძე**, თვითონაც ოჯახის დედა, აფხაზეთის უნივერსიტეტის პროფესორი, მეცნიერებათა დოქტორი.

**— აქ როგორ ცხოვრობთ?**

— ნორმალურად, — **ამბობს ქალბატონი მერი**, — დღეს ყველა ჩემი შვილი მუშაობს: მანანა, მანონი, ბადრი და მაია. ბადრიმ ახლახან დაიწყო ქორეოგრაფად მუშაობა სვანეთში.

**— მითხრეს, რომ მღერით ყველანი, ვინც ჩამოთვალეთ, პლუს თქვენ და ბატონი მურმანი.**

— ოჰ! *(იუხერხულებს)* კარგად ვმღეროდით, იწერდნენ კიდეც ჩვენს ოჯახურ გუნდს, მურმანს კარგი ბანი აქვს, მაგრამ *(ეცინება)* ახლა ვერ „ქაჩავს“ **(„აკრიტიკებს“ სიყვარულით).**

**ეტყობა, გათვალა, რომ სტუმრები აუცილებლად ვთხოვდით, ემღერათ, იმღერებენ კიდეც, რადგან ვთხოვეთ, და ეს პასუხი მობოდიშებასავით იყო, ნუ დაგვძრახავთ, თუ ისე არ გამოგვივა, როგორც ეკადრება ქართულ ღვთაებრივ მელოდიურობასო.**

— ქალბატონ მერის რა ლექსები აქვს დაწერილი, ის უნდა მოისმინოს კაცმა, — **კვლავ რეპლიკით ერთვება დავით სალარიძე.**

**მოვისმენთ, აბა, რა იქნება!**

მოვისმენთ იმ ლექსსაც, რომელიც დავითს ეძღვნება, მიუხედავად იმისა, რომ სალარიძე წინააღმდეგობის გაწევას შეეცდება.

— ჩემი გულიდან რაც მოდის, იმას ვერც დათო შეაჩერებს, ვერც ჩემი ოთხი შვილი და ვერც ვერავინ. მეთქმის და ვამბობ! — მტკიცე ხასიათი აქვს ქალბატონ მერის, — ამ კაცმა იმდენი რამ გააკეთა არა მარტო ჩვენთვის, არამედ ლტოლვილი ადამიანებისთვის საერთოდ, შვილი რომ ვერ გაუკეთებს მშობელს, იმდენი.

გვარებს ასახელებს — ეს ექიმიაო, ის — სამხედროო და ა.შ. მათ დანაბარებს გადასცემს ადრესატს, მადლობის სიტყვებს...

ყველას ვერ იხსენებს დავით სალარიძე, რადგან არც დაუთვლია, ვის, სად და რით დაეხმარა.

უშურველად დახმარებია და იმიტომ.

კითხულობს ქალბატონი მერი (პოეტებთან ბოდიშიც მაქვს მოხდილიო, ჩემი ამ გატაცების გამო, — გვეტყვის წინასწარ):

**ცხოვრების სიმკაცრემ**
**რამდენჯერ წაგვაქცია,**
**იმდენჯერ წინ დამხვდა**
**საშველად ხელი,**
**მადლობის გადახდა**
**გავუბედო როგორ,**
**იმას, ვინც მოგვიძღვნა**
**ცხოვრება მთელი.**
**ისევ შენ მოგმართავ,**
**დედაო ღვთისმშობელო,**
**მადლით შემოსილი**
**მათქმევინე სიტყვა,**
**ჟამმა არ წაშალოს და**
**თაობებს გადასწვდეს,**
**რადგან ყოველივე ღმრთის**
**ნებით ითქვა...**

ვერ ამთავრებს, რადგან დავითი საპროტესტო გამოსვლას გაააქტიურებს:

— ახლა რა გამოდის, — ზის სალარიძე და ისმენს მიძღვნილ ოდებს...

და ამ კატეგორიული პროტესტის ფონზე მთავრდება სახელდახელო „პოეზიის ხუთი წუთი“:

**შენ ცოცხალი ლეგენდა ხარ,**
**ჩვენ კი — შენი ბედისწერა...**

**— ასე იდილიურია თქვენი ცხოვრება, ქალბატონო მერი?**

— რა გითხრათ... რაც აქ ვცხოვრობთ, 12 ძროხა მოგვპარეს. პირველად — 2005 წელს — ოთხი და სულ ცარიელზე დავრჩით. დათო იმხანად მოსკოვში იყო. მამიდაშვილს ჩააბარა ჩვენი თავი. იმან მოგვხედა, ცოტას ბერებიც დაგვეხმარნენ და თვალში გამოვიხედეთ.

**— ქურდები იპოვეს?**

— ვინ იპოვიდა?! არ ვიცი, სადაურები იყვნენ — ნორიოელები, მარტყოფლები, ლილოელები? თითო უგვანი ყველგან გამოერევა. ბოლოს, 2009 წელს, 1 მაისი თენდებოდა, როცა დაბმული ძროხა წაიყვანეს. მაშინ ვუთხარი მეზობელს, არსად წამოგცდეს ეს ამბავი, მრცხვენია-მეთქი უკვე.

ვშიფრავ დიქტოფონზე ქალბატონ მერის ნაუბარის ჩანაწერს და მახსენდება მისი ლექსის ერთი შეგონება:

**...თუ საკუთარ თავს**
**სიცოცხლეშივე**
**შენივე ხელით ძეგლი**
**დაუდგი,**
**თუ კაცმა კაცზე კარგი**
**არა თქვა,**
**ცუდზე როგორ თქვას**
**მაშინ აუგი?!**

ვერ ამბობს აუგს, ვერც იმ ქურდბაცაცებზე, ვერც ცხოვრებაზე წამოსცდება მწარე სიტყვა ამდენ ჭირგადატანილ ქალბატონს.

ტკბილი სიტყვა?

გაგიხარია!

**— ქალბატონო მერი, ზვიად გამსახურდიას მომხრეობა ხელს ხომ არ გიშლით დღევანდელ საქართველოში?**

— ახლა ის დრო არ არის, ზვიადისტობისთვის ▶



მერი, მურმან და მანანა გაგოშიძეები

**«აფხაზებზე მეტი გალში სხვა რჯულის ხალხი იყო შემოსული, — ჩეჩნები, სომხები... აფხაზებთან არც მაშინ გვქონდა ცუდი ურთიერთობა, არც ახლა გვაქვს. ცოტა ხნის წინათ გალში რომ დავბრუნდით, დავრწმუნდით, რომ ასეა»**

**DEA-მ არა მხოლოდ დატოვა მარიხუანა მავნე ნივთიერებათა სიაში, არამედ დაადგინა, რომ მას (მარიხუანის) არ აქვს სასარგებლო სამედიცინო თვისებები, ამიტომ მისი გამოყენება სამედიცინო პრეპარატების დასამზადებლად მიზანშეუწონელია. უფრო ზუსტად: მარიხუანა მავნებელია თვით მცენარეული საფუძვლიდან გამომდინარე.**

რეპლიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ვინმემ პასუხი რომ მოგთხოვოს. მე ეს სიყვარული მაქვს და **გრიშა ონიანი**, მგონია, სტალინის დასაცავად ტყვიას მკერდს მიუშვერს. ასეა!

მე ჩემი სამშობლო მტკივა, ჩემი კუთხე — სამეგრელო:

**კიდევ ერთხელ მოისმინეთ
ჩემი გულის ჩივილი:
მომეძალა ნოსტალგია —
სამეგრელოს ტკივილი.
ლამის სხეულს ტოვებს
სული,
მიქრის თავაწყვეტილი,
ნუთუ აღარავის ესმის
ჩემი მოთქმა, ტირილი?
გადაივლის უღელტეხილს,
მიადგება მზიანეთს,
ეგებება სამეგრელო,
მის დარდს გაიზიარებს.
ეტყვის: „ნანა, გოლუაფირო,
მე მოგირჩენ იარებს.
ცოტა კიდევ გაუძელი,
დრო არც ისე შორია,
მანამდე კი მხრებით ზიდე
სამშობლოს ისტორია.
ყურს ნუ უგდებ
მითქმა-მოთქმას,
ყველა მონაჭორია.
სადაც ცხოვრობ, იქ ილოცე,
ნუ აჰყვები ცდუნებას,
უსაზღვროა უფლის ნება —
შეძლებს თქვენ
დაბრუნებას“.
ჩემი სულის ტაძარი ხარ,
ვერა გტოვებ წამითაც,
აქ დაგინთებ სანთელს,
ჩემო,
და ვიცოცხლებ ამითაც,
მაგრამ სევდას მე რა ვუყო,
რამაც ხელი დამრია,
შენ უშველე ჩემს ქვეყანას,
ღვთისმშობელო მარიამ!**

— ამ ადამიანების სული ვერაფერმა გატეხა, ეჭიდავენ ცხოვრებას, მაგრად დაუდგნენ ლტოლვილობას, — ამბობს დავით სალარიძე, — ეს ლექსიც ამის დასტურია: უფლის ნებით შევძლებთო დაბრუნებას!

თუმცა გულისტკივილი არ აკლიათ. ქალბატონი მერის დედა, გვარად ჩაკაბერია, გალელი ქალი, აქ გარდაიცვალა და აქაურ სასაფლაოზე მარხია. ერთი ფიქრი აქვთ ამათ — მშობლიურ მიწას მიაბარონ ის სათნო ქალბატონი.

ამღერდებიან იმ დღის მიწურულს გალიდან ლტოლვილი ოჯახის წევრები. სიმღერა იქნება სევდიანი და თბილი, როგორც თბილი და რბილია მეგრული ნაუბარი, მომფერებელი, როგორც ზურგზე დედის ხელის მოთათუნება.

მზე შუბის ტარზე იდგა, მკვდრის მზეს რომ ეძახიან, ისე. მაგრამ ისიც ხომ უეჭველია, რომ:

„ხვალ მზე ამოვა უფრო დიდი ჩახჩახა!“ (**გოგლა**).

**არმაზ სანებლიძე**

**P.S. ბატონი დავით სალარიძე გასული საუკუნის 90-იან წლებში ისეთ სახელმწიფო სამსახურში იყო ჩამდგარი, რომ უშუალოდ უწევდა მონაწილეობა მაშინდელი გარდამავალი პერიოდის სახელმწიფო მნიშვნელობის მქონე გადაწყვეტილებების მიღებაში.**

**ბევრი რამ ამ კულისებს მიღმეთიდან ფართო საზოგადოებისთვის უცნობია, ამდენად — საინტერესოც.**

**ვთხოვე, დამპირდა, რომ, თუ მშვიდობა იქნება, „საქართველო და მსოფლიოს“ მკითხველებს მოუთხრობს იმდროინდელ გაუსაჯაროებელ ამბებს.**

# ახლა საით, «მარიხუანისტებო»?

**რაც იმ დღეს ტელეეკრანზე ხდებოდა,
უბედურების მაუწყებელი იყო:
იმ დაავადების მაუწყებელი, რომელსაც
თვითმკვლელობამდე მიჰყავს საზოგადოება.**



ნარკოტიკული ბანგის ღრუბლებზე დააბიჯებდნენ რეალობას გათიშული პაციენტები, რომლებიც „შემოქმედებითი ელიტის“ ლიდერებად წარმოგვიდგნენ და მსმენელ-მაყურებლებს არწმუნებდნენ, რომ მარიხუანის ლეგალიზაცია არის ის გზა, რომელიც სჭირდება ხელოვნების განვითარებას თავისუფალ ქვეყანაში.

მეო,— იფიცებოდა ერთი მათგანი, — ჩემი შედევრი რომ შევქმენი (ღმერთო, მომკალი, არ მახსოვს, ლიტერატურულ თუ მუსიკალურ ოპუსზე ლაპარაკობდა), მაშინ კაიფში ვიყავი, და ხომ მოგწონთ, რაც გავაკეთეო! — ჩასძახოდა სტუდიაში მიწვეულებს და ის ქვევრიც ამოსძახებდა: — კიო! — დამიქშერებული ყრუ ხმით, რადგან, ვეჭვობ, ვინმემ იცოდა, რას იმოწმებდა ტრანსში მყოფი შამანი, რომელსაც აეხონხლა სიმრავლე „ამულეტების“. დოლიღა აკლდა საბრახუნოდ.

**პირში უცინოდა და თვალებში შესციცინებდა პროგრამის მარადმწვანე წამყვანი, რომელიც თავის სახელობის შოუში მაინცდამაინც მათ აძლევდა სიტყვას, ვისაც მარიხუანის ლეგალიზაციისთვის უნდა დაეჭირა მხარი.**

ისინიც არ უცრუებდნენ იმედს.

ერთიან პოზიციაზე იდგა იმ დღეს ის აუდიტორია, და დღე იგი იყო შარშან.

ვერ დაძლია ასეთი „ერთსულოვნება“ შეშფოთებულმა და შეძრწუნებულმა დოქტორმა და პროფესორმა გელა ლეჟავამ, რომელმაც ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში პირველმა ამოიღო ხმა ნარკომანიის წინააღმდეგ: **„ცეცხლს ეთამაშებით, ხალხო! მარიხუანის უვნებლობა ბლეფია!“**

ან როდის შეისმენდა კალაპოტიდან ამოვარდნილი მასა შეგონებას, რომელიც ბრბოს ლოზუნგებს არ ესადაგება.

აქვე შევნიშნავ, რომ ბატონი გელა უშუალოდ მონაწილეობდა საქართველოში ნარკოდამოკიდებულების პირველი კანონის შექმნაში. სწორედ მისი მოთხოვნით ჩაიწერა ამ კანონში, რომ ნარკომანია არის დაავადება, ხოლო ნარკოდამოკიდებული სარგებლობს ყველა იმ უფლებით, რომლებიც ნებისმიერ სხვა ავადმყოფს აქვს.

**აქციების მთელი ციკლი გამართეს მარიხუანის ლეგალიზაციის მოთხოვნით აქტივისტებმა — ხან სად, ხან რომელი სახელმწიფო დაწესებულების წინ.**

**ყველა ხვდება, საიდან მოდიოდა ეს აჩემება, ვისი დაკვეთა იყო და ვინ რამდენს იხდიდა საზოგადოებრივი აზრის ასეთი „თავისუფალი გამოვლენის“ ორგანიზებაში.**

ასე იყო.

მაგრამ როგორ იქნება დღეის ამას იქით, ესაა საკითხავი, რადგან ახლახან, **11 აგვისტოს, ამერიკის შეერთებული შტატების ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველომ (DEA), რომელიც აშშ-ის იუსტიციის სამინისტროს მნიშვნელოვანი სტრუქტურაა, მარიხუანა დატოვა საშიშ ნივთიერებათა სიაში.**

**ახლახან, 11 აგვისტოს, ამერიკის შეერთებული შტატების ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველომ (DEA), რომელიც აშშ-ის იუსტიციის სამინისტროს მნიშვნელოვანი სტრუქტურაა, მარიხუანა დატოვა საშიშ ნივთიერებათა სიაში**

გავლენიანი სტრუქტურაა ეს სამმართველო: მსოფლიოში აქვს დაფუძნებული რეგიონული ოფისები, რომლებშიც ხუთ ათასამდე მაღალკვალიფიციური სპეციალისტი მუშაობს. ეწევიან ანტინარკოტიკულ პროპაგანდას, ებრძვიან შავ ბაზარს, ტერორისტულ დაჯგუფებებს, რომლებსაც „თეთრი სიკვდილის“ გავრცელება ეფექტიან იარაღად აქვთ გამოყენებული.

ერთი რამ განსაკუთრებით საინტერესოა: **DEA-მ არა მხოლოდ დატოვა მარიხუანა მავნე ნივთიერებათა სიაში, არამედ დაადგინა, რომ მას (მარიხუანის) არ აქვს სასარგებლო სამედიცინო თვისებები, ამიტომ მისი გამოყენება სამედიცინო პრეპარატების დასამზადებლად მიზანშეუწონელია.**




უფრო ზუსტად: მარიხუანა მავნებელია თვით მცენარეული საფუძვლიდან გამომდინარე.

ეს ინფორმაცია გასულ კვირასვე გაავრცელეს **„ევრონიუსმა“** და **„ამერიკის ხმამ“**.

**ორიოდ დღეა, რაც საქართველოში კვლავ გააქტიურდა მარიხუანის ლეგალიზაციის მოთხოვნა. ამჯერად ახალგაზრდა კაცის თვითმკვლელობამ მისცა ბიძგი პრობლემის აქტუალიზაციას. პოლიციისა და საზოგადოების ურთიერთობის ნორმალიზაციის კუთხით განიხილავენ დღეს ამ ტრაგიკულ ფაქტს.**

გამოძიება არკვევს, ვინ არის დამნაშავე.

გამოიძიებენ და გვეტყვიან.

მაგრამ ადამიანის ორგანიზმზე მარიხუანას მავნე გავლენა ამ გამოძიების შედეგებზე დამოკიდებული რომ არ არის, ეს ელემენტარულია.

ბატონი **გელა ლეჟავა** შეგვახსენებს:

**— მარიხუანის მოხმარება ადამიანებში, რომელთა ორგანიზმი გენეტიკურად განწყობილია ისეთი დაავადებების მიმართ, როგორებიცაა შიზოფრენია, დეპრესია, ჰიპერტონია და ა.შ., იწვევს ამ დაავადებათა გამოვლენას. მწეველს მარიხუანის მოხმარება რომ არ დაეწყო, ეს „პოტენციური“ დაავადებანი თავს არ იჩენდა.**

ბატონი გელა დასძენს, რომ მარიხუანის მოწევის გადაჩვევა შესაძლებელია, მაგრამ იქამდე, სანამ ამ მიდრეკილებას არ გამოუწვევია ფსიქიკურ-ფიზიკური და სოციალური ნეგატიური შედეგები.

— **ამიტომ საზოგადოება (ხელისუფლება) ვალდებულია, უწინარეს ყოვლისა, აამოქმედოს ადმინისტრაციულ-პროფილაქტიკური ღონისძიებების მთელი კომპლექსი, რომელიც მარიხუანის მოწევით მიღებულ სიამოვნებას ადამიანს უსიამოვნებად გადაუქცევს. ესაა: ჯარიმები, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში იძულებითი ჩაბმა, შიდა პატიმრობა, ადმინისტრაციული პატიმრობა სამ თვემდე და სხვა.**

აუცილებელია სისტემატური ქიმიო-ტოქსიკოლოგიური კონტროლის დაწესება და, რასაკვირველია, ყველა იმ პირის სამედიცინო დახმარება, რომლებსაც წამალდამოკიდებულება ჩამოუყალიბდათ.

ორიოდ სიტყვა ლიბერალიზაციის შესახებ. **დიდმა ბრიტანეთმა სცადა კანონმდებლობაში ლიბერალიზაციის ელემენტების შეტანა, მაგრამ ამ მიმართულებით გადადგმულმა ნაბიჯებმა უარყოფითი შედეგი გამოიღო. ამიტომ 2009 წელს ინგლისელები იძულებულნი გახდნენ, მარიხუანა, როგორც მავნე ნივთიერება, C კლასიდან კვლავ B კლასში დაებრუნებინათ, ანუ იქ, სადაც ლიბერალიზაციამდე იყო.**

აი, ასე: **ამერიკაში მავნე ნივთიერებათა სიიდან მარიხუანის ამოღებაზე უარი თქვეს, ინგლისშიც დაუტოვეს ძველი „სტატუსი“. მაშასადამე, გაუცუდდათ ჩვენს „მარიხუანისტებს“ „რომის პაპზე მეტი კათოლიკობა“ ამ „ბალახის“ ლეგალიზაციისთვის ბრძოლაში.**

**ამერიკაში მავნე ნივთიერებათა სიიდან მარიხუანის ამოღებაზე უარი თქვეს, ინგლისშიც დაუტოვეს ძველი «სტატუსი». მაშასადამე, გაუცუდდათ ჩვენს «მარიხუანისტებს» «რომის პაპზე მეტი კათოლიკობა» ამ «ბალახის» ლეგალიზაციისთვის ბრძოლაში**

ხოლო მათ, ვინც ამ წამხედურთა მავნებლურ აქტიურობას წინ აღუდგა, ლაო ძის შეგონებით გავამხნევებ: „იარეთ პირქარის საწინააღმდეგოდ! დაე, მათ გაფურთხონ ზურგში!“

**არმაზ სანებლიძე**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დასავლეთი და ამერიკა დემოკრატიის სახელით აკანონებენ კრიმინალსა და უზნეობას მსოფლიოში. როცა საქართველოს პრემიერი კრიმინალური სექტის დაუსჯელობას პროგრესად მიიჩნევს, ხოლო ექსსპიკერი დავით უსუფაშვილი კრიმინალური ბანდის გადარჩენას — დემოკრატიის გადარჩენად, ეს უზნეობაა დემოკრატიის სახელით, ხოლო თვითონ დემოკრატია — კრიმინალის დამკვიდრება ქვეყანაში.**

„ჩვენი მტერნი და მოყვარენიც თვითონ ჩვენი საქმენი არიან“.

ნიკოლა ლემერი

# ლეღვის ფოთლები ქართულ პოლიტიკაში

საქართველოში საარჩევნო ციებ-ცხელება მნიშვნელოვან ფაზაში შევიდა — პრემიერი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში წარადგენს თავის კანდიდატებს. ქუთაისში მაჟორიტარების წარდგენისას გიორგი კვირიკაშვილმა აღნიშნა, შურისძიებასა და ანგარიშსწორებაზე უარი უნდა ვთქვათ და მომავლისკენ უნდა ვიყუროთო. ეს კი ნიშნავს, რომ საქართველო სამართლებრივი მომსახურების ზონიდან გასულია და, რაც წინა რეჟიმმა ქვეყნისა და ადამიანურობის წინააღმდეგ დანაშაული ჩაიდინა, უნდა ვაპატიოთ, ანუ ქვეყანაში შერჩევითი სამართალი მოქმედებს. ეს იდეოლოგია ჯერ კიდევ იმ დროიდან იღებს სათავეს, როცა ექსპრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა წამებისა და მკვლელობების ინიციატორები — ვანო მერაბიშვილი და ზურაბ ადეიშვილი კარგ მენეჯერებად მოიხსენია. საინტერესოა, ჰიტლერი და მისი თანაპარტიელები დადებითად რომ მოეხსენიებინა ვინმეს, როგორი რეაქცია ექნებოდა გერმანელ ხალხს? გერმანელები ხომ დღემდე ეძებენ და სჯიან მის მიმდევრებს.



ექსპრემიერ ივანიშვილის იდეოლოგია, ირაკლი ღარიბაშვილისაგან განსხვავებით, გიორგი კვირიკაშვილმაც გაითავისა და აღნიშნა: მე ვაღიარებ მათ (ნაციონალების — ი. თ.) მიერ მიღწეულ პროგრესს ქვეყანაშიო. არადა, ქვეყნის განვითარების შეფერხება ყველა მიმართულებით თვალში საცემი იყო და არის დღესაც. **პრემიერი კვირიკაშვილი აღიარებს, რომ მკვლელობები, მამაკაცების წამება და გაუპატიურება პროგრესია, ე.ი. თუ ნაცები თავიანთ ბინძურ წარმოსახვას იკმაყოფილებდნენ, ქოცები მათთან „ერთ ხორც და ერთ სულ“ არიან?!** მისმა რჩეულმა ვინმე კოლუაშვილმა ხომ სულ ოსანა უმღერა „ნაცსექტას“. ერთი რამ ცხადია: „სულელს სულელი მაქებარი არ დაელევა“. **აღარ არის საინტერესო, ვისი შეკვეთილი მუსიკის ჰანგებზე ღნავიან ქოცები, რადგან ამ რიტორიკით ორი კურდღლის დაჭერას აპირებენ — თავიანთ პატრონებთან, ამერიკელებთან, თავს იწონებენ და ნაცების გულის მოგებასაც ცდილობენ!**

გენიალურმა ვაჟა-ფშაველამ ბრძანა: „რაც უნდა ავი მამკერძონ, ბილწთ არ შავეკვრი ზავითა“-ო. „ავი“ სამშობლოს „მიჰკერძეს“, თანაც არაერთი და ეს პროცესი, 25 წელია, გრძელდება. დარწმუნებული ვარ, დიდი ჰუმანისტი და გენიოსი, ჩვენს ეპოქაში რომ ეცხოვრა, აუცილებლად დაწერდა: „რაც უნდა ვერცხლი მამკერძონ ბილწთ არ შავეკვრი ზავითა“, რადგან **სწორედ იუდას ვერცხლზე ყიდიან ნაც-ქოცები საქართველოს. ნაც-ქოცური იდეოლოგია დაუსჯელობის სინდრომის დაკანონებას ნიშნავს, ხოლო ამ იდეოლოგიის წარმმართველებს ქართველი ხალხი გონებაშეზღუდული და ფსიქიურად დაავადებული ჰგონიათ ისევე, როგორც ნაცპრეზიდენტ მარგველაშვილს.** გენიალური **ალბერტ აინშტაინი** კი გვასწავლის: **„მსოფლიო სახიფათო ადგილია არა მათ გამო, ვინც ბოროტებას სჩადის, არამედ მათ გამო, ვინც ამას უყურებს და ხელს არ უშლის“.**

დიახ, **დასავლეთი და ამერიკა დემოკრატიის სახელით აკანონებენ კრიმინალს და უზნეობას მსოფლიოში. როცა საქართველოს პრემიერი კრიმინალური სექტის დაუსჯელობას პროგრესად მიიჩნევს, ხოლო ექსსპიკერი დავით უსუფაშვილი კრიმინალური ბანდის გადარჩენას — დემოკრატიის გადარჩენად, ეს უზნეობაა დემოკრატიის სახელით, ხოლო თვითონ დემოკრატია — კრიმინალის დამკვიდრება ქვეყანაში.** მსგავსი „მარგალიტები“ აღარ უნდა გავვიკვირდეს ექსპრემიერ ივანიშვილისგანაც, რადგან მას მრჩევლად (თვითონ თქვა) დავით უსუფაშვილი ჰყავდა, ხოლო შემდეგ — ვინმე ჩუგოშვილი. ბატონმა ბიძინამ ქრისტიანული მცნებაც მოიყვანა მაგალითად, — მტერს უნდა შევუნდოთო. მართლმადიდებლური სწავლება მხოლოდ პირადი მტრისთვის მიტევებას გვირჩევს და არა ქვეყნის მტრისთვის. **პირტიტველა ბიჭების მკვლელობები საკუთარ პიარზე ჰქონდათ გათვლილი, რათა ნაბიჭვარი ამერიკელებისთვის თავი მოეწონებინათ — აი კრიმინალი აღვკვეთეთო.** მკვლელობები — მხოლოდ ძალის დემონსტრირებისთვის. **როგორ შეიძლება საზოგადოებამ დაუშვას, რომ ეს ყოველივე ბოდიშით შემოიფარგლოს?! თუ კანონმდებლობას შეცვლიან და ნაცნაბიჭვრების მკვლელობა კაცის კვლად (არიან კი კაცები?!) არ ჩაითვლება, ყველაზე დიდი ჰუმანისტის — ვაჟას იდეოლოგიით ვიხელმძღვანელებთ: „ვისაც ჩვენ არ ვებრალებით, ჩვენ შავიბრალოთ რისადა, სიკვდილი თვითონ უფალსა, მოუგონია მტრისადა“, — ეს კი მართლაც პროგრესი იქნება, რადგან საქართველოსა და ქართველ ხალხს უახლოეს წარსულში ნაცებზე დიდი მტერი არ ჰყოლია და ჩვენი სირცხვილია, რომ ამ კაციჭამიების სექტას არსებობა გავუხანგრძლივეთ.** თუ მკვლელობები ამერიკული დემოკრატიაა, მკვლელების დასჯა დემოკრატიულობის ჩარჩოებს სცილდება? დემოკრატიის სახელით განხორციელებულმა უზნეობის კასკადმა წალეკა ქართული პოლიტიკური სივრცე. **ამერიკულმა ინვესტიციამ ქართულ „დემოკრატიაში“ ნაყოფი გამოიღო არა ქართველი ხალხის ინტერესების შესაბამისად, არამედ ამერიკული ოცნება განახორციელა.** ამერიკის ელჩი ხშირად შეგვახსენებს იმ ინვესტიციებს, რომლებიც ამერიკელებისვე მართული ხელისუფლებისა და „ასო“-ების (არასამთავრობო ორგანიზაციების) დაფინანსებაში აისახება. საყურადღებოა, რომ რუსეთსა და ისრაელში „ასო“-ები კონტროლზე აიყვანეს, რადგან მათი დაფინანსებით ერევიან უცხო სახელმწიფოები ქვეყნის საშინაო საქმეებში.

ნაცები ტერორისტული აქტების ალკვეთის იმიტაციით აწონებდნენ თავს ამერიკელებს, ქოცები — იდეოლოგიით. იყურეთ წინ, მომავლისკენ და წარსული დატოვეთ წარსულშიო, — გვმოძღვრავენ ამერიკელები და საქართველოს ე.წ. პრემიერიც სიტყვასიტყვით, ექოსავით იმეორებს მათ ნათქვამს.

ქართველებო და არაქართველებო, რომლებსაც საქართველო სამშობლოდ მიგაჩნიათ, ნუ დატოვებთ მას ნაცების, ალასანიებისა და ყველა იმ ნაძირალის ამარა, რომლებმაც სამშობლო იუდას ვერცხლზე გაყიდეს და დღესაც ყიდიან, რომლებსაც საგარეო პრიორიტეტად დასავლეთი მიაჩნიათ, რადგან ეს გზა სწორედ ეროვნულობაზე, ქართველობაზე უარის თქმას ნიშნავს

პრემიერს არც **ირაკლი ალასანია** ჩამორჩება, — წინა ხელისუფლების მიღწეული პროგრესი ვაღიაროთ და მათ მიერ აგებულ მყარ ნიადაგზე სვლა განვაგრძოთო. მისი თანაგუნდელი და პარტიის შავი ლაქა, ვინმე **გოგუაძე,** რაიხსფიურერის პათოსითა და ჟესტიკულაციით აცხადებს: „მე ივანიშვილის პირადი მტერი ვარ!“. ივანიშვილისადმი, როგორც პოლიტიკოსის მიმართ შეიძლება კითხვები გვქონდეს, მაგრამ მისი მსგავსი ქველმოქმედი საქართველოს არ ჰყოლია და, **როცა ნეხვის ჭიები ივანიშვილის მიმართ მტრობას აანონსებენ — სასაცილოა.**

საქართველოს ე.წ. ხელისუფლებას იდეაშიც არა აქვს ტერიტორიების დაბრუნება, არც ეკონომიკის განვითარება, არც საქართველოს სამომავლო გეგმის განსაზღვრა. ამიტომაც არ უფიქრია სანკტ-პეტერბურგის ფორუმში მონაწილეობაზე, სადაც რუსეთისა და თურქეთის ლიდერები თავიანთი ქვეყნების ინტერესებზე საუბრობდნენ. მათი ვალდებულება მხოლოდ ამერიკელთა დირექტივების შესრულებაა.

თურქეთში სახელმწიფო გადატრიალებისთვის ხელშეწყობა მსოფლიოზე ამერიკელთა ბატონობის გაგრძელების ერთ-ერთი ფაქტორი იყო. ამ გადატრიალების წარმატებით დასრულებას რუსეთმა შეუშალა ხელი, თურქი ხალხიც მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა და მხარში ამოუდგა ქვეყნის ხელისუფლებას. აშშ ფორსირებულ შეტევაზე გადასვლას ცდილობს ბალტიისპირეთიდან და პოლონეთიდან, რათა რუსეთი ალყაში მოაქციოს, რაც მსოფლიოს მესამე მსოფლიო ომის საფრთხის წინაშე აყენებს. ამერიკას რუსეთის დაშლისკენ მიმართული ოცნება განუხორციელებელი დარჩა, მაგრამ მანიაკურ მიდრეკილებებზე ხელს არ იღებს, რაც მსოფლიოს საფრთხეს უქმნის. რუსეთს შესწევს ძალა, თავი დაიცვას და ჩვენ არ უნდა დავდგეთ უზნეო პოლიტიკის მხარეს. **აშშ დარტყმის ქვეშ აყენებს ჩვენს ქვეყანას, როცა უტიფრად აცხადებს, რომ მთავარი საფრთხე რუსეთია.** რუსეთი დღეს საერთაშორისო სამართლის ნორმებს არ არღვევს, ამერიკელებისგან განსხვავებით, რომლებიც მხოლოდ იმის გაკეთებას ცდილობენ, რაც სურთ. ჩვენს პოლიტიკურ სპექტრს კი პროტესტი არ უჩნდება — ეს მონის დამოკიდებულებაა. **აშშ იმ არჩევნებს თვლის დემოკრატიულად, რომელშიც მის მიერ წახალისებული ძალა იმარჯვებს. საქართველოს ინტერესების საზიანოდ მოქმედი ძალები — ნაცები, „თავისუფალი დემოკრატები“ და ყველა ის პარტია, რომელიც კურსს დასავლეთისკენ იღებს — მარგინალური ძალები არიან, ხალხს ყალბი დაპირებებით კვებავენ და ქვეყანას არანაირი პერსპექტივა არ ექნება, ისევე, როგორც ბოლო 25 წლის განმავლობაში არ ჰქონია.** როცა რუსეთმა, ხელი შეუშალა ამერიკის გაბატონებას შავ ზღვაზე, ამერიკის დაკვეთით, რუსეთის სანქციებს საქართველოც შეუერთდა. რუსეთი ამ პროვოკაციულ ნაბიჯს არასასურველი და არამეგობრული უნდა და საქართველოს ბორჯომისა და ღვინის შეტანა შეუზღუდა. საქართველოს მცდე- ▶

მსოფლიო

## ჰაკერებმა ნატოსა და სოროსის ფონდის სისტემები გატეხეს



**ვებგვერდ DCLEARS.com-ზე გამოქვეყნდა საიდუმლო ხასიათის რამდენიმე დოკუმენტი, რომლებიც აშშ-ის საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებს ეხება.** სააგენტო Bloomberg-ი ამტკიცებს, რომ მონაცემების გაჟონვაში, რომლებიც ნატოსა და სოროსის ფონდის დოკუმენტების გამომზეურებამ გამოიწვია, რუსი ჰაკერების ხელი ურევია, თუმცა ამის მტკიცებულებები არ მოჰყავს.

გამოქვეყნებული დოკუმენტები მოწმობს, რომ ევროპაში ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ჯარების ყოფილ სარდალ **ფილიპ ბრიდლავსა** და აშშ-ის პრეზიდენტ **ბარაკ ობამას** განსხვავებული თვალსაზრისი ჰქონდათ ზოგიერთ საკითხზე. გამოქვეყნებულ მიმოწერაში ბრიდლავი ამბობს, რომ ამერიკელები არასაკმარის ყურადღებას უთმობენ ევროპას. სოროსის ფონდის დოკუმენტებიდან კი ჩანს, რომ ეს ორგანიზაცია თავის უპირველეს ამოცანად ევროპაზე რუსეთის გავლენასთან შეწინააღმდეგებას მიიჩნევს. რუსულ პროპაგანდასთან საბრძოლველად ფონდმა 500 ათასი დოლარი მოითხოვა — ამას ჰაკერების მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტი მოწმობს.

# ნაც-ქოცური იდეოლოგია დაუსჯელობის სინდრომის დაკანონებას ნიშნავს, ხოლო ამ იდეოლოგიის წარმმართველებს ქართველი ხალხი გონებაშეზღუდული და ფსიქიკურად დაავადებული ჰგონიათ ისევე, როგორც ნაცპრეზიდენტ მარგველაშვილს.

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ლობა, ამერიკის დაკვეთით ავნოს რუსეთს, ფაქტობრივად, საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ არის მიმართული და რუსეთს ვერაფერს დააკლებს. თუ მტრულად განვეწყობით რუსეთის მიმართ, მივიღებთ მტრობას, რაც დაანგრევს საქართველოს და არა რუსეთს. ამასთანავე, ჩნდება ლოგიკური კითხვა — **თუ ოსებსა და აფხაზებს ძმებად მივიჩნევთ, რატომ ისინი არ თვლიან ოკუპირებულად ამ ტერიტორიებს? პასუხი მარტივია: ისინი არ არიან მომხრე იმ პოლიტიკური ვექტორისა, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება მისდევს და, თუ ქვეყნის გამთლიანება გვინდა, ეს პოლიტიკური ვექტორი უნდა შევცვალოთ!**



საზოგადოების დაკვეთით მოქმედებენ პარტიები, რომლებიც საგარეო ვექტორის შეცვლაზე არიან ორიენტირებული. როგორც ერთმა პატივცემულმა პიროვნებამ გამიმხილა, არაერთი ცდის მიუხედავად, ამ პარტიების გაერთიანება ვერ მოხერხდა. ერთი მათგანი — „რუსეთი ჩვენი მეზობელია“ — რეგისტრაციაში არ გაატარეს, ანუ რუსეთი მეზობელი კი არა, მტერი და ოკუპანტიაო. პარტია „ჩვენი სამშობლოს“ ლიდერი კი, როგორც პირად საუბარში მითხრა, ოსების, აფხაზებისა და ქართველების შერიგებაზეა ორიენტირებული და მტრებისთვისაც კი ლოცულობს. შერიგებას მივესალმები, მაგრამ ქვეყნის მტერი ნაცბანდისთვის ლოცვით ხალხის დაკვეთას ვერ ავასრულებთ. თამარ მეფეც ლოცულობდა, როცა სანთლით ხელში, ფეხშიშველი მიუძღოდა ქართველ ვაჟკაცთა ლაშქარს, საქართველოს გადარჩენასა და მტერზე გამარჯვებას შესთხოვდა

## თამამად შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის ბაზების დაბრუნება საქართველოში დასავლეთის კანიბალებისგან თავის დაცვაც იქნება და მათი იდეოლოგიისგან თავის დაღწევაც




მაცხოვარს, მაგრამ მტერს მტრულად ხვდებოდა და მოყვარეს — მოყვრულად. ერთ-ერთი პარტიის ლიდერმა თავისი დონის შესაფერისად არ მიიჩნია ეს პარტიები — ვის უტოლდებიანო, — უბრძანებია. რაც შეეხება **თამაზ მეჭიაურის** პარტიას, ბევრ კითხვის ნიშნებს აჩენს. იგი ემიჯნება სხვა პარტიების იდეას — რუსეთის ბაზების დაბრუნებას საქართველოში. ამ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობაა, მაგრამ ერთი რამ ცხადია: **რუსეთის ბაზების არსებობა საქართველოში ჩვენი პოლიტიკური უსაფრთხოების გარანტი და საქართველოს გამთლიანების წინაპირობაა. თურქეთმა აჭარის ეკონომიკური ექსპანსია მოახდინა და ოსმალეთის იმპერიის აღდგენასაც ისახავს მიზნად.** მეჭიაურმა განაცხადა, რომ უკან დასახევ გზასაც იტოვებს „ქართული ოცნების“ რიგებში. ეს კი ერთი ქართული ანდაზის ჰანგებზე როკვაა: „ასე, ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო“. გარდა ამისა, იდეოლოგიას ცნობიერება განსაზღვრავს და 4 წელიწადში ერთხელ არ ხდება რადიკალური ძვრები ცნობიერებაში. მეჭიაურის პარტია ლეღვის ფოთოლია ოცნებისტების „სარცხვინელზე“, მაგრამ ისმის ლოგიკური კითხვა — ჰქონდათ კი იდეოლოგიური „სარცხვინელი“ მეოცნებეებს, როცა ნაცებთან, ალასანიას პარტიასთან და რესპუბლიკელებთან ერთად ამერიკელების მიერ ნაბოძებ იუდას ვერცხლზე სამშობლოს ჰყიდდნენ?

**თამამად შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის ბაზების დაბრუნება საქართველოში დასავლეთის კანიბალებისაგან დაცვაც იქნება და მათი იდეოლოგიისაგან თავის დაღწევაც.** კიდევ ერთხელ შევახსენებ საზოგადოებას ილია ჭავჭავაძის მიერ აღწერილ მოლოდინს რუსეთის ჯარისას საქართველოში 1799 წლის 28 ნოემბერს: **„მოუთმენლად ელოდებოდნენ ჯარსა, ვითარცა ქვეყნის მხსნელსა, მშვიდობიანობისა და მოსვენების მომავლინებელსა“.**

**ნაცების რიტორიკით, რუსეთის ჯარი ოკუპაციას ნიშნავს, მაშ, რა დანიშნულება აქვს ნატოს სამხედრო ტექნიკის განლაგებას საქართველოში?**

რუსეთისა და ამერიკის დამოკიდებულებას საქართველოს მიმართ ერთი არგუმენტიც განსაზღვრავს: **ერთმა იმპერიამ ააყვავა საქართველო, მეორემ — დააქცია და 3 ნაწილად დაშალა. ვერც ამ ქვეყნების ლიდერებს შევადარებთ ერთმანეთს: სად სტალინი — სოციალისტური სისტემის მშენებელი და სად ობამა — ხელში ბომბით?!**

დიდი ილია ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში მოთქვამდა: **„გავწყდით, გავიჟლიტენით, თავი გავიწირეთ, უსწორო ომები ვასწორეთ, ხორცი მივეცით სულისათვის და ერთი მუჭა ერმა ქრისტიანობა შევინახეთ, არ გავაქრეთ ამ პატარა ქვეყანაში, რომელსაც სამშობლოს ვეძახით. ცოდვა არ არის ეს ერი მოსწყდეს, ეს ლომი კოლომ საბუდარად გაიხადოს, მელა-ტურამ გამოღრღნას, როგორც მძოვარი, როგორც ლეში! რათ, რისთვის?!“**

ჩემო ძვირფასო ქართველებო და არაქართველებო, რომლებსაც საქართველო სამშობლოდ მიგაჩნიათ, ნუ დატოვებთ მას ნაცების, ალასანიების და ყველა იმ ნაძირლის ამარა, რომლებმაც სამშობლო იუდას ვერცხლზე გაყიდეს და დღესაც ყიდიან, რომლებსაც საგარეო პრიორიტეტად დასავლეთი მიაჩნიათ, რადგან ეს გზა სწორედ ეროვნულობაზე, ქართველობაზე უარის თქმას ნიშნავს. მარად გვახსოვდეს **რაფიელ ერისთავის** უკვდავი სიტყვები:

**„როგორც უფალი, სამშოლოც ერთია ქვეყანაზედა“.**

**იზა თამაზაშვილი**

## შვედი მინისტრი ნასვამ მდგომარეობაში ავტომობილის მართვისას დააკავეს და პოსტიდან გადადგა

**შვედეთის გიმნაზიების საქმეთა მინისტრმა აიდა ჰადზიალიჩმა მას შემდეგ, რაც პოლიციამ მთვრალ მდგომარეობაში ავტომობილის მართვისას დააკავა, განაცხადა, რომ ტოვებს პოსტს.**

„მესმის, რომ ბევრი ადამიანი ჩემი საქციელის გამო იმედგაცრუებულია, მე გაბრაზებული ვარ საკუთარ თავზე და ვინანიებ“, — განაცხადა აწ უკვე ყოფილმა მინისტრმა.



აიდა ჰადზიალიჩმა სამი ბოკალი ღვინო დალია და ავტომობილის საჭეს მიუჯდა. ის კოპენჰაგენიდან მალმიოში მიდიოდა, როცა სამართალდამცველებმა გააჩერეს. მინისტრის სისხლში 0,2 პრომილე ალკოჰოლი აღმოჩნდა.



## ობამას არ შეუქმნია «ისლამური სახელმწიფო», მაგრამ ამ ორგანიზაციამ მისი წყალობით მოიპოვა გლობალური ძალის სტატუსი

**The American Spectation-ი ყურადღებას ამახვილებს გამონათქვამებზე დონალდ ტრამპისა, რომელმაც აშშ-ის პრეზიდენტი ბარაკ ობამა და ყოფილი სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი „ისლამური სახელმწიფოს“ შექმნაში დაადანაშაულა.**

მიზეზები, რომლებითაც ტრამპი ამტკიცებს, რომ „ისლამური სახელმწიფო“ პრეზიდენტმა ობამამ შექმნა, სინამდვილეს არ შეესაბამება: აშშ-ის პრეზიდენტი უარყოფს ამ ორგანიზაციის რაიმე კავშირს ისლამთან. ტრამპი დაუმსახურებლად მიაწერს ობამას იმას, რაც არ ჩაუდენია.

ამის მიუხედავად, **„ისლამური სახელმწიფო“, როგორც გლობალური ძალა, სწორედ ობამას პრეზიდენტობის პერიოდში გამოჩნდა და უფრო გონივრული იქნება კითხვა — განვითარდებოდა მოვლენები ასე, თუკი 2011 წელს ბარაკ ობამა შეძლებდა ერაყის ხელისუფლებასთან მოლაპარაკებას ამ ქვეყნის ტერიტორიაზე აშშ-ის შეიარაღებული ძალების სტატუსის შესახებ? ერაყში ამერიკელი სამხედროები რომ ყოფილიყვნენ, საეჭვოა, ჯიჰადისტებს ხელში ჩაეგდოთ იმდენი ტერიტორია, რამდენსაც დღეს აკონტროლებდნენ, თუ საერთოდ, ასეთი რამ მოხდებოდა.**

საქმე ის არის, რომ „ისლამური სახელმწიფოს“ აღზევება ობამას ანაზდეულად დაატყდა თავს. თვითონ პრეზიდენტმა აღიარა, რომ მის ადმინისტრაციას არ აქვს „ისლამურ სახელმწიფოსთან“ ბრძოლის სტრატეგია. ობამა ძალიან დაკავებული იყო **ბენიამინ ნეთანიაჰუსა** და ირანთან საქმის გარჩევით და „ისლამურ სახელმწიფოს“ სერიოზულ საფრთხედ არ აღიქვამდა. ობამას მხრიდან „ისლამური სახელმწიფოს“ შეფასება „მეორე შემადგენლობის გუნდად“ ერთ-ერთი მძიმე საგარეოპოლიტიკური შეცდომაა, რომელიც კი ოდესმე დაუშვიათ ამერიკის პრეზიდენტებს.

„ისლამური სახელმწიფო“ ამჟამად აკონტროლებს უზარმაზარ ტერიტორიებს ლიბიაში, ერაყსა და სირიაში. ის თავს გლობალურ სახალიფოსთან აიგივებს და თავის ამბიციებს ამყარებს ტერორისტული შეტევებით საფრანგეთში, ბელგიაში, გერმანიაში, კანადასა და აშშ-ში (სანბერნარდინო და ორლანდო).

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ ობამა არ მონაწილეობდა „ისლამური სახელმწიფოს“ შექმნაში, მისმა პოლიტიკამ ტერორისტებს წარმატებით მოქმედების საშუალება მისცა. და, ვიდრე „ისლამური სახელმწიფო“ მსოფლიოსთვის საფრთხე იქნება, ეს ამბავი ობამას რეპუტაციაზე ლაქად დარჩება.

## ბრექსიტი გერმანიას ძლიერად დაარტყამს

**ყოველ შემთხვევაში, ევროკავშირის დანარჩენ ქვეყნებზე უფრო შესამჩნევად. ამ დასკვნამდე მივიდნენ გერმანიის ეკონომიკური კვლევების ინსტიტუტის მეცნიერები, რომლებმაც ეს პრობლემა გააანალიზეს.** ბრექსიტი, ასკვნიან ისინი, გერმანიას თავისი მშპ-ის დაახლოებით 0,4 პროცენტი დაუჯდება, გერმანულ საწარმოებში იკლებს ინვესტიციების რაოდენობა, ხოლო ეკონომიკა გახსნილობასა და ვაჭრობაზე დამოკიდებულების გამო სხვა ქვეყნებზე მეტად დაზარალდება. პირველ რვა თვეში ევროზონაში დიდი ბრიტანეთის გასვლის მიზეზით მშპ 0,2 პროცენტით შემცირდება და (ევროზონის მშპ) ორი წლის შემდეგაც ვერ შეძლებს უწინდელი მოცულობით აღდგენას.



## ეს საინტერესოა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ოპერაციის მსვლელობისას პაციენტს და დონორს ერთდროულად გადაუჭრიან ზურგის ტვინს. შემდეგ სპირიდონოვის თავს შეუთავსებენ დონორის სხეულს და ერთმანეთს გადააბამენ მასალით, რომელსაც ექიმი „მაგიურ წებოს“ უწოდებს. ეს არის პოლოეთილენგლიკოლი, რომლითაც ხდება ზურგისა და თავის ტვინის შეერთება. შემდეგ ქირურგი ერთმანეთს მიაკერებს კუნთებსა და ძარღვებს და ვალერის ოთხკვირიან ხელოვნურ კომაში ჩაძირავს. ეს საჭიროა იმისათვის, რომ პაციენტი გაუნძრევლად იწვეს, თორემ ერთი უნებლიე მოძრაობით შეიძლება ყველაფერი წყალში ჩაყაროს.**

# მსოფლიოში პირველად პაციენტს სხვის სხეულს გადაუნერგავენ









**უკურნებელი სენით ინვალიდის ეტლს მიჯაჭვული 31 წლის ვალერი სპირიდონოვი მსოფლიოში პირველი პაციენტი იქნება, რომელსაც სხვის სხეულს გადაუნერგავენ. მიუხედავად დიდი რისკისა, ის მზადაა, დაწვეს ქირურგის დანის ქვეშ, ოლონდ გახდეს ახალი, ჯანმრთელი სხეულის მფლობელი.**

ინვალიდის ეტლს მიჯაჭვულმა რუსმა პროგრამისტმა ვალერი სპირიდონოვმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ გაისად დაგეგმილია მისთვის სხვისი სხეულის გადანერგვის ოპერაციის გაკეთება. ოპერაციას ჩაატარებს იტალიელი ქირურგი **სერჯიო კანავერო.** მიუხედავად იმისა, რომ სამეცნიერო წრეებში კანაველოს გადაწყვეტილებას ეჭვის თვალით უყურებენ, სპირიდონოვი მზადაა, სიცოცხლე დასტაქრის ხელებს ანდოს. ოპერაციის დეტალებზე ჯერჯერობით არც ექიმი და არც პაციენტი არ საუბრობენ. სპირიდონოვის თქმით, უკვე სექტემბერში კანავარო დაწვრილებით ისაუბრებს ამ ფანტასტიკური პროცედურის შესახებ, მაგრამ ერთი რამ უკვე ცნობილია: **ოპერაცია, რომელსაც სამეცნიერო სამყარო ასე მოუთმენლად ელოდება, ჩატარდება 2017 წლის დეკემბერში.**

ვალერი სპიროდონოვმა ნებაყოფლობით განაცხადა თანხმობა, გამხდარიყო კანავეროს საცდელი პაციენტი, ანუ პირველი ადამიანი, რომელზეც ექიმი თავის თეორიას პრაქტიკად აქცევს. ვალერი იტანჯება ზურგის ტვინის ატროფიით, რომელიც ასევე ცნობილია ვერდინგ-ჰოფმანის სინდრომის სახელწოდებით. ამ დაავადების დროს გადაგვარებას განიცდის ავადმყოფის კუნთები, მას ურთულდება ყლაპვა და სუნთქვაც კი, ავადმყოფობა განუკურნებელია და ის წლების განმავლობაში პროგრესირდება. ვერდინგ-ჰოფმანის სინდრომით დაავადებულთაგან უმეტესობა სიცოცხლის პირველსავე წლებში იღუპება. ვალერი იმ იღბლიან 10%-ში შედის, რომელთაც გაუმართლათ და ზრდასრულ ასაკამდე მიაღწიეს. ახალგაზრდა კაცს ახლობლები და ნათესავები გვერდით უდგანან და ამხნევებენ.

„ძალიან კარგად მესმის, თუ რა სასიცოცხლო რისკს შეიცავს ეს ოპერაცია, — ამბობს ვალერი, — არავინ იცის, რა გაუთვალისწინებელი შემთხვევები შეიძლება მოხდეს მისი მიმდინარეობის დროს, მაგრამ ერთადერთი, რისიც მეშინია, ესაა ის, რომ ვერ ვიცოცხლო იმ დღემდე, როცა ოპერაციას გამიკეთებენ“.

სავარაუდოდ, ოპერაციისთვის გამოყენებული იქნება ჯანმრთელი სხეული დონორისა, რომელსაც დაუფიქსირდება თავის ტვინის სიკვდილი. კანავეროს თქმით, ოპერაცია 36 საათს გაგრძელდება და ის ჩატარდება მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო საოპერაციოში. პროცედურის ღირებულება დაახლოებით 18,5 მილიონი დოლარი იქნება. ექიმის თქმით, ოპერაციისთვის ყველაფერი მზადაა.

ოპერაციის მსვლელობისას პაციენტს და დონორს ერთდროულად გადაუჭრიან ზურგის ტვინს. შემდეგ სპირიდონოვის თავს შეუთავსებენ დონორის სხეულს და ერთმანეთს გადააბამენ მასალით, რომელსაც ექიმი „მაგიურ წებოს“ უწოდებს. ეს არის **პოლოეთილენგლიკოლი**, რომლითაც ხდება ზურგისა და თავის ტვინის შეერთება. შემდეგ ქირურგი ერთმანეთს მიაკერებს კუნთებსა და ძარღვებს და ვალერის ოთხკვირიან ხელოვნურ კომაში ჩაძირავს. ეს საჭიროა იმისათვის, რომ პაციენტი გაუნძრევლად იწვეს, თორემ ერთი უნებლიე მოძრაობით შეიძლება ყველაფერი წყალში ჩაყაროს.

გეგმის მიხედვით, როცა ოთხი კვირის მერე სპირიდონოვი გაიღვიძებს, მას უკვე შეეძლება გადაადგილება დამოუკიდებლად და ლაპარაკიც. ძლიერი იმუნოსუპრესორები პაციენტს საშუალებას მისცემს, შეეგუოს უცხო სხეულს.

კანავეროს მოწინააღმდეგეები ამტკიცებენ, რომ ის სათანადოდ ვერ აფასებს მოსალოდნელი ოპერაციის სირთულეს, განსაკუთრებით პაციენტისა და დონორის ზურგისა და თავის ტვინის შეერთებას. ისინი იტალიელი ექიმის გეგმას სუფთა წყლის ფანტაზიას უწოდებენ, მაგრამ იმედი მაინც არსებობს — წარმატების შემთხვევაში ათასობით ინვალიდსა და უკურნებელი სენით დაავადებულს გაუჩნდება განკურნების შანსი.

შეგახსენებთ, რომ მსოფლიოში თავის ტრანსპლანტაცია პირველად გაკეთდა 1970 წელს. ის კლივლენდის სამედიცინო უნივერსიტეტის კლინიკაში განახორციელა ამერიკელმა ტრანსპლანტოლოგმა **რობერტ უაიტმა**. მან ერთი მაიმუნის თავი მეორის სხეულს შეუერთა. მაიმუნმა რვა დღე იცოცხლა. შემდეგ ის მოკვდა უცხო სხეულის შეუთავსებლობის გამო. ამ რვა დღის განმავლობაში მას შეეძლო დამოუკიდებლად სუნთქვა და მოძრაობა. სავარაუდოდ, მაიმუნი გარდაიცვალა იმის გამო, რომ ქირურგმა ვერ შეძლო ზუსტად შეეერთებინა ზურგის ტვინის ორი ნაწილი.

# უკრაინა ახალი «ზაპოროჟეცის» ევროპაში გაყიდვას აპირებს



**ЗАЗ-მა კიევის ავტოშოუში წარადგინა ახალი მოდელი Slavuta Nova. ახალი ავტომობილი წარსულში უკრაინის ბაზარზე პოპულარული ლიფტბეკი Үოთვუით-ს მემკვიდრეა. ზაპოროჟიეს საავტომობილო ქარხანა აპირებს ახალი ხუთკარიანი ჰეტჩბეკი ევროპაში გაყიდოს.**

ახალი ავტომობილი ძალიან ჰგავს ჩინურ Riich G2-ს, რომელიც ჩინეთში ჯერ კიდევ 2012 წელს წარადგინეს. ფაქტობრივად, მანქანები სხვადასხვა იარლიყით განსხვავდებიან.

G2-იყო პრესტიჟული სუბბრენდი Riich-ის უკანასკნელი მოდელი, რომელზეც უარი თქვა კომპანია Chery -მ გაყიდვის დაბალი მაჩვენებლის გამო.

ЗАЗ-ის ახალი ჰეჩბეკი Chery M11-ის ბაზაზე შეიქმნა. სიგრძე 3, 9 მეტრია, სიგანე — 1, 78, ხოლო სიმაღლე — 1, 55 მეტრი; წონა — 1, 3 ტონა, Acteco-ს ძრავით, 1, 6 ლიტრი მოცულობით, 125 ცხ.ძ., მაქსიმალური სიჩქარეა 185 კმ/სთ.



როგორც „უკრავტოს“ პრეზიდენტმა **ტარიელ ვასაძემ** განაცხადა, ЗАЗ-ი აპირებს, ჩინური ჰეჩბეკი კიდევ უფრო დახვეწოს. სერიულ წარმოებას 13-14 თვე დასჭირდება. ვასაძის თქმით, ავტომობილით, შესაძლოა, დაინტერესდეს კომპანია Chery-ი, რომლის მეშვეობითაც ЗАЗ-ს ექნება საშუალება, ევროპის ბაზარზე გავიდეს. ქარხანა საექსპორტოდ 50.000 ავტომობილის დამზადებას გეგმავს. წინასწარი მონაცემებით, Slavuta Nova 10.000 დოლარი ეღირება.

ორიგინალი ლიფტბეკი ЗАЗ-1103 1999 წელს „ტავრიას“ ბაზაზე დამზადდა და 2011 წლამდე გამოდიოდა. ავტომობილების უმეტესი ნაწილი, 140 ათასი, უკრაინულ ბაზარზე გაიყიდა.



# «პორშე» ელექტრომობილს 2020 წელს გამოუშვებს

**პირველი მთლიანად ელექტრული ელექტრომობილის შესაქმნელად „პორშემ“ 1000-მდე თანამშრომელი აიყვანა, რათა 2020 წლისთვის დასახული მიზანი სისრულეში მოიყვანოს.**

როგორც იტყობინებიან, ახალი ელექტრომობილი არამხოლოდ დიზაინით გაახარებს პატრონს, არამედ თავისი ფართო შესაძლებლობებით. მათ შორის აღსანიშნავია ავტომობილის აკუმულატორის ინდუქტიური დატენვა. Mission -ს ბატარეების დატუმბვა შეუძლია მგზავრობისას და გარაჟშიც. უბრალოდ, ამისთვის მძღოლი უნდა შევიდეს სპეციალურ დოკმოედანზე, სადაც მანქანის აკუმულატორი თავისით დაიტენება. რამდენადაც უკაბელო მოწყობილობები დღეს მოდურია, Mission-საც მსგავსი სერვისის გამოყენების შესაძლებლობა ექნება. თუ 100 კმ-ის რადაიუსში არ არის დოკი, არაუშავს — ყოველთვის შეიძლება ბატარეების „მამაპაპურად“ დატენვა, ამისთვის სახლის ელექტროქსელის გამოყენებაც შეიძლება. სულ რაღაც 15 წუთში თქვენი ახალი „პორშე“ 80 %-ით დაიტუმბება და შეძლებს 400 კმ-ის გავლას. სრული დატუმბვის შემთხვევაში კი ელექტრომობლი 500კმ-საც გაივლის. ეს კი აღემატება „ტესლას“ შესაძლებლობებს, რომლის რეკორდიც 430კმ-ია.

Mission-ი სულ რაღაც სამ წამში 100 კმ/სთ სიჩქარეს ავითარებს, რაც სულაც არაა გასაკვირი, რადგან ავტომობილს ექნება ორი ძრავი 600 ცხენის ძალის სიმძლავრით. ავტომობილის აკუმულატორი განთავსებულია მის ძირზე, მთელ სიგრძეზე, რაც კარგად ანაწილებს მის წონას.

შეიძლება გაიფიქრო, რომ ასეთ ავტომობილს აქვს ყველაფერი, მაგრამ არც მთლად ასეა საქმე — რაღაც მას ნამდვილად აკლია. ესაა გარეთა სარკეები. მის როლს ასრულებს დისპლეები, რომლებიც განლაგებულია საქარე მინის ქვედა ნაწილში. მათ გამოსახულებები გადაეცემა კამერებიდან, რომლებითაც მანქანის აღჭურვას აპირებენ. სხვა კამერები, რომლებიც სალონში იქნება დამონტაჟებული, დააკვირდება მძღოლის თვალების მოძრაობას და დაეხმარება ავტომანქანის უფრო ეფექტიანად მართვაში — რაიმე ფუნქცია რომ გააქტიუროს ან ჩართოს მოწყობილობა, ამისათვის საკმარისია მძღოლმა შეხედოს მას და კნოპზე თითის დაჭერით დაადასტუროს თავისი სურვილი.

**ცხელი შხაპის ქვეშ დიდხანს ყოფნა ბევრს ორგანიზმისთვის სასარგებლოდ მიაჩნია, მაგრამ ხანგრძლივმა შხაპმა შეიძლება კანიდან მისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი ტენი გამოდევნოს. სპეციალისტები გვირჩევენ, რომ შხაპის ქვეშ 10–15 წუთზე მეტი არ უნდა გაატაროთ.**

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რა უნდა გავითვალისწინოთ შხაპის მიღებისას

**შხაპი, განსაკუთრებით ზაფხულის პაპანაქება სიცხეში, სასიამოვნო პროცედურაააა. მაგრამ ზოგიერთი რამ, რომლის კეთებასაც დაჩვეულნი ხართ შხაპის მიღებისას, უფრო მეტად გაზიანებთ, ვიდრე სარგებლობა მოაქვს, ამიტომ უნდა გაითვალისწინოთ ზოგიერთი რჩევა:**



### 1. ფეხები აუცილებლად საპნით დაიბანეთ

მავნე ბაქტერიებისა და სოკოს გაჩენისგან თავი რომ დავიზღვიოთ, ფეხები აუცილებლად საპნით უნდა დავიბანოთ პემზის, ჯაგრისის ან სკრაბის გამოყენებით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კანის გასუფთავებას თითებს შორის და დაბანის შემდეგ მათ კარგად გამშრალებას.



### 2. ღრუბელი არასოდეს დატოვოთ აბაზანაში

ბევრი სველ ღრუბელს აბაზანაში ტოვებს მისთვის სპეციალურ საკიდზე ან თაროზე. ამის გაკეთება არ შეიძლება, რადგან მაღალმა ტენიანობამ შესაძლებელია ბაქტერიების სწრაფი გამრავლება გამოიწვიოს — ღრუბელზე ბანაობისას კანის მკვდარი უჯრედები რჩება, რაც იდეალური გარემოა მავნე ბაქტერიების გასამრავლებლად. ამიტომ კარგად გარეცხეთ ღრუბელი და ისეთ ადგილზე დაკიდეთ, სადაც სწრაფად გაშრება.



### 3. გამოიყენეთ რბილი პირსახოცი და მსუბუქად გაიმშრალეთ

შეიძლება ამაზე არც დაფიქრებულხართ, მაგრამ როდესაც მეტისმეტად ინტენსიურად იმშრალებთ სხეულს შხაპის შემდეგ, ეს კანზე ისევე მოქმედებს, როგორც ზუმფარის ქაღალდი ავეჯზე. ასეთი მოქმედება აზიანებს დარბილებულ კანს და შეიძლება მისი გაღიზიანებაც გამოიწვიოს. გამოიყენეთ რბილი პირსახოცი და მსუბუქად გაიმშრალეთ.



### 4. არ შეიძლება თავის დაბანა ყოველდღე

ბევრი დაჩვეულია ყოველდღიურად თავის დაბანას, მაგრამ დერმატოლოგებს თუ დავუჯერებთ, ეს კარგი სულაც არ არის. როგორც ექიმები ამბობენ, მან, ვისაც თხელი და რბილი თმა აქვს, თავი მხოლოდ კვირაში 2-ჯერ უნდა დაიბანოს. თავის მეტისმეტად ხშირად დაბანა არღვევს თავის კანიდან ცხიმების ბუნებრივი გამოყოფის რეჟიმს, რაც წყლის ბალანსის დარღვევას იწვევს.



### 5. დამატენიანებელი კანზე აბაზანიდან გამოსვლისთანავე უნდა წაისვათ

შხაპი ორგანიზმის მოდუნებას იწვევს და აბაზანიდან გამოსვლის შემდეგ უმრავლესობას დასვენების სურვილი უჩნდება. ამის გამო დამატენიანებელ საშუალებებს მოგვიანებით იყენებენ, რაც დიდი შეცდომაა. დამატენიანებლის დატანა კანზე აბაზანიდან გამოსვლისთანავე უნდა მოხდეს, ვიდრე კანი ჯერ კიდევ ნესტიანია.



### 6. ვარჯიშის შემდეგ შხაპი სასარგებლოა

ვარჯიშის შემდეგ შხაპის მიღება აუცილებელია. ეს უბრალო ჰიგიენური პროცედურა არ არის, რომელიც ოფლის სუნს აქრობს — ოფლის ნარჩენებმა შეიძლება მავნე ბაქტერიების გამრავლებას შეუწყოს ხელი, რაც შემდეგ კანზე გამონაყრის გაჩენას იწვევს.



### 7. შხაპის ქვეშ 10–15 წუთზე მეტი დრო არ უნდა გაატაროთ

ცხელი შხაპის ქვეშ დიდხანს ყოფნა ბევრს ორგანიზმისთვის სასარგებლოდ მიაჩნია, მაგრამ ხანგრძლივმა შხაპმა შეიძლება კანიდან მისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი ტენი გამოდევნოს. სპეციალისტები გვირჩევენ, რომ შხაპის ქვეშ 10–15 წუთზე მეტი არ უნდა გაატაროთ.



### 8. ბალზამის წასმა თმის ბოლოებიდან დაიწყეთ

თავის დაბანისას ბალზამის დატანა თმის ბოლოებიდან უნდა დაიწყოთ, რათა თმის ძირებში მისმა შეზელვამ, შესაძლოა, კანზე ზედმეტი ცხიმის დაგროვება გამოიწვიოს.



### 9. ცივი შხაპი მატონიზებელი საშუალებაა და იმუნიტეტსაც აძლიერებს

ბევრი ადამიანი ცხელი შხაპის შემდეგ პირდაპირ გადადის სხვა კოსმეტიკურ პროცედურებზე, მაგრამ ცივ შხაპს, თუნდაც ორიოდე წამით, უდიდესი სარგებლობა მოაქვს ორგანიზმისთვის. ის მატონიზირებელი საშუალებაა და იმუნიტეტსაც აძლიერებს.



### 10. მავნებელია თმის გამშრალება პირსახოცის ხახუნით

გავრცელებული ჩვევაა თმაზე პირსახოცის შემოხვევა. ამ დროს ძლიერ ზიანდება თმა. თმისთვის, ასევე, მავნებელია პირსახოცის ხახუნით თმის გამშრალებაც. შხაპის მიღების შემდეგ, სჯობს, ზედმეტი ტენის მოსაცილებლად თმა გაწუროთ ხელის მოჭერით. მოკლე თმის შემთხვევაში კი პირსახოცი მოიხვიეთ თავზე და ხელის მსუბუქი დაჭერით გაიმშრალეთ.

# ეს საოცრებაა — ბოტოქსის მაგივრად გამოიყენეთ სახამებელი



**ბოტოქსის საშუალებით ნაოჭების მოშორება დღეს ერთ-ერთი პოპულარული მეთოდია. ამ მარტივი პროცედურის ჩატარებას მხოლოდ 20 წუთი სჭირდება და ხელმისაწვდომია. მაგრამ არსებობს ალტერნატიული გზა ნაოჭებთან საბრძოლველად — ეს არის სახის ნიღაბი სახამებლით. ექსპერტები ირწმუნებიან, რომ ამ ნიღბის ეფექტი ბოტოქსისგან არაფრით განსხვავდება.**

სახამებელი მცენარის ძირითადი სამარაგო ნახშირწყალია, რომელიც წარმოიქმნება უჯრედის ორგანოიდებში (ქლოროპლასტებსა და ამილოპლასტებში) და გროვდება ძირითადად თესლში, ძირხვენებსა და ტუბერებში, აგრეთვე, ფოთლებსა და ღეროებში. სახამებელი გროვდება მარცვლების სახით, რომლებსაც ფენოვანი სტრუქტურა აქვს და შეიცავს მცირე რაოდენობით ცილებსა და ლიპიდებს. სახამებლის ზომა სხვადასხვაა. სახამებელი ორი პოლისაქარიდის — ხაზოვანისა (ამილოზის) და განტოტვილის (ამილოპექტინის) ნაზავია; როგორც წესი, სახამებელი შეიცავს 10—30% ამილოზას, 70—90% ამილოპექტინს.

სახამებელი მნიშვნელოვანი საკვები პროდუქტების ძირითადი ნაწილია (ფქვილში 75—80%, კარტოფილში — 25%), კუჭ-ნაწლავში ადვილად შეიწოვება, აქვს მაღალი კალორიულობა — დაახლოებით 4 კკალ/გ. სახამებელს და მისგან წარმოებულებს იყენებენ ქაღალდის, ქსოვილების, წებოს და სხვა წარმოებაში. როგორც სამკურნალო საშუალება, სახამებელი შედის სხვადასხვა ფხვნილში, მალამოსა და პასტაში. სახამებლის 1%-იან ხსნარს იყენებენ, როგორც ინდიკატორს, იოდის აღმოსაჩენად.

სახამებლის ნიღაბის გამოყენებით შესაძლებელია მოიშოროთ სახიდან ფერიმჭამელები, ნაოჭები და დაიტენიანოთ მშრალი კანი.

### ნიღაბის მომზადება და გამოყენება:

1 ჭიქა კარტოფილის სახამებელს დაამატეთ ნახევარი ჭიქა წყალი, მოათავსეთ ჭურჭელში, დაასხით 0, 5 მლ ადუღებული წყალი და წამოადუღეთ შესქელებამდე. მიღებულ მასას დაუმატეთ 5 სუფრის კოვზი სტაფილოს ახლადგამოწურული წვენი და 1 სუფრის კოვზი არაჟანი. ეს ყველაფერი კარგად შეაზავეთ და გააგრილეთ, შემდეგ კი თხელ ფენად წაისვით სახეზე და გაიჩერეთ 20-25 წუთის განმავლობაში. სახე ჩამოიბანეთ თბილი წყლით და წაისვით დამატენიანებელი კრემი. ნიღაბი უნდა გაიკეთოთ სამი დღე ზედიზედ, დღეში ერთხელ.

დარჩენილი მასა შეინახეთ მაცივარში და გამოიყენეთ მხოლოდ სამი დღის განმავლობაში.

# მეცნიერებმა გახდომის ძალიან მარტივი საშუალება აღმოაჩინეს

**ამისათვის ზრდასრულმა ადამიანმა ჭამამდე ნახევარი საათით ადრე 500 მლ წყალი უნდა მიიღოს — ასეთი დასკვნა გააკეთეს ბირნინგემის უნივერსიტეტის (დიდი ბრიტანეთი) მედიკოსებმა.**

მკვლევარებს მიაჩნიათ, რომ ეს მარტივი საშუალება, შესაძლოა, ძალიან ეფექტიანი აღმოჩნდეს და, შესაბამისად, სამედიცინო სფეროს სპეციალისტებმა მას დიდი ყურადღება დაუთმონ.

ექსპერიმენტში მონაწილეობა მიიღო 84 ჭარბწონიანმა ზრდასრულმა ადამიანმა. მათზე დაკვირვებებს 12 კვირის განმავლობაში აწარმოებდნენ. ჯგუფს, რომელშიც 41 მოხალისე შედიოდა, შესთავაზეს, ჭამის წინ ნახევარი საათით ადრე 500 მლ ჩვეულებრივი წყალი დაელია (გაზიანი ან ტკბილი წყლის მიღება ჭამამდე ეკრძალებოდათ), დანარჩენ 43 მოხალისეს კი სთხოვეს, წარმოედგინათ, რომ კუჭი სავსე ჰქონდათ.

12 კვირაში ექსპერიმენტის მონაწილეებმა პირველი ჯგუფიდან საშუალოდ 1,3 კგ-ით მეტი დაიკლეს, ვიდრე მეორე ჯგუფიდან. ამასთანავე, მათ, ვინც წყალს დღეში 3-ჯერ ჭამის წინ სვამდა, დაიკლეს საშუალოდ 4—3კგ; მათ კი, ვინც ამას დღეში ერთხელ აკეთებდა — 0,8კგ.

როგორც მეცნიერები აღნიშნავენ, ეს მეთოდი მარტივია და ესაა მისი უპირატესობაც. წონის დასაკლებად საკმარისია მხოლოდ განსაზღვრულ დროს დღეში 3-ჯერ საჭირო რაოდენობის წყლის მიღება. ჯანსაღ კვებასთან და ფიზიკურ ვარჯიშებთან ერთად, ისინი, ვინც ჭარბი წონის პრობლემით იტანჯებიან, გაცილებით ეფექტიანად დაიკლებენ.



მეცნიერები იმედს გამოთქვამენ, რომ განაგრძობენ წონაში კლების ამ მეთოდის გამოკვლევას უფრო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში და უფრო მეტი მოხალისის მეშვეობით. ასევე, უნდა აღვნიშნოთ, რომ ჰარვარდისა და მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური უნივერსიტეტების მკვლევარებმა შეიმუშავეს გახდომის კიდევ ერთი მეთოდი — მათ ისწავლეს იმ გენების ბლოკირება, რომელიც პირდაპირ კავშირშია სიმსუქნესთან.

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ქარვის ოთახის“ ძებნა მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ დაიწყეს და დღემდე არ შეწყვეტილა. არსებობს უამრავი ვერსია „ქარვის ოთახის“ ადგილსამყოფელისა, მათ შორის: კალინინგრადში, გერმანიაში, ჩეხეთსა და ბალტიის ზღვის ფსკერზეც კი, თუმცა დღემდე არც ერთ ვერსიას არ აქვს მყარი არგუმენტი.**

# რამდენიმე განძი, რომელიც დღემდე ვერ იპოვეს

დაკარგული განძი — ეს არის ის, რაზეც ლეგენდები თაობიდან თაობას ოდითგანვე გადაეცემა, რამაც ბევრ ადამიანს დაურღვია სიმშვიდე და, რომლის პოვნასა და უცებ გამდიდრებაზე დღესაც ბევრი ოცნებობს... ვინ იცის, იქნებ ვინმეს გაუღიმოს კიდეც ბედმა?! მკითხველის ყურადღებას რამდენიმე დაკარგულ განძზე შევაჩერებთ, რომლებთანაც ძალზე ხმაურიანი ისტორიებია დაკავშირებული.



## რომანოვების სამეფო საგანძური

**პირველი მსოფლიო ომის დასაწყისში რუსეთის იმპერია ფლობდა მსოფლიოში ყველაზე დიდ ოქროს მარაგს, რომელიც შეფასებული იყო 1 მილიარდ 695 მილიონ მანეთად. ეს თანხა უდრიდა 1311 ტონა ოქროს(!).**

პირველი მსოფლიო ომის პერიოდში რუსეთმა ამ ოქროს მნიშვნელოვანი ნაწილი ევროპულ ბანკებში ჩადო, როგორც მოკავშირეებისთვის გადახდის გირაო იარაღის, ხომალდებისა და საკვების მიწოდებისთვის.

1917 წლის ოქტომბრის შემდეგ რუსეთის ახალ ხელისუფლებას ოქრო არავინ დაუბრუნა. როგორც ჩანს, ის კვლავაც ინახება აშშ-ის, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის კერძო ბანკებში.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ დროებითმა მთავრობამ, დარჩენილი ოქროს მარაგი რომ შეენარჩუნებინა, ის გადაიტანა ქვეყნის სიღრმეში — ნიჟნი ნოვგოროდსა და ყაზანში. ხელისუფლებაში ბოლშევიკების მოსვლის შემდეგ კი ოქრო თეთრგვარდიელების ხელში აღმოჩნდა და გაგზავნილი იქნა ომსკში კოლჩაკის განკარგულებაში (650 მლნ რუბლი, ანუ 505 ტონა ოქრო). კოლჩაკმა ეროვნული ქონების ნაწილი უცხოეთის ბანკებში შეინახა, აი ამის შემდეგ კი მისი ბედი გაურკვეველია.

1919 წელს კოლჩაკის ერთ-ერთმა ქვეშევრდომმა, ატამანმა სემიონოვმა ჩილეში დაიჭირა „კოლჩაკის“ ოქროს ნაწილი (33 ყუთი), რომელის აშშ-ში გადაჰქონდათ.

სხვადასხვა მონაცემით, საზღვარგარეთის ბანკებში შენახული რუსული ოქროს მარაგის საერთო ღირებულება შეფასებულია 100-დან 300 მილიარდ დოლარამდე.




## ქარვის ოთახი

**1933-1945 წლების განმავლობაში ნაცისტებმა მოიპარეს ევროპული კულტურის ყველაზე ცნობილი ხელოვნების ნიმუშების მეხუთედი. ბოლო მონაცემებით, ნაპოვნი არ არის ხელოვნების დაახლოებით 100 000 უძვირფასესი შედევრი.**

ნაცისტები დაპყრობილ ქვეყნებში ძარცვავდნენ მდიდარი ებრაელების სახლებს, შემდეგ კი მათ პატრონებს საკონცენტრაციო ბანაკებში გზავნიდნენ.

ვინც ქარვის ოთახი ნახა, აღწერდა მას, როგორც მსოფლიოს მერვე საოცრებას. ის ნამდვილად შეიძლება ჩაითვალოს ყველაზე უნიკალურ დაკარგულ განძად.

XVIII საუკუნეში პრუსიის მეფემ — ფრიდრიხ პირველმა 1716 წელს რუსეთის იპერატორ პეტრე დიდს საჩუქრად გადასცა ქარვის პანო. ეს ძვირფასი განძი რუსეთში ჩამოიტანეს 1717 წელს. 1743 წელს პეტრე პირველის ქალიშვილმა — ელიზავეტა პეტრეს ასულმა ქარვის პანოს დამონტაჟება ზამთრის სასახლეში ბრძანა, მაგრამ, როგორც ჩანს, ფრიდრიხ პირველის სიმდიდრეს ერთ ადგილას დამკვიდრება არ ეწერა. 10 წლის შემდეგ ის „ცარსკოე სელოში“, ეკატერინეს სასახლეში გადაიტანეს, სადაც არქიტექტორ რასტრელის ხელმძღვანელობით ახალი დეტალებით შეავსეს და ის „ცარსკოე სელოს“ უმთავრეს საგანძურად იქცა. ოთახი შექმნილი იყო მაღალი ხარისხის ქარვის, ალმასის, ზურმუხტის, ნეფრიტის, ონიქსისა და ძოწისაგან. დღეს ქარვის ოთახი შეფასებული იქნებოდა 142 მლნ დოლარად.



**„ქარვის ოთახის“ ძებნა მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ დაიწყეს და დღემდე არ შეწყვეტილა. არსებობს უამრავი ვერსია „ქარვის ოთახის“ ადგილსამყოფელისა, მათ შორის: კალინინგრადში, გერმანიაში, ჩეხეთსა და ბალტიის ზღვის ფსკერზეც კი, თუმცა დღემდე არც ერთ ვერსიას არ აქვს მყარი არგუმენტი.**

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, 1941 წელს, გერმანელებმა „ქარვის ოთახი“ კენიგსბერგის (ახლანდელი კალინინგრადის) სამეფო სასახლეში გადაიტანეს, სადაც ის გარკვეული დროის განმავლობაში ინახებოდა. 1945 წლის გაზაფხულზე კი, გერმანელების უკან დახევასთან ერთად, ოთახიც უკვალოდ გაქრა.

1967 წელს რუსეთში შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელიც შედევრის ძებნით იყო დაკავებული. კომისია 1984 წელს გაუქმდა, ვინაიდან მრავალწლიანმა ძებნამ შედეგი ვერ გამოიღო.

გასული საუკუნის 80-იან წლებში ოთახი დიდი ძალისხმევის შედეგად ნაწილობრივ აღდგენილ იქნა ეკატერინეს სასახლეში.





## ემელიანე პუგაჩოვის განძი

**დონელი კაზაკი ემელიანე პუგაჩოვი ერთ-ერთი იყო იმ თვითმარქვიებს შორის, რომლებიც თავს პეტრე პირველად ასაღებდნენ;** ის ასევე ხელმძღვანელობდა გლეხთა აჯანყებას 1773—1775 წლებში. ამბობენ, რომ სანამ დასჯიდნენ, მოასწრო თავისი ქონების გადამალვა სადღაც ვოლგოგრადის ოლქში.





## ტამპლიერების ორდენის განძი

**ბოლო ხანს ტამპლიერების ორდენი და მათი საგანძური ჰოლივუდური ფილმების ერთ-ერთი პოპულარული სიუჟეტია . ეს არის ყველაზე იდუმალი და ცნობილი განძი ისტორიაში.**

ტამპლიერების ორდენი 1114 წელს დაარსდა და არსებობის განმავლობაში უამრავი განძი დააგროვა. ორდენი თვალსა და ხელს შუა მდიდრდებოდა, განსაკუთრებით თავისი ფინანსური მოღვაწეობის ხარჯზე. ისინი ევროპის უმსხვილესი კრედიტორები იყვნენ — მათ ფულისთვის მიმართავდნენ ევროპის სახელმწიფოების მონარქები.



ტამპლიერები სიმდიდრემ დაღუპა. მე-14 საუკუნის დასაწყისში საფრანგეთის მეფე ფილიპემ ისარგებლა თავისი გავლენით პაპზე და ორდენის წინააღმდეგ პროცესი აღძრა. ტამპლიერები უკანონოდ ცნეს და ბევრი მათგანი დააპატიმრეს. მათ, ვინც დაპატიმრებასა და წამებას გადაურჩა, შეაგროვეს ორდენის კუთვნილი განძი, დატვირთეს ხომალდზე და გზას გაუყენეს უცნობი მიმართულებით.

მოარული ხმების მიხედვით, განძი შოტლანდიაში აღმოჩნდა, იქიდან კი კანადის პროვინცია ახალ შოტლანდიაში მოხვდა. ფიქრობენ, რომ განძი გადაიტანეს კანადაში, კუნძულ ოუკზე, სადაც დამალეს საიდუმლო სამალავებში. ამ კუნძულზე წლების განმავლობაში მიმდინარეობდა საზიებო სამუშაოები, მაგრამ უშედეგოდ.

**„ლუფტჰანზას“ ძარცვა ფულის ყველაზე დიდ გატაცებად ითვლება აშშ-ის ისტორიაში. მოპარული იქნა 5 მილიონი დოლარი ნაღდი ფული და დაახლოებით 875 ათასამდე დოლარის ღირებულების ძვირფასეულობა. დღევანდელ კურსზე გაანგარიშებით, ეს დაახლოებით 20 მილიონი დოლარია. ძარცვა მოხდა 1978 წლის 11 დეკემბერს ჯონ კენედის საერთაშორისო აეროპორტში. მძარცველები იყვნენ განგსტერები.**

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ძარცვა გერმანული ავიაკომპანია «ლიუფტჰანზას» თვითმფრინავის ბორტზე

**„ლუფტჰანზას“ ძარცვა ფულის ყველაზე დიდ გატაცებად ითვლება აშშ-ის ისტორიაში. მოპარული იქნა 5 მილიონი დოლარი ნაღდი ფული და დაახლოებით 875 ათასამდე დოლარის ღირებულების ძვირფასეულობა.** დღევანდელ კურსზე გაანგარიშებით, ეს დაახლოებით 20 მილიონი დოლარია. ძარცვა მოხდა 1978 წლის 11 დეკემბერს ჯონ კენედის საერთაშორისო აეროპორტში. მძარცველები იყვნენ განგსტერები.

ერთ-ერთი მიზეზი იმისა, თუ რატომ ვერ მოხერხდა აქამდე ამ განძის პოვნა, არის ის, რომ ძარცვის ხელმძღვანელმა **ჯიმ ბრუკმა** ყოველი შემთხვევისთვის თავიდან მოიშორა თანამზრახველები, რათა მათ ჩვენება არ მიეცათ ბრუკის წინააღმდეგ.

**ერთი სიტყვით, ჯიმ ბრუკმა მიითვისა მთელი ნადავლი, რომლის ნაწილი უაზროდ გაფლანგა, დიდი ნაწილი კი ვერ იპოვეს.**

## ნაპოლეონის განძი

**ცდილობდნენ რა კუტუზოვის ჯარისგან დევნისგან თავის დაღწევას, ნაპოლეონის არმიის ჯარისკაცებმა რუსეთის მიწაზე არაერთ ადგილას ჩამარხეს ნაძარცვი. მოსკოვის გაძარცვის შედეგად წაღებული დიდძალი განძი — ეს იყო რამდენიმე აღალი დატვირთული ოქროთი, ძვირფასი ნივთებითა და უძველესი იარაღით.** გადმოცემის მიხედვით, აქ იყო 18 ფუთი (1 ფუთი=16 კილოგრამს) ოქრო, 325 ფუთი ვერცხლი და ურიცხვი ძვირფასეულობა. ისტორიკოსები ვარაუდობენ, რომ განძი მდინარე ბერეზინის ფსკერზეა დაფლული, თუმცა არსებობს სხვა ვერსიებიც. ერთ-ერთის მიხედვით,



განძი სემლოვოს ტბის (მინსკი, ბელარუსი) ფსკერზეა.

არავინ იცის, ოდესმე თუ იპოვიან, მაგრამ ნამდვილი რომანტიკოსები იმედს არ კარგავენ და ძებნას არ წყვეტენ.



## ლიმას განძი

**1820 წელს ქალაქ ლიმას (პერუს დედაქალაქი) მცხოვრებლები აჯანყდნენ ესპანელი დამპყრობლების წინააღმდეგ. ესპანელებს შეეშინდათ, რომ იმ სიმდიდრეს, რომელიც აქ წლების განმავლობაში დააგროვეს, დაკარგავდნენ, ამიტომ მთელი ქალაქის განძი ბრიტანულ გემზე აზიდეს.**

ეს იყო 60 მლნ დოლარის ღირებულების ქონება; მასში შედიოდა წმინდა ქალწულის ორი სუფთა ოქროს ქანდაკება და ძვირფასი ქვებით მოჭედილი 273 ხმალი და შანდალი. გემის კაპიტანი ტომასი ძალიან ძუნწი და სასტიკი ადამიანი აღმოჩნდა — მან ყველა მგზავრი და ეკიპაჟის წევრი დახოცა, შემდეგ კი კუნძულ ქოქოსთან მიცურდა და განძი გამოქვაბულში დამალა. მხოლოდ სიკვდილის წინ აღიარა თავისი დანაშაული, მაგრამ, როგორც ჩანს, გაიძვერა ტომასმა სიკვდილის წინაც კი არ გაამხილა, სად დამალა ლეგენდარული განძი.



## შულცის განძი

**შულცი ცნობილი ამერიკელი განგსტერი იყო. „მშრალი კანონის“ ეპოქაში მან აშშ-ში ე. წ. სველი საქმეების (ალკოჰოლის გაყიდვა შტატების სხვადასხვა ქალაქში) წყალობით უზარმაზარი ქონება დააგროვა.**

როცა მასზე ეჭვი მიიტანეს, შულცმა თავისი ქონება ნიუ იორკის მახლობლად კეტსკილის მთებში გადამალა. განძის ადგილმდებარეობის ზუსტი კოორდინატები შულცმა სამარეში ჩაიტანა. ის 1975 წელს გარდაიცვალა.



## ლეონ ტრაბუკოს ოქრო

**1930-იანი წლების დასაწყისში მექსიკელმა მილიონერმა ლეონ ტრაბუკომ რამდენიმე საიდუმლო ექსპედიცია განახორციელა ნიუ-მექსიკოს უდაბნოში.** იმხანად აშშ-ში „დიდი დეპრესიის“ პერიოდი იდგა და დოლარის ღირებულება დღითიდღე ეცემოდა, ხოლო ოქროსი — იმატებდა. ამიტომ ტრაბუკომ და მისმა პარტნიორებმა უამრავი ოქრო შეიძინეს; კონტრაბანდის სახით გაიტანეს აშშ-ში და ელოდებოდნენ ოქროს ფასის კატასტროფულად მომატებას, რათა ამ გზით დიდი მოგება მიეღოთ. ამბობენ, რომ მათ 16 ტონაზე მეტი ოქრო დამალეს ნიუ-მექსიკოს უდაბნოში.

რაოდენ დიდი იყო ავანტიურისტების სასოწარკვეთა, როცა აშშ-ში 1934 წელს მიიღეს კანონი, რომლის მიხედვითაც ოქროს კერძო მფლობელობაში ქონა უკანონოდ ითვლებოდა და კანონით ისჯებოდა. ტრაბუკო და მისი მეგობრები ამბობდნენ, რომ ამ ოქროს, ისევე, როგორც ბევრ განძს, თან სდევდა წყევლა. მართლაც, 5 წლის განმავლობაში ტრაბუკოს ოთხივე კომპანიონი დაიღუპა, ტრაბუკო კი, სანამ ცოცხალი იყო, ამაოდ ცდილობდა ამ დაწყევლილი ოქროს გაყიდვას. მისი სიკვდილის შემდეგ ოქროს ადგილსამყოფელი საიდუმლოდ დარჩა.

## მონტესუმას განძი, ანუ «მაკენას ოქრო»

**აცტეკების უკანასკნელი იმპერატორი, ლეგენდარული მონტესუმა მშვიდად მართავდა თავის ქვეყანას, სანამ მას ესპანელი კონკისტადორები გამოეცხადებოდნენ კორტესის მეთაურობით.**

ევროპელებმა მოიტაცეს ბელადი და სიცოცხლის სანაცვლოდ მოსთხოვეს აცტეკების განძის ადგილსამყოფელის დასახელება. მონტესუმამ არ შეასრულა ესპანელების ბრძანება, ამიტომ დამპყრობლებმა სიკვდილით დასაჯეს. აღელვებული აცტეკები აჯანყდნენ და სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს მტერს, რომელიც იძულებული შეიქნა, უკან დაეხია. ერთი წლის შემდეგ კორტესი დაბრუნდა და სასტიკად იძია შური ინდი-



ელებზე, თუმცა ოქროს ადგილსამყოფელს მაინც ვერ მიაგნო — აცტეკებმა ის საგულდაგულოდ გადამალეს.



## ეგვიპტის პირამიდების განძი

**როცა ჰოვარდ კარტერმა 1922 წელს ეგვიპტეში იპოვა ტუტანჰამონის სამარხი, ის მოხიბლული იყო არტეფაქტების ბრწყინვალებით, რომლებიც ახალგაზრდა მეფემ „თან წაიღო“ სამარეში. საფლავის ოთახის გარდა, სამარხში იყო ოთახი სავსე აურაცხელი ძვირფასეულობითა და ნივთებით, რომლის კლასიფიცირებისა და სრული კატალოგის შესადგენად კარტერს 10 წელი დასჭირდა.**

მას შემდეგ, რაც XIX საუკუნის ბოლოს აღმოჩენილი იქნა გაცილებით ცნობილი ფარაონების სამარხები, მათი საგანძურის ოთახები პრაქტიკულად ცარიელი იყო. საყოველთაოდ ცნობილია, რომ მრავალი საუკუნის განმავლობაში არსებობდნენ სამარხების მძარცველები, მაგრამ ასეთი მასშტაბის ძარცვა წვრილფეხა დამნაშავეების ძალებს აღემატებოდა. მაშ, სად გაქრა ფარაონთა სიმდიდრე?

ზოგი მეცნიერი თვლის, რომ საგანძური იმ ღვთისმსახურებმა მიითვისეს, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ გადასვენებებს „მეფეთა ველზე“ 425-343 წლებში ჩვ.წ.აღ.-მდე. ფარაონები წინააღმდეგი არ იყვნენ თავიანთი წინაპრების გადასვენებისა, ამიტომ სავსებით შესაძლებელია, გადასვენება მათი ნებართვით ხდებოდა, რომლითაც ბოროტად ისარგებლეს სულმოკლე ადამიანებმა.



## «შავწვერას» განძის საიდუმლო

**1995 წელს არქეოლოგებმა ჩრდილოეთ კაროლინის ნაპირებთან იპოვეს ძველი, ჩაძირული ხომალდის ნარჩენები. 15 წლის შემდეგ მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ეს არის სახელგანთქმული ხომალდი Queen Annes Revenge, ანუ ფლაგმანი ხომალდი ცნობილი მეკობრის — ედვარდ ტიჩისა, რომელსაც უფრო იცნობდნენ მეტსახელით — „შავწვერა“.**

ცნობილია, რომ 1718 წელს ამ გემმა გადაკეტა ჩარლსტონის პორტი და მის სიახლოვეს მეჩეჩზე შეჯდა.

მაინც რით იყო ეს აღმოჩენა განსაკუთრებული? საქმე ისაა, რომ შავწვერა საკმაოდ წარმატებული და მდიდარი მეკობრე გახლდათ და მისი ყველაზე დიდი და ცნობილი ხომალდის პოვნა მეტყველებს იმაზე, რომ მისი განძეულიც სადღაც ახლოსაა. ამ განძის ღირებულებაზე კი უამრავი ლეგენდა დადიოდა. გადმოცემით, როცა „შავწვერას“ სიკვდილის წინ ჰკითხეს, სად იყო მისი განძი დამალული, მან უპასუხა: „ეს მხოლოდ მე და ეშმაკმა ვიცით“.

ნაპოვნი ხომალდის ბორტზე აღმოჩნდა ზარი, დათარიღებული 1705 წლით, ოქრო და, რა თქმა უნდა, იარაღის დიდი მარაგი.



## ბათო ყაენის ოქროს ცხენები

**ალბათ, ბევრ თქვენგანს სმენია ეს ისტორია: ბათო ყაენმა ბრძანება გასცა, გაეკეთებინათ ორი ერთნაირი ოქროს ცხენი. ცხენები ყაენის სამეფოს დედაქალაქის შესასვლელ კარიბჭეს ამშვენებდა.** შემდეგ ისინი რამდენიმეჯერ გადააადგილეს, ბოლოს კი საერთოდ გაქრა მამაისთან ერთად, რომელმაც კულიკოვოს ბრძოლა წააგო. ამ ცხენებზე უამრავი ლეგენდა დადის, მათგან სიმართლესთან ყველაზე ახლოს, ალბათ, არის ის, რომლის მიხედვითაც ცხენები ვოლგოგრადის ოლქში, მამაის ყორღანის ქვეშ ინახება, თუმცა მათი პოვნა დღემდე ვერავინ შეძლო.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



*** 301 წლის 3 სექტემბერს შეიქმნა ევროპის ყველაზე ძველი სახელმწიფო სან-მარინო.**

მდებარეობს სამხრეთ ევროპაში. გარშემორტყმულია იტალიის ტერიტორიით. სან მარინოს ტერიტორია 61 კვ.კმ-ია, მოსახლეობა — 32 ათასი კაცი.




# ყველაზე მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენები

რუბრიკა „ქრონოგრაფში“ გაეცნობით ინფორმაციას როგორც ჩვენი ქვეყნის, ასევე კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენებსა და გამოჩენილ ადამიანებზე.



*** 1889 წლის 20 აგვისტოს სოფელ დიდ კუხში (ხონის მუნიციპალიტეტი) დაიბადა ქართველი ფერმწერი, გრაფიკოსი, თეატრისა და კინოს მხატვარი, ხელოვნების მკვლევარი, გამომგონებელი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი დავით კაკაბაძე.**

1916 წელს დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილება. 1915 წლამდე მეცადინეობდა მხატვარ ლევ დმიტრიევ-კავკაზსკის სახელოსნოში. ამავე პერიოდში დახატა „ავტოპორტრეტი სარკესთან“, „ავტოპორტრეტი ბროწეულით“, „ავტოპორტრეტი რუხ ხალათში“, „დედის პორტრეტი“, „ძმის პორტრეტი“.

1918—1919 წლები დავით კაკაბაძემ საქართველოში გაატარა. ამ პერიოდში საბოლოოდ ჩამოყალიბდა, როგორც მკაფიო თავისებურებების მქონე მხატვარი, შექმნა იმერული პეიზაჟების ციკლის პირველი ნიმუშები: „იმერეთი — დედაჩემი“, „იმერული ნატურმორტი“.

1919—1927 წლებში ცხოვრობდა პარიზში, მონაწილეობდა გამოფენებში, კითხულობდა ლექციებს ხელოვნების საკითხებზე, მუშაობდა სტერეოკინოს გამოგონებაზე (მიღებული აქვს ევროპის ბევრი ქვეყნის პატენტი). ამ პერიოდში შექმნა სურათები: „ბრეტანი“, „წურბელების გამყიდველი“, „ბანანების გამყიდველი“. 1927 წელს შექმნა ალეგორიული ნახატი „ინდუსტრია“. საქართველოში დაბრუნების შემდეგ კოტე მარჯანიშვილის მოწვევით მუშაობა დაიწყო თეატრალურ-დეკორატიული ხელოვნების დარგში. გააფორმა სპექტაკლები მარჯანიშვილის, რუსთაველისა და ოპერის თეატრებში.

1940—1950 წლების მნიშვნელოვანი ტილოებია: „ყაზბეგი“, „ფოთი-ელევატორი“; „სვანეთი — მადნის დამუშავება“.

გარდაიცვალა 1952 წლის 10 მაისს.



*** 1572 წლის 24 აგვისტოს, ღამით, წმინდა ბართლომეს დღეს საფრანგეთში კათოლიკებმა ჰუგენოტების (ფრანგი პროტესტანტები — კალვინისტები) ხოცვა-ჟლეტა მოაწყვეს.**

სხვადასხვა მონაცემით, დაიღუპა 30 ათასზე მეტი ადამიანი.



*** 1929 წლის 29 აგვისტოს თბილისში დაიბადა ქართველი საეკლესიო მოღვაწე, არქიმანდრიტი, ბერი, ქართველი წმინდანი, წმინდა ღირსი მამა გაბრიელი აღმსარებელი — სალოსი.**

გარდაიცვალა 1995 წლის 2 ნოემბერს. საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ მამა გაბრიელის ხსენების დღედ 2 ნოემბერი დააწესა.



*** 1943 წლის 23 აგვისტოს დასრულდა (დაიწყო 1943 წლის 5 ივლისს) ბრძოლა კურსკის რკალზე.**

თავისი მასშტაბით, მონაწილე ძალებითა და საშუალებებით, დაძაბულობითა და შედეგით ეს ერთ-ერთი საკვანძო ბრძოლა იყო მეორე მსოფლიო ომში — ყველაზე დიდი სატანკო შეტაკება მსოფლიოს ისტორიაში, რომელშიც მონაწილეობდა 2 მილიონამდე ადამიანი, 6 ათასი ტანკი და 4 ათასი თვითმფრინავი.

ამ ბრძოლაში საბჭოთა მეომრებმა ფაშისტების შეიარაღებულ ძალებს სასტიკი დამარცხება აგემეს — გერმანელებმა დაკარგეს 700 ათასი ჯარისკაცი, 3 ათასამდე ტანკი, 844 საარტილერიო დანადგარი, 1392 თვითმფრინავი და 5000 ავტომობილი. კურსკსა და ორიოლთან ბრძოლებში გამარჯვების შემდეგ ომში ინიციატივა საბჭოთა არმიის მხარეს გადავიდა და 1945 წლის მაისში ფაშისტების განადგურებით დასრულდა მათივე ბუნაგში — ბერლინში.

*** 1899 წლის 31 აგვისტოს სოფელ ბაკურციხეში (გურჯაანის მუნიციპალიტეტი) დაიბადა ქართველი თეოლოგი, ისტორიკოსი, არქიმანდრიტი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გრიგოლ ფერაძე, რომელიც საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ 1995 წელს წმინდანად შერაცხა.**



სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში, შემდეგ თბილისის უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების განყოფილებაზე. 1921 წლის სრულფასოვანი თეოლოგიური განათლების მისაღებად საქართველოს კათოლიკოსმა ამბროსიმ (ხელაია), კორნელი კეკელიძემ და ივანე ჯავახიშვილმა ბერლინის უნივერსიტეტში გაგზავნეს. შემდეგ ინგლისში გაემგზავრა. 1931 წელს ახალგაზრდა, მაგრამ უკვე პატივდებული მეცნიერი ლონდონის წმინდა სოფიას ბერძნულ საკათედრო ტაძარში ბერად აღიკვეცა. 25 მაისს კი პარიზის წმინდა სტეფანეს ბერძნულ საკათედრო ტაძარში მღვდლად აკურთხეს. გრიგოლ ფერაძე დაუღალავად იღვწოდა პარიზის ქართული ეკლესიისთვის. მისი ხელმძღვანელობით გამოიცემოდა ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, როცა ფაშისტებმა თითქმის მთელი ევროპა დაიპყრეს, შეიტყვეს, რომ საფრანგეთის ერთ-ერთ ბანკში საქართველოს ქონება ინახებოდა და ამ ქონების შესაფასებლად გრიგოლ ფერაძე მიიწვიეს. მამა გრიგოლმა იფიქრა, საქართველოს სიმდიდრის განადგურებას ჩემი სიკვდილი სჯობსო და ფაშისტებს განუცხადა, რომ ამ ქონებას არავითარი ღირებულება არ ჰქონდა. ფაშისტები ენდნენ მეცნიერს და განძს თავი დაანებეს. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში მამა გრიგოლი ხშირად იფარებდა ფაშისტებისგან დევნილ ადამიანებს, რისთვისაც შეიპყრეს და ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში გაამწესეს. როგორც ამ ბანაკის ყოფილი პატიმრები იგონებენ, მამა გრიგოლთან ერთად ბანაკში მრავალშვილიანი ებრაელი ყოფილა და, როცა ფაშისტებმა ამ ებრაელის გაზის კამერაში გაგუდვა გადაწყვიტეს, მამა გრიგოლს შებრალებია და მის ნაცვლად კამერაში თვითონ შესულა.

წმინდა მამა გრიგოლ ფერაძე დაიღუპა 1942 წლის 6 დეკემბერს.

*** 1930 წლის 25 აგვისტოს თბილისში დაიბადა კინორეჟისორი, სცენარისტი და მსახიობი სსრკ-ის სახალხო არტისტი გიორგი დანელია.**



1955 წელს მოსკოვში დაამთავრა არქიტექტურის ინსტიტუტი, 1959 წელს — უმაღლესი სარეჟისორო კურსები, მუშაობდა დამდგმელ რეჟისორად კინოსტუდია „მოსფილმში“.

მის მიერ გადაღებული ფილმებიდან გამორჩეულია: „მივაბიჯებ მოსკოვის ქუჩებში“, „33“, „არ იდარდო“, „აფონია“, „მიმინო“, „შემოდგომის მარათონი“, „ქინ-ძა-ძა“, „პასპორტი“, „ფორტუნა“, „კუ! ქინ-ძა-ძა“ და სხვ.

*** 1939 წლის 1 სექტემბერს გერმანელებმა მოაწყვეს ე.წ. გლეივიცის პროვოკაცია, რომელიც გერმანელების მხრიდან პოლონეთზე თავდასხმის საბაბი შეიქნა. სწორედ ამ დღეს დაიწყო მეორე მსოფლიო ომი (დასრულდა 1945 წლის 2 სექტემბერს, როდესაც იაპონიამ ხელი მოაწერა უპირობო კაპიტულაციას) — უდიდესი შეიარაღებული კონფლიქტი კაცობრიობის ისტორიაში.**



მეორე მსოფლიო ომში მონაწილეობდა იმ მომენტში მსოფლიოში არსებული 73 სახელმწიფოდან 63 (დედამიწის მოსახლეობის 80%). სამხედრო მოქმედებები მიმდინარეობდა სამ კონტინენტსა და 4 ოკეანეზე. ეს ერთადერთი კონფლიქტია, რომელშიც ატომური იარაღი გამოიყენეს. ამ ომში, რომელიც გერმანელი ფაშისტებისა და ოპონენტების განადგურებით დასრულდა, დაიღუპა 60-65 მლნ ადამიანი, მათ შორის, სსრკ-ის ბევრი მოქალაქე, დიდი დანაკარგი განიცადეს, აგრეთვე, გერმანიამ, ჩინეთმა, იაპონიამ და პოლონეთმა.



*** 79 წლის 24 აგვისტოს დაიწყო ვულკან ვეზუვის (ნეაპოლთან ახლოს, იტალიაში) ამოფრქვევა, რომელმაც კატასტროფული შედეგები გამოიწვია: ვულკანიდან ამოფრქვეული ფერფლით სრულიად დაიფარა რომის იმპერიის სამი ქალაქი — პომპეი, ჰერკულანუმი, სტაბია და რამდენიმე სოფელი. დაიღუპა ათასობით ადამიანი.**

*** 1749 წლის 28 აგვისტოს მაინის ფრანკფურტში (გერმანია) დაიბადა გერმანელი პოეტი, მოაზროვნე და სახელმწიფო მოღვაწე იოჰან ვოლფგანგ გოეთე.**



მისი პოპულარული ნაწარმოებებია: „ახალგაზრდა ვერტერის ვნებანი“, „ტორკვადო ტასო“, „ეგმინტი“, „ფაუსტი“, „დასავლურ-აღმოსავლური დივანი“, „ინფიგენია“, „ავტობიოგრაფია“ და სხვ.

**18 აგვისტოს სავსემთვარეობაა. თავი შეიძლება შეგახსენოთ ქრონიკულმა დაავადებებმა. ადამიანები იმპულსურად იმოქმედებენ. 1 სექტემბერს კი ახალმთვარეობა და მზის რგოლური დაბნელებაა, რომელმაც შესაძლოა, სათავე დაუდოს ეკონომიკურ კრიზისს რიგ ქვეყნებში. წარმატებას მიაღწევენ კუროს, თხის რქისა და თევზების ნიშნებით დაბადებულები.**

ჰოროსკოპი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რას გვიქადიან ვარსკვლავები

**17 აგვ. - 6 სექტ. ასტროლოგიური პროგნოზი**

## ვერძი 21 მარტი — 20 აპრილი

თუ არ იზარმაცებთ და მუხლჩაუხრელად იშრომებთ, მიუხედავად წინააღმდეგობებისა, ბევრი საქმისა და პრობლემის მოგვარებას შეძლებთ. გამოიჩინეთ მოთმინება, ლოგიკურად იმოქმედეთ და წარმატებას მიაღწევთ.

შესაძლოა, მიიღოთ დამატებითი შემოსავალი.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა რთულად და წინააღმდეგობრივად წარიმართება — თბილ, სიყვარულით სავსე დამოკიდებულებას შეიძლება კამათი და დაპირისპირება მოჰყვეს. ენას კბილი დააჭირეთ და ჯიუტად ნუ შეეცდებით თქვენი თვალსაზრისის დაცვას.

ამ პერიოდში თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამოკიდებული იქნება ნერვულ სისტემაზე. შეეცადეთ, თავი აარიდოთ სტრესულ სიტუაციებს, დიდხანს არ დაჯდეთ კომპიუტერის მონიტორთან ან ტელეეკრანთან და მეტი დრო გაატარეთ ბუნების წიაღში.

**დადებითი დღეები: 23, 27 აგვისტო; 2 სექტემბერი.**
**უარყოფითი დღეები: 25, 31 აგვისტო; 6 სექტემბერი.**

## კურო 21 აპრილი — 21 მაისი

სასიკეთო პერიოდია. ენერგიით აღივსებით და ბევრი იდეის განხორციელებას შეძლებთ. თუ საქმიანი წინადადებით მოგმართავენ, უყურადღებოდ არ დატოვოთ, რადგან მასში შეიძლება იყოს რაციონალური მარცვალი, რომელიც სამომავლოდ კარგ შედეგს მოგიტანთ.

მარტოხელა კუროებისთვის ეს პერიოდი სავსე იქნება რომანტიკითა და სიურპრიზებით — ხანმოკლე რომანიც კი დიდ სიხარულს მოგგვრით.

დაქორწინებულ კუროებს კი მეუღლის მხრიდან სითბო და მზრუნველობა არ მოაკლდებათ.

ყურადღება მიაქციეთ ჯანმრთელობას — შეეცადეთ, დაიცვათ კვების რეჟიმი და სრულფასოვნად გამოიძინოთ. კარგი იქნება, თუ ბუნების წიაღში შეასრულებთ სუნთქვით ვარჯიშებს.

**დადებითი დღეები: 20, 26 აგვისტო; 4 სექტემბერი.**
**უარყოფითი დღეები: 21, 28 აგვისტო; 1 სექტემბერი.**

## ტყუპი 22 მაისი—21 ივნისი

პროფესიულმა ინტერესებმა შეიძლება პრობლემა შეგიქმნათ პირად ცხოვრებაში — ეს გამოწვეული იქნება თქვენი არასწორი საქციელით ან გაუფრთხილებლად ნათქვამი სიტყვით, ამიტომ ენას კბილი დააჭირეთ და შეეცადეთ, ნაპერკლიდან ხანძარი არ გააჩინოთ. შეამოწმეთ მიღებული ინფორმაცია, რადგან დიდია მოტყუების ალბათობა.

დაქორწინებული ტყუპების ურთიერთობა მეუღლესთან ია-ვარდით მოფენილი არ იქნება. არაპრაქტიკულმა გადაწყვეტილებებმა და წინდაუხედავმა საქციელმა შეიძლება მწვავე კონფლიქტამდე მიგიყვანოთ.

თქვენს ჯანმრთელობას სახიფათო არაფერი ემუქრება. შეეცადეთ, თავი არ დაიტვირთოთ საქმეებით და მეტი დრო დაუთმეთ დასვენებას.

**დადებითი დღეები: 19, 22 აგვისტო; 1 სექტემბერი.**
**უარყოფითი დღეები: 23, 30 აგვისტო; 5 სექტემბერი.**

## კირჩხიბი 22 ივნისი—22 ივლისი

შესაძლოა, ილუზიების ტყვეობაში აღმოჩნდეთ ან სხვისი გავლენის ქვეშ მოექცეთ. ნუ იჩქარებთ ისეთი გადაწყვეტილების მიღებას, რომელზეც თქვენი მომავალი იქნება დამოკიდებული.

ახლა არ ღირს ურთიერთობის გარკვევა კოლეგებთან და ახლობლებთან. თავი ხელში აიყვანეთ და ნეგატიურ ემოციებს ამოფრქვევის საშუალება არ მისცეთ.

დაქორწინებული კირჩხიბების ურთიერთობა მეუღლესთან მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება, თუმცა სტაბილურობამდე შორს იქნება. ზოგიერთმა კირჩხიბმა კი შეიძლება დაძაბულ ურთიერთობას ვეღარ გაუძლოს და განქორწინება გადაწყვიტოს.

დიდია ენდოკრინული სისტემის ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა. ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღეები: 21, 30 აგვისტო; 3 სექტემბერი.**
**უარყოფითი დღეები: 18, 28 აგვისტო; 5 სექტემბერი.**

## ლომი 23 ივლისი —22 აგვისტო

დგება პერიოდი, როცა იმაზე მეტი მუშაობა დაგჭირდებათ, ვიდრე გათვალისწინებული გქონდათ. შედეგებიც არ იქნება სახარბიელო. არ არის გამორიცხული, პროფესიულ საქმიანობაში რეპუტაცია შეგელახოთ. რთული გადაწყვეტილებების მიღების წინ რჩევისათვის გამოცდილ ადამიანებს მიმართეთ, რადგან პრობლემებს, რომლებიც მხრებზე დაგაწვებათ, შესაძლოა, მარტო ვერ გაუმკლავდეთ.

მარტოხელა ლომების მომხიბვლელობა მოიმატებს და საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელთა ყურადღებას მიიპყრობენ. არჩევანი კი იმ შემთხვევაში გაამართლებს, თუ ყველა თაყვანისმცემლის პიროვნულ თვისებებს უემოციოდ გაანალიზებენ.

თავი აარიდეთ სტრესულ სიტუაციებს. შეეცადეთ, დაიცვათ კვების რეჟიმი და მეტი დრო გაატაროთ ბუნების წიაღში.

**დადებითი დღეები: 18, 24 აგვისტო; 1 სექტემბერი.**
**უარყოფითი დღეები: 21, 29 აგვისტო; 6 სექტემბერი.**

## ქალწული 23 აგვ. —23 სექტემბ.

ამ პერიოდში სჯობს, მოთმინებით აღიჭურვოთ და რადიკალური გადაწყვეტილებები არ მიიღოთ, რადგან რომელ საქმესაც მოჰკიდებთ ხელს, შედეგი იმის საწინააღმდეგო შეიძლება იყოს, რასაც ელოდით. შედეგად, გაგირთულდებათ იმ ადამიანებთან ურთიერთობა, რომლებთანაც აუცილებელია საერთო ენის გამონახვა.

დაქორწინებული ქალწულებისთვის კარგი პერიოდია ოჯახთან ერთად დასასვენებლად გასამგზავრებლად, მარტოხელებს კი ელით რომანტიკული თავგადასავალი, რომელიც, არ არის გამორიცხული, ქორწინებით დასრულდეს.

თავი აარიდეთ დიდ ფიზიკურ დატვირთვებს, რადგან არ არის გამორიცხული, ხერხემალი დაიზიანოთ. შესაძლოა, გაგიმწვავდეთ შარდ-სასქესო სისტემის ქრონიკული დაავადება.

**დადებითი დღეები: 21, 26 აგვისტო; 2 სექტემბერი.**
**უარყოფითი დღეები: 18, 19 აგვისტო; 6 სექტემბერი.**

## სასწორი 24 სექტ. — 23 ოქტ.

მოგეცემათ შესაძლებლობა, თავი გამოსცადოთ ახალ ამპლუაში და, თუ თქვენს საუკეთესო უნარებს სრულად გამოავლენთ, დასახულ ამოცანას წარმატებით გაუმკლავდებით. თუ სამუშაო ადგილის შეცვლა გსურთ, ამისთვის ახლა კარგი პერიოდია. ოღონდ კარგად შეისწავლეთ ახალი კონტრაქტის პირობები.

ნუ აჰყვებით ცდუნებას, ვინმე გააკრიტიკოთ ან ჭკუა დაარიგოთ, ეს კარგ შედეგს არ მოგიტანთ.

საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა შესანიშნავად წარიმართება, თუ მეტ დროს გაატარებთ ერთად.

დიდია ტრავმირების ალბათობა. გაფრთხილდით საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების გამოყენებისას და ყურადღებით მართეთ ავტომობილი.

**დადებითი დღეები: 21, 24 აგვისტო; 1 სექტემბერი.**
**უარყოფითი დღეები: 26, 30 აგვისტო; 4 სექტემბერი.**

## მორიელი 24 ოქტ. — 22 ნოემბ.

პროფესიული საქმიანობა კმაყოფილებას არ მოგიტანთ. ნუ დაიწყებთ ახალ საქმეს. სჯობს, ძველი საქმეები დაასრულოთ. არ არის გამორიცხული, უთანხმოება კოლეგებთან, ამის მიზეზი კი თქვენი აგრესიული ტონი იქნება. თუ ემოციებს არ მოთოკავთ, რეპუტაცია შეგელახებათ და შესაძლოა, კოლექტივის თითქმის ყველა წევრი დაგიპირისპირდეთ.

მარტოხელა მორიელებმა ინიციატივა საკუთარ ხელში უნდა აიღონ და იმ ადამიანს, რომლის მიმართაც კარგა ხანია, სიმპათია გაუჩნდათ, გრძნობა გაუმხილონ.

შესაძლოა, შეგექმნათ ჯანმრთელობის პრობლემები, რომლებიც დაკავშირებული იქნება ნივთიერებათა ცვლის დარღვევასთან ან არასაკმარის ფიზიკურ აქტივობასთან.

**დადებითი დღეები: 21, 25 აგვისტო; 5 სექტემბერი.**
**უარყოფითი დღეები: 27, 28 აგვისტო; 1 სექტემბერი.**

## მშვილდოსანი 23 ნოემ. — 21 დეკ.

სამსახურში საქმის შესრულებისას შეიძლება ყველაფერი ისე არ გამოგივიდეთ, როგორც დაგეგმილი გქონდათ.

შესაძლოა, მოგიწიოთ ზოგიერთ ადამიანთან ურთიერთობის გადაფასება, მაგრამ დასკვნების სისრულეში მოყვანას ნუ იჩქარებთ — ყველა დეტალი კარგად აწონ-დაწონეთ.

თავი აარიდეთ საყვარელ ადამიანთან ურთიერთობის გარკვევას, რადგან ახლა ობიექტური არ იქნებით და თქვენმა ნათქვამმა სიტყვებმა, შესაძლოა, მწვავე კონფლიქტი გამოიწვიოს.

მარტოხელა მშვილდოსნების ურთიერთობა საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენელთან, რომელიც მის ფასეულობებს არ იზიარებს, კრახით დასრულდება.

შეეცადეთ, თქვენი ორგანიზმი მეტისმეტად არ დატვირთოთ ფიზიკურად ან ემოციურად და მეტი დრო დაუთმოთ დასვენებას ბუნების წიაღშით.

**დადებითი დღეები: 18, 24 აგვისტო; 4 სექტემბერი.**
**უარყოფითი დღეები: 21, 29 აგვისტო; 1 სექტემბერი.**

## თხის რქა 22 დეკემ. — 20 იან.

მოგეცემათ სოციალური თუ პროფესიული მდგომარეობის გაუმჯობესების შანსი. გადაწყვეტილება ინტუიციით მიიღეთ. ამა თუ იმ საკითხზე მყისიერი რეაგირება წარმატებას მოგიტანთ, ვითარების ხანგრძლივმა ანალიზმა კი შეიძლება არასწორი დასკვნა გაგაკეთებინოთ. თავი აარიდეთ საეჭვო ფინანსურ გარიგებებში მონაწილეობას.

დაქორწინებულმა თხის რქებმა მეტი მზრუნველობა უნდა გამოიჩინონ ოჯახის უფროსი წევრების მიმართ. მარტოხელა თხის რქებს კი სასიამოვნო სიურპრიზი ელით იმ ადამიანებისგან, რომლებსაც, კარგა ხანია, „თვალი დაადგეს“.

დიდია გულ-სისხლძარღვთა ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა, გაესინჯეთ ექიმს და ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღეები: 25, 27 აგვისტო; 6 სექტემბერი.**
**უარყოფითი დღეები: 19, 29 აგვისტო; 1 სექტემბერი.**

## მერწყული 21 იან. — 19 თებ.

პრაქტიკულად ყველაფერს, რაც ამ პერიოდში გქონდათ დაგეგმილი, წარმატებით შეასრულებთ. შესაძლოა, საინტერესო შემოთავაზება მიიღოთ იმ ადამიანისგან, რომლისგანაც ამას არ ელოდებოდით. ყველა დეტალი კარგად აწონ-დაწონეთ და გადაწყვეტილება ისე მიიღეთ.

დაქორწინებულ მერწყულებს მოუწევთ ურთიერთობის მოგვარება ახლო ნათესავებთან — განსაკუთრებული არაფერია იმაში, რომ ზოგიერთს სურს, ჭკუა დაგარიგოთ, როგორ უნდა იცხოვროთ. ასეთ რჩევებს იუმორით მოეკიდეთ და ყველაფერი მშვიდად ჩაივლის.

დიდია სასუნთქი სისტემის ქრონიკული დაავადების გამწვავების ალბათობა. ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღეები: 23, 25 აგვისტო; 5 სექტემბერი.**
**უარყოფითი დღეები: 21, 29 აგვისტო; 3 სექტემბერი.**

## თევზები 20 თებ. — 20 მარტი

გაგიჩნდებათ წარმატების მიღწევის შანსი პროფესიულ სფეროში. უარს ნუ იტყვით დისკუსიებში მონაწილეობაზე, რადგან ამჟამად თქვენი ძალა სიტყვაშია, და ეს უნდა გამოიყენოთ, თუმცა შეეცადეთ, ემოციები მოთოკოთ და ოპონენტთან სიტყვიერი პაექრობისას მშვიდად იყოთ.

კარგი პერიოდია პროფესიულ სფეროში ცვლილებების შესატანად.

მეტი მზრუნველობა გამოიჩინეთ საყვარელი ადამიანის მიმართ. შეეცადეთ, მეტი დრო გაატაროთ ერთად. ერთად წადით დასასვენებლად ან მოაწყვეთ წვეულება, რომელზეც ახლო მეგობრებს მიიპატიჟებთ.

იმ თევზებმა, რომლებსაც ფარისებრი ჯირკვლის პრობლემა აქვთ, აუცილებლად უნდა მიმართონ ექიმს და ჩაიტარონ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღეები: 22, 25 აგვისტო; 3 სექტემბერი.**
**უარყოფითი დღეები: 19, 29 აგვისტო; 1 სექტემბერი.**

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**



# თურქეთი დასავლეთს ნატოდან გამოსვლით დაემუქრა

**თურქეთი ნატოდან გამოვა, თუ უფრო მეტ მხარდაჭერას არ მიიღებს, — წერს ბრიტანული „დეილი ექსპრესი“.**

გამოცემა შეგვახსენებს, რომ სახელმწიფო გადატრიალების უშედეგო მცდელობის კვალზე ერდოღანი და მისი გარემოცვა უფრო მომთხოვნი გახდა. თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა **მევლუდ ჩავუშოღლუმ** დაუფარავად განაცხადა, რომ ქვეყანა „იფიქრებს ნატოდან გამოსვლაზე“, თუ ალიანსი აუცილებელ დახმარებას არ აღმოუჩენს.

ჩავუშოღლუმ დასძინა, რომ დასავლეთმა შეიძლება „დაკარგოს“ თურქეთი თავისი (დასავლეთის) შეცდომების გამო. ამასთანავე, ხაზი გაუსვა, რომ ანკარის მოსკოვთან დაახლოება არ იმოქმედებს ნატოსთან თურქეთის ურთიერთობაზე.

# ტერაქტი ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელის წინააღმდეგ

**ეს ტერაქტი ფართოდ გახმაურდა პრესაში. იგორ პლოტნიცკი ამჟამად საავადმყოფოშია მოთავსებული და ინტენსიური მკურნალობის კურსს გადის.**



უკრაინის ხელისუფლება აცხადებს, რომ „ამ თავდასხმაში არ მონაწილეობდა, რადგან იგი (თავდასხმა) ყოველგვარ აზრსაა მოკლებული და პრობლემის გადამწყვეტი არ არის. კიევში მიიჩნევენ, რომ ტერაქტი ადგილობრივ ჯგუფებს შორის გავლენის სფეროების განაწილებისთვის ბრძოლის შედეგი იყო.

ლუგანსკის წარმომადგენლების ვერსიით, აფეთქება ორგანიზებული იყო უკრაინის დივერსიული ჯგუფის მიერ.

მინსკის მშვიდობიან მოლაპარაკებაში მონაწილე ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენელმა **ალექსანდრე დეინეგომ** განაცხადა, რომ „ვერავითარი პროვოკაცია ვერ შეაფერხებს მინსკის პროცესს. ჩვენ განვაგრძობთ მინსკის შეთანხმებათა შესრულებას და არ ვაპირებთ საომარ მოქმედებათა აღდგენას“.

დონეცკის პარლამენტის სპიკერი **დენის პუშილინი** მიიჩნევს, რომ აღნიშნული ტერაქტი უკრაინის ჯარის შემოტევის მაუწყებელია, და რომ ომი რეალურად არის მოსალოდნელი. „უკრაინის არმია გაძლიერებულად ემზადება... ჩვენ ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედების ზღურბლთან ვდგავართ“, — თქვა მან.

სამშვიდობო მოლაპარაკება ჩიხშია შესული იმის გამოც, რომ ვერ შეთანხმდნენ დონეცკისა და ლუგანსკის ოლქებში არჩევნების ჩატარების საკითხზე. კიევი მოითხოვს უსაფრთხოების გარანტიებს და საერთაშორისო დამკვირვებელთა მონაწილეობას არჩევნებში. ამას გარდა, უკრაინა მოითხოვს, დაუბრუნონ დონეცკისა და ლუგანსკის ოლქებს შორის, აგრეთვე, რუსეთთან საზღვრის კონტროლი. მოსკოვი კი სთავაზობს კიევს, ჯერ მიიღონ კანონი, რომელიც დაამტკიცებს დონეცკისა და ლუგანსკის ოლქების განსაკუთრებულ სტატუსს.



# ამერიკელი სამხედროები ცრუობდნენ «ისლამური სახელმწიფოს» წინააღმდეგ წარმატებული ბრძოლის შესახებ

**ასე ირჯებოდნენ იმიტომ, რომ დაეკნინებინათ ტერორისტების მხრიდან მოსალოდნელი საშიშროების სიმძაფრე.**

გამჟღავნდა, რომ **აშშ შეიარაღებული ძალების ცენტრალური სარდლობა** მიზანმიმართულად ცვლიდა „ისლამური სახელმწიფოსა“ და „ალ ქაიდას“ წინააღმდეგ ბრძოლის მონაცემებს, რათა თავისი საქმიანობა ამ მიმართულებით უფრო დადებითად წარმოედგინა. რესპუბლიკელების ერთმა ჯგუფმა, რომელიც აშშ-ის კონგრესში შედის, გამოიკვლია, რომ შეიარაღებული ძალების ცენტრალური სარდლობის სადაზვერვო სამმართველოს ხელმძღვანელები გასცემდნენ ბრძანებებს, გაეყალბებინათ მონაცემები და ამით „შეემცირებინათ ტერორისტებისგან მოსალოდნელი საფრთხის მნიშვნელობა“.

ეს კეთდებოდა ობამას ადმინისტრაციის უმაღლესი ჩინოსნების მითითებით.

# ოთხი წლით ციხე ვეგეტარიანელობისთვის

**იტალიის პარლამენტში შეტანილია კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას მშობლებისთვის, თუ ისინი აიძულებენ შვილებს, დაიცვან ვეგანური (ვეგეტარიანელობის მკაცრი ფორმა) ან ვეგეტარიანული დიეტა, სასჯელის ზომა — ციხე ოთხი წლით.**

პროექტის ავტორია მემარჯვენე-ცენტრისტული პარტია „ფორცა იტალიას“ წარმომადგენელი **ელვირა სავინო.** მისი აზრით, ბავშვები, რომლებიც არ იღებენ ცოცხალ ცილას, რჩებიან რკინის, თუთიისა და B12 ვიტამინის გარეშე. ეს კი იწვევს სხვადასხვა ნევროლოგიურ პრობლემასა და ანემიას.

— თუ ზრდასრული ადამიანი ბრძანდებით, შეგიძლიათ იკვებოთ ისე, როგორც მოისურვებთ, მაგრამ არ შეიძლება ექსპერიმენტების ჩატარება ბავშვებზე, — აღშფოთებულია პოლიტიკოსი ქალი.

ელვირა სავინო გვიხსნის: ვეგეტარიანელი მშობლებისთვის ასეთი მკაცრი სასჯელის შემოღება გადაწყვიტა რამდენიმე აღმაშფოთებელი შემთხვევის შემდეგ, რომლებიც მისთვის ცნობილი შეიქნა. მშობლები აიძულებდნენ შვილებს, „ეთიკური“ დიეტა დაეცვათ და კინაღამ შიმშილით დახოცეს პატარები. **ცნობისთვის: ამგვარი ინციდენტის გამო მილანში ახალგაზრდა ცოლქმარს მშობლების უფლება ჩამოართვეს.**






# მზის ქვეშ ადგილისთვის ბრძოლა იტალიაში

**ეგებ, უფრო ზუსტი იქნება, თუ ვიტყვით — ჩრდილში ყოფნისთვის იტალიის ზღვისპირა კურორტების პლაჟებზე, სადაც დამსვენებლებმა იმ მიზნით, რომ ქვიშიან ნაპირზე ადგილი შეინარჩუნონ, პლაჟზე ტოვებენ ქოლგებს, პირსახოცებს, სკამებს და ა.შ., რაც იტალიის ბევრ ოლქში კატეგორიულად არის აკრძალული.** ადგილის მონიშვნის, „უკანონოდ“ დაკავების წინააღმდეგ ქვეყნის რამდენიმე რაიონში დაიწყეს ოპერაცია სახელწოდებით „უსაფრთხო ზღვა“. მაგალითად, ლივორნოში ამ დღეებში მკაცრ კონფისკაციას დაექვემდებარა 37 სკამი, 30 ქოლგა, რამდენიმე პირსახოცი და, თქვენ წარმოიდგინეთ, საცურაო კოსტუმიც კი. მსგავსს ღონისძიებებს ახორციელებენ სარდინიის, კამპანიისა და აბრუცოს სანაპირო დაცვის დანაყოფები.

წესრიგის დამრღვევნი „ნივთმტკიცებათა“ დასაბრუნებლად უნდა გამოცხადდნენ საზღვაო სამსახურის ოფისში და გადაიხადონ ჯარიმა 200 ევროს ოდენობით.

არ მიხვალთ და — „რაც გინახავთ, ველარ ნახავთ“.

# გატაცება და წამება აღმოსავლეთ უკრაინაში



**უკრაინის უმაღლესი რადას დეპუტატმა ტატიანა ჩრონოვოლმა განაცხადა, რომ კიევის ხელისუფლების მომხრე მოხალისეთა რაზმ „ტორნადოს“ მეთაურების მობილურ ტელეფონებში იპოვეს აღმოსავლეთ უკრაინაში მათ მიერ ჩადენილი საშინელი დანაშაულების ვიდეოჩანაწერები, მათ შორის, მცირეწლოვანთა გაუპატიურების სცენები.**

— „ტორნადოს“ დაკავებული მეთაურების ტელეფონებზე ჩაწერილი ვიდეოკადრები გამაოგნებელია, — განუცხადა ქალბატონმა ჩრონოვოლმა ტელეკომპანია **„რაშა თუდეის“** ადგილობრივი ტელეარხის ჟურნალისტს.

„იქ ძუძუთა ბავშვებიც კი იყვნენ. ვფიქრობ, რომ მათი დედები აიძულეს, გადაედგათ ეს ნაბიჯი შვილების დახოცვის მუქარით“, — ამბობს ეს დეპუტატი, რომელიც თავის დროზე აქტიურად მონაწილეობდა კიევის მაიდნის მოვლენებში.

„ამ ვიდეოჩანაწერებში აღბეჭდილია არასრულწლოვანი გოგონების გაუპატიურებაც“, — აღნიშნავს ჩრონოვოლი.

„ტორნადოს“ 8 დაკავებული წევრის წინააღმდეგ (დააპატიმრეს მ.წ. ივნისში) მიმდინარეობს გამოძიება. მათ ბრალად ედებათ ლუგანსკის ოლქის მოქალაქეთა გატაცება და წამება. გამოძიების შედეგებიდან ირკვევა, რომ ამ რაზმის წევრებმა წამების კამერა ერთ-ერთი ადგილობრივი სკოლის პირველ სართულზე მოაწყვეს.

ულტრანაციონალისტების ეს რაზმი უკრაინის შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივით 2014 წლის ოქტომბერში ჩამოყალიბდა. „ტორნადო“ დაკავშირებული იყო გაუქმებულ ბატალიონ „შახტიორსკთან“, რომელიც გააუქმეს იმის გამო, რომ რეგულარულად არბევდნენ და ქურდობდნენ.


## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**


საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894